

# **სახელმჯიკრულებო სამართალი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადანუყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე  
2017, №2

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Civil Cases**  
(in Georgian)  
2017, №2

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Zivilsachen**  
(in der georgischen Sprache)  
2017, №2

Решения Верховного Суда Грузии  
**по гражданским делам**  
(на грузинском языке)  
2017, №2

გადაწყვეტილებების შერჩევასა  
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **ზაზა ჯაფარიძე**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 298 21 03; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო  
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

# 1. ნასყიდობის ხელშეკრულება

## ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულება

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-950-912-2014

30 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ზ. ძლიერიშვილი

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. სს ე. (შემდგეში მოსარჩელე) შპს „ს-ის“ (შემდგეში მოპასუხეს) აწვდის ელექტროენერგიას. მოპასუხის მიერ დახარჯული ელექტროენერგიის რაოდენობა განისაზღვრება ამ უკანასკნელის ინდივიდუალური ელექტრომრიცხველის ჩვენების საფუძველზე.

2. მოპასუხის მიერ ელექტროენერგიის აღრიცხვის კვანძზე სამონტაჟო სამუშაოების დასრულების შემდეგ, 2009 წლის 24 მარტს, მოსარჩელემ შეამოწმა ელექტროენერგიის აღრიცხვის კვანძი და დალუქა. დალუქული ელექტროენერგიის აღრიცხვის კვანძი იმავე დღეს ჩაბარდა მოპასუხეს.

3. ელექტროენერგიის აღრიცხვის კვანძის დალუქვის შემდეგ, ლუქის მთლიანობა არ დარღვეულა.

4. 16.10.2012 წელს მოსარჩელემ შეამოწმა მოპასუხის ელექტროენერგიის აღრიცხვის კვანძი. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ელექტროენერგიის წყაროსთან მრიცხველის მიერთების სქემა არასწორად იყო აწყობილი. ამ გარემოების გათვალისწინებით, მოსარჩელემ მიზანშეწონილად მიიჩნია ელექტროენერგიის აღრიცხვის კვანძის დამატებითი დიაგნოსტიკური შემოწმება.

5. დამატებითი დიაგნოსტიკური შემოწმება ჩატარდა 18.10.2012 წელს. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ 35 კვ დენის მეორეული ამომყვანების შუალედურ ამკრეფზე, A და C ფაზების მეორეულ ამომყვანებს შორის, მოთავსებული იყო ზღუდარი, ხოლო A და C ფაზების დენი – ჩაკეტილი. ზღუდარის

ამოღების შემდეგ, ელექტრომრიცხველი ამუშავდა დასაშვები ცდომილების ფარგლებში.

6. 29.03.2013 წლის ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, მოპასუხის ელექტროენერგიის აღრიცხვის კვანძი, გასწორებამდე არ აღრიცხავდა დახარჯული ელექტროენერგიის 52.25%-ს.

7. მოსარჩელემ სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხისათვის ამ უკანასკნელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდე-ლი ნაწილის – 132 001.87 ლარის დაკისრება.

8. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მის კუთ-ვნილ ელექტროენერგიის აღრიცხვის კვანძთან ხელი მხოლოდ მოსარჩელეს მიუწვდებოდა, ამიტომ ელექტრომრიცხველის არასწორ მუშაობაზე პასუხისმგებლობა მოპასუხეს არ უნდა და-კისრებოდა. გარდა ამისა, მრიცხველის ცდომილებით მუშაო-ბის დაწყების თარიღად 24.03.2009 წელი არ უნდა მიჩნეულიყო, ვინაიდან არ არსებობდა მტკიცებულება, რომლითაც დადგინ-დებოდა, თუ როდის დამონტაჟდა ზღუდარი. ამასთან, სასარ-ჩელო მოთხოვნა ხანდაზმულიც იყო.

9. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაე-კისრა 132 001.87 ლარის გადახდა.

10. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩ-ნია, წინამდებარე განჩინების 1-6 პუნქტებში მითითებული ფაქ-ტობრივი გარემოებები და გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებისას, იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის 317.1-ე და 477-ე მუხლებით).

11. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება-ზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა მოპასუხემ, რომელმაც მო-ითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

12. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2014 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით:

– მოპასუხის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყო-ფილდა;

– გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;

– მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 11 079.22 ლარის გადახდა.

13. სააპელაციო სასამართლომ, მართალია, გაიზიარა პირვე-

ლი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მაგრამ მიიჩნია, რომ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ მოთხოვნილი თანხის მხოლოდ ნაწილი უნდა დაჰკისრებოდა.

14. სააპელაციო სასამართლომ მოსაზრებით, მოსარჩელეს უნდა დაემტკიცებინა, რომ მოპასუხე 24.03.2009 წლიდან ხარჯავდა ელექტრომრიცხველში აღრიცხულზე გაცილებით მეტ ელექტროენერგიას.

15. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება და აღნიშნა, რომ შეუძლებელია, მოპასუხის მიერ გამოშვებული პროდუქციისა და დახარჯული ელექტროენერგიის თანაფარდობით დადგინდეს ელექტროენერგიის ცდომილებით მოხმარების დაწყების თარიღი. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, ასევე, რომ, რაიმე სხვა მტკიცებულება, რაც ამ სადავო ფაქტს დაადასტურებდა, მოსარჩელეს არ წარმოუდგენია.

16. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 18.09.2008 წლის №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე და მიიჩნია, რომ, ვინაიდან უცნობი იყო ელექტროენერგიის უკანონოდ მოხმარების დაწყების თარიღი, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა მხოლოდ 01.08.2012 წლიდან 01.10.2012 წლამდე (სამი თვის მანძილზე) მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი ცდომილების გათვალისწინებით. სააპელაციო სასამართლომ მოსაზრებით, ეს თანხა შეადგენდა 11 079.22 ლარს.

17. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ორივე მხარემ.

18. მოსარჩელის საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

– სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა მის მიერვე დადგენილი გარემოებები და არასწორად განსაზღვრა ის პერიოდი, რა დროსაც მოპასუხის მრიცხველი შეცდომით აღრიცხავდა ელექტროენერგიას, კერძოდ, გასაჩივრებული გადაწყვეტილებითაც დადგენილია და არც მოპასუხე ხდის სადავოდ იმ გარემოებას, რომ ელექტროენერგიის აღრიცხვის კვანძის დალუქვის შემდეგ, 24.03.2009 წლიდან, ლუქის მთლიანობა არ დარღვეულა. ეს გარემოება კი, იმას ადასტურებს, რომ ზღუდარი აღრიცხვის კვანძში ჩაიდო და მრიცხველის მიერთების სქემა არასწორად შედგა დალუქვამდე, შესაბამისად, სწორედ ამ დროიდან მოპასუხის მრიცხველი აღარ აღირიცხავდა დახარჯული

ელექტროენერჯის 52.25%-ს;

– ის გარემოება, რომ ზღუდარი აღრიცხვის კვანძში ჩაიდო და მიერთების სქემა არასწორად შედგა დალუქვამდე, იმითაც დასტურდება, რომ ელექტროენერჯის აღრიცხვის კვანძი მოპასუხემ თავად დაამონტაჟა და სწორედ ამის შემდეგ კვანძი დაილუქა;

– ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე ვალდებულია, გადაიხადოს მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულება ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული ცდომილების გათვალისწინებით და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვისი ბრალი იყო მრიცხველის მიერ ელექტროენერჯის შეცდომით აღრიცხვა.

19. მოპასუხის საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

– სააპელაციო სასამართლომ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დააკისრა ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის გადახდა დაკმაყოფილებული მოთხოვნის არაპროპორციულად;

– მოპასუხის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯი მოსარჩელეს კანონით გათვალისწინებულზე ნაკლები ოდენობით დაეკისრა.

20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 20 ივლისის განჩინებით დასაშვებად იქნა ცნობილი მოსარჩელისა და მოპასუხის საკასაციო საჩივრები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

21. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

22. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ-ის) 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

23. მოცემულ შემთხვევაში, კასატორი (მოსარჩელე) სადავოდ არ ხდის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ, სა-

მართლებრივად მნიშვნელოვან, ფაქტობრივ გარემოებებს (იხ. წინამდებარე განჩინების 1-6 პუნქტები), მაგრამ მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად შეაფასა მის მიერვე დადგენილი გარემოებები და არასწორად მიიჩნია, რომ შეუძლებელი იყო იმ თარიღის დადგენა, რა დროიდანაც მოპასუხის კუთვნილი ელექტროენერჯის მრიცხველი სრულად არ აღრიცხავდა მოხმარებულ ელექტროენერჯიას. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 18.09.2008 წლის №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რასაც შედეგად მოჰყვა საქმეზე არასწორი გადანაცვებილების გამოტანა, კერძოდ, გასაჩივრებული გადანაცვებილებით მოპასუხეს დაეკისრა მხოლოდ სამი თვის მანძილზე მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების ანაზღაურება, ექსპერტიზით დადგენილი ცდომილების პროცენტის გათვალისწინებით, და არა სრულად, მოთხოვნილი ოდენობით, 24.03.2009 წლიდან 18.10.2012 წლამდე.

24. კასატორის ამ პრეტენზიის მართებულობის შესამოწმებლად, საკასაციო პალატა, უპირველესად, ყურადღებას მიაქცევს მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შინაარსს, კერძოდ, სადავო არაა, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დადებულია ელექტროენერჯის ნასყიდობის ხელშეკრულება, სადაც ელექტროენერჯის გამყიდველია მოსარჩელე, ხოლო მყიდველი – მოპასუხე.

25. ზემოხსენებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების ანაზღაურებას იმ ცდომილების გათვალისწინებით, რაც დადგენილია 29.03.2013 წლის ექსპერტიზის დასკვნით, კერძოდ, მოსარჩელის განმარტებით, 24.03.2009 წლიდან 18.10.2012 წლამდე, მოპასუხის კუთვნილი ელექტრომრიცხველი სრულად არ აღრიცხავდა მოხმარებულ ელექტროენერჯიას. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, აღურიცხავი ელექტროენერჯია შეადგენდა მოხმარებული ელექტროენერჯის 52.25%-ს. ამ ცდომილების პროცენტის გათვალისწინებით, აღურიცხავი ელექტროენერჯის მოცულობამ, ზემოხსენებულ პერიოდში, შეადგინა 1 464 072.36 კვტ.სთ, რომლის ღირებულებაც 132 001.87 ლარი.

26. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 477-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომლის მიხედვით, მყიდველი მოვალეა გადაუხადოს

გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება.

27. ამასთან, გამყიდველს გაყიდული საქონლის ფასის მოთხოვნის უფლება იმ შემთხვევაში წარმოეშობა, თუ მას შესრულებული აქვს სსკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულება, რაც გაყიდული საქონლის მყიდველისათვის მიწოდებასა და მასზე საკუთრების უფლების გადაცემას გულისხმობს.

28. მოცემულ შემთხვევაში, გამყიდველის (მოსარჩელის) სამტკიცებელია ის გარემოება, რომ მან სადავო პერიოდში მყიდველს (მოპასუხეს) მიაწოდა ელექტროენერგია სარჩელში მითითებული ოდენობით.

29. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 18.09.2008 წლის №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-9 მუხლის შესაბამისად, მოხმარებლის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის მოცულობის განსაზღვრა და საფასურის დარიცხვა ხორციელდება ინდივიდუალური ელექტროენერგიის მრიცხველის ჩვენების საფუძველზე.

30. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია და სადავო არაა ის გარემოება, რომ მოპასუხის ინდივიდუალური ელექტრომრიცხველი არ აღრიცხავდა მოხმარებული ელექტროენერგიის 52.25%-ს. მხარეთა შორის სადავოა, თუ როდის არ აღრიცხავდა მოპასუხის მრიცხველი მოხმარებულ ელექტროენერგიას მითითებული ოდენობით. მოსარჩელის განმარტებით, მრიცხველი, 2009 წლის 24 მარტიდან 2012 წლის 18 ოქტომბრამდე, მოხმარებულ ელექტროენერგიას არასრულად აღრიცხავდა.

31. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ზემოხსენებული სადავო გარემოების დამტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრებოდა. ამასთან, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მოსარჩელემ მის მიერ მითითებული გარემოების დამტკიცება ვერ შეძლო.

32. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში კასატორმა (მოსარჩელემ) წარმოადგინა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. საკასაციო პალატა ეთანხმება კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა მის მიერვე დადგენილი გარემოებები და არასწორად განსაზღვრა მოხმარებული ელექტროენერგიის არასრულად აღრიცხვის პერიოდი, კერძოდ, გასაჩივრებული გადაწყვე-



ტილებით დადგენილია და არც მოპასუხე არ ხდის სადავოდ იმას, რომ ელექტროენერჯიის აღრიცხვის კვანძის დალუქვის შემდეგ (24.03.2009 წელი), ლუქის მთლიანობა არ დარღვეულა. ამასთან, დადგენილია ის გარემოებაც, რომ მოპასუხემ თავად დაამონტაჟა ელექტროენერჯიის აღრიცხვის კვანძი და სწორედ ამის შემდეგ დაილუქა ეს კვანძი. მითითებულ გარემოებებზე დაყრდნობით, სააპელაციო სასამართლო თავადვე ასკვნის, რომ დალუქვის შემდეგ, ელექტროენერჯიის აღრიცხვის კვანძს ხელოვნურად არავინ შეხებია. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხის მრიცხველის მიერ ელექტროენერჯიის არასრულად აღრიცხვის დაწყების თარიღის დადგენა შეუძლებელია.

33. საკასაციო პალატა სააპელაციო სასამართლოს ამ უკანასკნელ დასკვნას არ ეთანხმება და მიიჩნევს, რომ წინამდებარე განჩინების 32-ე პუნქტში აღნიშნული გარემოებებით პრეზუმირებულია ის ფაქტი, რომ მოპასუხის ელექტროენერჯიის აღრიცხვის კვანძში ზღუდარი ჩაიღო და მრიცხველთან მიერთების სქემა არასწორად შედგა ამ კვანძის დალუქვამდე, შესაბამისად, სწორედ ამ დროიდან მოპასუხის მრიცხველი აღარ აღრიცხავდა დახარჯული ელექტროენერჯიის 52.25%-ს.

34. ზემოხსენებული პრეზუმფციის გაქარწყლების ტვირთი მოპასუხეს ეკისრებოდა. ამ უკანასკნელმა მოსარჩელის სასარგებლო პრეზუმირებული ფაქტის გასაქარწყლებლად იმ გარემოებაზე მიუთითა, რომ მოსარჩელემ 24.03.2009 წელს თავად ჩაიბარა ელექტროენერჯიის აღრიცხვის კვანძი და თვითონვე დალუქა. დალუქვის შემდეგ კი, აღრიცხვის კვანძზე ხელი მხოლოდ მოსარჩელეს მიუწვდებოდა, შესაბამისად, მოპასუხე მასში ზღუდარს ვერ განათავსებდა. ამის გაკეთება მოსარჩელეს შეეძლო, როგორც აღრიცხვის კვანძის დალუქვამდე, ასევე, მისი დალუქვის შემდეგ.

35. საკასაციო სასამართლო, უპირველესად, ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელე მოპასუხეს არ ედავება 24.03.2009 წლის შემდეგ აღრიცხვის კვანძში ზღუდარის ჩადებას, პირიქით, მოსარჩელე იმას ამტკიცებს, რომ ზემოხსენებული დარღვევით აღრიცხვის კვანძი მოეწყო მის დალუქვამდე.

36. ელექტროენერჯიის აღრიცხვის კვანძში (დალუქვის შემდეგ) მოსარჩელის ხელოვნური ჩარევის თაობაზე მოპასუხის მოსაზრებას გამორიცხავს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი ის უდავო გარემოება, რომ აღრიცხვის კვანძის ლუქების მთლიანობა 18.10.2012 წლამდე არ დარღვეულა. მოპასუ-

ხეს არ წარმოუდგენია დამაჯერებელი განმარტება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეეძლო მოსარჩელეს, ლუქების მთლიანობის დარღვევის გარეშე, აღრიცხვის კვანძში რაიმე შეეცვალა. ამდენად, ნათელია, და გასაჩივრებული გადაწყვეტილებითაც დადგენილია, რომ 24.03.2009 წლის შემდეგ, ელექტროენერჯის აღრიცხვის კვანძში ხელოვნური ჩარევის შესაძლებლობა არავის გააჩნდა (მათ შორის, არც მოსარჩელეს).

37. დაუსაბუთებელია, ასევე, მოპასუხის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ელექტროენერჯის აღრიცხვის კვანძის დალუქვამდე, მასში ხელოვნური ჩარევა შეეძლო მხოლოდ მოსარჩელეს, ვინაიდან სწორედ ამ უკანასკნელმა ჩაიბარა და დალუქა კვანძი. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, ზოგადად, აღრიცხვის კვანძის დალუქვამდე, მასში ზღუდარის ჩადება და მრიცხველთან მიერთების სქემის არასწორად დამონტაჟება შეეძლო, როგორც მოსარჩელეს, ისე მოპასუხეს. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან ორივე მხარე უარყოფს ამ ფაქტს, უნდა გაირკვეს, თუ ვისი ინტერესი შეიძლებოდა ყოფილიყო აღრიცხვის კვანძში იმგვარი ჩარევა, რომ მრიცხველს დახარჯული ელექტროენერჯია სრულად არ აღერიცხა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ, დახარჯული ელექტროენერჯის არასრულად აღრიცხვის შემთხვევაში, მომხმარებელი გადაიხდის უფრო ნაკლებ ფასს, ლოგიკური და დამაჯერებელია, რომ ეს ყოველივე ელექტროენერჯის მომხმარებლის და არა ელექტროენერჯის მიმწოდებლის ინტერესებშია, რომელიც, პირიქით, დაინტერესებულია, სრულად აღრიცხოს მის მიერ მიწოდებული ელექტროენერჯის რაოდენობა და მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება. მოპასუხის ლოგიკის თანახმად, მოსარჩელე თავის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა, კერძოდ, არასრულად აღრიცხავდა მიწოდებული ელექტროენერჯის რაოდენობას და იღებდა უფრო ნაკლებ ანაზღაურებას, ვიდრე ეკუთვნოდა. გაუგებარია, რატომ უნდა გაეკეთებინა ეს მოსარჩელეს, რატომ უნდა ყოფილიყო დაინტერესებული მის მიერ მიწოდებული ელექტროენერჯის მოცულობის ხელოვნურად შემცირებით. მოპასუხეს, ამ თვალსაზრისით, რაიმე დამაჯერებელი განმარტება არ წარმოუდგენია, შესაბამისად, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მოპასუხის ზემოხსენებულ პრეტენზიას. ამასთან, საკასაციო პალატის მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში, მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვისმა მოქმედებამ გამოიწვია აღრიცხვის კვანძის გაუმართაობა, ვინაიდან მოპასუხე ვალდებულია, გადაიხადოს მის მიერ ფაქტობრივად დახარჯული ელექტროენერჯის ღირებულება. ამაზე, უფრო დანვრილებით, ქვემოთ ვისაუბ-

რებთ.

38. მოპასუხის შესაგებელი ეფუძნება, ასევე, იმ გარემოებას, რომ, თავად მოსარჩელის განმარტებით, ელექტროენერჯიის არასრულად აღრიცხვის მიზეზია აღრიცხვის კვანძის გაუმართაობა და არა მოპასუხის ბრალეულობა. მოპასუხის მოსაზრებით, თუკი მას ბრალი არ მიუძღვის აღრიცხვის კვანძის გაუმართაობაში, მაშინ მან პასუხიც არ უნდა აგოს აქედან გამომდინარე შედეგებზე.

39. საკასაციო პალატა არ იზიარებს მოპასუხის ზემოხსენებულ პრეტენზიას და მიიჩნევს, რომ აღურიცხავი ელექტროენერჯიის ღირებულების ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობა მოპასუხეს ეკისრება, მიუხედავად იმისა, მისი ბრალით იყო თუ არა აღრიცხვის კვანძი გაუმართავი. მოპასუხის ბრალეულობის შემთხვევაში, იგი პასუხს აგებდა სსკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე. მართალია, მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნება დახარჯული ელექტროენერჯიის გაუმართავი აღრიცხვის კვანძით არასრულად აღრიცხვას და არა აღრიცხვის კვანძის გაუმართაობაში მოპასუხის ბრალეულობას, მაგრამ, როგორც აღინიშნა, ეს არ გამორიცხავს მოპასუხის პასუხისმგებლობას, გადაიხადოს ფაქტობრივად დახარჯული ელექტროენერჯიის ღირებულება. მოპასუხის ეს ვალდებულება გამომდინარეობს მხარეთა შორის დადებული ელექტროენერჯიის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან (სსკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილი). აქედან გამომდინარე, განსახილველი დავის გადაწყვეტისათვის, მთავარია ის ფაქტი, რომ მოპასუხემ მოიხმარა უფრო მეტი ელექტროენერჯია, ვიდრე მისმა გაუმართავმა აღრიცხვის კვანძმა აღრიცხა, შესაბამისად, მან გადაიხადა არა ფაქტობრივად დახარჯული, არამედ მრიცხველის მიერ ცდომილებით აღრიცხული ელექტროენერჯიის ღირებულება. საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოპასუხის მრიცხველი 24.03.2009 წლიდან 18.10.2012 წლამდე არ აღრიცხავდა დახარჯული ელექტროენერჯიის 52.25%-ს, შესაბამისად, ამ პერიოდში, აღურიცხავი ელექტროენერჯიის რაოდენობამ შეადგინა 1 464 072.36 კვტ.სთ, რომლის ღირებულებაც 132 001.87 ლარი. ეს გარემოება დასტურდება წინამდებარე განჩინების 33-ე პუნქტით დაშვებული პრეზუმფციით, ასევე, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი შემდეგი მტკიცებულებებით: 29.03.2013 წლის ექსპერტიზის დასკვნით, 15.04.2013 წლის №ა1/2-392 დარიცხვის აქტით, 16.10.2012 წლისა და 18.10.2012 წლის აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტებით, აბონენტის ბარათით, შემოსავლების სამსახურის 01.01.2014 წლის წერილთა და მასზე დართული ინფორმაციით. ზემოხსენებული ფაქ-

ტობრივი გარემოებების გამაქარწყლებელი მტკიცებულებები მოპასუხეს არ წარმოუდგენია.

40. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადგენილია, რომ მოპასუხეს მოსარჩელისათვის არ გადაუხდია დახარჯული, მაგრამ მისი ინდივიდუალური მრიცხველის მიერ აღურიცხავი ელექტროენერჯის ღირებულება (132 001.87 ლარი), შესაბამისად, მოპასუხეს წარმოემა ვალდებულება, მითითებული თანხა გადაუხადოს მოსარჩელეს (სსკ-ის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილით, რომელიც არ გასაჩივრებულა, მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა 11 079.22 ლარი. აქედან გამომდინარე, ამ გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხა უნდა გამოაკლდეს სარჩელით მოთხოვნილ თანხას – 132 001.87 ლარს და მიღებული სხვაობა – 120 922.65 ლარი უნდა დაეკისროს მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ.

41. დაუსაბუთებელია მოპასუხის შესაგებელი სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე, ვინაიდან, სსკ-ის 130-ე მუხლის მიხედვით, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ თავისი უფლების დარღვევის შესახებ შეიტყო 18.10.2012 წელს და სწორედ ამ დროიდან დაიწყო მისი მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის დენა (სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილი), რაც სარჩელის შეტანის დროისათვის (05.08.2013 წელს) გასული არ ყოფილა.

42. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია, რაც ამ გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

43. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

44. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების კანონით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს სააპელაციო

სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს. რაც შეეხება მოპასუხის საკასაციო საჩივარს, მოსარჩელის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილება გამორიცხავს მის დაკმაყოფილებას.

45. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის იმ მოთხოვნათა პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას, ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

46. განსახილველ შემთხვევაში, მოგებულ მხარეს (მოსარჩელეს) სარჩელზე გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი 3960.10 ლარი, ხოლო, საკასაციო საჩივარზე – 6046.15 ლარი. აქედან გამომდინარე, მოპაუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ განეული სასამართლო ხარჯის – 10 006.25 ლარის გადახდა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

47. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

#### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. სს „ე-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. შპს „ს-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილე-

ბის სარეზოლუციო ნაწილის მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტები და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

4. სს „ე-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს;

5. შპს „ს-ის“ სს „ე-ის“ სასარგებლოდ, დაეკისროს 120 922.65 ლარის გადახდა;

6. შპს „ს-ის“ სს „ე-ის“ სასარგებლოდ, დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ განეული სასამართლო ხარჯის – 10 006.25 ლარის გადახდა;

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. ჩუქების ხელშეკრულება

### გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-710-676-2015

22 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ე. გ-ი (შემდეგში: გამჩუქებელი, მოსარჩელე, ან კასატორი) ქ. თბილისში, გ. კ-ა ქუჩა №22, ფართით 21.79 კვ.მ, მდებარე ბინის [ს/კ01.11.05.-.-.-, შემდეგში: „გაჩუქებული ნივთი“] მესაკუთრე იყო.

2. მასთან ერთად აღნიშნულ ბინაში ცხოვრობდა, მისი შვილიშვილი, მ. პ-ი (შემდეგში: დასაჩუქრებული, მოპასუხე ან მონინალმდებე მხარე).

3. 2012 წლის 29 ოქტომბერს მოსარჩელემ ფიზიკური პირის საგან ისესხა 4 000 აშშ დოლარი და სესხის დაბრუნების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთა მის სახელზე რიცხული ზემოაღნიშნული ბინა [საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდგომში სსკ-ის, 623-ე და 289.1-ე მუხლები].

4. 2012 წლის 2 ნოემბერს მოსარჩელემ ბინა აჩუქა მოპასუხეს [სსკ -ის 524-ე მუხლი].

5. ჩუქების ხელშეკრულება დაიდო წერილობით, რომლის შინაარსი დაამონმა ნოტარიუსმა. მოპასუხის უფლება ნაჩუქარ ნივთზე რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში [სსკ-ის 525-ე მუხლის მეორე, 311-ე მუხლის პირველი ნაწილები და 183-ე მუხლი].

6. 2014 წლის 13 იანვარს მოპასუხე გათხოვდა და საცხოვრებლად გადავიდა მეუღლესთან ქ. ხაშურში.

7. მოსარჩელეს შერყეული აქვს ჯანმრთელობა და საჭიროებს მკურნალობასა და მზრუნველობას. 2014 წლის მაისში მან

სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ. მისი მოთხოვნა 2012 წლის 2 ნოემბრის ჩუქების გაუქმებისა და ნივთზე საკუთრების უფლების დაბრუნების თაობაზე დამყარებული იყო შემდეგ ფაქტებზე:

7.1. მოპასუხე არ ზრუნავს მასზე, გათხოვების შემდეგ გამოსხატავს ზიზღს, თავს არიდებს მასთან შეხვედრას, რითაც იჩენს უმადურობას და მძიმე შეურაცხყოფას აყენებს მას [სსკ-ის 529-ე მუხლის პირველი ნაწილი].

7.2. ერთადერთი ბინის გაჩუქების გამო ის ჩავარდა მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში; მოპასუხე აპირებს ბინის გასხვისებას და, თუ ეს მოხდა, იგი შეიძლება ქუჩაშიც აღმოჩნდეს [სსკ-ის 530-ე მუხლის პირველი ნაწილი].

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა მოპასუხის მხრიდან მოსარჩელის მიმართ მძიმე შეურაცხყოფის გამოვლენა და უმადურობის ფაქტი. სასამართლოს დასკვნით, არც სსკ-ის 530-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შედეგი ვერ მიიღებოდა, რადგანაც არ იყო განხორციელებული ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის განმაპირობებელი სამართლებრივი წინაპირობები.

9. საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები, სახელდობრ:

10.1. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა სარჩელში მითითებული გარემოებები, იმის თაობაზე რომ მოწინააღმდეგე მხარემ გამოიჩინა მის მიმართ დიდი უმადურობა ან მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა მას.

10.2. მან ვერ დაასაბუთა ის გარემოებაც, რომ, ერთადერთი საცხოვრისის გაჩუქების გამო, ჩავარდა მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში.

11. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 მაისის განჩინება, ასევე, თბილისის სააპელა-



ციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 აპრილის საოქმო განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობა ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების მიღების თაობაზე [სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 380-ე მუხლი], მოსარჩელემ საკასაციო საჩივრით გაა-საჩივრა.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე და, 408-ე მუხლის მე-სამე ნაწილის თანახმად, საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალების გაცნობა, მათი შესწავლა და ანალიზი, ასევე, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმება, საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, დასკვნა გამოიტანოს საჩივრის საფუძვლიანობის თაობაზე. სახელდობრ:

13. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

13.1. კასატორი 2012 წლის 2 ნოემბრამდე გაჩუქებული ნივთის მესაკუთრე იყო, მას სხვა საცხოვრებელი არ გააჩნდა.

13.2. ამჟამად გაჩუქებული ნივთის მესაკუთრეა მონინა აღმდეგე მხარე, რომელიც მეუღლესთან ერთად ცხოვრობს ქ. ხაშურში.

13.3. ნაჩუქარი ნივთი უფლებრივი ნაკლის მქონეა. ის კრედიტორის სასარგებლოდაა დატვირთული იპოთეკით.

13.4. კასატორს, რომელიც 69 წლისაა, შერყეული აქვს ჯანმრთელობა და საჭიროებს შესაბამის მკურნალობასა და მზრუნველობას.

14. გამჩუქებელი სარჩელის დაკმაყოფილების ერთ-ერთ საფუძვლად სსკ-ის 529-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი წანამძღვრების განხორციელებას მიიჩნევდა („ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოი-

ჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ“). იგი მიუთითებდა, რომ დასაჩუქრებული აღარ ზრუნავდა მასზე, გათხოვების შემდეგ გამოხატავდა ზიზღს, თავს არიდებდა მასთან შეხვედრას, რითაც იჩენდა დიდ უმადურობას და მძიმე შეურაცხყოფას აყენებდა მას. მართალია, დასაჩუქრებული, ჩუქების უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე, ვალდებულია, განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდეს გამჩუქებლის მიმართ, მით უფრო მაშინ, როცა მათ შორის ახლო ნათესაური კავშირია, მაგრამ ამგვარი ვალდებულება, სულაც არ გულისხმობს დასაჩუქრებულის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების არათანაზომიერ შეზღუდვას მხოლოდ გამჩუქებლის სუბიექტური დამოკიდებულებისა და მისი ნება-სურვილის გათვალისწინებით.

15. საკასაციო პალატა იზიარებს ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს და განმარტავს, რომ, როგორც წესი, ქონების უსასყიდლოდ გადაცემის (ჩუქების) დროს, დასაჩუქრებულის ქონება გაზრდა ხდება მისი მხრიდან საპასუხო შესრულების გარეშე. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ მოპასუხე სათანადო მზრუნველობას არ იჩენს და ყურადღებას არ აქცევს მოსარჩელეს, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს დასკვნას იმის შესახებ, რომ მოპასუხემ მოსარჩელის მიმართ დიდი უმადურობა გამოიჩინა ან ამით აყენებს მას მძიმე შეურაცხყოფას. ერთერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა „...მსგავსი მოთხოვნის შემთხვევაში, მოსარჩელის განსასაზღვრია, რომელ ქმედებას მიიჩნევს უმადურობად ან შეურაცხყოფად, თუმცა კონკრეტული ფაქტი წარმოადგენს თუ არა ისეთი სახის შეურაცხყოფას ან უმადურობას, რაც ჩუქების გაუქმებას შეიძლება დაედოს საფუძვლად, სასამართლოს შეფასების საგანია და არა თავად მოსარჩელის. სასამართლომ მხარეთა ურთიერთდამოკიდებულების, მათი შეხედულებების, თავად ქმედების შეფასების, ასევე, კონკრეტულ საზოგადოებაში არსებული წესჩვეულებებისა და დამკვიდრებული მოსაზრებების გათვალისწინებით უნდა განსაზღვროს, იჩენს თუ არა დასაჩუქრებული უმადურობას გამჩუქებლის მიმართ ან არის თუ არა მისი ქმედება შეურაცხმყოფელი. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია თავად მხარის სუბიექტური დამოკიდებულება კონკრეტული ქმედების მიმართ, მაგრამ გადამწყვეტი ამ ქმედების შეფასებაა, იმ თვალსაზრისით, რომ, სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლიდან გამომდინარე, დასაჩუქრებულის არა ყოველგვარი გასაკიცხი ქმედება იძლევა ჩუქების გაუქმების საფუძველს, არამედ მხოლოდ მძიმე შეურაცხყოფა და დიდი უმადურობა“. (იხ. სუსგ

2015 წლის 24 თებერვალი, საქმე №ას-1235-1176-2014). ამასთან, კასატორის მიერ მითითებული გარემოებების შეფასების დროს უთუოდ გასათვალისწინებელია ობიექტურად შექმნილი ვითარება, მოპასუხის მიერ ოჯახის შექმნა და საცხოვრებლად ქ. თბილისიდან საკმაო მანძილით დაშორებულ ქალაქში ( ქ. ხა-შურში) გადასვლა.

16. რაც შეეხება სარჩელის მეორე საფუძველს, ერთადერთი საცხოვრისის გასხვისების გამო კასატორის მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩავარდნას, საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოსეულ სამართლებრივ შეფასებებს და მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში იკვეთებოდა სსკ-ის 530-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმსაზღვრელი წინაპირობები, კერძოდ, დადგენილია, რომ გაჩუქებული ქონება წარმოადგენდა გამჩუქებლის ერთადერთ საცხოვრისს. ეს უკანასკნელი ხანდაზმულია, საჭიროებს მოვლას და სხვა აუცილებელ დახმარებას. დასაჩუქრებულს ობიექტურად არა აქვს შესაძლებლობა, მატერიალური და სხვა სახის დახმარება გაუწიოს ბებიას. ქონების გასხვისებით კასატორი უდავოდ ჩავარდა მძიმე მდგომარეობაში, მას მოესპო იმის შესაძლებლობა, რომ საკუთარი შეხედულებით განკარგოს ქონება, მაგალითად, გააქირაოს [სსკ-ის 531-ე მუხლი] და მიიღოს სარგებელი ან მთელი სიცოცხლის მანძილზე მისთვის მისაღებ პირს (მარჩინალს) სარჩოს გადახდის პირობით, გადასცეს უძრავ ნივთზე საკუთრება [სსკ-ის 941-ე 942-ე მუხლი] და ა.შ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ: „სადავო ბინის გაჩუქებით მოსარჩელისათვის არაფერი შეცვლილა მატერიალური მდგომარეობის გაუარესების კუთხით“, იმის გამო, რომ ის დღესაც ინარჩუნებს გაჩუქებული ბინის მფლობელობას, სამართლებრივად დაუსაბუთებელია.

17. სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. ვინაიდან ამ შემთხვევაში არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები, საკასაციო პალატა უფლებამოსილია საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება. ამრიგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, რადგანაც განხორციელებულია სსკ-ის 530-ე მუხლის პირველი

ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობები და არ არსებობს კასაცორის მოთხოვნის გამომრიცხავი გარემოება – გამჩუქებლისათვის ნივთზე საკუთრების უფლების დაბრუნებით დასაჩუქრებულის მიძიმე მდგომარეობაში ჩაყენება – სასარჩელო მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს. 2012 წლის 2 ნოემბერს მხარეთა შორის დადებული ბინის ჩუქების ხელშეკრულება უნდა გაუქმდეს. შესაბამისად, სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა („პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: ვალდებულება, გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო, არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში“) და 979-ე მუხლის პირველი ნაწილის („უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე, სხვა ყველაფერზე, რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით“) საფუძველზე გაჩუქებული ქონება ისევე გამჩუქებლის საკუთრებად უნდა იქნეს აღრიცხული.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 243-244-ე, 248-249-ე მუხლებით და

#### **გ ა ლ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. ე. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 მაისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გაუქმდეს ე. გ-სა და მ. პ-ს შორის 2012 წლის 2 ნოემბერს გაფორმებული უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულება (ნოტარიუსი ე. შ-ა, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი 121-) უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი №01.11.05.-.-.-) და ქ. თბილისში, გ. კ-ა ქ. №22-ში მდებარე ბინა (საკადასტრო კოდი №01.11.05.-.-.-) აღრიცხოს ე. გ-ის საკუთრებად;
4. ე. გ-ი გათავისუფლებულია საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან;
5. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**რუქების გაუქმება**  
**გადაწყვეტილება**  
**საქართველოს სახელით**

№ას-1011-954-2015

18 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**პ. ქათამაძე,**  
**ე. გასიჭაშვილი**

**დავის საგანი:** ჩუქების ხელშეკრულებების გაუქმება, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ს. ბ-ია, დაბადებული 1928 წელს (შემდეგში – მოსარჩელე, მოპასუხე შეგებებულ სარჩელში, აპელანტი, კასატორი, გამჩუქებელი) და ზ. ბ-ია, დაბადებული 1945 წელს (შემდეგში – პირველი მოპასუხე, მოსარჩელე შეგებებულ სარჩელში, დასაჩუქრებული, გამყიდველი) 1991 წლის 23 თებერვლიდან იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში {საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 1106-ე და 1151-ე მუხლები}.

2. 1999 წლის 23 ოქტომბერს მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის დაიდო ჩუქების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც დასაჩუქრებულს საკუთრებაში გადაეცა საცხოვრებელი ბინა, რომლის მისამართია ქ. თბილისი, .... კორპუსი I, ბინა 4 (შემდეგში: პირველი უძრავი ნივთი), {სსკ-ის 311-ე პრიმა, 524-ე, და 525.2-ე მუხლები}.

3. მოსარჩელეს პირველ მოპასუხესთან ქორწინებიდან შვილები არ ჰყავს.

4. მჩუქებელს სხვადასხვა ქორწინებიდან ჰყავდა ოთხი შვილი – სამი ვაჟი და ერთი გოგონა. მათგან ორი, ლ. და ზ. ბ-ია, სხვადასხვა ვითარებაში გარდაიცვალნენ.

5. 2007 წლის 2 მარტს გაცემული სამკვიდრო მონუმობის საფუძველზე მოსარჩელემ მემკვიდრეობით მიიღო მისი ერთ-ერთი შვილის, ლ. ბ-ს, სამკვიდრო ქონება, უძრავი ნივთი, მდებარე ქ. თბილისში, ..... (შემდეგში: მეორე უძრავი ნივთი) {სსკ-ის 183-ე, 1336-ე, 1421-ე, 1424-ე, 1433-ე და 1500-ე მუხლები}.

6. ამჟამად მჩუქებელს სხვა ქორწინებიდან ორი შვილი ჰყავს: მ. ნ-ძე და შ. კ-ნი.

7. 2013 წლის 4 მარტს მოსარჩელემ პირველ მოპასუხეს ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების უფლებით გადასცა მემკვიდრეობით მიღებული მეორე უძრავი ნივთი (სსკ-ის 311-ე პრიმა, 524-ე, და 525.2-ე მუხლები).

8. 2013 წლის 5 აპრილს პირველმა მოპასუხემ ნაჩუქარი მეორე უძრავი ნივთი მიჰყიდა მ. ა-ძეს (შემდეგში: მეორე მოპასუხე, შემძენი). მეორე მოპასუხე საჯარო რეესტრში სადავო უძრავი ქონების მესაკუთრედაა აღრიცხული (სსკ-ის 183-ე, 311-ე პრიმა, 477-ე მუხლები).

9. ერთად ცხოვრების დროს მეუღლეებს შორის ხშირად ხდებოდა კონფლიქტი, რომელმაც უკანასკნელ წლებში სისტემატური და მწვავე ხასიათი მიიღო.

10. 2013 წლის 5 აპრილს, მ. ნ-ეს სურდა მამის (მოსარჩელის) მონახულება, მაგრამ პირველმა მოპასუხემ (მეუღლემ) მას არ მისცა ბინაში შესვლისა და მამის ნახვის უფლება. კონფლიქტის მოგვარების მიზნით გამოძახებულ იქნა საპატრულო პოლიცია, რომლის წარმომადგენელსაც მოსარჩელემ განუცხადა, რომ სურდა შვილთან მ. ნ-თან საცხოვრებლად გადასვლა. ამას დაეთანხმა, როგორც შვილი, ისე პირველი მოპასუხეც. მოსარჩელე დღესაც შვილთან ცხოვრობს.

11. 2013 წლის 15 აპრილს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეთა მიმართ და მოითხოვა 1999 წლის 23 ოქტომბრისა და 2013 წლის 4 მარტის ჩუქების ხელშეკრულებებისა და 2013 წლის 5 აპრილის უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა [სსკ-ის 529-ე მუხლი, 530-ე მუხლის პირველი ნაწილი, 56-ე მუხლის პირველი ნაწილი]. მოსარჩელემ სარჩელში აღნიშნა, რომ პირველი მოპასუხე დაინტერესებული იყო მისი გარდაცვალებით და აღნიშნულის დასადასტურებლად შესაბამის ფაქტობრივ გარემოებაზეც მიუთითა, კერძოდ, კუჭიდან ფარული სისხლდენის დიაგნოზზე, რაც მისი მოვლის დროს ავადობის მიმდინარეობის კლინიკური გამოვლინების თვალსაზრისით დასაჩუქრებულის მხრიდან შესამჩნევი იყო, თუმცა მან ამის თაობაზე ექიმს არ აცნობა.

12. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და სასამართლოში მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებელი წარადგინეს, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

12.1. სასარჩელო მოთხოვნები დაუსაბუთებელია, ვინაიდან სარჩელზე დართული მტკიცებულებები არ ადასტურებს მათ საფუძველიანობას.

12.2. სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია, რადგანაც ჩუქებიდან გასულია ერთ წელზე მეტი (სსკ-ის 529-ე მუხლის მე-3

ნაწილი}.

12.3. მოსარჩელე იმყოფება მისი შვილების გავლენის ქვეშ, ისინი მიზანმიმართულად ცდილობენ მოსარჩელის ქონების დაუფლებას.

12.4. მოსარჩელეს ესაჭიროებოდა ძვირადღირებული მკურნალობა. ამის გამო დაუგროვდათ ვალები. მოსარჩელემ პირველ მოპასუხეს აჩუქა უძრავი ქონება, რათა ამ უკანასკნელს ის გაეყიდა და ამონაგები თანხა ოჯახის საჭიროებისათვის გამოეყენებინა.

12.5. დასაჩუქრებულმა სადავო ქონება 30 000 აშშ დოლარის სანაცვლოდ კანონიერად გაასხვისა მეორე მოპასუხის სახელზე. მოპასუხეებს შორის არ დადებულა თვალთმაქცური გარიგება.

13. 2013 წლის 13 მაისს პირველმა მოპასუხემ მოსარჩელის წინააღმდეგ აღძრა შეგებებული სარჩელი. მან მოითხოვა:

13.1. მისი ღირსების შემლახველი ინფორმაციის (მოსარჩელის მითითება, რომლის თანახმად, დასაჩუქრებული დაინტერესებული იყო მისი გარდაცვალებით) წერილობითი ფორმით საჯარო უარყოფა და ბოდიშის მოხდა {სსკ-ის 18.1. მუხლი}.

13.2. მორალური ზიანის, 1000 ლარის, ანაზღაურება {სსკ-ის 18.6-ე მუხლი}.

14. მოპასუხემ შეგებებულ სარჩელში სარჩელი არ ცნო.

15. 2014 წლის 9 იანვრის სასამართლო სხდომაზე შეგებებულმა მოსარჩელემ მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარი თქვა და ამ ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება {საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი}.

16. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით არც ძირითადი და არც შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე გადაწყვეტილების 1-10 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 524-ე, 525-ე, 529-ე, 530-ე, 128-ე-130-ე, 56-ე მუხლები, ასევე „სიტყვისა და გამოსატყვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი.

17. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება წინააღმდეგ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებზე მითითებით:

17.1. სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ შემძენმა პირველ მოპასუხეს სრუ-

ლად გადაუხადა უძრავი ნივთის საფასური. მეორე მოპასუხემ ვერ მიუთითა როდის და რა ფორმით გაუსწორა ანგარიში.

17.2. არასწორია სასამართლოს დასკვნა, რომ მჩუქებელსა და დასაჩუქრებულს შორის კონფლიქტი არ არსებობდა, მაშინ როდესაც, დასაჩუქრებულმა მოსარჩელე აიძულა დაეტოვებინა სადავო ბინა, ეს კი, განპირობებული იყო მისი მხრიდან არაერთი მძიმე შეურაცხყოფით და მჩუქებელისათვის გაუსაძლისი პირობების შექმნით.

17.3. სასამართლო განხილვის დროს დასაჩუქრებულის მხრიდან გამოიკვეთა მჩუქებლის ცემისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტი, შესაბამისად, არასწორია სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ დასაჩუქრებულის ქმედება არ იყო გასაკიცხი და უზნეო. აღნიშნულთან მიმართებით, სასამართლომ არასწორად განმარტა ჩუქების საკანონმდებლო ნორმები და დაუსაბუთებლად არ გაიზიარა პირველი მოპასუხის მიერ მჩუქებლის შეურაცხყოფის უდავო ფაქტობრივი გარემოებები.

17.4. სასამართლომ გადაწყვეტილებაში არ იმსჯელა თუ რაში მდგომარეობდა ჩუქების სადავო ხელშეკრულებების გაუქმებაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი;

17.5. მოპასუხეთა შორის დაიდო თვალთმაქცური გარიგება, იმ განზრახვით, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლოს სადავო უძრავი ნივთის უკან გამოთხოვა. ხელშეკრულების მოჩვენებითობა სასამართლო სხდომაზე დადასტურდა როგორც მონშეთა ჩვენებით, ასევე, იმ გარემოებით, რომ მეორე მოპასუხეს პირდაპირ მფლობელობაში ბინა არ გადასცემია და არც ნასყიდობის თანხა გადაუხდია. სასამართლოს საკმარისი ფაქტობრივი გარემოებები ჰქონდა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისათვის, თუმცა სარჩელს დაუსაბუთებლად უთხრა უარი დაკმაყოფილებაზე.

17.6. სამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სსკ-ის 530-ე მუხლის მე-2 ნაწილი. სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 5ნ-ე მუხლის პირველი ნაწილიც. აპელანტმა საჩივარში აღნიშნა, რომ მას შექმნილი მდგომარეობის გამო სხვა საცხოვრებელი სახლი არ გააჩნდა, დასაჩუქრებული კი (მჩუქებელს) ბინაში მასთან ცხოვრების საშუალებას არ აძლევდა.

18. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გა-



რემოებები და მისი სამართლებრივი შეფასებები.

19. პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მითითება, იმის შესახებ, რომ დასაჩუქრებული მჩუქებელს აყენებდა მძიმე შეურაცხყოფას, სასამართლოს დასკვნით, სადავო გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება სასამართლოში არ წარმოდგენილა.

20. პალატის განმარტებით, სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობდა არც სსკ-ის 530-ე მუხლის გათვალისწინებით, ვინაიდან თუკი ჩუქების შემდეგ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, მითითებული გარემოების მტკიცების ტვირთი აწევს მჩუქებელს, რომელმაც უნდა დაადასტუროს მისი ეკონომიკური მდგომარეობის არსებითად გაუარესების ფაქტი. ამასთან, არსებით გაუარესებად მიიჩნევა ვითარება, როცა მჩუქებელს არ გააჩნია სახსრები თავის გამოსაკვებად და ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად. პალატის შეფასებით, აპელანტის მხოლოდ ზეპირი მითითება იმ გარემოებაზე, რომ გაჩუქებულ ბინას აქირავდება და თავს მიღებული ქირით ირჩენდა ვერ გახდება სადავო გარემოების დადასტურებულად მიჩნევის საფუძველი.

21. პალატამ ასევე მიიჩნია, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებით დასტურდება მხარეთა ურთიერთთანმხვედრი უფლება-მოვალეობების წარმოშობის ფაქტი, შესაბამისად, მხოლოდ ის გარემოება, რომ შემძენს დასაჩუქრებულთან ნათესაური ურთიერთობა აკავშირებდა და მყიდველი არ ფლობდა სადავო უძრავ ქონებას, არ წარმოადგენდა გარიგების მოჩვენებითად მიჩნევის საფუძველს.

22. აპელანტმა სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შემდეგი დასაბუთებით:

22.1. სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 529-ე მუხლის პირველი ნაწილი, 530-ე მუხლის პირველი ნაწილი და საქმეში არსებული მტკიცებულებები არ შეაფასა ზემოხსენებული ნორმების შესაბამისად.

22.2. კასატორის განმარტებით, როდესაც სასამართლოში სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება, სასამართლომ აღნიშნული ხელშეკრულების დადების ფაქტი მხოლოდ ხელშეკრულებაზე და საჯარო რეესტრის ამონაწერზე დაყრდნობით არ უნდა დაადგინოს. სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება არის მოჩვენებითი გარიგება, შემძენს ნასყიდობის საგანი მფლობელობაში არ გადასცემია და არც ნასყიდობის საგნის მიმართ არ გამოუჩენია ინტერესი, აღნიშნული ხელშეკრულება დაიდო მხოლოდ

იმ მიზნით რომ კასატორს აღარ ჰქონოდა სამართლებრივი შესაძლებლობა გაჩუქებული ქონების უკან გამოთხოვისა.

22.3. სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა დასაჩუქრებულის მხრიდან შეურაცხყოფის მიყენებისა და უმადურობის გამოჩენის ფაქტი. ამის დასადასტურებლად კასატორმა მიუთითა წინამდებარე განჩინების მე-10 პუნქტში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებაზე, ასევე აღნიშნა, რომ სასამართლომ არასწორად შეაფასა მოწმეთა ჩვენებები და მოსარჩელის ახსნა-განმარტება.

22.4. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ სსკ-ის 90-ე-98-ე მუხლები და ყურადღების მიღმა დატოვა, თუ რა დაედო საფუძვლად ჩუქების ხელშეკრულების დადებას, რომ დასაჩუქრებულს უნდა მოეველო და ეპატრონა მჩუქებლისათვის. სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია ფსიქიკური ზემოქმედების შედეგად გარიგების დადების ფაქტს, კასატორის განმარტებით, ხელშეკრულების დადების დროისათვის მოსარჩელე იმყოფებოდა უმწეო მდგომარეობაში და იმის შიშით რომ უპატრონოდ არ დარჩენილიყო, იძულებული გახდა, ხელი მოეწერა ჩუქების ხელშეკრულებაზე;

23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 დეკემბრის განჩინებით, სსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

24. საქმის მასალების გაცნობა, მათი შესწავლა და ანალიზი, მიღებული განჩინების იურიდიული დასაბუთებისა და საჩივრის მოტივების შემოწმება, საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, გამოიტანოს დასკვნა გასაჩივრებულ ნაწილში განჩინების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე;

25. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, რასაც შედეგად მოჰყვა სამართლებრივად დაუსაბუთებელი დასკვნა და მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის მოტივების მთლიანი უარყოფა, კერძოდ:

25.1. გამჩუქებელი სარჩელის დაკმაყოფილების ერთ-ერთ საფუძვლად სსკ-ის 529-ე მუხლის პირველი ნაწილზე აპელირება და („ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩინოს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ“). იგი მიუთითებდა, რომ მისი მეუღლე (დასაჩუქრებული) სისტემატურად აყენებდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას, აღარ ზრუნავდა მასზე, უბინაოდ დატოვა (გამოაგდო ბინიდან), მის შვილებს უდიერად მოიხსენიებდა და ა.შ, რითაც ამ უკანასკნელმა მის მიმართ გამოიჩინა დიდი უმადურობა და მიაყენა მძიმე შეურაცხყოფა.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებთან ერთობლიობაში არ შეაფასა მოსარჩელის ახსნა-განმარტება და ისე გამოიტანა დასკვნა, რომ არ არსებობდა სსკ-ის 529.1-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი წინაპირობები. საქმეზე დაკითხულ მოწმეთა (მ. ნ-ძე, შ. კ-ნი და გ. კ-ნი) ჩვენებები და საპატრულო პოლიციის მასალები როგორც მინიმუმ, პირველი მოპასუხის მხრიდან დიდი უმადურობის გამოჩენას ადასტურებდა. არ იქნა გათვალისწინებული ის გარემოებაც, რომ დასაჩუქრებული, ჩუქების უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე, ვალდებულია, განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდეს გამჩუქებლის მიმართ, მით უფრო მაშინ, როცა მათ ქორწინება აკავშირებთ. ორივე შემთხვევაში ქონების უსასყიდლოდ გადაცემა მხარეთა შორის არსებულ საქორწინო ურთიერთობასთან იყო დაკავშირებული და ქონება წარმოადგენდა მოსარჩელის შენატანს მეუღლესთან თანაცხოვრების უზრუნველსაყოფად. უძრავი ნივთის უსასყიდლოდ გადაცემის დროს, ბუნებრივია, გამჩუქებელი ამ ნაბიჯს დგამდა იმის მოლოდინით, რომ მოპასუხესთან მშვიდობიან საქორწინო ურთიერთობას გააგრძელებდა, ეს უკანასკნელი კი, როგორც მეუღლე, შეასრულებდა მასზე ზრუნვის არა მარტო ზნეობრივ, არამედ კანონისმიერ მოვალეობასაც {სსკ-ის 1182-ე მუხლი}. ამ შემთხვევაში პირველ მოპასუხეს უფრო მეტი მადლიერებისა და ყურადღების გამოჩენა ევალება და მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა დასაჩუქრებული მესამე პირი/ან თუნდაც ნათესავია. ის ფაქტი, რომ მოსარჩელე დღემდე ვერ ახერხებს ბინაზე მფლობელობის აღდგენას პირველი მოპასუხის მხრიდან წინააღმდეგობის გამო (იხ. საპატრულო პოლიციის 2008 წლის 8 მაისის ოქმი, სადაც პირველმა მოპასუხემ განაცხადა, რომ აღნიშნული ბინა მას მეუღლემ აჩუქა და არ სურდა ამ ეტაპზე მასთან ერთად ცხოვრება) მიუღებელი და გასაკიცხი მოქმედება არა მარტო საზოგადოებაში არსებული

ნეს-ჩვეულებებისა და დამკვიდრებული მოსაზრებების გათვალისწინებით, არამედ კანონიდან გამომდინარეც {სსკ-ის 1182-ე მუხლი}. შესაბამისად, მხოლოდ ამ გარემოების დადგენაც სრულიად საკმარისი იყო იმ დასკვნისათვის, რომ დასაჩუქრებულმა მოსარჩელის მიმართ დიდი უმადურობა გამოიჩინა.

25.2. რაც შეეხება მოთხოვნის მეორე საფუძველს, საცხოვრისის გასხვისების გამო კასატორის მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩავარდნას, საკასაციო სამართლო არც ამ შემთხვევაში ეთანხმება სააპელაციო სასამართლოსეულ სამართლებრივ შეფასებებს და მიიჩნევს, რომ სსკ-ის 530-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმსაზღვრელი წინაპირობებიც ვლინდებოდა: მოსარჩელე ხანდაზმულია (87 წლისაა), იგი საჭიროებს მოვლას და სხვა აუცილებელ დახმარებას (2013 წლის 12 მარტს დაცემის შედეგად მოიტეხა ბარძაყი). მას არა აქვს შესაძლებლობა, მატერიალური და სხვა სახის საშუალებები დამოუკიდებლად მოიპოვოს. ქონების გასხვისებით კასატორი უდავოდ ჩავარდა მძიმე მდგომარეობაში, მას მოესპო იმის შესაძლებლობა, რომ საკუთარი შეხედულებით განკარგოს ქონება, მაგალითად, გააქირაოს [სსკ-ის 531-ე მუხლი] და მიიღოს სარგებელი ან მთელი სიცოცხლის მანძილზე მისთვის მისაღებ პირს (მარჩენალს) სარჩოს გადახდის პირობით, გადასცეს უძრავ ნივთზე საკუთრება [სსკ-ის 941-942-ე მუხლი] და ა.შ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ ჩუქების ხელშეკრულების დადების შემდგომ მოსარჩელის ეკონომიკური მდგომარეობა არსებითად არ გაუარესებულა, სამართლებრივად დაუსაბუთებელია (შდრ. სუსგ №ას-710-676-2015 22.09.2015 წელი).

26. რაც შეეხება 2013 წლის 5 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნას, რომლის საფუძველზეც მეორე უძრავი ნივთის მესაკუთრე გახდა მეორე მოპასუხე, საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას ნასყიდობის ნამდვილობასთან მიმართებით. მოსარჩელემ დამაჯერებლად, სათანადო და დასაშვები მტკიცებულებებით, ვერ დაასაბუთა ნასყიდობის მოჩვენებითი ხასიათი {სსკ-ის 56-ე და სსსკ-ის 102.1. მუხლები}. მხოლოდ იმაზე მითითება, რომ ნასყიდობის საგანი მყიდველს მფლობელობაში არ გადასცემია არაა საკმარისი გარიგების მოჩვენებითობის დასადასტურებლად, რადგანაც უძრავ ნივთთან დაკავშირებული გარიგების ნამდვილობა ნასყიდობის საგნის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემას არ უკავშირდება {სსკ-ის 183-ე მუხლი}. პალატა ყურადღებას ამახვილებს ამ საფუძველით გარიგების ბა-

თილობასთან დაკავშირებით დადგენილ პრაქტიკაზე: „საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტავს, რომ მოჩვენებითი გარიგების არსებობის შემთხვევაში არ არსებობს გამოვლენის გარეგანი დათქმა. ამ შემთხვევაში აუცილებელია, რომ ნების გამომვლენი და ნების მიმღები მოქმედებდნენ შეთანხმებით და ორივე აცნობიერებდნენ ნების ნაკლს. მოჩვენებითი გარიგების დროს კანონი ადგენს კავშირს ფიქტიურ გარიგებასა და ნების მიმღები ადრესატის თანხმობას შორის. სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება), ამრიგად, განსახილველი ნორმით იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც, როგორც ნების გამომვლენი, ასევე მისი მიმღები მოქმედებენ იმ განზრახვის გარეშე, რომ ამ გარიგებას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს. ყოველივე აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მოჩვენებით გარიგებას ახასიათებს მხარეთა „ურთიერთშეთანხმება“, „გარიგება“ მოჩვენებით ნების გამოვლენის შესახებ. ამ შემთხვევაში ორივემ გაცნობიერებული აქვს, რომ მათ მიერ ასეთი ნების გამოვლენას არ მოჰყვება იურიდიული შედეგი. სასამართლო პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ძირითადად მოჩვენებითი გარიგების დადება დაკავშირებულია მესამე პირებთან არსებულ ურთიერთობასთან (მაგალითად, მოჩვენებითი გარიგების დადების ერთ-ერთ მოტივს შეიძლება წარმოადგენდეს მესამე პირის მოტყუება, პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება და ა.შ). ამრიგად, იმისათვის, რომ სასამართლომ სადავო გარიგება მიიჩნიოს მოჩვენებით გარიგებად, აუცილებელია ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ ნების გამოვლენის ნაკლზე, ფიქტიური გარიგების შესახებ „ურთიერთშეთანხმებაზე“, საერთო მიზანზე, რაც არ შეესაბამება მათ მიერ გარეგანი ნების გამოვლენას. ამ მხრივ მეტად დიდი მნიშვნელობა გააჩნია პრეზუმფციებისა და მტკიცების ტვირთის სწორად განსაზღვრას. მითითებული გარემოებების დადასტურება ეკისრება პირს, რომელიც ითხოვს ამ საფუძვლით გარიგების ბათილობას, რადგან თუნდაც მოსარჩელე უთითებდეს გარიგების ერთი მხარის არაკეთილსინდისიერებაზე, ივარაუდება, რომ გარიგების მეორე მხარე მოქმედებდა კეთილსინდისიერად, რისი გაქარწყლებაც მოსარჩელეს ევალება.“ (იხ.სუსტ №-ას-789-754-2015 6.11.2015 წელი).

ამრიგად, რადგანაც არ არსებობს მეორე უძრავ ნივთზე სა-

კუთრების უფლების მოსარჩელისათვის დაბრუნების სამართლებრივი საფუძველი (ნასყიდობის ბათილობა), ამ ნაწილში არც სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არ ვლინდება.

26.1. სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. ვინაიდან ამ შემთხვევაში არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები, საკასაციო პალატა უფლებამოსილია საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება. ამრიგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, რადგანაც განხორციელებულია პირველი უძრავი ნივთის ჩუქების გაუქმების სსკ-ის 529-ე და 530-ე მუხლების პირველი ნაწილებით გათვალისწინებული შედეგის განმაპირობებელი წინაპირობები და არ არსებობს კასატორის მოთხოვნის გამომრიცხავი გარემოებები, სასარჩელო მოთხოვნა ამ ნაწილში საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს. 1999 წლის 23 ოქტომბერს მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს დადებული ბნის ჩუქების ხელშეკრულება უნდა გაუქმდეს. შესაბამისად, სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა („პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: ვალდებულება, გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო, არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში“) და 979-ე მუხლის პირველი ნაწილის („უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შექმნილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე, სხვა ყველაფერზე, რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით“) საფუძველზე გაჩუქებული ქონება ისევ გამჩუქებლის საკუთრებად უნდა აღირიცხოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 55.3-ე, 257.1-ე, 264.3-ე, 372-ე, 399-ე, 411-ე, 408.1-ე, 408.2-ე მუხლებით და

### **ბ ა ლ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. ს. ბ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ივნისის განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ს. ბ-ს სააპელაციო საჩივარი 1999 წლის 23 ოქტომბრის ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებისა და ამ ქონებაზე საკუთრების აღდგენის შესახებ;
3. ს. ბ-ს სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. გაუქმდეს ს. ბ-სა და ზ. ბ-ს შორის დადებული 1999 წლის 23 ოქტომბრის ჩუქების ხელშეკრულება და ჩუქების საგანზე, მდებარე ქ. თბილისში, ..... (საკადასტრო კოდი .....) მესაკუთრედ აღირიცხოს ს.ბ. (პირადი № .....);
5. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად;
6. კასატორი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან;
7. კასატორის მოწინააღმდეგე მხარე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან;
8. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### 3. ქირავნობის ხელშეკრულება

#### მიმდინარე რემონტის ხარჯების ანაზღაურება

##### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-744-705-2015

12 იანვარი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ქირავნობის საგანზე განეული ხარჯების ანაზღაურება (ძირითად სარჩელში), ქირის გადახდევინება და ზიანის ანაზღაურება (შეგებებულ სარჩელში)

##### აღწერილობითი ნაწილი:

1. 2012 წლის 10 აპრილს ხელმოწერილი ქირავნობის ხელშეკრულებით (შემდეგში – ქირავნობის ხელშეკრულება), ი. გემ (შემდეგში – გამქირავებელი, მოსარჩელე ან პირველი კასატორი) მისი კუთვნილი უძრავი ქონება – 212.6 კვ.მ. შენობა-ნაგებობა, მდებარე ქალაქ ო-ში, ჩ-ის ქ. №20, საკადასტრო კოდით ... წლით ქირით გადასცა შპს „ფ-ს“ (შემდეგში-დამქირავებელი, მოპასუხე ან მეორე კასატორი), თვეში 100 ლარის გადახდის პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში – სსკ, 531-ე მუხლი).

2. ამავე ხელშეკრულებით დამქირავებელს დაეკისრა, სარგებლობაში გადაცემული ქონების გამართულ მდგომარეობაში მოსაყვანად, მიმდინარე და კაპიტალური რემონტის, ასევე, რეკონსტრუქციის ჩატარება, ეტაპობრივად, 20 000 ლარის ფარგლებში, ისე, რომ ამ ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება არ დაჰკისრებოდა გამქირავებელს – ფართის მესაკუთრეს (სსკ-ის 548-ე მუხლი; ქირავნობის ხელშეკრულების მე-6 და მე-7 პუნქტები).

3. დამქირავებელმა აღნიშნულ ფართში ჩაატარა რეკონსტრუქცია, კერძოდ: შენობის მარჯვენა ნაწილში გადააკეთა 8.3 კვ.მ ფართის მქონე №7 ოთახი (მოანყო მასში 1.17 კვ.მ. სველი ნერტილი), №15 და №16 ოთახებს შორის კედლის დემონტაჟით, ასევე, იმავე ოთახების ფარგლებში, სამ ადგილას კედლის ამოშენებით, ფაქტიურად შექმნა სამი ოთახი: №15 ოთახი – 5.73



კვ.მ, №16 ოთახი – 2.7 კვ.მ და №17 ოთახი – 22.22 კვ.მ; შენობის მარჯვენა ფსადას მიაშენა №21 ოთახი. ამ სამუშაოების შესრულებაზე გამქირავებელს თანხმობა არ მიუცია.

4. დამქირავებელმა სადავო ფართში გაზიფიცირების სამუშაოებისთვის გადაიხადა 2 387.76 ლარი; ასევე – სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვის – 6 539.76 ლარი. თუმცა, იმავდროულად, ამ სამუშაოთა დროს, №7 ოთახის ორ კედელზე დაზიანდა ორი ადგილი, ასევე – ლინოლიუმი; გაზმომარაგების სამუშაოების წარმოებისას კედლები გაიხვრიტა და, შენობის გარეთ, გაზის მილის თხრილის მოსაწყობად, მოინგრა 4 მ ბეტონის საფარი. შედეგად, არსებული ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის სამუშაოების ღირებულებამ, სამშენებლო ნორმებისა და სამშენებლო ფასების გათვალისწინებით, შეადგინა 6 297.66 ლარი.

5. გამქირავებელმა 2013 წლის 29 ივლისს წერილობით შეატყობინა დამქირავებელს ქირავნობის ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შესახებ და მოსთხოვა დაქირავებულ ფართში ჩატარებული რემონტის ხარჯების წარდგენა, თუმცა, ამ უკანასკნელს შენობის ფაქტობრივად ფლობა-სარგებლობა არ შეუწყვეტია და 2014 წლის ივლისამდე გამქირავებელს ყოველთვიურად უხდიდა 100 ლარს.

6. გამქირავებელმა 2013 წლის 22 ნოემბერს სარჩელი აღძრა დამქირავებლის წინააღმდეგ და მოითხოვა: ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა; მოპასუხის დავალდებულება, გაეთავისუფლებინა შენობა და პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენილი დაებრუნებინა მისთვის; ასევე, მან მოითხოვა მიყენებული ზიანის – 8 920 ლარის ანაზღაურება (სსკ-ის 531-ე, 564-ე მუხლები, 567-ე მუხლის პირველი ნაწილი; იხ. სარჩელი და დაზუსტებული სარჩელი).

7. დამქირავებელმა 2013 წლის 25 დეკემბერს შეგებებული სარჩელი წარადგინა გამქირავებლის წინააღმდეგ და მოითხოვა: ქირავნობის ხელშეკრულების გაუქმება; ზიანის სახით კი მის მიერ განეული ხარჯის – 13 412 ლარისა და გადახდილი ქირის – 1 588 ლარის, სულ 15 000 ლარის ანაზღაურება (სსკ-ის 548-ე მუხლის მეორე ნაწილი, 163-ე მუხლის მეორე ნაწილი; იხ. შეგებებული სარჩელი).

8. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით გამქირავებლის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოიშალა ქირავნობის ხელშეკრულება და დამქირავებელს დაევალა 212,6 კვ.მ შენობა – ნაგებობის გათავისუფლება. დამქირავებლის შეგებებული სარჩელი არ დაკ-

მაყოფილდა.

9. რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ გამქირავებელს ჰქონდა სსკ-ის 399-ე მუხლით გათვალისწინებული პატივსაღები მიზეზი ქირავნობის ხელშეკრულების მოშლისათვის, რადგან დამქირავებელმა, მისი თანხმობის გარეშე, გაქირავებული ნივთი ქვექირავნობით გადასცა მესამე პირს (სსკ 549-ე მუხლი); ამასთან, ქვექირავნობით დამქირავებელი ყოველთვის უნდა ღებულობდა 400 ლარის შემოსავალს, რაც აჭარბებდა ქირავნობის ხელშეკრულებით მხარეთა შორის შეთანხმებულ ქირას – 100 ლარს.

10. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსსკ) 102-ე მუხლით დადგენილი წესით, გამქირავებელმა ვერ დაამტკიცა, რომ ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლიდან, 2013 წლის ივლისიდან, მას შეეძლო ქირის სახით შემოსავლის მიღება, ასევე, ვერ დაამტკიცა, რომ სადავო ფართში ერთი კედლის ამოშენება, რაც აუცილებელი იყო დამქირავებლის საქმიანობისათვის, იყო რეკონსტრუქცია; ამასთან, გამქირავებელს დიდი ხნის განმავლობაში (კედელი ამოშენებულია 2012 წლის მაისამდე) არ ჰქონია პრეტენზია დამქირავებლის მიერ ჩატარებულ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე და 2013 წლის 29 ივლისის წერილშიც, რომლითაც დამქირავებელს შეატყობინა ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, ამ უკანასკნელს მოსთხოვა „რემონტზე“ და არა რეკონსტრუქციაზე განუხილავი ხარჯების ნუსხა (იხ. წინამდებარე განჩინების მე-5 პუნქტი), ხოლო სარჩელი წარადგინა 2013 წლის 22 ნოემბერს.

11. რაიონულმა სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია შეგებებული სარჩელის მოთხოვნა მხარეთა შორის ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის თაობაზე, რომელიც ეფუძნებოდა იმ ფაქტს, რომ გამქირავებელმა დამქირავებელს ფართი გადასცა უფლებრივი ნაკლით (იპოთეკით დატვირთული); სასამართლომ აღნიშნა, რომ ქირავნობის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დროს, დამქირავებელს შეეძლო გადაემოწმებინა ნივთზე რეგისტრირებული უფლებების არსებობა (სსკ-ის 286-ე, 289-ე, 311<sup>1</sup> მუხლები) გარდა ამისა, თუ დამქირავებელი დაამტკიცებდა, რომ მისთვის უცნობი იყო ნივთის უფლებრივი ნაკლი, სსკ-ის 536-ე მუხლის შესაბამისად, შეეძლო მოეთხოვა ქირის შემცირება.

12. ქირავნობის ხელშეკრულებით დამქირავებელს ევალებოდა აუცილებელი სარემონტო სამუშაოების ჩატარება საკუთარი ხარჯებით, რაზეც პასუხისმგებლობა გამქირავებელს არ ეკის-

რებოდა, შესაბამისად, დამქირავებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულება ვერ იქნებოდა მიჩნეული მის მატერიალურ დანაკარგად და ზიანად, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ამ სამუშაოთა ღირებულების დასადასტურებლად წარდგენილი ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაცია არასრულყოფილი (არ ერთვოდა ფორმა №2) და ურთიერთსაინანაღმდეგო იყო. სასამართლომ აღნიშნა, რომ ზიანი უნდა შეფასებულიყო ობიექტური მოცემულობით და არა სუბიექტური დამოკიდებულებით.

13. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

13.1. გამქირავებელმა სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილება, კერძოდ, დამქირავებლისათვის 2013 წლის ივლისიდან შენობის დაცლამდე პერიოდისათვის გადაუხდელი ქირის – ყოველთვიურად 600 ლარის, საერთო ჯამში – 3 500 ლარის დაკისრება; აგრეთვე, დაზიანებული შენობის აღსადგენად 4 960 ლარის გადახდა. გამქირავებლის განმარტებით, ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ქირა – 100 ლარი, ქირით გადაცემული ქონების ფართობის (225 კვ.მ) გათვალისწინებით, ამჟამად შეუსაბამო იყო, რის გამოც, მან მოითხოვა, დამქირავებელს გადაეხადა მხარეებს შორის რეალურად შეთანხმებული 600 ლარი, რაზეც დამქირავებელი აცხადებდა უარს. გამქირავებლის მტკიცებით, 600 ლარზე მხარეთა შორის შეთანხმების ნამდვილობას ადასტურებდა თვითონ დამქირავებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო ამონაწერიც, რომლის თანახმად, ამ უკანასკნელს ქვექირავნობით, თვეში 700 ლარის შემოსავალი ჰქონდა. შესაბამისად, გამქირავებელს წარმოეშვა ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება (სსკ-ის 562-ე მუხლი) და ქირის გადახდის მოთხოვნა ქონების დაბრუნების დაყოვნების მთელი პერიოდისათვის (სსკ-ის 567-ე მუხლი), რაც სარჩელის აღძვრის დროისათვის შეადგენდა 3 500 ლარს. ეს იყო მიუღებელი შემოსავალი, რომელსაც გამქირავებელი მიიღებდა, დამქირავებელს ჯეროვნად რომ შეესრულებინა ვალდებულება (სსკ-ის 411-ე მუხლი). დამქირავებელმა დაქირავებულ ფართობში ჩაატარა რეკონსტრუქცია: შუა ოთახში ამოიყვანა კედლები და გააკეთა ტუალეტი, ასევე – დააზიანა შენობის ფასადი და მიწის საფარი, რომლის პირვანდელ მდგომარეობაში მოსაყვანად, საქმეში წარდგენილი აუდიტორული დასკვნის თანახმად, აუცილებელი იყო სწორედ 4 960 ლარის სამუშაოების ჩატარება.

13.2. დამქირავებელმა სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გა-

საჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და, ახალი გადაწყვეტილებით, შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება იმგვარად, რომ მის სასარგებლოდ გამქირავებელს დაჰკისრებოდა 8 927 ლარი.

13.3. სააპელაციო საჩივრის დასაბუთებისას, დამქირავებელი აღნიშნავდა, რომ გამქირავებელმა სარგებლობაში გადასცა ნაკლიანი (იპოთეკით დატვირთული) ქონება; დამქირავებლისათვის ადრე რომ ყოფილიყო ცნობილი ეს გარემოება, აღარ დადებდა ხელშეკრულებას და აღარც რემონტისთვის განეცდა ხარჯებს. სსკ-ის 352-ე მუხლის თანახმად, მხარეები ვალდებული არიან, ერთმანეთს დაუბრუნონ მიღებული შესრულება და სარგებელიც. ამ შემთხვევაში, დამქირავებელს უნდა მიეღო როგორც რემონტში დახარჯული თანხა, ასევე – გადახდილი ქირაც; თუმცა, რაიონულმა სასამართლომ უგულებელყო სსკ-ის 394-ე მუხლის მოთხოვნა, ვალდებულებების დარღვევის გამო, გამქირავებლისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების შესახებ.

14. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული ახალი გადაწყვეტილებით:

14.1. გამქირავებლის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და, მის სასარგებლოდ, დამქირავებელს დაეკისრა 4 960 (ოთხი ათას ცხრაას სამოცი) ლარი;

14.2. დამქირავებლის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და, მის სასარგებლოდ, გამქირავებელს დაეკისრა 2 387.72 (ორი ათას სამას ოთხმოცდაშვიდი ლარი და საოცრადათორმეტი თეთრი) ლარი.

15. სააპელაციო სასამართლომ, მხარეთა შორის 2012 წლის 10 აპრილს დადებული გარიგება ქირავნობის ხელშეკრულებად მიიჩნია, იხელმძღვანელა სსკ-ის 531-ე, 533-ე, 534-ე მუხლებით და განმარტა, რომ ქირავნობის მიზნებისათვის, ქირავნობის საგანი უფლებრივად ნაკლიანად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, თუ მესამე პირი დამქირავებელს ნაუყენებს ისეთ მოთხოვნას, რომლითაც შეიზღუდება ან საერთოდ გამოირიცხება დამქირავებლის მიერ ქირავნობის საგნით სარგებლობა. შესაბამისად, ქირავნობის საგანზე იპოთეკის არსებობა, მოცემულ შემთხვევაში, ვერ იქნებოდა მიჩნეული უფლებრივ ნაკლად, რადგან იპოთეკარს უფლება აქვს, სსკ-ის 286-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, საკუთარი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მოითხოვოს ამ ნივ-

თის რეალიზაცია ან მისი გადაცემა საკუთრებაში; ხოლო ნივთის ახალი მესაკუთრე, ვინც არ უნდა იყოს იგი, სსკ-ის 572-ე მუხლის საფუძველზე, დაიკავეს გამქირავებლის ადგილს და მასზე გადავა ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები. გასათვალისწინებელია სსკ-ის 544-ე მუხლის დანაწესიც: გაქირავებულ ნივთზე არსებული უფლებრივი ტვირთის მატარებელია გამქირავებელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, დამქირავებლის პრეტენზია, მისთვის გამქირავებლის მიერ უფლებრივად ნაკლიანი ნივთის გადაცემის თაობაზე, სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია.

16. სსკ-ის 548-ე მუხლის თანახმად, მიმდინარე რემონტის ჩატარება, ჩვეულებრივ, ევალება დამქირავებელს; მას არა აქვს საცხოვრებელი სადგომის გადაკეთების ან რეკონსტრუქციის უფლება გამქირავებლის თანხმობის გარეშე; დამქირავებელი მოვალეა ეს სამუშაოები შეასრულოს საკუთარი ხარჯებით; გამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამოწვეულია დამქირავებლის მიერ, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოვალეობის შეუსრულებლობით. სწორედ ამ ნორმებიდან გამომდინარე შეთანხმდნენ მხარეები, რომ დამქირავებელს არ უნდა განეხორციელებინა ქირავნობის საგნის რეკონსტრუქცია-გადაკეთება გამქირავებლის თანხმობის გარეშე; ამასთან დამქირავებელს ეტაპობრივად უნდა ჩაეტარებინა სარემონტო სამუშაოები 20 000 ლარის ფარგლებში, რომლის ანაზღაურების ვალდებულებაც მესაკუთრეს (გამქირავებელს) არ დაეკისრებოდა. შპს „საქექსპერტიზის“ 2015 წლის 12 მარტის №6 დასკვნით დადგინდა, რომ დამქირავებელმა სადავო ფართში სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებისათვის დახარჯა 6 539.76 ლარი, თუმცა, დამქირავებელს ეს სამუშაოები არ შეუთანხმებია გამქირავებელთან.

17. სსკ-ის 545-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გამქირავებელი ვალდებულია დამქირავებელს აუნაზღაუროს ნივთზე განეული აუცილებელი ხარჯები. სსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლებით დადგენილი წესით, დამქირავებელს, შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენით, არ დაუდასტურებია, რომ მითითებულ სამუშაოთა ჩატარება აუცილებელი იყო შენობის სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად და ზოგადი ექსპლუატაციისათვის. შესაბამისად, სამუშაოებზე განეული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულების გამქირავებლისათვის დაკისრება დაუსაბუთებელია, მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც პირიქით – დადგენილია, რომ ქირავნობის საგანი დაზიანებულია და მის პირვანდელ მდგომარეობაში მოსაყვანად აუცილებელია, გამ-

ქირავებელმა გაიღოს გარკვეული ხარჯები.

18. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დამქირავე-ბელმა გაიღო 2 387.72 ლარი გაზიფიცირების სამუშაოებისათვის, რაც, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, გამქირავებლისათვის სარგებელს წარმოადგენს: ქირავნობის საგნის მისთვის დაბრუნების შემდეგ, ამ სამუშაოთა შედეგით გამქირავებელს (მესაკუთრეს) შეეძლება ისარგებლოს ისე, რომ თავად აღარ დასჭირდება ხარჯების განევა სამენარმეო დანიშნულებით გამოსაყენებელი ობიექტის ამ აუცილებელი ინფრასტრუქტურული სისტემით აღჭურვისათვის. შესაბამისად, დამქირავებლის შეგებებული სარჩელი ამ ხარჯების ანაზღაურების გამქირავებლისათვის დაკისრების თაობაზე დასაბუთებულია.

19. გამქირავებელმა სსსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლებით დადგენილი წესით, შესაბამისი მტკიცებულების წარმოდგენით, ვერ დაამტკიცა, რომ ქირის თანხა იყო არა 2012 წლის 10 აპრილის ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ყოველთვიური 100 ლარი, არამედ – 600 ლარი; მხოლოდ ლოგიკური მსჯელობა იმის თაობაზე, რომ შენობის ფართის გათვალისწინებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული ქირა შეუსაბამოა, არ არის საკმარისი წერილობითი მტკიცებულების ანუ ხელშეკრულებით დადგენილი თანხის გასაბათილებლად. გამქირავებელი 3 500 ლარის გადახდას ითხოვს დამქირავებლისაგან 2013 წლის 29 ივლისიდან (ხელშეკრულების მოშლიდან) 2013 წლის 22 ნოემბრამდე (სარჩელის აღქვამდე). უდავოა, რომ ამ პერიოდისათვის დამქირავებელი ხელშეკრულებით დათქმულ ქირას (100 ლარს) იხდიდა. დამატებით ყოველთვიურად 500 ლარის დაკისრებისა და, შესაბამისად, საერთო ჯამში 3 500 ლარის მოთხოვნაც, დაუსაბუთებელია.

20. დამქირავებელმა დაარღვია სახელშეკრულებო ვალდებულება: გამქირავებელთან შეუთანხმებლად ჩაატარა დამქირავებულ ფართობში რეკონსტრუქცია-გადაკეთება, რამაც ქირავნობის საგანი ფაქტობრივად დააზიანა. ამ ზიანის აღმოსაფხვრელად (პირვანდელი მდგომარეობის აღსადგენად) საჭიროა 6 297.66 ლარი (სსკ-ის 408-ე, 411-ე, 412-ე მუხლები), თუმცა, მესაკუთრე ითხოვს მხოლოდ 4 960 ლარის ანაზღაურებას, რის გამოც, სსსკ-ის 248-ე მუხლის გათვალისწინებით, სარჩელის დაკმაყოფილება შესაძლებელი იყო მხოლოდ მოთხოვნის ფარგლებში.

21. ქირავნობის ხელშეკრულების მხარეებმა საკასაციო წესით გაასაჩივრეს სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება.

21.1. გამქირავებელმა საკასაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლა იმ ნაწილში, რომლითაც

ნაწილობრივ დაკმაყოფილდა დამქირავებლის შეგებებული სარჩელი და, მის სასარგებლოდ, გამქირავებელს დაეკისრა 2 387.78 ლარი; პირველი კასატორი ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით, შეგებებული სარჩელის (გამქირავებლისათვის 6539 ლარის დაკისრება) უარყოფას ითხოვს, ასევე, ასაჩივრებს წინამდებარე განჩინების 21-ე პუნქტში მითითებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 და მე-6 პუნქტებს.

21.2. პირველმა კასატორმა გადაწყვეტილების სამართლებრივად დაუსაბუთებლობაზე, კერძოდ, სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას საპროცესო ნორმების დარღვევაზე მიუთითა და აღნიშნა, რომ გაზიფიცირების ხარჯების მოთხოვნის ნაწილში გამქირავებელი არ წარმოადგენს სათანადო მოპასუხეს.

21.3. პირველი კასატორის მოსაზრებით, ქირავნობის ხელშეკრულების მე-6, მე-7 პუნქტების მიხედვით, ქონების მიმღებს კაპიტალური რემონტი და რეკონსტრუქცია უნდა ჩაეტარებინა, მეპატრონის თანხმობით, საკუთარი ხარჯებით და ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება მესაკუთრეს არ ეკისრებოდა. იგივეს ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსიც. სასამართლომ, ერთი მხრივ, არ დააკმაყოფილა დამქირავებლის მოთხოვნა სარემონტო სამუშაოებზე განეული ხარჯების გამქირავებლისათვის დაკისრების ნაწილში, მეორე მხრივ, ანალოგიური მოთხოვნა გაზიფიცირების სამუშაოებზე განეულ თანხებთან დაკავშირებით დააკმაყოფილა. სასამართლომ არ შეაფასა გამქირავებლის არაერთი მითითება, რომ გაზიფიცირების სამუშაოების დამკვეთი არის დამქირავებლის მიერ დაქირავებულ ფართში განთავსებული №4 მეთადონის ჩანაცვლებითი თერაპიის განყოფილება. განყოფილება წარმოადგენს შპს „ფ-ის“ (შემდეგში – „პრევენციის ცენტრი“), იგივე სს „ნ-ის“ შემადგენელ ნაწილს. დამქირავებელსა და „პრევენციის ცენტრს“ შორის 2012 წლის 1 მაისს გაფორმებული ქვეიჯარის ხელშეკრულებით, ეს უკანასკნელი, მესაკუთრის თანხმობის გარეშე, შესახლდა გამქირავებლის კუთვნილ შენობაში და ქირის სახით 700 ლარს უხდიდა დამქირავებელს.

21.4. გამქირავებლის სარჩელის საფუძველზე, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით, შენობიდან გამოსახლეს ქვემოიჯარე – „პრევენციის ცენტრი“. მოპასუხეს პრეტენზია არ გამოუთქვამს და აღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. ცხადია, რომ მოპასუხის („პრევენციის ცენტრი“) მიერ ქვეიჯარის ხელშეკრულების გაფორმება, ასევე, გაზიფიცირების სამუშაოების ჩატარება თვითნებური ქმედება იყო, რის გამოც, მას არ მოუთხოვია განეული ხარჯების ანაზღაურება. აღნიშნულიდან გამომდინა-

რე, დამქირავებელი არასათანადო მოსარჩელეა და, მისი შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში, გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულება გამოინვეცს მის უსაფუძვლო გამდიდრებას.

22. დამქირავებელმა საკასაციო საჩივრით მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის დაბრუნება ხელახლა განსახილველად. იგი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ასაჩივრებს იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი სააპელაციო საჩივარი (გამქირავებლისათვის 6539 ლარის დაკისრების ნაწილში) და რომლითაც მას, გამქირავებლის სასარგებლოდ დაეკისრა 4960 ლარი.

22.1. მეორე კასატორი უთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია სსკ-ის 532-ე მუხლით დადგენილ ვალდებულებაზე, რომ გამქირავებელი ვალდებულია დამქირავებელს გაქირავებული ნივთი გადასცეს ხელშეკრულებით სარგებლობისთვის ვარგის მდგომარეობაში. დამქირავებელს ფართი ესაჭიროებოდა სამედიცინო საქმიანობის სანარმოებლად, გადაცემული ნივთის ფაქტობრივი მდგომარეობა არ იყო ასეთი საქმიანობისთვის ვარგისი.

22.2. მეორე კასატორი აღნიშნავს, რომ დასადგენია ნივთის ფაქტობრივი და უფლებრივი ნაკლი ხელშეკრულების დადებისას. დაქირავებული ნივთის უფლებრივი ნაკლი, იპოთეკის არსებობა, მხარემ არ იცოდა ხელშეკრულების დადებისას და, სავარაუდოა, რომ სცოდნოდა, ხელს არ მოაწერდა. დამქირავებელმა მიიღო სარგებლობისთვის უვარგისი ნივთი (არ იყო საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურა, გაზი, ელექტროენერგია, წყალმომარაგება, დაზიანებული იყო იატაკი, კარ-ფანჯრები და სხვა).

22.3. დამქირავებლის სამედიცინო საქმიანობის მიზნიდან გამომდინარე (ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა დაკავშირებული იყო მეთადონის პროგრამასთან), აუცილებელი იყო პრეპარატების სპეციალური საცავის, ანალიზის აღებისთვის საპირფარეოს მოწყობა, უსაფრთხოების მიზნით, კარ-ფანჯრების მონტაჟი, დაწესებულებაში სტერილურობის სტანდარტის დასაცავად იატაკების შეკეთება, რაც შესრულდა. ხელშეკრულებიდან ჩანს, მესაკუთრე თანახმა იყო, რომ დამქირავებელს ნივთი ვარგის მდგომარეობაში მოეყვანა, ხელშეკრულებაში 20 000 ლარი სწორედ ამ მიზნისათვის იყო მითითებული.

22.4. მეორე კასატორი აღნიშნავს, რომ ალბათობის დიდი ხარისხით და კანონიერი ნდობით, მას ნივთით უნდა ესარგებლა 15 წლის განმავლობაში, რეალურად კი ისარგებლა მხოლოდ ერთ-



თი წელი; აქედან გამომდინარე, ნივთის ვარგის მდგომარეობა-ში მოსაყვანად განუული ხარჯი წარმოადგენდა იმ აუცილებელ ხარჯს, რომელიც მას უნდა აუნაზღაუროს გამქირავებელმა (სსკ-ის 545-ე მუხლი).

22.5. მეორე კასატორის მოსაზრებით, ამ შემთხვევაში არა-მართებულია სსკ-ის 548-ე მუხლზე აპელირება. ქირავნობის ხელ-შეკრულების მე-6 პუნქტის განმარტება უნდა მოხდეს არა სიტყვა-სიტყვითი აზრიდან, არამედ გონივრული განსჯის შედეგად.

23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატამ 2015 წლის 23 ივლისისა და 4 სექტემბრის განჩი-ნებებით წარმოებაში მიიღო, შესაბამისად, გამქირავებლისა და დამქირავებლის საკასაციო საჩივრები, სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამონმებლად და იმავე წლის 24 სექტემბრის განჩინებით, ორივე საკასაციო საჩივარი დასაშვე-ბად ცნო დასახელებული ნორმის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე და მიიღო განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო სა-ჩივრების სამართლებრივი დასაბუთებულობის შემონმების შე-დეგად მიიჩნევს, რომ ორივე საკასაციო განაცხადი უნდა დაკ-მაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

24. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასა-მართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარ-გლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკა-საციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-გან-მარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებ-ში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწი-ლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორების მიერ წარ-მოდგენილი შედავება ნაწილობრივ დასაბუთებულია.

25. კასატორების პრეტენზიის (იხ. წინამდებარე განჩინების 21-ე, 22-ე პუნქტები) შესაფასებლად, საკასაციო სასამართლოს კვლევის საგანია მხარეთა შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულება (იხ. განჩინების 1-2 პუნქტები), რომლის მე-6 და მე-7 პუნქტების გაანალიზება მნიშვნელოვანია შეთანხმე-ბის დადების დროს გამქირავებლისა და დამქირავებლის მიერ

გამოვლენილი ნების დასადგენად (სსკ-ის 50-ე, 52-ე მუხლები). ქირავნობის ხელშეკრულების მე-6 პუნქტით, დამქირავებელი „მოვალეა უძრავი ქონება იქონიოს გამართულ მდგომარეობაში, განახორციელოს მიმდინარე და კაპიტალური რემონტი, მე-პატრონის თანხმობით მოახდინოს სარგებლობაში გადაცემული ფართის რეკონსტრუქცია-გადაკეთება“, ხოლო მე-7 პუნქტით დამქირავებელი „მიმდინარე კაპიტალურ რემონტსა და რეკონსტრუქციას დაახლოებით 20 000 (ოცი ათასი) ლარის ფარგლებში განახორციელებს საკუთარი სახსრებით, ეტაპობრივად. ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება არ ეკისრება მესაკუთრეს“. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ მხარეთა ურთიერთობა ქირავნობის მომწესრიგებელი ნორმებით რეგულირდება და ყურადღებას ამახვილებს, რომ გარეგნობით მხარეები შეთანხმდნენ კონკრეტულ პირობებზე, რომელთა შორის არის ზემოხსენებული მე-7 პუნქტის დანაწესიც. სწორედ ამ პუნქტზე მითითებით ითხოვს პირველი კასატორი მისი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებას (იხ. ამ განჩინების 21.1 და 21.3 ქვეპუნქტები). სსკ-ის 548-ე მუხლი ანესრიგებს მიმდინარე რემონტის ჩატარების ხარჯებს და უზენაეს სასამართლოს დასახელებულ ნორმასთან დაკავშირებით არაერთი განმარტება აქვს ჩამოყალიბებული (იხ. სუსგ №ას-162-152-2015, 15.04.2015წ.; №ას-979-937-2013, 26.11.2013წ., №ას-1237-1166-2012წ., 19.11.2012წ.). საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ არა მხოლოდ მიმდინარე და კაპიტალური რემონტის, არამედ რეკონსტრუქციის ჩატარებაზეც, რაც საკუთარი სახსრებით ეტაპობრივად, დამქირავებელს უნდა განეხორციელებინა. „სამოქალაქო კოდექსის 548-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, მიმდინარე რემონტის ჩატარება, ჩვეულებრივ, ევალება დამქირავებელს. მას არა აქვს საცხოვრებელი სადგომის გადაკეთების ან რეკონსტრუქციის უფლება დამქირავებლის თანხმობის გარეშე. დამქირავებელი მოვალეა, ეს სამუშაოები შეასრულოს საკუთარი ხარჯებით. ამავე კოდექსის 573-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გაქირავებული ნივთის შეცვლის ან გაუარესების გამო, დამქირავებელს უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, ხოლო დამქირავებელს უფლება აქვს, წაუყენოს მას პრეტენზია განუული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე ექვსი თვის განმავლობაში... მოხმობილ ნორმათა ანალიზიდან გამომდინარე, კანონმდებელი განასხვავებს დამქირავებლის მიერ მიმდინარე რემონტის და არსებითი გაუმჯობესებისათვის განუულ ხარჯებს იმისდა მიხედვით, თუ დამქირავე-

ბელმა რა სახის, რა მასშტაბისა და ხასიათის სამუშაო შეასრულა, კერძოდ, მიმდინარე რემონტი ჩაატარა თუ ფართი არსებითად გააუმჯობესა, რაც განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს ადგენს ამ ხარჯების ანაზღაურებისათვის. ერთ შემთხვევაში, თუკი დამქირავებელმა მიმდინარე რემონტის ხარჯი გაიღო, ანაზღაურებას არ ექვემდებარება, ხოლო, მეორე შემთხვევაში, თუკი ჩატარებული სამუშაოები სცდება მიმდინარე რემონტის ფარგლებს და ამ სამუშაოთა შედეგად ქირავნობის საგანი არსებითად გაუმჯობესდა, ამისათვის განეული ხარჯები ექვემდებარება გამქირავებლის მხრიდან ანაზღაურებას, თუკი გამქირავებლის თანხმობით გაუმჯობესდა ფართი“ (სუსგ №ას-648-616-2013, 02.06.2014წ.).

26. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს, რომ გაზიფიცირების სამუშაოებით გამქირავებელმა მიიღო სარგებელი და ამ სამუშაოთა შედეგით მას შეეძლება ისარგებლოს ისე, რომ თავად აღარ დასჭირდება ხარჯების განევა ამ აუცილებელი ინფრასტრუქტურით სამენარმეო დანიშნულებით გამოსაყენებელი ობიექტის აღსაჭურვად (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილება; იხ. ამ განჩინების მე-18 პუნქტი). საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულებით, მხარეები შეთანხმდნენ გრძელვადიან ურთიერთობაზე, ამასთან, დამქირავებელს სამედიცინო საქმიანობის განსახორციელებლად სჭირდებოდა გარკვეული ინფრასტრუქტურით აღჭურვილი ფართი, რისთვისაც ხელშემკვრელმა მხარეებმა იტვირთეს ის ვალდებულებები, რაც უკავშირდებოდა მათ მიზნებს, ამასთან, მოემსახურებოდა დამქირავებლის საქმიანობის განხორციელებას. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სასამართლოს დასაბუთებულად მიაჩნია გამქირავებლის შედაგება, რომ მას არასწორად დაეკისრა დამქირავებლის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ, გაზიფიცირების სამუშაოებისათვის გადახდილი 2387, 72 ლარის ანაზღაურება. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს გამქირავებლის პრეტენზიას, რომელიც ამ განჩინების 21.2. ქვეპუნქტშია მითითებული და აღნიშნავს, რომ მოდავე მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების მე-7 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, გაზიფიცირების სამუშაოები იყო ის მიმდინარე სამუშაოები, რომელიც დამქირავებელს საკუთარი საქმიანობისათვის სჭირდებოდა, აღნიშნული დასკვნის მართებულობას ის ფაქტობრივი გარემოებაც ადასტურებს, რომ გამქირავებლის წერილობითი მოთხოვნისთანავე, დამქირავებელს არ შეუწყვეტია დაქირავებული ფართის

მფლობელობა, იგი აგრძელებდა ნივთით სარგებლობას, მათ შორის გამქირავებელთან შეუთანხმებლად, ქვექირავნობით ჰქონდა გაცემული ფართი, რომლის ქირასაც ღებულობდა; ამდენად, ჩატარებული გაზიფიცირების სამუშაოებით, პირველ რიგში, დამქირავებელი იყო დაინტერესებული, რომელიც ხელშეკრულების ხელმოწერიდან – 2012 წლის 10 აპრილიდან, შენობის გათავისუფლებამდე – 2014 წლის ივლისამდე თვითონვე სარგებლობდა ამ ინფრასტრუქტურით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დამქირავებლის მიერ გაზიფიცირებისათვის გაწეული ხარჯების გამქირავებლისათვის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს და ამიტომ პირველი კასატორის პრეტენზია დასაბუთებულია, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.

27. მეორე კასატორის, დამქირავებლის პრეტენზია, რომელიც ასახულია ამ განჩინების 22.2. ქვეპუნქტში, დაუსაბუთებელია და ამ კონტექსტში საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს (იხ. წინამდებარე განჩინების მე-15 პუნქტი). დამქირავებლის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ ნაწილის გაუქმებაზე, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი სააპელაციო საჩივარი და დაკმაყოფილდა გამქირავებლის მოთხოვნა (იხ. ამ განჩინების 22.3-22.5 ქვეპუნქტები), ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს. ამასთან, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს სააპელაციო სასამართლოსათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების სსსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი და 411-ე მუხლით დადგენილი წესით, თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე.

28. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება ქვემდგომი სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილება; ამ განჩინების მე-20 პუნქტი), რაც გამქირავებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და, მის სასარგებლოდ, დამქირავებლისათვის 4960 ლარის დაკისრების საფუძველი გახდა. წინამდებარე განჩინების 25-ე პუნქტში მითითებული გამოსაკვლევი საგნის, 26-ე პუნქტში განვითარებული მსჯელობისა და დასკვნების გათვალისწინებით, ხელშემკვრელ მხარეთა შეთანხმების მე-6 და მე-7 პუნქტების ერთობლივი და არა მათი შინაარსის განცალკევებულად გაანალიზებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს მეორე კასატორის პრეტენზიების იმ ნაწილს, რომლებიც ეხება მისი სამედიცინო საქმიანობის მიზნებისათვის, დაქირავებული ფართის ვარგის მდგომარეობაში მოსაყვანად, იმ აუცილებელი სამუშაოების ჩასატარებლად გაწეული ხარჯების გამქირავებლის სასარგებლოდ დაკისრების უსაფუძ-

ვლობის თაობაზე, რომელიც გამომდინარეობდა ხელშეკრულებიდან.

29. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება მათ ნებას შეეცაბამებოდა, ამასთან, დამქირავებლის დაინტერესების საგანი იყო მისი საქმიანობიდან გამომდინარე, რის გამოც, მან იკისრა, ეტაპობრივად, დაახლოებით 20 000 ლარის ფარგლებში, საკუთარი სახსრებით ჩაეტარებინა სამუშაოები, რაც არა მხოლოდ მიმდინარე და კაპიტალურ რემონტს, არამედ რეკონსტრუქციის ჩატარების უფლებასაც აძლევდა. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ პირვანდელი მდგომარეობის აღსადგენად, ზიანის აღმოსაფხვრელად, დამქირავებლის სასარგებლოდ, დამქირავებელს უნდა გადახდეს 4960 ლარი დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში მხარეთა მიერ ნაკისრი ურთიერთვალდებულებებიდან, დამქირავებელს არ მისდგომია ზიანი, გაქირავებულ ფართში ჩატარებული გარკვეული სამუშაოები, რაზედაც მხარეთა შეთანხმება არსებობდა და არ არსებობს პირვანდელი მდგომარეობის ადგენის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, რაც ამ ნაწილში მეორე კასატორის პრეტენზიის დაკმაყოფილების, გასაჩივრებული გადანყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებისა და დამქირავებლის დაკმაყოფილებული სარჩელის უარყოფის საფუძველია. მეორე კასატორის პრეტენზიის ის ნაწილი, რომელიც ეხება გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმებას იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა დამქირავებლის მოთხოვნა დამქირავებლისათვის 6539 ლარის დაკისრების თაობაზე (იხ. განჩინების 22-ე პუნქტი) ფაქტობრივად და სამართლებრივად დაუსაბუთებელია, იმავე მოტივაციით, რაც მითითებულია ამავე პუნქტში, რის გამოც, საკასაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება დამქირავებლის სასარგებლოდ, მეორე კასატორისათვის 4960 ლარის დაკისრება, რადგან დამქირავებლის საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარეობდა ამ უკანასკნელის მიერ განუთხარი ხარჯები, შესაბამისად, ამ ნაწილში საკასაციო განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს გასაჩივრებული გადანყვეტილება.

30. საკასაციო სასამართლომ მოდავე მხარეთა შორის სახელმწიფო ბაჟი გაანაწილა მათი დაკმაყოფილებული მოთხოვნების პროპორციულად (სსსკ-ის 37-ე, 38-ე მუხლები, 53-ე მუხლის მესამე ნაწილი).

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3-ე, 410-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. ი. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. შპს „ფ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
3. სააპელაციო საჩივრების დაკმაყოფილების ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 მაისის გადაწყვეტილების პირველი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. ი. გ-ის სარჩელი შპს „ფ-ის“ 4 960 ლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
5. შპს „ფ-ის“ შეგებებული სარჩელი ი. გ-ისათვის 2 387.72 ლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება შპს „ფ-ის“ შეგებებულ სასარჩელო მოთხოვნაზე (6 539.28 ლარის /8 927- 2 387.72/ ი. გ-ისათვის დაკისრების დაკმაყოფილების თაობაზე) უარის თქმის ნაწილში, დარჩეს უცვლელად;
7. ი. გ-ეს შპს „ფ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯის (სახელმწიფო ბაჟის) 343.5 (სამასორმოცდასამი ლარისა და ორმოცდაათი თეთრის) ლარის გადახდა;
8. შპს „ფ-ს“ ი. გ-ის სასარგებლოდ დაეკისროს საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯის (სახელმწიფო ბაჟის) 317.8 (სამასჩვიდმეტი ლარისა და ოთხმოცი თეთრის) ლარის გადახდა;
9. ი. გ-ეს დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულებები 16 ფურცლად;
10. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 4. იჯარის ხელშეკრულება

### საიჯარო ქირის დაკისრება

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-2-2-2016

14 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. 2001 წლის 3 ივლისს ხ-ის რაიონის გამგეობასა და (შემდეგში: მეიჯარე) თ. ნ-ეს (შემდეგში: მოპასუხე, მონინააღმდეგე მხარე, მოიჯარე) შორის დაიდო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის ხელშეკრულება 15 წლის ვადით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის 592-ე მუხლი).

2. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ხ-ის რაიონში, კერძოდ, სოფელ ა-ში მდებარე 68 000 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით ..... (შემდეგში უძრავი ქონება).

3. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების მე-2 პუნქტის მიხედვით, იჯარით აღებული მიწის ნაკვეთით სარგებლობისთვის მოიჯარის მიერ გადასახდელი საიჯარო ქირის წლიური ოდენობა 136 (ას ოცდათექვსმეტი) ლარით განისაზღვრა (სსკ-ის 592.2 და 581.1. მუხლები); იჯარით სარგებლობისათვის დაწესებული ქირის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში გადაუხდელი სათვის განისაზღვრა პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1% (იჯარის ხელშეკრულების მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, სსკ-ის 417-418 მუხლები).

4. მოიჯარეს, ქირის 50 % უნდა გადაეხადა საიჯარო წლის 15 აგვისტომდე, ხოლო დანარჩენი ნაწილი, 1 ნოემბრამდე (იჯარის ხელშეკრულების 2.3 პუნქტი).

5. მან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია და ქირა არ გადაიხადა.

6. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს (შემდეგში: მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი) შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების უფროსის 2015 წლის 11 მარტის სამსახურებრივი ბარათის მიხედვით, მოპასუხის მიერ გადასახდელი ქირა შეადგენს 1119.92 ლარს, ხოლო პირგასამტეხლო – 1482.14 ლარს.

7. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის ხელშეკრულების მე-4 პუნქტის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მეიჯარეს უფლება ჰქონდა, იჯარის ვადის გასვლამდე შეენწყვიტა საიჯარო ხელშეკრულება, თუ მოიჯარე არ იხდოდა ქირას ხელშეკრულებით დადგენილი ვადის გასვლიდან 3 თვის განმავლობაში.

8. ეს უფლება მოსარჩელემ გამოიყენა 2014 წლის 16 დეკემბერს და №..... ბრძანებით შეწყვიტა ხელშეკრულების მოქმედება.

9. 2001 წლის 3 ივლისს ხელშეკრულების მხარეებს შორის გაფორმებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე მოიჯარისთვის დაკისრებული ყოველწლიურად გადასახდელი ქირა და ასევე, მისი გადაუხდელობის გამო, პირგასამტეხლოს გადახდა წარმოადგენდა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. თანხის 50% უნდა გადახდილიყო ყოველი წლის 15 აგვისტომდე, ხოლო დანარჩენი ნაწილი, 1 ნოემბრამდე.

10. 2015 წლის 13 მარტს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოიჯარის წინააღმდეგ. მან 1 119.92 ლარის საიჯარო ქირის, პირგასამტეხლოს, 1 482.14 ლარის, სულ, 2 602,06 ლარის დაკისრება მოითხოვა.

11. მოპასუხემ, 2015 წლის 30 აპრილის მთავარ სხდომაზე აღიარა, რომ გადასახდელი ჰქონდა 2007 წლის საიჯარო ქირა. მან მხოლოდ აღნიშნულ ნაწილში ცნო სარჩელი, ხოლო დანარჩენ ნაწილში წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი შემდეგ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებზე მითითებით:

11.1. იგი 2006 წლამდე იხდიდა იჯარის გადასახადს, ხოლო იმის შემდეგ, რაც მიწაზე მოსავალი აღარ მოდიოდა, მოითხოვა იჯარის ხელშეკრულების გაუქმება, რასაც ხ-ის რაიონის გამგეობა დაეთანხმა.

11.2. 2006 წლიდან იჯარის ხელშეკრულება შეწყვეტილია,



რადგან, ხელშეკრულების მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, იჯარის ვადის გასვლამდე შეწყდება საიჯარო ხელშეკრულება, თუ მოიჯარე არღვევს ხელშეკრულების პირობებს და არ იხდის ქირას ხელშეკრულებით დადგენილი ვადის გასვლიდან სამი თვის განმავლობაში, მოსარჩელემ კი, ამ საფუძვლით იჯარის ხელშეკრულება მიზანმიმართულად არ შეწყვიტა, რათა ხელოვნურად გაეზარდა ქირის ოდენობა.

12. ხ-ის რაიონული სასამართლომ 2015 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2001 წლის 3 ივლისის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ერთი წლის (2007) საიჯარო ქირის 136 ლარისა და პირგასამტეხლოს 17 ლარისა და 75 თეთრის, სულ 153 ლარისა და 75 თეთრის გადახდა. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 316-ე-317-ე, 361-ე და 417-ე მუხლები.

13. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ შემდეგი საფუძვლებით:

13.1. სასამართლომ არასწორად დაადგინა სადავო ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ იჯარის ხელშეკრულების თანახმად, 2007 წლის საიჯარო ქირის გადახდის საბოლოო ვადა იყო 2007 წლის 1 ნოემბერი, ამ დროიდან სამი თვის გასვლის შემდეგ, 2008 წლის 1 თებერვალს, ხელშეკრულების მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ჩაითვალა შეწყვეტილად, თუმცა სასამართლომ არ იმსჯელა იმ გარემოებაზე, რომ ხელშეკრულების ვადის ამონურვის შემდეგაც მოპასუხე საიჯარო ქონებას ფლობდა და მხარეთა შორის საიჯარო ურთიერთობა შეწყდა მოსარჩელის 2014 წლის 16 დეკემბრის შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრის უფროსის ბრძანების საფუძველზე, რაც დასტურდება ამონაწერით უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრიდან.

13.2. სასამართლომ არასწორად მიიჩნია საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის თარიღად 2008 წლის 1 თებერვალი, ვინაიდან, საქმეში არსებობს წერილობითი მტიცებულება, 2014 წლის 16 დეკემბრის ბრძანება, რომლითაც შეწყდა 2001 წლის 3 ივლისის გაფორმებული ხელშეკრულება.

13.3. სასამართლოს მსჯელობა ეწინააღმდეგება სსკ-ის 591-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმის დანაწესს, და არ შეესაბამება ამ ნორმის მიზანს – თავიდან იქნეს აცილებული მეიჯარის ის ქონებრივი დანაკლისი, რომელიც მას შეეძლო, მიეღო საიჯარო ქონების შემდგომი გამოყენებით.

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

15. პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიუთითა მხარეთა შორის არსებული იჯარის ხელშეკრულების მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე და ხელშეკრულების მოქმედების ვადა მართებულად მიიჩნია შეწყვეტილად 2008 წლის 1 თებერვლიდან, შესაბამისად, პალატის შეფასებით, არ არსებობდა მოპასუხისათვის მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი საიჯარო ქირის ნაწილის – 983.92 ლარისა და პირგასამტეხლოს, 1464.39 ლარის, დაკისრების საფუძველი, რის გამოც მოსარჩელეს მართებულად ეთქვა უარი სარჩელის სრულად დაკმაყოფილებაზე.

16. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის პრეტენზია იმის შესახებ, რომ ხელშეკრულების ვადის ამონურვის შემდეგაც მოპასუხე საიჯარო ქონებას ფლობდა და მხარეთა შორის საიჯარო ურთიერთობა შეწყდა მოსარჩელის 2014 წლის 16 დეკემბრის შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრის უფროსის ..... ბრძანების საფუძველზე. პალატამ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, მე-4, 102-ე, 8.3-ე და სსკ-ის 115-ე მუხლები.

17. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა შემდეგი დასაბუთებით:

17.1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები, რის გამოც იურიდიულად დაუსაბუთებელია გასაჩივრებული განჩინება.

17.2. პალატის მიერ უსაფუძვლოდ იქნა გაზიარებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი მცდარი სამართლებრივი შეფასებები კერძოდ: პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის საიჯარო ურთიერთობა შეწყდა 2008 წლის 1 თებერვალს, რასაც შედეგად მოჰყვა დაუსაბუთებელი დასკვნა მხარისათვის მხოლოდ 153 ლარისა და 75 თეთრის დაკისრების შესახებ.

17.3. პალატამ არასწორად მიიჩნია ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღად 2008 წლის 1 თებერვალი, ვინაიდან მხარეთა შორის საიჯარო ურთიერთობა შეწყდა 2014 წლის 16 დეკემბრის ბრძანების საფუძველზე და, შესაბამისად, მოსარჩელის 2015 წლის 11 მარტის სამსახურებრივი ბარათით დაანგარიშებულია სწორედ ის თანხა, რომლის გადახდის ვალდებულებაც გააჩნია მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ.

17.4. სასამართლომ ასევე არასწორად დაადგინა ის ფაქტი, რომ იჯარის ხელშეკრულების ვადის ამონაწერის შემდეგ მოპასუხე საიჯარო ქონებას არ ფლობდა და აღნიშნული გარემოების მტკიცების ტვირთი უსაფუძვლოდ დააკისრა მოსარჩელეს.

18. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 23 თებერვლის განჩინებით, საკასაციო საჩივარი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

19. საქმის მასალების გაცნობა, მათი შესწავლა და ანალიზი, მიღებული განჩინების იურიდიული დასაბუთებისა და საჩივრის მოტივების შემოწმება, საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, გამოიტანოს დასკვნა გასაჩივრებულ ნაწილში განჩინების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე, სახელდობრ:

20. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, რასაც შედეგად მოჰყვა სამართლებრივად დაუსაბუთებელი დასკვნა და სააპელაციო საჩივრის მოტივების მთლიანი უარყოფა.

21. საქმეზე დადგენილია სამართლებრივი მნიშვნელობის შემდეგი ფაქტები:

21.1. 2001 წლის 3 ივლისს მეიჯარესა და მოიჯარეს შორის დაიდო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის ხელშეკრულება, რომელიც აკმაყოფილებდა გარიგების დადების ზოგად პირობებს (სსსკ-ის 54-59 და 592-ე მუხლები).

21.2. ხელშეკრულების მოქმედება 15 წლის ვადით იყო განსაზღვრული.

21.3. საჯარო რეესტრში მოიჯარის სასარგებლოდ იჯარის

უფლება რეგისტრირებულია 2001 წლის 24 ივლისს.

21.4. მოიჯარის ძირითადი ვალდებულების შესრულებას (ქირის დროულად გადახდას) უზრუნველყოფდა ვადაგადაცილების პირგასამტეხლო – ყოველ გადაცილებულ დღეზე გადაუხდეელი თანხის 0.1% {სსკ-ის 417-418-ე მუხლები}.

21.5. მოიჯარემ დაარღვია ვალდებულება. მას 2006 წლიდან არ გადაუხდია საიჯარო ქირა, რომელიც წელიწადში 136 ლარი იყო. სარჩელის აღძვრის დროისათვის დავალიანებამ 1 119,92 ლარი, ხოლო ვადაგადაცილების პირგასამტეხლომ 1482,14 ლარი შეადგინა.

22. მოპასუხის შესაგებელი სარჩელის უარყოფის ნაწილში დამყარებული იყო იმაზე, რომ იჯარა შეწყდა 2008 წლის 1 თებერვალს, მაშინ, როდესაც მიწის მოუსავლიანობის მოტივით, მან მმართა გამგეობას და ხელშეკრულების გაუქმება მოითხოვა.

23. სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაანაწილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი, უკრიტიკოდ, სათანადო და დასაშვები მტკიცებულებების არ არსებობის პირობებში გაიზიარა მოპასუხის შესაგებელი და საიჯარო ხელშეკრულება შეწყვეტილად მიიჩნია 2008 წლის 1 თებერვლიდან, მაშინ, როდესაც ამ გარემოების მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა მოპასუხეს და არა მოსარჩელეს – სსსკ-ის 102-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად („სსსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. სსსკ-ის მე-3 მუხლით, დისპოზიციურობის პრინციპის მიხედვით, დადგენილია შეჯიბრებითობის პრინციპით ფაქტების დადგენა. მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის თანაბრადაა გადანაწილებული, მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი მტკიცებულებები გამოიყენონ ამა თუ იმ ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად. მოდავე მხარეებმა უნდა წარმოადგინონ მტკიცებულებები, რომლითაც დადგინდება სარჩელსა და შესაგებელში მითითებული გარემოებების უტყუარად არსებობა. დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები გულისხმობს მხარეების ვალდებულებას, წარმოადგინონ სარჩელში და შესაგებელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების უფრო მყარი და დამაჯერებელი მტკიცებულებები, რითაც სასამართლოს შეუქმნიან საკუთარი პოზიციის სარწმუნო სამართლებრივ საფუძველსა და შინაგან რწმენას“ იხ. სუსგ ას-№1227-1150-2015, 17.05.2016, ას-1051-991-2015, 29.12.2015“ ).

24. მოპასუხეს არ წარმოუდგენია იჯარის ხელშეკრულების 2008 წლის 1 თებერვლიდან შეწყვეტის დამადასტურებელი არცერთი დასაშვები მტკიცებულება. ის სადავო გარემოების დასა-

დასტურებლად მიუთითებდა ხელშეკრულების იმ პუნქტზე {იჯარის ხელშეკრულების მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი}, რომლითაც დადგენილია, რომ მეიჯარეს უფლება აქვს, იჯარის ვადის გასვლამდე შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება, თუ მოიჯარე არ იხდის იჯარის ქირას ხელშეკრულებით დადგენილი ვადის გასვლიდან 3 თვის განმავლობაში. ხელშეკრულების აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე მეიჯარის უფლებას და არა ვალდებულებას წარმოადგენდა ამ საფუძვლით ხელშეკრულების შეწყვეტა მოიჯარის მხრიდან ვალდებულების დარღვევისას. განსახილველ შემთხვევაში, არ დასტურდება, რომ მეიჯარემ აღნიშნული უფლება 2014 წლის 16 დეკემბრამდე გამოიყენა.

25. საკასაციო პალატას მიაჩნია, იმ შემთხვევაშიც, თუ იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა 2008 წლის 1 თებერვლის თარიღს დაუკავშირდებოდა, ეს სამართლებრივ სურათს ვერ შეცვლიდა და მოპასუხე მაინც არ გათავისუფლებოდა ქირის გადახდის მოვალეობისაგან, რადგანაც მაშინ მას უნდა წარმოედგინა საიჯარო ქონებაზე მისი მფლობელობის შეწყვეტის (მეიჯარისათვის დაბრუნების) დამადასტურებელი მტკიცებულება.

26. ამრიგად, იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულება მოქმედებდა 2014 წლის 16 დეკემბრამდე, მოიჯარეს გადაწყვეტილებით დაეკისრა მხოლოდ 2007 წლის ქირა, 2008-2014 წლების საიჯარო ქირა კი, არ გადაუხდია, განხორციელებულად უნდა ჩაითვალოს სსკ-ის 581-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შედეგის განმაპირობებელი სამართლებრივი წინაპირობები („მოიჯარე მოვალეა, გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა“), მას უნდა დაეკისროს ამ პერიოდის ქირის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

27. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებითაც, რომ იჯარის ხელშეკრულების ვადის ამონურვის შემდეგ მოპასუხე აგრძელებდა საიჯარო ქონების ფლობას. სააპელაციო პალატამ დაუსაბუთებლად დაასკვნა, რომ ამ გარემოების მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრებოდა. უდავოა, რომ ამ შემთხვევაში, მოთხოვნის წარმომშობ ფაქტზე (ქონების დაბრუნების დაყოვნება), მითითება {სსკ-ის 591-ე მუხლი} ევალებოდა მოსარჩელეს, რაც მან განახორციელა კიდევ. მითითებული ფაქტის გაქარწყლების ვალდებულება კი, მოიჯარის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა {სსკ-ის 602-ე მუხლი}, მით უმეტეს, რომ 2014 წლის 16 დეკემბრამდე საჯარო რეესტრის მონაცემებით საიჯარო უფლება კვლავ მის სახელზე ირიცხებოდა.

28. პალატა მიიჩნევს, რომ როდესაც სადავოა საიჯარო ფარ-

თით სარგებლობისა და მფლობელობის ფაქტი და, ვინაიდან, სწორედ ამაზეა დამოკიდებული საიჯარო ქონებით სარგებლობისა და მფლობელობის საფასურის, საიჯარო ქირის, გადახდა, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი განაწილებაა საქმეზე დასაბუთებული და სამართლებრივად სწორი გადაწყვეტილების წინაპირობა. ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ საიჯარო ქონების დაბრუნების ფაქტობრივი გარემოება დადასტურებული არ არის, ამიტომ, საიჯარო ქირა მოიჯარეს უნდა დაეკისროს სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც, სარჩელის აღძვრამდე, კერძოდ 2015 წლის 13 მარტამდე {სსკ-ის 591-ე მუხლი}.

29. ამრიგად, მოიჯარეს საიჯარო ქირა გადახდილი არ აქვს 2008 წლიდან 2015 წლის 13 მარტამდე, რაც შეადგენს 7 წელს და 2 თვესა და 13 დღეს. ამის გათვალისწინებით, ის ვალდებულია, გადაუხადოს მეიჯარეს ქირა – 983 ლარი.

30. რაც შეეხება, საიჯარო ქირის ვადაგადაცილებისათვის გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს ოდენობას – დღეში ძირითადი თანხის 0,1%, რაც წლიური 36%-ია, მთლიანად შეადგენს 1464,39 ლარს (1482,14 – 17,75). პალატას მიაჩნია, რომ პირგასამტეხლო, კონკრეტულ შემთხვევაში, შეუსაბამოდ მაღალია და უნდა დაექვემდებაროს შემცირებას სამართლიან ოდენობამდე {სსკ-ის 420-ე მუხლი}. პირგასამტეხლოს შემცირების დისკრეციით ლეგიტიმური სარგებლობისათვის მხედველობაშია მისაღები მხარის ქონებრივი მდგომარეობა და კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სახელდობრ, როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამონვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან. პირგასამტეხლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება ჩათვალოს ისეთი გარემოებები, როგორცაა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი, პირგასამტეხლოს თანხის მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამონვეულ შესაძლო ზიანზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და სხვა (იხ. სუსგ №ას-1199-1127-2015; 13 აპრილი, 2016 წელი) შესაბამისად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, პირგასამტეხლო 300 ლარით უნდა განისაზღვროს.

31. სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლო-

ში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. ვინაიდან ამ შემთხვევაში არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები, საკასაციო პალატა უფლებამოსილია, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

32. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავდროულად მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას მიიღეს, ხოლო, მესამე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას, ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შეაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის მე-8, 408.3-ე, 411-ე, 399-ე, 382-ე, 264.3-ე, 55-ე, 53.4-ე მუხლებით და

#### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ოქტომბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. თ. ნ-ეს „სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ სასარგებლოდ დაეკისროს ქირის – 983 ლარისა და პირგასამტეხლოს, 300 ლარის, გადახდა;
4. თ. ნ-ეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს 115.47 ლარის გადახდა;
5. სახელმწიფო ბაჟი გადახდილ იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი თლEშჩE22, მიმღების ანგარიშის № 200122900, სახაზინო კოდი 3 0077 3150;
6. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 5. სესხის ხელშეკრულება

### სესხის ზეპირი ხელშეკრულება

#### გადაწყვეტილება საქართველოს სასჯელით

№ას-127-119-2015

22 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ე. შ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე ს. მ-ის მიმართ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხისათვის სესხის სახით გადაცემული თანხის დაბრუნება 4327 ევროს ოდენობით.

სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ მოსარჩელემ, რომელიც რამდენიმე წელი ცხოვრობდა და მუშაობდა იტალიაში, 2010 წელს გაიცნო ა-ის რაიონის, სოფელ ა-ში მცხოვრები ს. მ-ე, რომელსაც მოსარჩელე იტალიიდან პერიოდულად უგზავნიდა თანხებს იტალიაში გასამგზავრებლად და საჭირო საბუთების მოსამზადებლად, სახელდობრ, 2010 წლის 05 აგვისტოს გაუგზავნა 104,5 ევრო, 16 სექტემბერს – 54,5 ევრო, 30 სექტემბერს – 1524 ევრო, 7 ოქტომბერს – 613 ევრი, 14 ოქტომბერს – 2031 ევრო. მთლიანობაში, გაგზავნილი თანხის ოდენობამ შეადგინა 4327 ევრო, რომელიც მოპასუხეს 2011 წლის ბოლომდე უნდა დაებრუნებინა.

მოპასუხემ არ უარყო სადავო თანხების იტალიიდან გამოგზავნის შესახებ სარჩელში მითითებული გარემოება, თუმცა განმარტა, რომ მასსა და მოპასუხეს შორის რაიმე შეთანხმებას სასესხო ურთიერთობაზე (თანხის დაბრუნებაზე) ადგილი არ ჰქონია. მოპასუხემ სარჩელზე წარდგენილ შესაგებელში მიუთითა, რომ მოსარჩელე გაიცნო სკაიპის მეშვეობით და ინტენსიური მიმოწერის შედეგად ერთმანეთი შეუყვარდათ. მოგვიანებით, მოსარჩელემ შესთავაზა მისივე დაფინანსებით სამი თვით იტალიაში თავისთან გამგზავრება. მოპასუხემ შეთავაზება მიიღო და სამი თვით სტუმრად გაემგზავრა მოსარჩელესთან იტალია-



ში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ჩამოვიდა მოსარჩე-  
ლევ, ხოლო 2012 წლის იანვარში ირივენი კვალავ გაემგზავრნენ  
იტალიაში. მოგვიანებით კი, პირადი ცხოვრების არათანხვედრი  
გეგმების გამო მათ შორის ურთიერთობა დაიძაბა.

თელავის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 29 მაისის გა-  
დანწყვეტილებით ე. შ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. ს. მ-ეს ე. შ-  
ის სასარგებლოდ დაეკისრა 4327 ევროს ეკვივალენტის ლარის  
გადახდა.

გადანწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა ს. მ-  
ემ, რომლითაც მოითხოვა, თელავის რაიონული სასამართლოს  
2014 წლის 29 მაისის გადანწყვეტილების გაუქმება და ახალი გა-  
დანწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2014 წლის 04 დეკემბრის განჩინებით ს. მ-ის სააპე-  
ლაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა მოცე-  
მულ საქმეზე თელავის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 29  
მაისის გადანწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემულ საქ-  
მეზე დადგენილია დავის გადანწყვეტისათვის მნიშვნელობის  
მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

– ს. მ-ეს ე. შ-საგან მიღებული აქვს 4327 ევრო, რაც დადას-  
ტურებულია საქმის მასალებში წარმოდგენილი ე. შ-ის მიერ თან-  
ხის გამოგზავნისა და ამ თანხის ს. მ-ის მიერ მიღების დამადას-  
ტურებელი საბანკო ამონაწერები.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ე. შ-ის სასარჩე-  
ლო მოთხოვნას წარმოადგენდა ს. მ-ისათვის სესხის დავალია-  
ნების გადახდის დაკისრება 4327 ევროს ოდენობით.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი  
შეფასების მიზნით თბილისის სააპელაციო სასამართლომ იხელ-  
მძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნა-  
წილით რომლის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი  
უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შეს-  
რულება. ასევე, სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი  
ნაწილით რომლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათ-  
ვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა  
იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მი-  
ყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით  
გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან და არ გაიზიარა პირ-  
ველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოცემულ საქმეზე დად-  
გენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება  
უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი ნორმებით და

განმარტა, რომ მხარეები იმყოფებოდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობაში, რაც გამორიცხავდა მათ შორის არსებული ურთიერთობის კვალიფიკაციას უსაფუძვლო გამდიდრებად.

ამასთან, სამოქალაქო საქმეთა პალატამ არ გაიზიარა აპელანტის (მოპასუხე) მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მხარეთა შორის არ არსებობდა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა და აღნიშნა, რომ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გამომრიცხველი სანიხალმდეგო არგუმენტი სამართალწარმოებაში მოქმედი შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, აპელანტმა (მოპასუხე) სარწმუნოდ ვერ დაადასტურა.

მხარეთა შორის არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის სამართლებრივი შეფასების მიზნით სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლით, რომლის თანახმად, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა 624-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სესხის ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მონმეთა ჩვენებებით და განმარტა, რომ დასახელებული ნორმებით დადგენილია სესხის სამართლებრივ ურთიერთობებში გამოსაყენებელი მტკიცების სტანდარტი ე.ი. ის მინიმალური მტკიცებულებები, რომელიც სესხის სამართლებრივი ურთიერთობის დადასტურებისათვის უნდა წარმოადგინოს მოსარჩელემ. კერძოდ, ზეპირი ხელშეკრულების დროს სესხის ხელშეკრულების ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მონმეთა ჩვენებებით, რაც იმას ნიშნავს, მონმეთა ჩვენება ამ შემთხვევაში, არასაკმარისი მტკიცებულებაა და საჭიროა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სხვა მტკიცებულებებიც. ასეთად შეიძლება განხილულ იქნეს მაგალითად ხელწერილი ვალის არსებობის თაობაზე ან ნებისმიერი სხვა წერილობითი მტკიცებულება, რომლითაც შეიძლება დადასტურდეს მოდავე მხარეებს შორის სასესხო ურთიერთობის არსებობა. მოცემულ შემთხვევაში, ე. შ-ი სასარჩელო მოთხოვნის დასადასტურებლად, კერძოდ, კი იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ მოდავე მხარეთა შორის არსებობდა სასესხო ვალდებულება 4327 ევროზე, გარდა მონმეთა ჩვენებისა, ასევე უთითებს მის მიერ გახორციელებულ ფულად გზავნილებსა და მოპასუხე მ. მ-ის მიერ თანხის მიღების მიღების დამადასტურებელ საბანკო ამონაწერებზე.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ თავად აპელანტიც (მოპასუხე) არ უარყოფდა ფაქტს ე. შ-ის მიერ თანხის გამოგზავნის შესახებ.

გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მტკიცების ტვირთს შეადგენდა მოპასუხისათვის თანხის გადაცემის დადასტურება, რაც თავისთავად ვალდებულების არსებობას გულისხმობდა (სკ-ის 361-ე მუხ.) და ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის ფაქტის დასადასტურებლად უთითებდა არა მხოლოდ მონმეთა ჩვენებებზე, არამედ წერილობით მტკიცებულებებზეც, რასაც მოპასუხე ვერ აქარნყლებდა (ვერ უთითებდა ე. შ-ის მიერ თანხის გამოგზავნის მომენტისათვის, თუ არა სესხად გაცემული თანხის, არამედ, სხვა საფუძვლით მისი გაცემის მიზნობრიობაზე), ამიტომ სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია მხარეთა შორის სასესხო ურთიერთობის არსებობა, რომლის საფუძველზე ს. მ-ეს მართებულად დაეკისრა ე. შ-ის სასარგებლოდ 4327 ევროს ეკვივალენტის ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს ზემოთ აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე კანონით დადგენილ ვადაში საკასაციო საჩივარი წარადგინა ს. მ-ემ, რომელმაც მოითხოვა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის მოსაზრებით, საქმის განმხილველმა სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სასესხო ურთიერთობად. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი თანხის გადმოგზავნის შესახებ ფულად გზავნილებით, რომელსაც არც მოპასუხე (აპელანტი) არ უარყოფდა დადგენილად მიიჩნია, რომ ამ თანხის გადმოგზავნის მიზნობრიობა იყო სესხი. სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია სასესხო ურთიერთობის შეფასებისათვის აუცილებელი გარემოებების არსებობა, კერძოდ, ნაკისრი ჰქონდა თუ არა მოპასუხეს სადავო თანხების დაბრუნების ვალდებულება, ვინაიდან კასატორის მოსაზრებით, მხოლოდ თანხის გადაცემა, მით უფრო, მხარეთა შორის არსებული ახლო (თითქმის ცოლ-ქმრული) ურთიერთობიდან გამომდინარე, არ იყო საკმარისი მტკიცებულება სადავო ურთიერთობის სესხად კვალიფიკაციისათვის. აქვე, კასატორმა განმარტა, რომ იგი სადავოდ ხდიდა თანხის გარკვეული ნაწილის ე. შ-ის მიერ გადმოგზავნის ფაქტსაც, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტით თანხის გამომგზავნად არ არის მითითებული ე. შ-ი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2015 წლის 15 აპრილის განჩინებით ს. მ-ის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულიად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

მოცემულ საქმეზე დადგენილადაა ცნობილი დავის გადანაცვებისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

დადგენილია, რომ მოსარჩელე – ე. შ-მა, რომელიც რამდენიმე წელი ცხოვრობდა და მუშაობდა იტალიაში, 2010 წელს სოციალური ქსელის („სკაიპი“) მეშვეობით გაიცნო ა-ის რაიონის, სოფელ ა-ში მცხოვრები მოპასუხე – ს. მ-ე.

დადგენილია, რომ ს. მ-ე გაემგზავრა და გარკვეული პერიოდით იმყოფებოდა იტალიაში.

მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ მოსარჩელე ე. შ-ს მოპასუხე ს. მ-ისათვის სხვადასხვა დროს გაგზავნილი აქვს თანხები, სახელდობრ, 2010 წლის 5 აგვისტოს გაგზავნა 104,5 ევრო, 16 სექტემბერს – 54,5 ევრო, 30 სექტემბერს – 1524 ევრო, 7 ოქტომბერს – 613 ევრო, 14 ოქტომბერს კი, – 2031 ევრო. მთლიანობაში, გაგზავნილი თანხის ოდენობამ შეადგინა 4327 ევრო. აღნიშნული ასევე დადასტურებულია საქმეში წარმოდგენილი ფულადი გზავნილის გადარიცხვის ამსახველი ამონაწერებით. მითითებული თანხების მიღების ფაქტი მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია. მხოლოდ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით კასატორმა სადავოდ გახადა თანხის ოდენობა და განმარტა, რომ „104 ევროს გამოგზავნის შესახებ წარმოდგენილ ამონაწერში გამომგზავნის ვინაობად არ იყო მითითებული ე. შ-ი, რაზედაც სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია“, თუმცა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოპასუხეს ეს საკითხი არ დაუყენებია თელავის რაიონულ სასამართლოში სარჩელზე წარდგენილ შესაგებელში, ამიტომ, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო საჩივრის განხილვის ეტაპზე მოპასუხე (აპელანტი) აღარ სარგებლობდა თანხის (104 ევ-

რო) ოდენობაზე შედეგების პროცესუალური უფლებამოსილებით (სსკ-ის 380-ე მუხლის მე-2 ნაწ.). შესაბამისად, ამ ნაწილში, საპროცესო ნორმების დარღვევაზე კასატორის პოზიცია საკასაციო პალატას უსაფუძვლოდ მიაჩნია.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ს. მ-ე გაემგზავრა და გარკვეული პერიოდის განმავლობაში იმყოფებოდა იტალიაში.

დადგენილია, რომ ე. შ-მა ს. მ-ეს 2013 წლის 18 დეკემბერს სასარჩელო წარმოების წესით მოსთხოვა მის მიერ სხვადასხვა დროს გაგზავნილი თანხების უკან დაბრუნება და სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მიუთითა მხარეებს შორის არსებული სასესხო ურთიერთობა, რომლის შესრულების (თანხის დაბრუნება) ვალდებულება მოპასუხეს ჰქონდა 2011 წლის ბოლომდე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე არ მიუთითებია, რომ იგი უფლების დაცვის სასარჩელო ფორმის გამოყენებამდე რაიმე ფორმით შეეცადა მოპასუხის მხრიდან სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების (თანხის დაბრუნების) შესრულებას.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით ს. მ-ე არ უარყოფს ე. შ-ისაგან სხვადასხვა დროს თანხის მიღების (იტალიიდან გამოგზავნის) შესახებ ფაქტობრივ გარემოებას, თუმცა საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს კასატორის იმ პოზიციაზე, რომლითაც იგი სადავოდ ხდის ე. შ-ის მიერ მისთვის გადაცემული (იტალიიდან გამოგზავნილი) თანხების (4,327 ევროს) მიზნობრიობას და განმარტავს, რომ „მხარეთა შორის არსებული ახლო (თითქმის ცოლ-ქმრული) ურთიერთობიდან გამომდინარე დაუშვებელი იყო სადავო ურთიერთობის სესხად კვალიფიკაცია, მით უფრო, იმ სამართლებრივი მოცემულობიდან გამომდინარე, რომ სადავო სასესხო ურთიერთობის დასადგენად საკმარისი არ არის მხოლოდ თანხის გადაცემის (გამოგზავნის) ფაქტის დადგენა, არამედ ამასთან ერთად ერთმნიშვნელოვნად უნდა დგინდებოდეს გადაცემული (გაგზავნილი) თანხის უკან დაბრუნების შესახებ დაპირება, რასაც მოცემულ შემთხვევაში, არც ადგილი ჰქონია და ამაზე არცერთი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია“.

ამდენად, ს. მ-ის კასაციის საფუძვლები (მიზეზები) მდგომარეობს იმაში, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, სახელდობრ, ფულადი გზავნილების ამსახველი საბანკო ამონაწერები და მათზე დაყრდნობით არასწორად დაადგინა მხარეთა შეთანხმება სესხის ზეპირ ხელშეკრულებაზე, რომელმაც მოცემულ საქმეზე გამოიწვია არასწორი გადანყევტილების გამო-

ტანა.

კასატორის ზემოაღნიშნულ პოზიციას საკასაციო პალატა იზიარებს და მიიჩნევს, რომ ამ კუთხით კასატორმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დასაშვები (დასაბუთებული) საკასაციო პრეტენზია წარმოადგინა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, სადავო სასესხო ურთიერთობიდან გამომდინარე მხარეთა შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა, რომელიც მოსარჩელის განმარტებით გამომდინარეობს სესხის ზეპირი ხელშეკრულებიდან, ამიტომ შეფასებას საჭიროებს საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისობა სასესხო ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმის (სკ-ის 623-ე მუხ.) შემადგენლობასთან (მის აბსტრაქტულ კომპონენტებთან).

მხარეთა შორის არსებული სადავო ურთიერთობის კვალიფიკაციის მიზნებისათვის პირველ რიგში, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ სასესხო ურთიერთობიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულების თაობაზე ე. შ-ის მოთხოვნა ეფუძნება სესხის ზეპირ ხელშეკრულებას, რომლის არსებობას მოპასუხე სადავოდ ზღის.

სამოქალაქო სამართალწარმოებაში მოქმედი შეჯიბრებითობის პრინციპის თანახმად (სსკ-ის მე-4 მუხ.), სადავო ფაქტობრივი გარემოებების დადასტურებისას მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები და მოსაზრებები. მათვე ეკისრებათ სადავოდ ქცეული ფაქტობრივი გარემოებების მითითებისა და მათი დამტკიცების ტვირთიც (სსკ-ის 102-ე მუხ.). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილი, რომელიც შეეხება „მტკიცებულებათა დასაშვებობას“ ადგენს ქცევის იმგვარ წესს, რომლის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. საკასაციო პალატის მითითებით კანონის ეს მოთხოვნა განპირობებულია მხარეთა შორის არსებული მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის შინაარსით, მისი ფაქტობრივი სიტუაციის ნორმატიული აღწერილობით.

მოცემულ შემთხვევაში, სადავო სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის, სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად, ზეპირი სესხის ხელშეკრულების

დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით, მიუთითებს სწორედ იმაზე, რომ სადავო დეტალური სასესიო ურთიერთობის დადგენისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, როგორც ზეპირი ასევე, წერილობითი მტკიცებულებების ესა თუ ის სახე. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ნებისმიერ დოკუმენტი თუ, მოწმის სტატუსით დაკითხულ პირთა ნებისმიერი შინაარსის ჩვენება დაედოს საფუძვლად საქმეზე სადავო ფაქტობრივი გარემოებების დადასტურებას. ამ თვალსაზრით, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება თბილისის სააპელაციო სამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ „ვინაიდან სადავო სასესიო ურთიერთობის დასადასტურებლად ე. შ-მა მიუთითა არამხოლოდ მოწმეთა ჩვენებებზე, არამედ ამავედროულად, წარმოდგინა ფულადი თანხის იტალიიდან გამოგზავნისა და ამ თანხის ს. მ-ის მიერ მიღების ამასახველი საბანკო ამონაწერი, მოსარჩელემ შეასრულა მტკიცების ტვირთის ის მინიმალური სტანდარტი, რაც სამოქალაქო კოდექსის 624-ე და 361-ე მუხლებით დადგენილი წესით ევალებოდა კრედიტორს“.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამართალწარმოების პროცესში წარმოდგენილი ყველა მტკიცებულება უნდა შეფასდეს მათი უტყუარობისა და აგრეთვე, იმ თვალსაზრისით, თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოების დადასტურებაა ამ მტკიცებულებებით შესაძლებელი. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ მოპასუხესთან სასესიო ურთიერთობის შესახებ სადავო ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად მიუთითა მოწმეთა ჩვენებასა და საქმეში წარმოდგენილ ფულადი თანხის იტალიიდან გამოგზავნისა და ამ თანხის ს. მ-ის მიერ მიღების ამასახველ საბანკო ამონაწერებზე, რასაც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და საფუძვლად ვერ დაუდებს ე. შ-სა და ს. მ-ეს შორის სასესიო ურთიერთობის არსებობის შესახებ სადავო ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებათა დასაშვებობის ინსტიტუტი დამოკიდებულია მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის შინაარსსა და ამ ნორმით გათვალისწინებული ფაქტობრივი სიტუაციის ნორმატიულ აღწერილობაზე. სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებათა დაშვების ან ამორიცხვის საკითხი უნდა გადაწყდეს იმ ნებართვების თუ აკრძალვების მიხედვით, რაც გათვალისწინებულია მატერიალური ნორმით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტული ნორმით გათვალისწინებული იურიდიული ფაქტების შედეგად წარმოშობილი

ურთიერთობების დასადასტურებლად, რაც საბოლოოდ წარმოადგენს სამართლის ნორმით გათვალისწინებულ მაკვალიფიცირებელ კომპონენტებს, აუცილებელია ისეთი მტკიცებულებების არსებობა, რომლებიც თუნდაც მონმეთა ჩვენებებთან ერთობლივად უტყუარად მიუთითებენ ყველა მნიშვნელოვან გარემოებებზე.

საკასაციო პალატა საჭიროდ მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს სასესხო ვალდებულების თავისებურებებზე, რომელიც მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის დანაწესში, რომლის თანახმად, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს, დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ნორმის სამართლებრივი აღწერილობა თავადვე მიუთითებს, თუ რომელი კომპონენტების არსებობის შემთხვევაშია სახეზე სასესხო ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა და ამ დანაწესით გამორიცხავს სამართლებრივ კვალიფიკაციაში ცდომილების ალბათობასაც, სახელდობრ, კანონმდებელი ზეპირი ფორმით დადებული სასესხო ვალდებულების ნამდვილობისათვის საკმარის მტკიცებულებად არ მიიჩნევს მონმეთა ჩვენებებს. თუმცა არც გამორიცხავს ამგვარი მტკიცებულების არსებობასაც, არამედ სავალდებულოდ ადგენს მონმეთა ჩვენებებთან ერთად სხვა ისეთი მტკიცებულების წარმოდგენის ვალდებულებას, რომელიც მონმეთა ჩვენებასთან ერთობლივად, მაღალი ალბათობით დაადასტურებდა სადავო ფაქტს სასესხო ურთიერთობის შესახებ (მტკიცების საგანი).

ამდენად, სასესხო ვალდებულებების თაობაზე წერილობითი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში, მონმეების ჩვენება დასაშვებია მხოლოდ სხვა მტკიცებულებებთან ერთად და სამართალწარმოების ეს თავისებურება განპირობებულია მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის აღწერილობით (ნორმატიული შემადგენლობით): „სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება, გამოყენებულ იქნეს წერილობითი ფორმაც. ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება, დადგინდეს მხოლოდ მონმეთა ჩვენებებით“. განსახილველი ნორმის დანაწესი სესხის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის ითვალისწინებს როგორც ზეპირ, ასევე, წერილობით ფორმის დაცვას, რომლის არჩევა მხარეთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული, მაგრამ მითითებული მუხლის მეორე წინადა-



დების თანახმად, ყურადღებაა გამახვილებული იმ რისკებზე, რომელიც შეიძლება მოჰყვეს სესხის ზეპირ ხელშეკრულებას. ამგვარად, განხილული ნორმით განსაზღვრულია მტკიცების საგანი ანუ, იმ მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც სადავო ურთიერთობის სესხად კვალიფიკაციისათვის უნდა არსებობდეს და თავის მხრივ, წარმოგვიდგება, როგორც სამართალურ-ურთიერთობის კვალიფიკაციის პირველი ეტაპი, რა დროსაც მხარეები იზღუდებიან არა თავად გარიგების ფორმის, არამედ მტკიცებითი საშუალებების არჩევანში.

რაც შეეხება სამართალურ-ურთიერთობის კვალიფიკაციის მომდევნო ეტაპს, აღნიშნული მდგომარეობს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებაში. მოდავე მხარეთა შორის ამ საპროცესო ვალდებულების გამიჯვნის მიზნით, საკასაციო პალატა მიუთითებს სადავო ურთიერთობის მარეგულირებელ როგორც მატერიალურ ისე, საპროცესო სამართლებრივ ნორმაზე, სახელდობრ, სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის მე-2 წინადადებაზე, რომელშიც სწორედ ამ საპროცესო ვალდებულების შესრულების თავისებურებებზეა ყურადღება გამახვილებული და დადგენილია ქცევის იმგვარი წესი, რომლის თანახმად, სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადასტურების ტვირთი აკისრია (გამსესხებელს), ხოლო ვალდებულების შესრულების ტვირთი კი, მსესხებელს. იმავე საპროცესო ვალდებულებას აკისრებს მოსარჩელეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლიც, რომელიც ადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგად წესს, რომელსაც მიმართავენ იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა მტკიცების ტვირთის განსხვავებულ განაწილებას არ გვთავაზობს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, მატერიალური და საპროცესო ნორმები თანხვედრაშია, რადგან განსახილველ დავაში ისინი მტკიცების ტვირთის განაწილების განსხვავებულ წესს არ გვიდგენენ, რაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მოცემულ შემთხვევაში, სწორედ მოსარჩელე – ე. შ-ი, რომელიც პრეტენზიას აცხადებს მოპასუხე – ს. მ-ესთან სასესხო ურთიერთობის (ზეპირი ხელშეკრულების პირობებში) არსებობაზე, ვალდებულია მიუთითოს (მტკიცების საგანი) და წარმოადგინოს ამ ურთიერთობის სესხად კვალიფიკაციისათვის აუცილებელი მტკიცებულებებიც (მტკიცების ტვირთი).

მხარეთა შორის ამ საპროცესო ვალდებულებების სწორი განაწილება წარმოადგენს სასესხო ურთიერთობის მონაწილეთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვისა და მართლწესრიგის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფის წინაპირობას.

ამდენად, როგორც აღინიშნა მოპასუხე ს. მ-ესთან სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრებოდა, მით უფრო, რომ იმ პირობებში, როდესაც მოპასუხემ დაადასტურა თანხის სარჩელში მითითებული ოდენობით მიღების ფაქტი და სადავოდ გახადა მხოლოდ თანხის გადაცემის მიზნობრიობა (სასესხო ურთიერთობის არსებობა). სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად, ზეპირი სესხის ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით, მიუთითებს სწორედ იმაზე, მოცემული ნორმით არ არის გათვალისწინებული ფაქტობრივი გარემოებების დადგენის კონკრეტული სამართლებრივი მექანიზმი და დასადგენი გარემოებების თავისებურების გათვალისწინებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა პროცესუალური მტკიცებულებების სახე. მართალია მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ წარმოადგინა სადავო თანხის იტალიიდან გადმოგზავნის გზით ს. მ-ისათვის თანხის გადაცემის დამადასტურებელი მტკიცებულება (ფულადი გზავნილის გადარიცხვის ამსახველი ამონაწერი), თუმცა მასში რაიმე მინიშნება/მითითება არ არის მხარეთა შორის სასესხო ვალდებულების არსებობაზე. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც სადავო თანხის გადაცემის დანიშნულება (სამართალურთიერთობის კვალიფიციისათვის) მხოლოდ ს. მ-ის სახელზე სადავო თანხის გადმოგზავნა და ს. მ-ის მიერ ამ თანხის მიღების ფაქტით, არ შეიძლებოდა დადასტურებულიყო მხარეთა შორის სასესხო ვალდებულების არსებობა.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სესხის ზეპირი ხელშეკრულების არსებობაზე მითითებისას სახეზე უნდა იყოს არა მხოლოდ თანხის გადაცემა, არამედ, ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ თანხის მიმღებმა მისი დაბრუნების ვალდებულება იკისრა. სწორედ ამ გარემოების არსებობა განაპირობებს ხელშეკრულებიდან გამომდინარე საპირისპირო ვალდებულების – სესხის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

ამდენად, სასესხო ურთიერთობის სადავოობის შემთხვევაში, სახეზე უნდა იყოს არა მხოლოდ თანხის გადაცემა, არამედ, ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ თანხის მიმღებმა მისი დაბრუნების ვალდებულება იკისრა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის მტკიცების ტვირთს შეადგენდა მოპასუხისათვის თანხის გადაცემის დადასტურება, რაც თავად ვალდებულების არსებობას გულისხმობს (სკ-ის 361-ე მუხლის პირველი ნაწილი) უმართებულოა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიულად დაუსაბუთებელია გასაჩივრებული განჩინება (სსკ-ის 393-ე მუხლი). აღნიშნული გარემოება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ხსენებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

როგორც საქმის მასალებითაა დადგენილი მოსარჩელე – ე. შ-მა, რომელიც რამდენიმე წელი ცხოვრობდა და მუშაობდა იტალიაში, 2010 წელს სოციალური ქსელის („სკაიპი“) მეშვეობით გაიცნო ა-ის რაიონის, სოფელ ა-ში მცხოვრები მოპასუხე – ს. მ-ე. მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ მოსარჩელე ე. შ-ს მოპასუხე ს. მ-ისათვის სხვადასხვა დროს გაგზავნილი აქვს თანხები, სახელდობრ, 2010 წლის 05 აგვისტოს გაგზავნა 104,5 ევრო, 16 სექტემბერს – 54,5 ევრო, 30 სექტემბერს – 1,524 ევრო, 7 ოქტომბერს – 613 ევრო, 14 ოქტომბერს კი, – 2,031 ევრო. მთლიანობაში, გაგზავნილი თანხის ოდენობამ შეადგინა 4,327 ევრო.

დადგენილია, რომ ს. მ-ე გაემგზავრა და გარკვეული პერიოდით იმყოფებოდა იტალიაში.

ე. შ-მა ს. მ-ეს 2013 წლის 18 დეკემბერს სასარჩელო წარმოების წესით მოსთხოვა მის მიერ სხვადასხვა დროს გაგზავნილი თანხების უკან დაბრუნება და სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მიუთითა მხარეებს შორის არსებული სასესხო ურთიერთობა, რომლის შესრულების (თანხის დაბრუნება) ვალდებულება მოპასუხეს ჰქონდა 2011 წლის ბოლომდე. თუმცა საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე არ მიუთითებია, რომ იგი უფლების დაცვის სასარჩელო ფორმის გამოყენებამდე რაიმე ფორმით შეეცადა მოპასუხის მხრიდან სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების (თანხის დაბრუნების) შესრულებას, იმის მიუხედავად, რომ შეს-

რულების ვალდებულებიდან გასული იყო ზუსტად ორი წელიწადი.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით ს. მ-ე არ უარყოფს ე. შ-ისაგან სხვადასხვა დროს თანხის მიღების (იტალიიდან გამოგზავნის) შესახებ ფაქტობრივ გარემოებას, თუმცა სხვაგვარად ხსნის ე. შ-ის მიერ მისთვის გადაცემული (იტალიიდან გამოგზავნილი) თანხების (4327 ევროს) მიზნობრიობას და განმარტავს, „მხარეთა შორის არსებული ახლო (თითქმის ცოლ-ქმრული) ურთიერთობიდან გამომდინარე დაუშვებელი იყო თანხის გადმოცემაზე, როგორც სესხზე საუბარი, ვინაიდან მხრეთა შორის იმჟამად არსებული ახლო ურთიერთობა თავისთავად გამორიცხავდა ამ თანხის უკან დაბრუნებაზე რაიმე ფორმით შეთანხმებას“.

მართლაც საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ე. შ-მა ისე განახორციელა ყველა ფულადი ტრანზაქცია მოპასუხის (კასატორი) სასარგებლოდ, რომ გაგზავნის დანიშნულებად სასესხო ურთიერთობის არსებობაზე არსად მიუთითებია. ყოველივე ეს კი, იმ პირობებში, რომ როგორც მოსარჩელე განმარტავს, თითქოს რომ „მან სოციალური ქსელის („სკაიპი“) მეშვეობით გაიცნო ა-ის რაიონში მცხოვრები ს. მ-ე, რომელსაც სურვილი ჰქონდა გამგზავრებულიყო იტალიაში, რისთვისაც დახმარება სთხოვა ე. შ-ს და ესესხა ფული“, ნაკლებად სავარაუდოა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ საკითხის დადებითად გადაწყვეტა, საფუძვლიანია თუ არა სარჩელი, დამოკიდებულია რამდენიმე პირობის არსებობაზე, მათ შორის: უნდა მოიძებნოს სამართლის ნორმა, რომელიც მიესადაგება განსახილველ შემთხვევას; მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის დადგენის შემდეგ უნდა მოხდეს იმის შემოწმება, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები პასუხობს თუ არა გამოსაყენებელი ნორმის აბსტრაქტულ კომპონენტებს (შემადგენლობას). თუკი არ არსებობს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი ან სარჩელში მითითებული ფაქტები იურიდიულად არ ამართლებენ სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი თავშივე უსაფუძვლოა.

განსახილველ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი კვალიფიკაციისათვის საკასაციო პალატა საჭიროდ მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს ჩუქების სამართალურთიერთობის თავისებურებებზე:

ჩუქების ხელშეკრულებით წარმოშობილი მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის ძირითადი თავისებურება მისი უსასყიდლო ხასიათია, რაც ნიშნავს იმას, რომ მჩუქებელს არა

აქვს უფლება, მოითხოვოს სამაგიერო დაკმაყოფილება მის მიერ გაცემული საჩუქრის გამო. იურიდიული თვალსაზრისით კი, უსასყიდლოა იმაში ვლინდება, რომ საჩუქარი არ არის განსაზღვრული ეკვივალენტურობის მატარებელი და იგი მისი ძირითადი მაკვალიფიცირებელი ნინაპირობაა.

ჩუქების მოტივს, რომელიც ზოგჯერ შეიძლება ანგარები-თაც იყოს განპირობებული, იურიდიული თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ჩუქების მოტივი ძირითადად გამომდინარეობს გამჩუქებლის მხრიდან დასაჩუქრებულის მიმართ არსებული პოზიტიური დამოკიდებულებიდან. ამიტომ, იგი შესაძლებელია, სხვადასხვა მოტივებით იყოს განპირობებული. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩუქების მოტივი ყოველთვის გამომდინარეობს გამჩუქებლის მხრიდან დასაჩუქრებულის მიმართ არსებული პოზიტიური დამოკიდებულებიდან.

ჩუქება ისეთი გარიგებაა, რომელიც ეფუძნება მხარეთა ურთიერთთანხმობას და არა მხოლოდ მჩუქებლის ნებას. დასაჩუქრებულის მიერ საჩუქრის მიღებამდე ჩუქება არ ჩაითვლება ძალაში შესულად, რადგან სამართლებრივი ურთიერთობა ორი ურთიერთგანპირობებული ნების საფუძველზე წარმოიშობა. თითოეული ადამიანი თავისი სამართლებრივი სივრცის გამგებელია და მისი თანხმობის გარეშე არავის აქვს ამ სივრცეში შეღწევის უფლება. ჩუქების შემთხვევაშიც მხარეთა მიერ გამიზნული სამართლებრივი შედეგების მისაღწევად, ადგილი უნდა ჰქონდეს მხარეთა კონსენსუსს. მართალია, ჩუქება მიმართულია ერთი პირიდან მეორეზე საკუთრების უფლების გადაცემისაკენ და ეს ხდება მათ შორის შეთანხმების მიღწევის მომენტიდან, რაც საკუთრების შექმნის საშუალებად აქცევს მას.

განსახილველი დავის არსის შეფასებისას საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომ მოსარჩელეს კეთილგანწყობილი ურთიერთობა გააჩნდა მოპასუხესთან. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ს. მ-ე გამგზავრა და გარკვეული პერიოდი იმყოფებოდა იტალიაში. ასევე დადასტურებულია, რომ სადავო თანხები ს. მ-ეს პერიოდულად ეგზავნებოდა რაიმე საპირისპირო ვალდებულების შესრულების მინიშნების გარეშე. ყოველივე აღნიშნული საკასაციო პალატას აძლევს ლოგიკური, თანმიმდევრული და დასაბუთებული დასკვნის საფუძველს მასზედ, რომ ე. შ-ს გააჩნდა საკმარისი მორალური მოტივები, გამოეხატა ს. მ-ის მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება და აღნიშნული აესახა თუნდაც ჩუქების ხელშეკრულების დადებაში (სკ-ის 524-ე მუხ.), რაც გამოორიცხავს საპასუხო შესრულების ვალდებულებას და თავისთა-

ვად მისი უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლებასაც.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი, რაც მისი გაუქმებისა და შესაბამისად, ე. შ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ფაქტობრივ სამართლებრივი საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავდროულად მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას, ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

მოცემულ შემთხვევაში, ე. შ-ს ს. მ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს საკასაციო საჩივარზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლო ანაზღაურების მიზნით, 495.60 ლარის გადახდა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. ს. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 04 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ე. შ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. ე. შ-ს დაეკისროს ს. მ-ის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით 495.60 ლარის გადახდა;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სენსის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელი  
თანხის ოდენობის განსაზღვრა**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-721-728-2015

15 იანვარი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო  
ფურცლის ნაწილობრივ გაუქმება

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. 2010 წლის 19 ნოემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით, ე. ფ-მა (შემდეგში მსესხებელი, მოსარჩელე, მოვალე ან კასატორი) ე. შ-ასაგან (შემდეგში – პირველი გამსესხებელი, იპოთეკარი ან კრედიტორი) ისესხა – 10 000 აშშ დოლარი, ო. ლ-ისაგან (შემდეგში მეორე გამსესხებელი, იპოთეკარი ან კრედიტორი) – 10 000 აშშ დოლარი, ხოლო ე. ს-ასაგან (შემდეგში მესამე გამსესხებელი, იპოთეკარი ან კრედიტორი) – 15 000 აშშ დოლარი. სესხი გაიცა სამი თვით – 2011 წლის 19 თებერვლამდე. სესხის სარგებელი განისაზღვრა თვიური 5%-ის ოდენობით. ამავე ხელშეკრულებით, ფულადი ვალდებულების შესრულების დაგვიანებისათვის პირგასამტეხლოს სახით განისაზღვრა სესხის ძირითადი თანხის 0.3%, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში – სსკ, 623-ე, 624-ე, 625-ე, 403-ე, 417-ე, 418-ე მუხლები; სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება №...).

2. გაცემული სესხის უზრუნველსაყოფად, იპოთეკით დაიცვინა მსესხებლის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე: ქ. თბილისში, ჩ-ის ქ. №26, არასაცხოვრებელი ფართი: 290.84 კვ.მ. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №... (სსკ-ის 286-ე, 289-ე მუხლის პირველი ნაწილი, 311' მუხლი).

3. მხარეებმა 2013 წლის 05 ოქტომბერს ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის საფუძველზე, 2012 წლის 19 მარტამდე, მსესხებლისაგან პირველ და მეორე გამსესხებლებს მიღებული აქვთ, თითოეულს, თვეში 500 აშშ დოლარი, ხოლო მესამე გამ-

სესხებელს თვეში 750 აშშ დოლარი.

4. სამივე გამსესხებელი (იპოთეკარები) და მსესხებელი შეთანხმდნენ, რომ ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებული ხელშეკრულების საფუძველზე, მსესხებელს გადასახდელი ჰქონდა ძირითადი თანხები პირველი და მეორე გამსესხებლისათვის, თითოეულისათვის 10 000 აშშ დოლარი, ხოლო მესამე გამსესხებლისათვის – 15 000 აშშ დოლარი.

5. 2014 წლის 14 თებერვალს ნოტარიუსმა გასცა №... სააღსრულებო ფურცლები (შემდეგში – ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლები), რომლის მე-7 პუნქტით, მსესხებლის ვალდებულების მოცულობა პირველი და მეორე გამსესხებლების წინაშე, თითოეულის მიმართ, განისაზღვრა შემდეგნაირად: სესხის ძირითადი თანხა – 10 000 აშშ დოლარი, პირგასამტეხლო 30 აშშ დოლარი, სესხის ძირითადი თანხის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 2012 წლის 19 მარტიდან სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად წარდგენამდე; მესამე გამსესხებლის წინაშე კი – სესხის ძირითადი თანხა – 15 000 აშშ დოლარი, პირგასამტეხლო 45 აშშ დოლარი, სესხის ძირითადი თანხის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 2012 წლის 19 მარტიდან სააღსრულებო ფურცლების აღსასრულებლად წარდგენამდე („ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლი მე-5 ნაწილი და მე-40 მუხლი; იხ. სააღსრულებლო ფურცლები).

6. მსესხებელმა სარჩელი აღძრა სამივე გამსესხებლის წინააღმდეგ და მოითხოვა ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლების ნაწილობრივ გაუქმება, კერძოდ: მის მიერ კრედიტორებისათვის გადახდილი თანხების ძირითადი თანხის ანგარიშში ჩათვლა, შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება და პირგასამტეხლოს ვადის ათვლა არა 2012 წლის 19 მარტიდან, არამედ, იმავე წლის 19 ივლისიდან 2014 წლის 14 თებერვლამდე.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით, მსესხებლის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:

7.1. ნაწილობრივ გაუქმდა ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლები, კერძოდ, მსესხებლის მე-7 პუნქტით დადგენილი ვალდებულება ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: პირველი და მეორე გამსესხებლის სასარგებლოდ აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობა, თითოეული მათგანისათვის, განისაზღვრა სესხის ძირითადი თანხით – 10 000 აშშ დოლარი, პირგასამტეხლოს სახით 5 (ხუთი) აშშ დოლარი, სესხის ძირითადი თანხის 0.05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, 2012 წლის 19 მარტიდან სა-



აღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად წარდგენამდე. აგრეთვე, სააღსრულებო ფურცლის გაცემის ხარჯი – 126.72 ლარი.

7.2. მესამე გამსესხებლის სასარგებლოდ აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობამ შეადგინა: სესხის ძირითადი თანხა – 15 000 აშშ დოლარი, პირგასამტეხლო 7.5 აშშ დოლარი, სესხის ძირითადი თანხის 0.05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, 2012 წლის 19 მარტიდან სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად წარდგენამდე. აგრეთვე, სააღსრულებო ფურცლის გაცემის ხარჯი – 126.72 ლარი.

7.3 სხვა ნაწილში ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლები დარჩა უცვლელად.

8. საქალაქო სასამართლომ ამ განჩინების 1-5 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გარდა, დადგენილად მიიჩნია, რომ გამსესხებლებმა მსესხებლისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამივე თვის სარგებელი მიიღეს სრულად, კერძოდ, პირველმა და მეორე გამსესხებელმა, თითოეულმა – 1 500 აშშ დოლარი, ხოლო მესამე გამსესხებელმა – 2 250 აშშ დოლარი.

8.1 საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასებისა და შესწავლის შედეგად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებული ხელშეკრულების საფუძველზე, 2014 წლის 14 თებერვლის მდგომარეობით (ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლების გაცემის თარიღი) მსესხებლის დავალიანება პირველი და მეორე გამსესხებლის წინაშე, თითოეული მათგანის სასარგებლოდ, შეადგენდა სესხის ძირითად თანხას – 10 000 აშშ დოლარს და პირგასამტეხლოს, სესხის ძირითადი თანხის 0.05%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, 2012 წლის 19 მარტიდან სააღსრულებო ფურცლების აღსასრულებლად წარდგენამდე; მესამე გამსესხებლის წინაშე კი – სესხის ძირითად თანხას – 15 000 აშშ დოლარს და პირგასამტეხლოს, სესხის ძირითადი თანხის 0.05%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, 2012 წლის 19 მარტიდან სააღსრულებო ფურცლების აღსასრულებლად წარდგენამდე.

8.2. სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ 2013 წლის 05 ოქტომბრის შეთანხმებით, სამივე გამსესხებელმა (იპოთეკარებმა) და მსესხებელმა განსაზღვრეს, რომ წინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში მითითებული ხელშეკრულების საფუძველზე, ამ უკანასკნელს გადასახდელი ჰქონდა ძირითადი თანხა: პირველი და მეორე გამსესხებლებისათვის, თითოეული მათგანის სასარგებლოდ – 10 000 აშშ დოლარი, მესამე გამსეს-

ხებლისათვის – 15 000 აშშ დოლარი.

8.3. სასამართლომ, 8.2. პუნქტში დასახელებული შეთანხმების საფუძველზე, დადგენილად მიიჩნია ამ განჩინების მე-3 პუნქტში მითითებული თანხების გადახდა. ამავე შეთანხმებით, მხარეებმა წერილობით დააფიქსირეს, რომ 2012 წლის 19 მარტიდან 2013 წლის 19 სექტემბრამდე, სესხის ძირითად თანხასთან ერთად, პირველ და მეორე გამსესხებლებს მისაღები ჰქონდათ, თითოეულ მათგანს – 18 თვეზე 9 000 აშშ დოლარი, ხოლო მესამე გამსესხებელს – 18 თვეზე – 13 500 აშშ დოლარი. მსესხებელს ეს თანხები უნდა გადაეხადა 2013 წლის ოქტომბრის ბოლომდე.

8.4. მხარეთა ახსნა-განმარტებების ურთიერთშეჯერებისა და თანხის გადაცემის შესახებ შედგენილი შეთანხმების შინაარსის გათვალისწინებით, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია მხარეთა შორის შეთანხმების არსებობა, თანხის გადახდის ვადის გადაცილებისათვის პირგასამტეხლოს გადახდის შესახებ. გამსესხებლებისათვის 2012 წლის 19 მარტამდე გადაცემული თანხა სასამართლომ ჯარიმად მიიჩნია. ამის საწინააღმდეგოდ, სასამართლომ არ გაიზიარა მსესხებლის თავდაპირველი განმარტება, რომ გადაცემული თანხა ძირითადი თანხის ანგარიშში იყო გადახდილი.

8.5. სასამართლოს დასკვნით, მსესხებელსა და გამსესხებლებს შორის არ ყოფილა ზეპირსიტყვიერი შეთანხმება, რომლის საფუძველზეც, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამი თვის სარგებლის გარდა, გადახდილი თანხები შეიძლებოდა ჩათვლილიყო ძირითადი თანხის ანგარიშში.

8.6. სასამართლომ მიუთითა, რომ წინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში მითითებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამი თვის სარგებლის გარდა, მხარეთა შეთანხმებით, 2012 წლის 19 მარტამდე მსესხებლის მიერ სამივე გამსესხებლის სასარგებლოდ გადახდილი თანხები ჩაითვალა პირგასამტეხლოს ანგარიშში.

8.7. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გამსესხებლებმა ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლებში, 2012 წლის 19 მარტის შემდეგ, პირგასამტეხლოს სახით გადასახდელ თანხებად განსაზღვრეს არა 2013 წლის 5 ოქტომბრის შეთანხმებით დადგენილი თანხები, არამედ 2010 წლის 19 ნოემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს განაკვეთი, შესაბამისი თანხებით.

8.8. სასამართლომ მიუთითა, რომ მსესხებელს სადავოდ არ გაუხდია, რომ გადახდილი თანხის ასახვა არ მოხდა გამსესხე-

ბელთა მიერ, ასევე, დადგენილია, თუ რა ვალდებულების წილში ჩაითვალა გადახდილი თანხები. რაც შეეხება პირგასამტეხლოს ოდენობას, მისი გაანგარიშება სადავო არ გამხდარა, მითითება მოხდა მხოლოდ მის შეუსაბამოდ დიდ ოდენობაზე.

8.9. საქალაქო სასამართლომ გადანყვეტილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა სსკ-ის 316-ე, 317-ე, 341-ე, 623-ე და 403-ე მუხლებზე.

8.10. სასამართლომ სსკ-ის 341-ე მუხლის განმარტებისას აღნიშნა, რომ ვალის არსებობის აღიარება ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან დამოუკიდებლად ქმნის ახალ მოთხოვნას. ვალის არსებობის აღიარება წარმოშობს შესრულების ვალდებულებას, ხოლო კრედიტორს ანიჭებს მოთხოვნის უფლებას. ამასთან, მოხმობილი ნორმით გათვალისწინებული ვალის აღიარება იმით განსხვავდება ნებისმიერი სხვა ფორმით მოთხოვნის აღიარებისაგან, რომ იგი ახალი ხელშეკრულებაა და არა სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ნების გამოვლენა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ ვალის აღიარება ახალი ხელშეკრულებაა, ამდენად იგი ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილ ყველა პირობას უნდა აკმაყოფილებდეს, პირველ რიგში კი, სსკ – ის 327-ე მუხლის მოთხოვნებს, ანუ მხარეები უნდა შეთანხმდნენ ყველა არსებით პირობაზე. ნებისმიერი დოკუმენტი ან მხარეებს შორის მიმოწერა, სადაც დავალიანების არსებობაა დაფიქსირებული, ვალის აღიარების ხელშეკრულებად ვერ მიიჩნევა, თუ არ ირკვევა, რომ მხარეები შეთანხმდნენ ყველა არსებით პირობაზე (ვალის დაფარვის წესი, ვადა და ა. შ.). ვალის არსებობის აღიარება არის ცალმხრივი და აბსტრაქტული ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ერთი მხარე მეორის სასარგებლოდ დამოუკიდებლად კისრულობს გარკვეული მოქმედებების შესრულებას და, ამდენად, საკმარისია ერთი პირის ნების გამოვლენა. ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულების თავისებურება სწორედ იმაშია, რომ მასში ძველი ვალდებულების შესრულების მზაობა არ იკვეთება. მოთხოვნის აღიარებად მიიჩნევა მხოლოდ მოვალის აქტიური მოქმედებები, რომლებიც ადასტურებენ მის მიერ ვალის აღიარებას. ვალდებული პირის მოვალეობის აღიარებაში იგულისხმება ვალდებული პირის ისეთი მოქმედებები, რითაც გამოხატულია მისი ნება, შეასრულოს ვალდებულება; მოქმედებები, რომლებიც ადასტურებენ თანხის ნაწილის გადახდას ან ვალდებული პირის ნებას, მომავალში ვალდებულებების შესრულების შესახებ ან ამ ვალდებულებების სხვადასხვა პირობებით შესრულების შემოთავაზება. ვალის

აღიარებად მხოლოდ მოვალის ერთმნიშვნელოვანი და ნათლად გამოვლენილი ნება ჩაითვლება. თუ წერილობითი დოკუმენტებიდან ან მისი მოქმედებებიდან ნათლად არ ირკვევა, რომ მოვალე ვალს აღიარებს, ეჭვი მის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. მოვალემ სრულიად ნათლად უნდა აღიაროს ვალის არსებობა.

8.11. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მსესხებელმა (მოსარჩელემ) მსგავსი სახით მოთხოვნა (მოვალეობა) აღიარა და არ არსებობდა სააღსრულებო ფურცლებში ძირითადი თანხის შემცირების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების მატერიალურ – სამართლებრივი საფუძველი.

8.12. სასამართლომ მხედველობაში მიიღო მსესხებლის მიერ 2012 წლის 19 მარტამდე გადახდილი ჯარიმის მოცულობა და მიიჩნია, რომ ამის შემდეგ გადასახდელი პირგასამტეხლოს განაკვეთი – 0.3% ვადაგადაცილებული დღისათვის შეუსაბამოდ მაღალი იყო და უნდა შემცირებულიყო 0.05%-მდე, რადგან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, პირგასამტეხლო უნდა იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული.

9. მსესხებელმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, მოითხოვა მისი გაუქმება და, გადაწყვეტილების შეცვლით, მისი საჩივრის სრულად დაკმაყოფილება.

9.1. მსესხებლის განმარტებით, სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და შეამცირა შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო 0,05%-მდე, რამაც დღეში შეადგინა 10 000 აშშ დოლარზე – 5 აშშ დოლარი, თვეში 150 აშშ დოლარი; 15 000 აშშ დოლარზე – დღეში 7,5 აშშ დოლარი, თვეში 225 აშშ დოლარი; შემცირებული პირგასამტეხლოს 0,05%-ის ათვლა დაიწყო არა 2011 წლის 19 თებერვლიდან, როგორც ეს ხელშეკრულებაშია აღნიშნული, არამედ 2012 წლის 19 მარტიდან 2014 წლის 14 თებერვლამდე, რაც არასწორია, ვინაიდან, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება გაფორმდა 2010 წლის 19 ნოემბერს, ხელშეკრულების ვადად განისაზღვრა სამი თვე – 2011 წლის 19 თებერვლამდე, მხარეებს შორის არ გაგრძელებულა ხელშეკრულება კანონით გათვალისწინებული წერილობითი ფორმით, რომელიც უნდა დარეგისტრირებულიყო საჯარო რეესტრში. შესაბამისად, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ხელშეკრულების ვადის დასრულების დღისათვის, სესხის ძირითად თანხებზე უნდა მომხდარიყო პირგასამტეხლოს დარიცხვა.

9.2. მსესხებლის მითითებით, გასაჩივრებული გადაწყვეტი-

ლებით სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამთვიანი სარგებლის გარდა, 2011 წლის 19 თებერვლიდან 2012 წლის 19 მარტამდე, მსესხებლის მიერ გამსესხებლებისათვის გადახდილი თანხები იყო ჯარიმა, რაც არასწორია, აღნიშნული განმარტება ბუნდოვანია, გაურკვეველია, რას დაემყარა სასამართლოს ამგვარი შეფასება, მით უფრო, ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა ჯარიმას. სასამართლომ 2011 წლის 19 თებერვლიდან 2012 წლის 19 მარტამდე პერიოდისათვის დაიანგარიშა პირგასამტეხლო დღეში 0,16%, რაც ეწინააღმდეგება კანონით ნორმებს და მსგავსი კატეგორიის საქმეებზე არსებულ ერთგვაროვან პრაქტიკას. მსესხებელმა სასამართლოში დედნის სახით წარადგინა ხელწერილი, რომელშიც თითოეული გამსესხებელი საკუთარი ხელით წერს, რომ მიღებული აქვს თანხები 2012 წლის 19 ივლისამდე, რაც მათ სადავოდ არ გაუხდიათ. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, 2012 წლის 19 მარტიდან 2012 წლის 19 ივლისამდე, სამივე გამსესხებლისათვის გადახდილი თანხა – 7000 აშშ დოლარი (პირველი და მეორე გამსესხებლებისთვის, თითოეულის სასარგებლოდ – 2000 აშშ დოლარი, მესამე გამსესხებლისათვის – 3 000 აშშ დოლარი), უსაფუძვლოდ მიაკუთვნა მათ.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებით მსესხებლის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ შეცვლით მიღებული ახალი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები შეიცვალა მხოლოდ პირგასამტეხლოს განსაზღვრის ნაწილში, კერძოდ:

10.1. მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული პირგასამტეხლო 5 (ხუთი) აშშ დოლარის ნაცვლად განისაზღვრა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 1 (ერთი) აშშ დოლარით, ე.ი. პირგასამტეხლოს ოდენობად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე განისაზღვრა ძირითადი თანხის – 10 000 აშშ დოლარის 0,01%-ით;

10.2. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტში პირგასამტეხლო, ნაცვლად 7,5 აშშ დოლარისა, განისაზღვრა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 1,5 აშშ დოლარი, ე.ი. პირგასამტეხლოს ოდენობად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე განისაზღვრა ძირითადი თანხის 15 000 აშშ დოლარის 0,01%.

11. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნები და მსჯელობა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და ამ გარემოებების სამართლებრივ შეფასებასთან დაკავშირებით და დამატებით აღნიშნა: დადგენილია, რომ 2010 წლის 19 ნოემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრუ-

ლების ვადის ამონურვის შემდეგ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლის გარდა, გამსესხებლებს მსესხებლისაგან მიღებული აქვთ გარკვეული ოდენობის თანხები, კერძოდ, სარგებლის გარდა, მსესხებელს პირველი და მეორე გამსესხებლისათვის, თითოეულისათვის გადახდილი აქვს 8 500 აშშ დოლარი, ხოლო მესამე გამსესხებლისათვის – 12 250 აშშ დოლარი. სააპელაციო საჩივრის ძირითადი პრეტენზია სწორედ ამ ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარეობს, როდესაც მსესხებელი აღნიშნავს, რომ მითითებული თანხების გადახდის შემდეგ, მისი დავალიანება პირველი და მეორე გამსესხებლის წინაშე, თითოეულის სასარგებლოდ არის მხოლოდ 1 500 აშშ დოლარი ( $10\,000 - 8\,500 = 1\,500$ ), ნაცვლად 10 000 აშშ დოლარისა, ხოლო მესამე გამსესხებლის წინაშე – 2 250 აშშ დოლარი ( $15\,000 - 12\,250 = 2\,250$ ), ნაცვლად 15 000 აშშ დოლარისა.

12. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მსესხებლის მსჯელობა ძირითადი თანხების ნაწილში ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლების არაკანონიერებასთან დაკავშირებით გასაზიარებელი იქნებოდა, რომ არა გამსესხებელთა მიერ წარმოდგენილი 2013 წლის 5 ოქტომბრის შეთანხმება და აქედან გამომდინარე სამართლებრივი შედეგები.

13. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მე-11 პუნქტში დასახელებული შეთანხმების თარიღზე და დაასკვნა, რომ შეთანხმება მხარეთა შორის გაფორმებულია 2010 წლის 19 ნოემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ვადის ამონურვის და მსესხებლის მიერ სამივე გამსესხებლისათვის თანხების ( $8\,500 - 8\,500$  აშშ დოლარი და  $12\,250$  აშშ დოლარი) გადახდის შემდეგ. მიუხედავად ამისა, მსესხებელი 05.10.2013 წლის შეთანხმებაში მაინც აფიქსირებს, რომ გადასახდელი აქვს 2010 წლის 19 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ძირითადი თანხები (იხ. ამ განჩინების მე-4 პუნქტი). აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ 2010 წლის 19 ნოემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე, მისი სარგებლის გადახდის ვალდებულება მსესხებელს სამივე გამსესხებლის წინაშე შესრულებული აქვს; იმის გამო, რომ ხსენებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ვადა არ გაგრძელებულა, ხელშეკრულების ვადის ამონურვის და სამი თვის სარგებლის გადახდის შემდეგ, მსესხებელს პირველი და მეორე გამსესხებლებისათვის გადახდილი –  $8\,500 - 8\,500$  აშშ დოლარი, მესამე გამსესხებლისათვის კი –  $12\,250$  აშშ დოლარი, შესაბამისი პირგასამტეხლოს გამოკლებით, უნდა ჩათვლიდა ძირითადი თანხების ანგარიშში, თუმცა, 2013 წლის 5 ოქტომბრის შეთან-

ხმებაში მსესხებლის მიერ გამოვლენილი ნება (მიუხედავად მის მიერ ზემოთ მითითებული თანხების გადახდისა), რომ მისი დავალიანება პირველი და მეორე გამსესხებლების წინაშე, თითოეულის სასარგებლოდ კვლავ იყო – 10 000 აშშ დოლარი, მესამე გამსესხებლის წინაშე კი – 15 000 აშშ დოლარი, ფაქტობრივად არის აღიარება, შესაბამისად, 2013 წლის 5 ოქტომბრის მდგომარეობით, გამსესხებელთათვის გადახდილი თანხები, მსესხებლის გამოვლენილი ნებით მიჩნეული იქნა პირგასამტეხლოს და არა ძირითადი თანხის გადახდად.

14. სასამართლომ მიიჩნია, რომ 2013 წლის 5 ოქტომბრის შეთანხმებაში მსესხებლის გამოვლენილი ნება დადასტურებულია თავად მისი ხელმოწერით, რომლის ნამდვილობაც სადავოდ არ გაუხდია. მსესხებლის პოზიცია, აღნიშნული შეთანხმების ზეწოლის შედეგად ხელმოწერის შესახებ, არ არის საკმარისი მის მიერ გამოვლენილი ნების ნაკლის მქონედ მისაჩნევად. მსესხებელს მითითებული გარემოების დასადასტურებლად არათუ მტკიცებულებები, არამედ რაიმე სარწმუნო და დამაჯერებელი დასაბუთებაც კი არ წარმოუდგენია. შესაბამისად, ზემოხსენებული შეთანხმების არარა გარიგებად შეფასების მცდელობა უსაფუძვლოა და აღნიშნული ვერ გამოდგება იმ არგუმენტების საპირწონედ, რასაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაემყარა ძირითადი თანხის ნაწილში დავალიანების ოდენობის სახით.

15. სსკ-ის 420-ე მუხლზე დაყრდნობით, სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია ქვემდგომი სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს შემცირება. სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ მატერიალური ნორმები ადგენს სასამართლოს შესაძლებლობას, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, რათა არ მოხდეს სამოქალაქო ბრუნვისათვის მიუღებელი და არაგონივრული ტვირთის მხარისათვის დაკისრება, რაც, თავის მხრივ, კრედიტორის უსაფუძვლოდ გამდიდრებას გამოიწვევს. შესაბამისად, პირგასამტეხლო უნდა იყოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი, გონივრული და არ შეიძლება მნიშვნელოვნად და შეუსაბამოდ აღემატებოდეს ძირითად დავალიანებას.

16. სასამართლომ მიიჩნია, რომ მსესხებელს გამსესხებელისათვის პირგასამტეხლოს სახით უკვე გადახდილი ჰქონდა თანხები (იხ. ამ განჩინების მე-11 პუნქტი), შესაბამისად, პირგასამტეხლოს მინიმუმამდე შემცირებასთან დაკავშირებით, მსესხებლის პრეტენზია სრულად უნდა ყოფილიყო გათვალის-

წინებული.

17. სასამართლომ საკმარისი დასაბუთებისა და სათანადო მტკიცებულებების არარსებობის გამო, არ გაიზიარა მსესხებლის პრეტენზია, პირგასამტეხლოს დარიცხვის თარიღად 2012 წლის 19 ივლისის განსაზღვრის შესახებ, ნაცვლად იმავე წლის 19 მარტისა.

18. მსესხებელმა საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება, პირგასამტეხლოს ათვლის თარიღისა და ძირითადი თანხის შემცირების ნაწილში და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

19. საკასაციო საჩივარი შემდეგ საფუძვლებს ემყარება:

19.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არასწორად დადგინდა ფაქტობრივი გარემოება, რომ თანხა გადახდილია მხოლოდ 2012 წლის 19 მარტამდე. 2012 წლის 19 ივნისის ხელწერილით დადასტურებულია, რომ მსესხებელს თანხა გადახდილი აქვს 2012 წლის ივლისის ჩათვლით და 2012 წლის 19 ივლისამდე, მას არც ერთი გამსესხებლის ვალი არა აქვს, რასაც არ უარყოფს მონინალმდეგე მხარე (კასატორი უთითებს სხდომის ოქმზე).

19.2. 2013 წლის 5 ოქტომბრის შეთანხმება ბათილია, რადგან იძულებითაა დადებული, მას ხელს არ აწერს მეორე გამსესხებელი, შეთანხმება არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. გამსესხებლები ითხოვდნენ ხელშეკრულების გაფორმებას ნასყიდობა – გამოსყიდვის უფლებით, რაზედაც მსესხებლის (კასატორი) რწმუნებელმა უარი განაცხადა; ამის ნაცვლად, მას ხელი მოაწერინეს შეთანხმებაზე, რომელიც თავად გამსესხებლებმა შეადგინეს

20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2015 წლის 24 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაში მიიღო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსსკ) 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო იმავე წლის 10 სექტემბრის განჩინებით, დასაშვებად ცნო მოხმობილი ნორმის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, როგორც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი საქმე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმების შე-



დეგად, მიიჩნევეს, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია და ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

21. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსთვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამავე კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

22. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს წინამდებარე განჩინების 8.6 და 8.7 ქვეპუნქტებზე, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებზე (იხ. განჩინების 11-13 პუნქტები) და აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის 2010 წლის 19 ნოემბერს ხელმოწერილი სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების სამთვიანი ვადა არ გაგრძელებულა, ამასთან, მხარეთა შორის სადავო არაა, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, სარგებელი მთლიანად აქვს გადახდილი მსესხებელს (სსკ-ის 625-ე მუხლი). „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის შესაბამისად (პირველი და მეხუთე ნაწილები), სააღსრულებო ფურცლის გასაცემად, კრედიტორმა (მისმა უფლებამონაცვლემ) ნოტარიუსს უნდა წარუდგინოს ის სანოტარო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც ითხოვს განმცხადებელი სააღსრულებო ფურცლის გაცემას, ხოლო ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, აღსრულება ხორციელდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. დასახელებული კანონის მე-20 და 21-ე მუხლები არეგულირებენ სააღსრულებო ფურცლის გაცემის საფუძველებს. კერძოდ, 21-ე მუხლის 31 პუნქტით დადგენილია, რომ ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელში, სხვა სავალდებულო რეკვიზიტებს შორის, უნდა მიეთითოს ვალდებუ-

ლების წარმოშობის საფუძველი, მისი შესრულების დრო, აღსასრულებელი ვალდებულების სახე და მოცულობა. საქმის მასალებში განთავსებული სააღსრულებო ფურცლების მიხედვით (იხ. განჩინების მე-5 პუნქტი), ვალდებულების წარმოშობის საფუძველია წინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში დასახელებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, შესაბამისად, თითოეულ მათგანში მითითებულია აღსასრულებელი ვალდებულების სახე და მოცულობა.

23. საკასაციო სასამართლოს დასაბუთებულად მიაჩნია კასატორის არგუმენტები, რომ მის მიერ კრედიტორებისათვის გადახდილი თანხები (იხ. განჩინების მე-9 პუნქტი) უნდა ჩათვლილიყო, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე, ძირითადი თანხის ნაწილში. საკასაციო სასამართლო აღნიშნულ დასკვნამდე მიდის საქმეში განთავსებული 2010 წლის 19 ნოემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების, როგორც ხელშემკრელი მხარეების გამოვლენილი ნების საფუძველზე შეთანხმებული პირობების ანალიზის შედეგად, კერძოდ, გარიგების მონაწილე მხარეები არ შეთანხმებულან ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ, არც სარგებლის გადახდაზე და არც ჯარიმაზე.

24. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს, რომლებიც ასახულია წინამდებარე განჩინების მე-11, მე-12, მე-13 პუნქტებში და განმარტავს, რომ კრედიტორებსა და მოვალეს შორის მარტივი წერილობითი ფორმით ხელმოწერილი შეთანხმება არ არის ახალი გარიგება, რომელიც აბათილებს, იმავე მხარეთა შორის, სანოტარო წესით შედგენილ და დადასტურებულ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებას, ამასთან, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლები გაცემული აქვს სწორედ ამ უკანასკნელი, სანოტარო წესით დამოწმებული, ხელშეკრულების და არა მხარეთა 05.10.2013 შეთანხმების საფუძველზე. აღნიშნული შეთანხმება, თავისი არსით, ბათილი გარიგებაა და ვერ დაადგენს 19.11.2010 წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე აღსასრულებელ ვალდებულებასა და მის მოცულობას, რადგან არ არის ნამდვილი. ამ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო, 05.10.2013 წ. შეთანხმებაზე მსჯელობისას, ბათილ გარიგებად განიხილავს მას, არა მხარეთა ნების გამოვლენის ნამდვილობის საფუძველზე, არამედ იმ არგუმენტაციით, რომ აღსასრულებელი ვალდებულების გადასახდელად, მოვალისათვის მობოჭავი სამართლებრივი საფუძველი გააჩნია 19.11.2010 სანოტარო წესით დადასტურებულ ხელშეკრულებას, რომელშიც

ცვლილებები და დამატებები იგივე ფორმით უნდა შეეტანათ ხელშემკვერელ მხარეებს, რა ფორმითაც იურიდიულად წარმოიშვა მხარეთა შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა და განისაზღვრა ვალდებულების შესრულების ვადა და წესი (სსკ-ის 59-ე მუხლი).

25. საკასაციო სასამართლო, ასევე, არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს, რომელიც უკავშირდება მოვალის მიერ თითქოსდა კრედიტორთა წინაშე არსებული ვალდებულების აღიარებას (იხ. წინამდებარე განჩინების მე-13, მე-14 პუნქტები) და ამავე განჩინების 24-ე პუნქტში განვითარებულ მსჯელობასა და დასკვნებზე მითითებით, განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის 2013 წლის 5 ოქტომბერს ხელმოწერილი შეთანხმება არ შეიძლება განხილული იქნეს ვალის აღიარებად. „სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის თანახმად, იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა (ვალის არსებობის აღიარება), აუცილებელია წერილობითი აღიარება. აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული ვალის არსებობის აღიარება ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან დამოუკიდებლად ახალ მოთხოვნას ქმნის. ვალის არსებობის აღიარება, ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა, სადავოობის შემთხვევაშიც, შესრულების ვალდებულებას წარმოშობს და კრედიტორს მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. ამასთან, ვალის აღიარება იმით განსხვავდება ნებისმიერი სხვა ფორმით გათვალისწინებული მოთხოვნის აღიარებისაგან, რომ იგი ახალი ხელშეკრულებაა და არა სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ნების გამოვლენა. ვალის არსებობის აღიარება არის ცალმხრივი და აბსტრაქტული ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ერთი მხარე მეორე მხარის სასარგებლოდ, დამოუკიდებლად კისრულობს გარკვეული მოქმედებების შესრულებას და, ამდენად, საკმარისია ერთი პირის მიერ ნების გამოვლენა. თუ მხარეები უკვე არსებული ვალდებულების შინაარსიდან გამოდიან ან ადასტურებენ მას, ან მხარეები არსებული ვალდებულების შესასრულებლად ახალი ვალდებულების შესრულებას კისრულობენ, ვალის აღიარებად არ მიიჩნევა. ვალის არსებობის აღიარებას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ იგი დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან და ახალ, დამოუკიდებელ მოთხოვნას წარმოშობს. ამდენად, იგი არ უნდა უკავშირდებოდეს, ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესრულების მოთხოვნას. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები არსებული ვალდებულების შე-

სასრულებლად ახალი ვალდებულების შესრულებას კისრულობენ და აღნიშნული გარიგებით გათვალისწინებული მოთხოვნის მიზანია, ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე, შესრულების მოთხოვნა და ამდენად, ვალის აღიარება არ არსებობს, აღნიშნული ურთიერთობის შეფასებისას, უნდა გავითვალისწინოთ სსკ-ის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადებით აღიარებული ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, რაც გულისხმობს ხელშეკრულების დადების თავისუფლებას და მისი შინაარსის თავისუფლად განსაზღვრის შესაძლებლობას. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის ეს უკანასკნელი ელემენტი, ასევე, გულისხმობს იმასაც, რომ მხარეებს შეუძლიათ, დადონ ნებისმიერი ხელშეკრულება, მათ შორის ისეთიც, რომელიც არ არის კანონით გათვალისწინებული, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას“ (სუსგ №ას-839-890-2011, 08.11.2011წ.).

26. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ მოვალესა და კრედიტორთა შორის 2013 წლის 5 ოქტომბერს ხელმოწერილი შეთანხმება არის მრავალმხრივი გარიგება, სადაც მხარეებმა მათ შორის უკვე არსებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თითქოსდა იკისრეს ძირითადი ვალდებულებიდან (2010 წლის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან) გამომდინარე ურთიერთობის მოწესრიგება, მოვალისადმი შესრულების მოთხოვნის წესის განსაზღვრა, რაც ვერ იქნება განხილული მოვალის მიერ ნების ცალმხრივად გამოვლენის საფუძველზე, ვალის აღიარებად. მოცემულ შემთხვევაში, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, მითითებული გარიგების არანამდვილობაზე მსჯელობისას, საკასაციო სასამართლოს დასკვნა დაემყარა არა მხოლოდ იმ ფაქტობრივ-სამართლებრივ წანამძღვარს, რომ მარტივი წერილობითი გარიგება ვერ შეცვლიდა სანოტარო წესით დადასტურებული ხელშეკრულების პირობებს, არამედ, იმ იურიდიულ საფუძველსაც, რომ გადაწყვეტილების აღსასრულებლად, ნოტარიუსმა სააღსრულებო ფურცლები გასცა არა ბათილი (05.10.2013 წ. შეთანხმება), არამედ ნამდვილი გარიგების აღსასრულებლად.

27. საკასაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული მსჯელობა საფუძველს აცლის სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს (იხ. ამ განჩინების მე-12, მე-13 პუნქტები), რადგან მხარეთა შორის დადებული 2013 წლის 5 ოქტომბრის ბათილი შეთანხმება არ შეიძლება განხილული იქნეს საკასაციო პრეტენზიის უარყოფის საფუძველად, რის გამოც საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის საჩივრის იმ ნაწილს, რომლითაც იგი ითხოვს, 2014 წლის 14 თებერვალს, ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებ-

ბო ფურცლებში, მოვალის მიერ შესასრულებელი ვალდებულების მოცულობის განსაზღვრას სესხის ძირითადი თანხის ნაწილში შემდეგნაირად:

27.1. № ... სააღსრულებო ფურცლის მიხედვით, პირველი კრედიტორის მიმართ – 1500 აშშ დოლარით;

27.2. № ... სააღსრულებო ფურცლის მიხედვით, მეორე კრედიტორის მიმართ – 1500 აშშ დოლარით;

27.3. № ... სააღსრულებო ფურცლის მიხედვით, მესამე კრედიტორის მიმართ – 2 250 აშშ დოლარით.

28. ამ განჩინების 23-26 პუნქტებში მითითებული დასკვნების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ აკმაყოფილებს საჩივარს (იხ. 27-ე პუნქტი).

29. საკასაციო სასამართლოს უსაფუძვლოდ მიაჩნია კასატორის მოთხოვნა პირგასამტეხლოს ათვლის თარიღის ნაწილში, რადგან ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა, საქმისწარმოების ორივე ეტაპზე, მოვალის სასარგებლოდ შეამცირეს პირგასამტეხლო, რითაც ფაქტობრივად საფუძველი გამოეცალა კასატორის საკასაციო პრეტენზიის აღნიშნულ ნაწილს.

30. კასატორი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მიუხედავად ამისა, საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად, მონინალმდეგეებს დაეკისრებათ სახელმწიფო ბაჟის გადახდა (სსსკ-ის 47-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. ე. ფ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 მაისის გადაწყვეტილების ნაწილობრივ შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. 2014 წლის 14 თებერვალს გაცემული (ნოტარიუსი რ. ჩ-ი) სააღსრულებო ფურცლები ნაწილობრივ გაუქმდეს და ე. ფ-ის მიერ შესასრულებელი ვალდებულების მოცულობა სესხის ძირითადი თანხის გადახდის ნაწილში განისაზღვროს შემდეგნაირად:

რად:

3.1. № ... სააღსრულებო ფურცლის მიხედვით, ვ. შ-ას მიმართ – 1 500 (ათას ხუთასი) აშშ დოლარით;

3.2. № ... სააღსრულებო ფურცლის მიხედვით ო. ლ-ის მიმართ – 1 500 (ათას ხუთასი) აშშ დოლარით;

3.3. № ... სააღსრულებო ფურცლის მიხედვით ე. ს-ას მიმართ – 2 250 (ორი ათას ორას ორმოცდაათი) აშშ დოლარით;

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება ე. ფ-ისათვის პირგასამტეხლოსა და სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში დარჩეს უცვლელად.

5. კასატორი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

6. ვ. შ-ას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის, 1 020 (ათას ოცი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის, გადახდა;

7. ო. ლ-ეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის, 1 020 (ათას ოცი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის, გადახდა;

8. ე. ს-ას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის, 1 530 (ათას ხუთას ოცდაათი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა;

9. სახელმწიფო ბაჟი გადახდილ იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 300 773 150;

10. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 6. ნარდობის ხელშეკრულება

### ნარდობის ხელშეკრულების მოძღვა

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-901-851-2015

5 თებერვალი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. 2011 წლის 9 სექტემბერს, შპს „ი-ა“-ს (შემდეგში მოსარჩე-  
ლე ან მენარდე) და სს „ფ-ს“ (შემდეგში მოპასუხე ან შემკვეთი)  
შორის, გაფორმდა ნარდობის ხელშეკრულება №5, რომლის სა-  
ფუძველზეც მხარეები შეთანხმდნენ, რომ მენარდე შეასრუ-  
ლებდა საგზაო სამუშაოებს საკუთარი მუშახელით, მასალითა  
და ტექნიკით. შემკვეთი ვალდებული იქნებოდა, ხელშეკრუ-  
ლებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისათვის,  
მენარდისათვის გადაეხადა შესაბამისი ანაზღაურება, კერძოდ,  
2.50 აშშ დოლარი შესრულებული სამუშაოს ყოველ მ<sup>2</sup>-ში. ხელ-  
შეკრულების ვადა განისაზღვრა მხარეების მიერ ნაკისრი ვალ-  
დებულებების სრულ შესრულებამდე (საქართველოს სამოქალაქო  
კოდექსის, შემდეგში სსკ, 629-ე, 630-ე მუხლები).

2. 2011 წლის 10 სექტემბერს, მხარეებს შორის გაფორმდა  
შეთანხმება წინამდებარე გადაწყვეტილების პირველი პუნქტში  
დადგენილი საზღაურის, 2.50 აშშ დოლარის ცვლილებასთან და-  
კავშირებით, კერძოდ, 10.09.2011 წლიდან 10.11.2011 წლამდე  
შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება – 2.50 აშშ დოლარ-  
ი შეიცვალა და ამ პერიოდში შესრულებული სამუშაოების ღირ-  
ებულება დაანგარიშდებოდა შემცირებული ტარიფით – 1.43  
აშშ დოლარის ექვივალენტით ლარში, ხოლო 10.11.2011 წლიდან,  
ხელშეკრულების ბოლომდე, შესრულებული სამუშაოს ტარიფი  
იქნებოდა, 2.50-ის ნაცვლად, 3.00 აშშ დოლარის ექვივალენტი  
ლარში.

3. 2011 წლის ნოემბერში, მხარეთა შეთანხმებით, მეტეოროლოგიური პირობების გაუარესების გამო, შეჩერდა სამუშაოები ყველა ქვეკონტრაქტორ სანარმოსთან, მათ შორის მენარდესთანაც. ამავე დროს, შემკვეთი მოითხოვდა 2011 წლის 9 სექტემბრის ნარდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას, ტარიფის შემცირების თვალსაზრისით. მენარდე ტარიფის ცვლილებას არ დათანხმდა.

4. შემკვეთმა 2012 წლის თებერვალ-მარტიდან განაახლა სამუშაოები, მათ შორის სამუშაოებიც, რომელიც მენარდეს უნდა შეესრულებინა.

5. მენარდემ 2013 წლის 18 ივნისს სარჩელი აღძრა შემკვეთის წინააღმდეგ და მოითხოვა ზიანის, 82 500 აშშ დოლარის ექვივალენტის ლარში, ანაზღაურება; მან მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა სსკ-ის 629-ე, 394-ე, 411-ე მუხლებზე.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით მენარდის სარჩელი დაკმაყოფილდა.

7. სასამართლომ დადგენილად ცნო წინამდებარე გადაწყვეტილების 1-4 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, მიიჩნია, რომ შემკვეთმა დაარღვია ნარდობის ხელშეკრულების პირობები და გადაწყვეტილების დასაბუთებისას იხელმძღვანელა სსკ-ის 316-ე, 317-ე, 394-ე, 408-ე, 411-ე, 412-ე მუხლებით.

8. სასამართლომ აღნიშნა, რომ 2012 წლის 9 ივლისისა და 9 აგვისტოს წერილებით ირკვეოდა, რომ მენარდემ მიმართა შემკვეთს და მოითხოვა სამუშაოების განახლების ნებართვა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები 2011 წლის ნოემბერში შეჩერდა მხარეთა შეთანხმებით, ხოლო საქმის მასალებით არ დასტურდებოდა მენარდის მიერ სამუშაოს არაჯეროვანი შესრულების ფაქტი. ნარდობის ხელშეკრულების მე-5 პუნქტით დადგენილი იყო ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები. 5.1 პუნქტის თანახმად, შემკვეთს უფლება ჰქონდა, შეენწყვიტა ხელშეკრულება იმ პირობით, რომ შეწყვეტამდე 10 დღით ადრე, წერილობით შეატყობინებდა მენარდეს, ხოლო მენარდეს არ ჰქონდა პრეტენზიის გამოთქმის უფლება.

9. სასამართლომ მიუთითა, რომ მხარეთა განმარტებით დადგინდა შემდეგი: შემკვეთმა 2012 წლის თებერვალ-მარტიდან განაახლა შეჩერებული სამუშაოები და მენარდის მიერ შესასრულებელი სამუშაოები სხვა კომპანიებმა ჩაატარეს. წერილებით,



ასევე სასამართლო სხდომაზე მხარეთა განმარტებებით, დადასტურდა, რომ მხარეთა შორის არსებობდა უთანხმოება შესასრულებელი სამუშაოს ტარიფის შემცირების საკითხთან დაკავშირებით (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი). სასამართლო სხდომაზე, მხარეთა განმარტებებით, გამოიკვეთა, რომ მითითებული საკითხი გახდა ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველი, რისი უფლებაც, სასამართლოს მოსაზრებით, შემკვეთს არ ჰქონდა, ვინაიდან მხარეთა შორის არსებობდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მხარეებს გააჩნდათ გარკვეული უფლებები და ვალდებულებები. მითითებული მოტივით, ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის უფლებამოსილება გათვალისწინებული არ იყო. აღნიშნული გარემოებების გამო, სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ მოპასუხემ უსაფუძვლოდ არ მისცა საშუალება მენარდეს, დაესრულებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები და როგორც მენარმე პირს, მიეღო შესაბამისი მოგება.

10. სასამართლომ განმარტა, რომ ხელშეკრულების 6.1 პუნქტის თანახმად, შემკვეთის ან მენარდის მიერ ნაკისრი ვალდებულების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების ან ერთმანეთისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, დამნაშავე მხარე ვალდებული იყო, მეორე მხარისათვის აენაზღაურებინა მიყენებული ზიანი.

11. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ მიიღო შემოსავალი, რომელიც შპს აუდიტურ-საკონსულტაციო კორპორაცია „ი-ის“ დასკვნის (შემდგომი აუდიტის დასკვნა) შესაბამისად, შეადგენდა 142 043 აშშ დოლარს.

12. შემკვეთმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის უარყოფა იმ დასაბუთებით, რომ:

12.1. მხარეთა შეთანხმება, ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, გაფორმდა 2011 წლის 10 სექტემბერს, ე.ი. ხელშეკრულების დადებიდან მეორე დღეს, რა დროსაც მენარდეს ტექნიკის ქირავნობის შესახებ ან/და მუშა პერსონალთან არცერთი ხელშეკრულება არ ჰქონდა გაფორმებული. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ მენარდე თანახმა იყო, გარკვეული პერიოდი, ემუშავა ნაგებაზე, რადგან შემდეგ, გაზრდილი ტარიფით იმუშავებდა (იხ. ამ გადაწყვეტილების 1-2 პუნქტები), უსაფუძვლო იყო.

12.2. შემკვეთმა 2012 წლის თებერვლის ბოლოს და მარტის

დასაწყისში ყველა ქვეკონტრაქტორ კომპანიასთან განაახლა სამუშაოები, ხოლო მენარდემ (მოსარჩელემ) უარი განაცხადა სამუშაოების გაგრძელებაზე და მხოლოდ 2012 წლის 9 ივლისს გაუჩნდა ამის სურვილი.

12.3. სასამართლომ არასწორად დაადგინა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ თითქოს მენარდის მიერ შესასრულებელი სამუშაოები სხვა კომპანიამ შეასრულა. შემკვეთი იძულებული გახდა, თურქეთიდან შემოეყვანა ტექნიკა საქართველოში და თვითონ დაესრულებინა შპს „ა-ის“ (გენერალური კონტრაქტორი) წინაშე ნაკისრი ვალდებულებები.

12.4. არ არის სწორი სასამართლოს დასკვნა, რომ თითქოს შემკვეთმა დაარღვია ნარდობის ხელშეკრულების პირობები. საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდებოდა, რომ მენარდემ 2012 წლის 27 სექტემბერს წერილით მოსთხოვა შემკვეთს 2011 წლის ნოემბრის თვეში შესრულებული სამუშაოს აღიარება, რითაც საბოლოოდ შეწყვიტა სახელშეკრულებო ურთიერთობა. შემკვეთმა, როგორც კეთილსინდისიერმა კონტრაქტმა, აღნიშნული მოთხოვნა დააკმაყოფილა და გადაუხადა მენარდეს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოსათვის 35 423 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში. სასამართლომ დაუსაბუთებელად გაიზიარა აუდიტის დასკვნა (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-11 პუნქტი), რადგან იგი არაა დამაჯერებელი იყო მასში მითითებული მონაცემების მიხედვით.

12.5. სასამართლო გადაწყვეტილება არ ემყარება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) 244-ე მუხლის მოთხოვნა. მენარდე ზიანის ოდენობას უკავშირებდა შემკვეთის მიერ ნარდობის ხელშეკრულების დარღვევას, რაც არ გამომდინარეობდა საქმის მასალებიდან. მოსარჩელემ, რომლის მტკიცების ტვირთსაც წარმოადგენდა ზიანის მიყენების ფაქტის დადასტურება, სარწმუნო მტკიცებულების წარმოდგენა ვერ უზრუნველყო, რაც უნდა გამხდარიყო სარჩელის უარყოფის საფუძველი. მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებით, სასამართლოს ყურადღება უნდა გაემახვილებინა, შექმნილ ვითარებაში, რამდენად იყო მოსალოდნელი მისი მიღება, არ შეიძლებოდა, შემკვეთს დაკისრებოდა იმის ანაზღაურება, რისი გათვალისწინებაც მას არ შეეძლო.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 1 ივლისის განჩინებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა სამოქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

14. სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ შეფასებებს.

15. სასამართლომ არ გაიზიარა შემკვეთის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მენარდემ უარი განაცხადა სამუშაოების გაგრძელებაზე. სასამართლომ მიუთითა ამ გადაწყვეტილების მე-8 პუნქტში დასახელებულ ფაქტობრივ გარემოებაზე და დაასკვნა, რომ 2012 წლის 9 ივლისის მიმართვის შემდეგ, მხარეები შეხვდნენ ერთმანეთს და შემკვეთმა მენარდეს აცნობა, რომ სამუშაოებს ასრულებდა სხვა კომპანია. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი 17.08.2012 წლის წერილითაც დასტურდებოდა, რომ შემკვეთი გამოთქვამდა თანხმობას, მენარდესთან გაეფორმებინა ახალი ხელშეკრულება, ახალ ფასზე შეთანხმებით.

16. სასამართლომ დაასკვნა, რომ შემკვეთი 2011 წლის 10 სექტემბრის ხელშეკრულებიდან გავიდა, როდესაც სხვა კომპანიას გააგრძელებინა სამუშაოები; არ დასტურდებოდა ის გარემოება, რომ შემკვეთმა დაიცვა ხელშეკრულებიდან გასვლის სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი, მენარდეს ვალდებულება არ დაურღვევია, ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი გახდა შემკვეთის მხრიდან, ამ უკანასკნელისათვის უკეთესი პირობებით, სხვა კომპანიასთან გარიგების დადება. სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული გარემოება არ შეიძლებოდა განხილულიყო ხელშეკრულებიდან გასვლის სსკ-ის 398-ე მუხლით დადგენილ პირობად, ამ ნორმის საფუძველზე მხარეს არ მოეთხოვება ხელშეკრულების პირობების მკაცრად დაცვა, თუ ადგილი აქვს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ხელშეკრულების საფუძველად არსებული გარემოების აშკარა შეცვლას, და მხარეები არ დადებდნენ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა პირობებით, ეს ცვლილება რომ გაეთვალისწინებინათ.

17. სასამართლომ აღნიშნა, რომ ვალდებულების დარღვევის გარეშე, ხელშეკრულებიდან გასვლის წესი, ასევე, დადგენილია სსკ-ის 399-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლის მიხედვით, ნებისმიერ მხარეს შეუძლია, პატივსადავები საფუძველიდან გამომდინარე, უარი თქვას გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე. თავად პატივსადავები საფუძველების განმარტებისას კი, ყურადღება უნდა მიექცეს დაუძლეველი ძალის ფაქტორს და ორმხრივ ინტერესებს. სასამართლომ მიიჩნია, რომ შემკვეთმა დაარღვია კეთილსინდისიერი მხარის ქცევის ვალდებულება, კერძოდ, ის გარემოება, რომ შემკვეთმა აღარ მისცა მენარდეს სამუშაოების გაგრძელების შესაძლებლობა და ისინი დაასრულებინა სხვა კომპანიას. ამ მსჯელობიდან გამომ-

დინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ შემკვეთი, ხელშეკრულებიდან გავიდა ლეგიტიმური საფუძვლის გარეშე და დადგენილი წესის დაუცველად.

18. სასამართლომ არ გაიზიარა შემკვეთის მოსაზრება მოთხოვნის მოცულობასთან დაკავშირებით და, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მსგავსად, იხელმძღვანელა ზიანის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე მენარდის მიერ წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნით და იმაზე მითითებით, რომ აღნიშნული დოკუმენტის საწინააღმდეგო მტკიცებულება მოპასუხეს წარმოდგენილი არ ჰქონდა (სსსკ-ის მე-4, 102-ე, 105-ე მუხლები).

19. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების დასაბუთებისას მიუთითა სსკ-ის 316-ე-317-ე, 394-ე 398-ე-399-ე, 408-ე 411-ე მუხლებზე.

20. შემკვეთმა საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს განჩინება და კასაციის საფუძვლებში (მათ შორის 05.11.2015წ. წარმოდგენილ დაზუსტებულ საკასაციო საჩივარში) მიუთითა:

20.1. სასამართლოს არ გამოუკვლევეა მოსარჩელის მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი, მოდავე მხარეებს შორის არსებული წარდობის სამართლებრივი ურთიერთობა და, აქედან გამომდინარე, მხარეთა ვალდებულებები. სასამართლოს არ უმსჯელია სსკ-ის 636-ე მუხლით დადგენილ უფლებებზე, რომლითაც შემკვეთს ნებისმიერ დროს შეუძლია ხელშეკრულების მოშლა, მაგრამ მენარდისათვის უკვე შესრულებული სამუშაოს და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზანის ანაზღაურების პირობით. ამასთან მხედველობაშია მისაღები ის, რომ მოხმობილი ნორმა ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურებას ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის და არა მიუღებელი შემოსავლისათვის. კასატორი უთითებს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე (სუსგ-ები №ას-459-438-2015, №ას-502-476-2011; №ას-87-82-2010); კასატორი უთითებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას დაშვებულ საპროცესო დარღვევებზე (სსსკ-ის 105-ე მუხლი).

20.2. კასატორის მოსაზრებით, დაუსაბუთებელია მიუღებელ შემოსავალზე მსჯელობა (სსკ-ის 411-ე მუხლი) იმ პირობებში, როცა მენარდის მიერ სამუშაოს შეუსრულებლობის გამო, შემკვეთი იძულებული გახდა, თვითონ დაესრულებინა სამუშაოები. კასატორის განმარტებით, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოთხოვნილი თანხა არის განაცდური მოგება, ანუ ის შემოსავალი, რომელიც არ მიუღია უფლებამოსილ პირს და რომელსაც იგი მიიღებდა ვალდებულება ჯეროვნად

რომ შეესრულებინა. კასატორის მითითებით, მიუღებელი შემოსავალი სავარაუდო შემოსავალია, ამიტომ სასამართლოს ყურადღება უნდა გაემახვილებინა იმ გარემოებაზე, თუ რამდენად იყო შესაძლებელი მისი მიღება, ვინაიდან არ შეიძლება მოვალეს იმის ანაზღაურება დაეკისროს, რისი გათვალისწინებაც მას არ შეეძლო.

20.3. კასატორის მტკიცებით, სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მხარეს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა, რომელიც „მიუღებელია“ ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეულებრივი პრინციპისათვის. ზიანის ანაზღაურების ოდენობა ისე უნდა განისაზღვროს, რომ მას რომელიმე მხარის უსაფუძვლო გამდიდრება არ მოჰყვეს. კასატორს მიაჩნია, რომ ზიანის ანაზღაურების უმნიშვნელოვანეს დათქმას უსაფუძვლო გამდიდრების აკრძალვა წარმოადგენს. ამ პრინციპის მიხედვით, მოვალემ უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელშიც კრედიტორი იქნებოდა, ვალდებულება, რომ ჯეროვნად შესრულებულიყო.

20.4. კასატორი უთითებს ამ გადაწყვეტილების 12.2. ქვეპუნქტში დასახელებულ პრეტენზიაზე, ასევე, 3-4 პუნქტებში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე და აღნიშნავს, რომ მენარდემ, მიუხედავად არაერთი შეთავაზებისა, უარი განაცხადა სამუშაოს გაგრძელებაზე და მხოლოდ 2012 წლის 9 ივლისს, წერილობით მიმართა შემკვეთს, რომლითაც გამოთქვა სურვილი, დაბრუნებოდა სამუშაოს. შემკვეთი შეხვდა მენარდეს და განუმარტა, რომ აღნიშნულ მონაკვეთზე უკვე განახლებული იყო სამუშაოები, პროექტის დროულად დასრულების ვალდებულებიდან გამომდინარე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შემკვეთი თანახმა იყო, მენარდე ანალოგიურ სამუშაოებზე დაესაქმებინა. მხარეთა შორის ვერ შედგა შეთანხმება და იმავე წლის 9 აგვისტოს მენარდემ კვლავ მიმართა შემკვეთს ანალოგიური თხოვნით, რაზეც 2012 წლის 17 აგვისტოს შემკვეთმა უპასუხა, რომ მიუხედავად მენარდის მიერ სამუშაოს დროულად შეუსრულებლობისა, ის თანახმა იყო, სამოქალაქო ბრუნვაში არსებული კონტრაპენდის კეთილსინდისიერებიდან გამომდინარე, მასთან ახალი ხელშეკრულება გაეფორმებინა, რაზეც უარი განაცხადა მენარდემ. საკასაციო საჩივრის ავტორის განმარტებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ მენარდემ ივლისში მოინდომა, რომ განეახლებინა ჯერ კიდევ მარტის თვეში დასაწყები სამუშაო, რაც ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობასა და ნარდობის ხელშეკრულების დარღვევას წარმოადგენდა.

20.5. კასატორი უთითებს იმავე პრეტენზიაზე, რაც დასახელებულია ამ გადანყვეტილების 12.3. ქვეპუნქტში და აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილია 2012 წლის 5 აპრილს დადებული ტექნიკის ქირავნობის ხელშეკრულება, ასევე საბაჟო დეკლარაციები, რომელთა თანახმად, დასტურდება, რომ შემკვეთის მიერ სამუშაოების დასასრულებლად დაქირავებული სპეცტექნიკა, საქართველოში თურქეთიდან შემოვიდა 2012 წლის 19 აპრილს და 25 აპრილს, ხოლო ამ დრომდე შემკვეთი ელოდებოდა მენარდის მიერ ვალდებულების შესრულებას. სასამართლოს მტკიცება, რომ თითქოსდა შემკვეთმა არ მისცა მენარდეს საშუალება, დაესრულებინა სამუშაო, უსაფუძვლოა.

20.6. კასატორის განმარტებით, სასამართლომ არასწორად დაადგინა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ შემკვეთმა დაარღვია ნარდობის ხელშეკრულების პირობები და უთითებს ამ გადანყვეტილების 12.4. ქვეპუნქტში დასახელებულ ფაქტობრივ გარემოებებზე, მათ შორის აუდიტორული დასკვნის დაუსაბუთებლობაზე.

21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი წარმოებაშია მიღებული, სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად, ამავე წლის 26 ნოემბრის განჩინებით კი გადაწყდა, მხარეთა მონაწილეობით, საქმის ზეპირი მოსმენა, იმავე წლის 3 დეკემბერს, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ეტაპზე.

22. ზეპირი მოსმენით დანიშნულ სასამართლო სხდომაზე კასატორმა, მისი საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობისათვის, იმ არგუმენტებზე მიუთითა, რომელიც დასახელებულია ამ გადანყვეტილების მე-20 პუნქტში, აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება განსხვავდება მსგავსი კატეგორიის საქმეებზე უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვეტილებისაგან, კერძოდ, მიუთითა საქმეზე №ას-459-438-2015. მხარეთა შორის არსებული ნარდობის ურთიერთობა სპეციალური ნორმებით რეგულირდება, რაც შესაბამის სამართლებრივ შეფასებას საჭიროებს. შემკვეთმა მენარდეს აუნაზღაურა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

23. კასატორის პროცესუალურმა მოწინააღმდეგემ, მენარდემ აღნიშნა, რომ განსახილველი საქმე არ განსხვავდება უზენაესი სასამართლოს პრაქტიკისაგან და მიუთითა საქმეზე №ას-552-525-2013 (შპს „ბ-ის“ საქმეზე მიღებული გადანყვეტილება), სადაც სასამართლომ, ნარდობის ურთიერთობიდან გამომდინარე, ანალოგიურ საქმეზე მიღებული გადანყვეტილება და-

ასაბუთა სსკ-ის 316-ე, 317-ე, 394-ე, 408-ე, 411-ე და 412-ე მუხლებით; მენარდემ ისიც აღნიშნა, კასატორის მიერ მითითებული საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები არ უკავშირდება განსახილველ დავას. შემკვეთმა მენარდეს დაუსაბუთებლად შეუწყვიტა ხელშეკრულება, არ გააგრძელებინა სამუშაოები, მაშინ როდესაც 3 დოლარიანი ტარიფით იმუშავებდა. მენარდემ ისიც, აღნიშნა, რომ ტარიფზე მხარეთა შეთანხმებით მოხდა ცვლილება, თუ ტარიფი სულ 3 აშშ დოლარი იქნებოდა, ალბათ არ იდავებდნენ, მაგრამ თუ არ მისცემდნენ მენარდეს სამუშაოების დასრულების შესაძლებლობას, ეს იქნებოდა დარღვევა შემკვეთის მხრიდან, რაც წარმოშობს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს, ეს კი მიუღებელ შემოსავალს წარმოადგენს და, განსახილველ დავაში, სწორედ ამას ითხოვს მენარდე. სხდომაზე გამოცხადებული მენარდის დირექტორმა და მისმა წარმომადგენელმა ისიც განმარტეს, რომ შემკვეთისადმი წერილის გაგზავნამდე, მარტის თვეში არაერთხელ მოხდა მხარეთა შეხვედრა შემდგომი ურთიერთობის თაობაზე შეთანხმების მიზნით, რა დროსაც სამუშაოს შესრულების ტარიფებზე საუბარი არ ყოფილა.

24. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 3 დეკემბრის განჩინებით შემკვეთის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და მტკიცებულებების გაანალიზების შედეგად, საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შემკვეთის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი მოტივაციით:

25. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ

არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს დასაბუთებულად მიაჩნია საკასაციო განაცხადი.

26. სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველი დავა ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე უნდა შეფასდეს. მნიშვნელოვანია სამართლებრივი კვალიფიკაცია მიეცეს მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობას, რაც სსკ-ის 629-ე მუხლით რეგულირდება. ნარდობის ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სსკ-ის 636-ე მუხლი შემკვეთის უფლებას ადგენს, უპირობოდ, სამუშაოების დასრულებამდე, ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, საკასაციო სასამართლომ სწორედ 636-ე მუხლზე მსჯელობისას განმარტა: „მოხმობილი ნორმის დეფინიციით, ნარდობის სამართლებრივ ურთიერთობაში უპირატესობა ენიჭება შემკვეთს, რომელსაც უპირობოდ, სამუშაოს დასრულებამდე, ნებისმიერ დროს შეუძლია ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება. მენარდის ინტერესების დასაცავად და მხარეთა შორის უფლებებისა და მოვალეობების გონივრული ბალანსის შესანარჩუნებლად, შემკვეთს ეკისრება ვალდებულება, ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, მენარდეს აუნაზღაუროს შესრულებული სამუშაო, ის რაც ფაქტობრივად შესრულდა და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მოვალეს (მენარდეს) ეკისრება ტვირთი ამტკიცოს, თუ რა ზიანი მიადგა მას ხელშეკრულების მოშლით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსკ-ის 636-ე მუხლში მითითებული ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი არის ფაქტობრივად შესრულებული სამუშაო, რომელიც უნდა აუნაზღაუროს შემკვეთმა მენარდეს და, ასევე, დანახარჯები, რომელიც მოიცავს მენარდის მიერ გაწეულ ისეთ ქმედებებს, რომლებიც უკავშირდება კონკრეტული ნარდობის ხელშეკრულების მიზნებისათვის ადამიანური, თუ ფინანსური რესურსების მოზიდვას, მაგ. ისეთი სპეციფიკური მასალებისა და მოწყობილობების შეძენას, რომელიც მხოლოდ კონკრეტული ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამუშაოებისთვისაა აუცილებელი და შეუძლებელია მათი სხვაგან გამოყენება, მანქანა-დანადგარებისა და ტექნიკური საშუალებების, შესასრულებელი სამუშაო იარაღის დაქირავება, კონკრეტული სპეციალისტების მოწვევა, რაც ნარდობის სამუშაოებისათვის განეულ ფაქტობრივ და იმ დანახარჯებს მოიცავს, რომელსაც, სავარაუდოა, მიიღებდა მენარდე, რადგან სამისოდ განახორციელა გარკვეული ქმედებები“ (სუსგ №ას-697-



663-2015, 15.12. 2015).

27. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფოებრივ სამართლის ფარგლებში მოწესრიგებულ ურთიერთობათა ცალკეულ ნორმებზე: მაგ. ნასყიდობის ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი (სსკ-ის 484-ე მუხლი), რომელიც გარიგების ყოველი მხარისათვის ადგენს შესაძლებლობას, უარი თქვას თავისი ვალდებულების შესრულებაზე, თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მეორე მხარე თავის მოვალეობათა მნიშვნელოვან ნაწილს არ ასრულებს, იქვეა დათქმა უარის თქმის დაუშვებლობაზე; საგულისხმოა, მაგალითად, სხვა ნორმებიც: ხელშეკრულების მოშლა გამჭირავებლის ინიციატივით (სსკ-ის 541-ე მუხლი), დაზღვევის შეწყვეტა ქონების გასხვისებისას (სსკ-ის 835-ე მუხლი), რომელთა მიხედვითაც ურთიერთობის შეწყვეტამდე გარკვეული წინაპირობები უნდა არსებობდეს და იქნეს დაცული. სამოქალაქო კოდექსის ცალკეულ ინსტიტუტებთან შედარებისას და სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ურთიერთობისათვის ამოსავალი პრინციპის – კონრაპტენტთა კეთილსინდისიერების გათვალისწინებით (სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი), შეიძლება ითქვას, რომ ნარდობის სამართლებრივ ურთიერთობაში 636-ე მუხლი არის ის სპეციალური რეგულაცია, რომელსაც არ სჭირდება წინაპირობების დაცვა, რადგან მოხმობილი ნორმის შინაარსს „წინააღმდეგება შემკვეთის იძულება, და ვალდებულება, არ შეუშალოს ხელი მენარდეს სამუშაოების დასრულებაში. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მენარდის მიერ ხელშეკრულების პირობის დაურღვევლობის შემთხვევაშიც კი, შემკვეთს კანონმდებელმა მიაჩნია უფლება, ნებისმიერ დროს მოშალოს ხელშეკრულება, ერთადერთი სპეციალური დათქმა, რომელიც მენარდის ინტერესების დასაცავად არის დადგენილი მოხმობილ ნორმაში, მდგომარეობს შემკვეთის ვალდებულებაში, აუნაზღაუროს კონტრაპტენტს უკვე შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი. სსკ-ის 636-ე მუხლით, კანონმდებელი შემკვეთისათვის ხელშეკრულების მოშლის წინამძღვრებს კი არ აწესებს, არამედ, ამ ნორმის გამოყენების შემთხვევაში, გამაწონასწორებელი სამართლებრივი დაცვითი მექანიზმის სახით, ადგენს შემკვეთის ვალდებულებას, ანუ განსაზღვრავს, თუ რა უნდა აუნაზღაურდეს მენარდეს“ (სუსგ №ას-697-663-2015, 15.12. 2015). აღნიშნული მჯელობისა და დასკვნების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამართლებრივად დაუსაბუთებელია გასაჩივრებული განჩინე-

ბის მსჯელობა და დასკვნები (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-16 და მე-17 პუნქტები), ხოლო კასატორმა დასაბუთებული შედეგება წარმოადგინა. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ქვემდგომი სასამართლოს მსჯელობას, რომ ხელშეკრულებიდან გასვლისას, შემკვეთს უნდა დაეცვა ხელშეკრულებიდან გასვლის სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი (სსკ-ის 398-ე მუხლი), ასევე, სამართლებრივად დაუსაბუთებელია სასამართლოს მითითება პატივსაღები საფუძვლებით ხელშეკრულებიდან გასვლის წესზე (სსკ-ის 399-ე მუხლი), რადგან ვალდებულების დარღვევის ზოგადი დებულებების კონკურენციისას სპეციალურ რეგულაციასთან (სსკ-ის 636-ე მუხლი), სწორედ ეს უკანასკნელი გამოიყენება, ამავე პუნქტში მითითებული საკასაციო სასამართლოს მსჯელობის გათვალისწინებით.

28. სადავო სამართალურთიერთობის სსკ-ის 636-ე ნორმის საფუძველზე შეფასების შედეგად, საფუძველი გამოეცალა, სსკ-ის 411-ე მუხლით გათვალისწინებული, მიუღებელი შემოსავლის სახით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დასაბუთებულობასაც (იხ. ამ გადაწყვეტილების 26-ე და 27 -ე პუნქტები).

29. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ დავაში სამართლებრივად უნდა შეფასდეს მენარდის სასარჩელო მოთხოვნების იურიდიული დასაბუთებულობა, ანუ თუ რამდენადაა ასეთი მოთხოვნა განხორციელებადი. სსსკ-ის 409-ე მუხლზე დაყრდნობითა და იმის გათვალისწინებით, რომ სახეზე არაა სსსკ-ის 412-ე მუხლით დადგენილი წინაპირობები გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა დასაბრუნებლად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება და დააკმაყოფილოს საკასაციო საჩივარი.

30. სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ დავაში არ არსებობს მენარდის სასარგებლოდ დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნის უცვლელად დატოვების სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, საკასაციო სასამართლო აუქმებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 1 ივლისის განჩინებას და, ახალი გადაწყვეტილების მიხედვით, აკმაყოფილებს შემკვეთის საკასაციო საჩივარს, როგორც სამართლებრივად დასაბუთებულს; შესაბამისად, უარყოფილია მენარდის სარჩელი, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 მაისის განჩინების საფუძველზე, შემკვეთის საკუთრებად რიცხულ მოძრავ ნივთებზე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება უქმდება (სსსკ-ის

1991 მუხლი). შემკვეთის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებული სახელმწიფო ბაჟის გადახდა მენარდეს დაეკისრება (სსსკ-ის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 38-ე, 39-ე, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1991-ე, 408.3-ე, 411-ე მუხლებით და

### **ბ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. სს „ფ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 1 ივლისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „ი-ას“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. ყადაღა მოეხსნას სს „ფ-ის“ სახელზე რიცხულ შემდეგ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებს:
  - 4.1. მოდელი B... B...-4, სახელმწიფო ნომერი A..., სარეგისტრაციო მონომბა A..., გამოშვების წელი 2009, საიდენტიფიკაციო ნომერი/შასი 1-9;
  - 4.2. მოდელი B... B...-4, სახელმწიფო ნომერი E..., სარეგისტრაციო მონომბა AL..., გამოშვების წელი 2009, საიდენტიფიკაციო ნომერი/შასი 1-3;
  - 4.3. მოდელი T..., სახელმწიფო ნომერი B..., სარეგისტრაციო მონომბა A..., გამოშვების წელი 2013, საიდენტიფიკაციო ნომერი/შასი J...;
5. შპს „ი-ას“ სს „ფ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯის (სახელმწიფო ბაჟის) 13 963.9 (ცამეტი ათას ცხრაას სამოცდასამი ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი) ლარის გადახდა;
6. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისათვის

## გადაწყვეტილება საქართველოს სასჯელსახელმწიფო

№ას-313-298-2016

17 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაძური

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი სა-  
ფუძვლები:**

1.1. კ. გ-ამ (შემდგომში – მოსარჩელე, მოწინააღმდეგე მხა-  
რე ან შემძენი) სარჩელი აღძრა სასამართლოში ლ. შ-ასა და ლ.  
ჯ-ის (შემდგომში – მოპასუხეები, აპელანტები ან კასატორები)  
მიმართ და მოითხოვა მოპასუხეებისათვის მიყენებული ზიანის  
– 5 750 ლარის სოლიდარულად დაკისრება.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ გარემოებებს: 2013 წლის 24  
მაისს მოსარჩელეს მოპასუხე ლ. ჯ-ე (შემდგომში ასევე გამყიდ-  
ველი) დაპირდა, რომ გამოაცვლევინებდა კუთვნილი ავტომო-  
ბილის ზეთსა და ფილტრს საკუთარ მაღაზიაში, სადაც ასევე  
ენვეიან ამგვარ მომსახურებას. მოპასუხის განმარტებით, გა-  
მოცვლილი მასალები იქნებოდა ხარისხიანი, ხოლო შეცვლის სა-  
მუშაოს, გამყიდველის მითითებითა და დავალებით, შეასრულებ-  
და მისი მომსახურე პერსონალი – ლ. შ-ა. შემძენი და დამონ-  
ტაჟებული ფილტრი აღმოჩნდა უხარისხო, ვერ უზრუნველყო  
საკმარისი რაოდენობის ზეთის გატარება, რის შედეგადაც და-  
ზიანდა მოსარჩელის კუთვნილი ავტომობილის ძრავი, რომლის  
შეკეთებისათვის მოსარჩელეს მოუხდა დიდი ოდენობით ხარ-  
ჯის განევა და მიადგა ზიანი.

**2. მოპასუხეების პოზიცია:**

მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებლით მოპასუხეებმა სარ-  
ჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ მათ ზიანის მიყენებაში ბრა-  
ლი არ მიუძღვით, რადგანაც ავტომობილის ჩამოყვანის შემდგომ  
ძრავს ისედაც ჰქონდა პრობლემა, რის თაობაზეც მოსარჩელემ

თავადვე განაცხადა, გამყიდველმა მოსარჩელეს მხოლოდ ის შესთავაზა, რომ ზეთი გამოეცვალათ მის მაღაზიაში, ფილტრის შერჩევაში მას მონაწილეობა არ მიუღია. მართალია, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა მიუთითებს უხარისხო ფილტრის გამო ძრავის შესაძლო დაზიანებაზე, თუმცა, ამავე დასკვნის კვლევით ნაწილში მითითებულია, რომ ძრავას ემჩნევა ინტენსიური ცვეთის კვალი, ექსპერტის დასკვნა არ არის კატეგორიული. გასათვალისწინებელია, რომ ექსპერტს ძრავა დაშლილი გადაეცა, რაც თავის მხრივ, არ ადასტურებს იმას, რომ საკვლევად სწორედ მოსარჩელის ავტომობილის კუთვნილი ძრავა იქნა გადაცემული, ამასთანავე, გასათვალისწინებელია ექსპერტიზისათვის მიმართვის თარიღი.

### **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

ზუგდიდის რაიონული სასამართლო 2015 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 5750 ლარის, ასევე საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯის ანაზღაურება.

### **4. აპელანტის მოთხოვნა:**

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

### **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 9 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

### **6. კასატორების მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლო განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა, მოითხოვეს მისი, ასევე, გადაწყვეტილების წინმსწრები იმ განჩინებების გაუქმება, რომლითაც მათი შუამდგომლობები არ დაკმაყოფილდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა (იხ. საკასაციო საჩივარი).

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

**1. გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს ავტომობილის ზეთისა და ფილტრის გამოცვლის შედეგად დამდგარი ზიანის გამო მოპასუხეთათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მართლზომიერება. გასაჩივრებული განჩინებით სააკასაციო პალატამ მოსარჩელის მოთხოვნა დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე საფუძვლიანად მიიჩნია, ჩათვალა რა, რომ დაზარალებულმა დაამტკიცა როგორც მოპასუხეთა ბრალეული ქმედება, ისე – მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, ასევე, ფაქტობრივად არსებული ზიანის ოდენობა (სკ-ის 992-ე მუხლი). კასატორები არ ეთანხმებიან გასაჩივრებულ განჩინებას და პრეტენზიას გამოთქვამენ, სასამართლოს მხრიდან, როგორც სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 998-ე მუხლების, ისე საპროცესო კოდექსის 102-ე, 103-ე და 105-ე მუხლების დარღვევის თაობაზე და მიიჩნევენ, რომ ერთი მხრივ, სასამართლომ არასწორად შეაფასა მტკიცებულებები, ხოლო, მეორე მხრივ, დაარღვია მტკიცების ტვირთის განაწილების წესი და არასწორად დაადგინა მოპასუხეთა ბრალეულობის საკითხი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლთან მიმართებით კასატორთა პრეტენზიების შემომწმების მიზნით, პალატა ყურადღებას გაამახვილებს ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილ, დავის განწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

1.1.1. მოპასუხე ლ. ჯ-ე (შემდგომში – გამყიდველი ან მენარდე) ახორციელებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ძრავის ზეთისა და ფილტრის გაყიდვასა და შეცვლას შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ. მის კომერციულ ობიექტში დასაქმებულია ლ. შ-ა (შემდგომში – ქვემენარდე). იგი უშუალოდ ახორციელებს ზეთისა და ფილტრის შერჩევას და შეცვლას დაკვეთის შესაბამისად.

1.1.2. 2013 წლის 24 მაისს გამყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მოსარჩელის ავტომანქანას (მარკა „ლენდ-როვერი“, სახ. №...) ესაჭიროებოდა ზეთის შეცვლის მომსახურება. მხარეები ზეპირად შეთანხმდნენ, რომ ამ მომსახურებას მას გაუწევდა გამყიდველი. ისინი ერთად მივიდნენ ლ. ჯ-ის კუთვნილ მაღაზიაში, სადაც ქვემენარდის კონსულტაციით შეირჩა ზეთი, ფილტრი და შესრულდა ზეთის შეცვლის სამუშაო, რომელიც გამყიდველის მითითებით ლ. შ-ამ შეასრულა. მომსახურების გა-

წევისას გამოყენებულ იქნა ზეთის ფილტრი SCT-SM 5016.

1.1.3. ზეთის გამოცვლის შემდეგ ავტომანქანა გამოვიდა მწყობრიდან და მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო მისი დამოუკიდებლად გადაადგილება. ავტოსერვისში მანქანა მუშა მდგომარეობაში მიიყვანა მოსარჩელემ, მხარეები ვერ შეთანხმდნენ ზიანის მიზეზებზე და შექმნილი უნესრიგობის აღმოფხვრის ხარჯების განაწილებაზე, რის გამოც, ხარჯების განევა მოუხდა და მხოლოდ მოსარჩელეს. განეულმა ხარჯმა შეადგინა 5 750 ლარი.

1.1.4. ავტომობილის დაზიანება განაპირობა ზეთისა და ფილტრის გამოცვლამ. ზეთისა და ფილტრის შეცვლის შემდეგ, მის დაზიანებამდე იგი არ იყო გაყვანილი სამუშაოს შესრულების ადგილიდან, რადგან, დაზიანების გამო, შეუძლებელი გახდა მისი გადაადგილება. შესაბამისად, კ. გ-ას თვითონ არ შეეძლო განეხორციელებინა რაიმე ჩარევა, რაც მისი ბრალით ავტომანქანის გაუმართაობას გამოიწვევდა.

1.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

1.3. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორთა შედავებას ქვემდგომი სასამართლოების მხრიდან მატერიალური სამართლის ნორმის დარღვევის თაობაზე. როგორც წინამდებარე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 1.1. პუნქტში აღინიშნა, პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველად სასამართლომ დელიქტურ ვალდებულებაზე მიუთითა, რაც არასწორია. მართალია, სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იგი პასუხისმგებლობის წარმოშობის ერთ-ერთი საფუძველია, თუმცა, სარჩელში მითითებული და სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილი გარემოებების გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში, დელიქტურ ვალდებულებაზე საუბარი დაუშვებელია, კერძოდ, დადგენილია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ განხორციელებული ქმედება (ზეთისა და ფილტრის შექნა/შეცვლის სამუშაოები) მხარეთა

შეთანხმებით შესრულდა, რაც მათ შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობაზე მიუთითებს. ასეთ შემთხვევაში, მოპასუხეთა პასუხისმგებლობის წარმოშობის წინაპირობების განსაზღვრისათვის უნდა შეფასდეს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები და ამ ურთიერთობის იურიდიული ბუნება, რათა განისაზღვროს მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა და გაირკვეს არსებობს თუ არა ამ ნორმის აბსტრაქტული წინაპირობები. დადგენილად მიჩნეული გარემოებების გათვალისწინებით (იხ. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 1.1.1.-1.1.2. პუნქტები) საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელესა და ლ. ჯ-ეს შორის ზეპირი ფორმით დაიდო ნასყიდობისა და ნარდობის ხელშეკრულებები (სკ-ის 477-ე და 629-ე მუხლები), რომლის ფარგლებშიც გამყიდველმა იკისრა ვალდებულება, შემძენისათვის (მოსარჩელე) გადაეცა ნივთი (ავტომობილის ძრავის ზეთი და ფილტრი) და გაენია მომსახურება. არც მხარეებს მიუთითებიათ და არც სასამართლოს დაუდგენია მოსარჩელის შეთანხმება ქვემენარდესთან, არამედ, დადგენილია, რომ შესრულებაზე პასუხისმგებლობა სწორედ გამყიდველმა იკისრა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილში გამყიდველს ეკისრებოდა უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთის გადაცემის ვალდებულება. სამოქალაქო კოდექსის 488-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეთანხმებული ხარისხისაა. თუ ხარისხი არ არის წინასწარ შეთანხმებული, მაშინ ნივთი უნაკლოდ ჩაითვლება, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის. საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ ზეთის ფილტრი, რომელიც გადაეცა მოსარჩელეს, არ იყო განკუთვნილი მისი ავტომანქანისათვის. ეს გარემოება, საკასაციო პალატის მოსაზრებით, შენაძენის ნივთობრივ ნაკლზე მიუთითებს, თუმცა, ნივთობრივი ნაკლის მქონე ფილტრის გადაცემით მოსარჩელეს ზიანი არ მიდგომია (ამ შემთხვევაში მას წარმოეშვა სამოქალაქო კოდექსის 490-ე და შემდგომი ნორმებით გათვალისწინებული, მათ შორის ხელშეკრულების მოშლის უფლება), არამედ, იგი გამოწვეულია შეძენილი ნივთის დამონტაჟებით (ექსპლუატაციით), რამდენადაც საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ ძრავის გაშვებისას ფილტრმა ვერ გაატარა საკმარისი რაოდენობის ზეთი და ვერ განხორციელდა ძრავის ზედა ნაწილის საკმარისი რაოდენობით შეზეთვა.

1.4. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხარეთა შორის წარ-



მოშობილი სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულება უნდა შესრულებულიყო ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას (სკ-ის 361.2 მუხლი), რაც თავისთავად მოიაზრებდა მენარდის ვალდებულებას, გაეფრთხილებინა შემკვეთი, რომ მისგან მიღებული მასალა უხარისხო და გამოუსადეგარი იყო (სკ-ის 647.1 მუხლი), შესაბამისად, პასუხისმგებლობის საფუძვლის განსაზღვრისათვის, პალატის მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის 647-ე მუხლთან ერთად გამოყენებულ უნდა იქნას ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები. სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლი განსაზღვრავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას ვალდებულების დარღვევისას და ნორმის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის. დასახელებული ნორმა ადგენს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს ვალდებულებით ურთიერთობაში და მოვალეს აკისრებს პასუხისმგებლობას თუკი დადგინდა, რომ მისი ქმედება ბრალეული/მართლსაწინააღმდეგო იყო, მას მოჰყვა ზიანი და არსებობს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

1.5. საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას იმის თაობაზე, რომ საქმის მასალებით გამყიდველის/მენარდის მიმართ მოსარჩელემ შეძლო ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი ყველა წინაპირობის დამტკიცება (ამ ფაქტებთან დაკავშირებით წარმოდგენილ პრეტენზიებზე საკასაციო პალატა იმსჯელებს ქვემოთ).

1.6. რაც შეეხება უშუალოდ ქვემენარდის პასუხისმგებლობას, ამ საკითხის სწორად შეფასების მიზნით, პალატა კვლავ იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ როგორც ნასყიდობის, ისე – ნარდობის ნაწილში შეთანხმება მოსარჩელესა და ლ. ჯ-ეს შორის შედგა, სწორედ ამ უკანასკნელის მითითებით შესასრულა სამუშაო ლ. შ-ამ. მართალია, სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ქვემენარდე ზეთისა და ფილტრის შერჩევაში მონაწილეობდა, თუმცა, საკასაციო პალატის შეფასებით, ეს გარემოება მოსარჩელის წინაშე შემსრულებლის მისი წარმომშობი მაინც ვერ გახდება, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 396-ე მუხლის თანახმად, მოვალემ თავისი კანონიერი წარმომადგენლის და იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით უნ-

და აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს.

1.7. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორთა მოსაზრებას სასამართლოს მხრიდან ექსპერტიზის დასკვნის არასწორი შეფასების თაობაზე და განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი, სამოქალაქო სამართალწარმოების მიზნებისათვის, დადგენილია საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით. ნორმის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, არამედ, სასამართლო დასაშვებად ცნობილ მტკიცებულებებს აფასებს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, რა დროსაც ხდება მათი როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლიობაში შესწავლა, სწორედ ამ გზით არკვევს სასამართლო კონკრეტული მტკიცებულების დამაჯერებლობას, მის იურიდიულ სარწმუნოებას. რაიმე გამოწვევის ამა თუ იმ მტკიცებულების, მათ შორის ექსპერტის დასკვნის მიმართ, დადგენილი არ არის. საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლის თანახმად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით, მაგრამ სასამართლოს უარი დასკვნის მიღებაზე დასაბუთებულ უნდა იქნეს საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში ან განჩინებაში. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ მისი კუთვნილი ნივთის დაზიანების მტკიცების მიზნით წარადგინა ექსპერტის დასკვნა, რომლის თანახმადაც ნივთის (ძრავის) დაზიანება გამოწვეულია ახალდამონტაჟებული ფილტრის მიერ საჭირო რაოდენობის ზეთის გატარების შეუძლებლობით, თავის მხრივ, მოპასუხე მხარის მიერ წარდგენილია ალტერნატიული დასკვნა რომელიც არა საკვლევი მასალის უშუალო შესწავლანალიზს, არამედ თეორიულ საფუძვლებს ემყარება, ხოლო სასამართლოს ინიციატივით დანიშნული ექსპერტიზით კიდევ ერთხელაა დადასტურებული მოსარჩელის მიერ დასკვნაში მითითებული გარემოებების საფუძვლიანობა. საკასაციო პალატა აქვე ვერ გაიზიარებს მხარის აპელირებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის „ბ“ და „დ“ ქვეპუნტებზე, რომელთა საფუძველზეც ეჭვქვეშაა დაყენებული განმეორებითი ექსპერტიზის შედეგები. პალატა განმარტავს, რომ ექსპერტი წარმოდგენს მიუკერძოებელ, ნეიტრალურ პირს, რომელიც ალტურვილია შესაბამისი სპეციალური ცოდნით და სასამართლოს ან დაინტერესებულ პირს საკუთარი ცოდნისა და განხორციელებული კვლევის შედეგად წარუდგენს მოსაზრებას სადავო საკითხის თაობაზე, თავის მხრივ, ექსპერტის მიერ განზრახ არას-

წორი დასკვნის გაცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს, რომლის თაობაზეც, ბუნებრივია, ექსპერტისათვის ცნობილია (სსსკ-ის 166-ე და 168-ე მუხლები), შესაბამისად, მხოლოდ მხარის მითითება, რომ ექსპერტი დაიცავდა ადრე გაცემული დასკვნის სისწორეს, ამ მტკიცებულების გაზიარებაზე უარის თქმის საფუძველი ვერ გახდებოდა. უფრო მეტიც, მხარეს დასაბუთებული შედავება არ წარმოუდგენია იმ გარემოების თაობაზე, რომ მოსარჩელემ ავტომობილი ავტოსერვისში მიიყვანა, ხოლო მომსახურების განევის შემდგომ მისი ექსპლუატაცია შეუძლებელი გახდა. ამ გარემოებათა ერთობლივი კვლევა იძლევა მიზეზობრივი კავშირის თაობაზე გასაჩივრებული განჩინების დასკვნების გაზიარების შესაძლებლობას.

1.8. დაუსაბუთებელია ასევე მხარის მითითება მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების წესისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევის თაობაზე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვისას გამოყენებულ უნდა იქნას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული მტკიცების სტანდარტი, რა დროსაც მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს სარჩელში მითითებული და მოპასუხე მხარის მიერ შედავებული დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, ანუ ვალდებულების ბრალეული დარღვევის იურიდიული შემადგენლობის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრება, რომელმაც, მოცემულ შემთხვევაში, განკუთვნილი მტკიცებულებების წარდგენით დაძლია საკუთარი საპროცესო მოვალეობა, რაც შეეხება მოპასუხეს, მისი მოვალეობა მოსარჩელის მიერ დამტკიცებული ფაქტების გაქარწყლებაა, რომელიც, ბუნებრივია, საქმეში არსებული, მოსარჩელის მიერ წარდგენილის საპირწონე მტკიცებულებებით უნდა განახორციელოს.

1.9. კასატორი მხარე, მართალია, სადავოდ ხდის ზიანის ოდენობის (ხარჯის განევის) ფაქტს და მიუთითებს, რომ მოსარჩელეს არ წარმოუდგენია მოთხოვნილი ოდენობით ხარჯის ფაქტობრივად განევის დამადასტურებელი მტკიცებულება, თუმცა, საკასაციო პალატა ამ შედავებას ვერ დაეთანხმება და აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული წერილობითი შეთანხმებებით დასტურდება, რომ მოსარჩელემ დაზიანებული ნივთის აღდგენისათვის სხვადასხვა გარიგება დადო სხვადასხვა პირთან, რომელთა ნაწილის ანაზღაურება, მართალია, დადასტურებული არ არის, თუმცა, ეს წერილობითი შეთანხმებები მას შესრულების ვალდებულებას წარმოუშობს (სკ-ის 316.1 მუხლი), რაც ხარჯე-

ბის განევის თაობაზე მოსარჩელის მტკიცების გაზიარების საფუძველია. უფრო მეტიც, ვალდებული პირის მიერ არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ფაქტობრივ გარემოებას იმის შესახებ, რომ დაზიანებული ძრავის აღდგენისათვის ამ ოდენობით ხარჯის განევა გადამეტებულია და სარეაბილიტაციო სამუშაოებს არ ესაჭიროებოდა მათ შორის ფ-ა ლ-ს სახელით განეული ხარჯები. სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.

1.10. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევისა და მოთხოვნის დამფუნდებული ნორმების შემადგენელი ფაქტების დამატებით დადგენის წინაპირობა, რის გამოც, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია თავად მიიღოს გადაწყვეტილება დავაზე. განვითარებული მსჯელობისა და მოხმობილი სამართლებრივი საფუძველების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით კ. გ-ას სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს. ხელშეკრულების დარღვევით გამომწვეული ზიანის ანაზღაურება უნდა დაეკისროს ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს – ლ. ჯ-ეს. რაც შეეხება მოთხოვნილი თანხის მოპასუხე ლ. შ-ასათვის სოლიდარულად დაკისრებას, სამოქალაქო კოდექსის 396-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, არ არსებობს ამავე კოდექსის 463-ე-464-ე მუხლებით გათვალისწინებული სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საფუძველი, რაც ლ. შ-ას მიმართ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

1.11. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა. საკასაციო საჩივრით, მართალია, მოთხოვნილია გადაწყვეტილების წინმსწრები ყველა იმ საოქმო გან-

ჩინების გაუქმება, რომლითაც მოპასუხე მხარის შუამდგომლობები არ დაკმაყოფილდა, თუმცა საკასაციო საჩივარი არ შეიცავს კონკრეტულ მითითებას არც ამ განჩინებების და არც მათი გაუქმების საფუძვლების თაობაზე. ამგვარი პრეტენზია კი ეწინააღმდეგება ზემოხსენებული ნორმის შინაარსს, რაც ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

## **2. სასამართლო ხარჯები:**

2.1. საქმის მასალებით დადგენილია, რომ სახელმწიფო ბაჟი ყველა ინსტანციის სასამართლოში გადახდილია, ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად არ არსებობს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ანგარიშსწორების წინაპირობა, რაც შეეხება მხარეთა შორის საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეულ ხარჯს, ირკვევა, რომ მოსარჩელემ სახელმწიფო ბაჟის სახით პირველი ინსტანციის სასამართლოში გადაიხადა 172,5 ლარი, ექსპერტიზის გამო – 230 ლარი, იურიდიული მომსახურებისათვის განეული ხარჯიდან მას აუნაზღაურდა 230 ლარი. მოპასუხეებმა სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ აუნაზღაურეს 230 ლარი, ხოლო საკასაციო საჩივრის გამო – 300 ლარი.

2.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

2.3. საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში განეული ხარჯები უნდა დაეკისროს

ლ. ჯ-ეს, ამასთანავე, ვინაიდან სარჩელი სოლიდარული ვალდებულების დაკისრების ნაწილში უსაფუძვლოა, მოსარჩელეს ლ. შ-ას სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მოპასუხეების მიერ გაღებული ხარჯის ნახევარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 404-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. ლ. შ-ასა და ლ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 9 თებერვლის განჩინება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

3. კ. გ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს:

3.1. ლ. ჯ-ეს კ. გ-ას სასარგებლოდ დაეკისროს 5 750 ლარის გადახდა;

3.2. ლ. შ-ასათვის თანხის სოლიდარულად დაკისრების მოთხოვნის ნაწილში კ. გ-ას უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

4. კასატორების შუამდგომლობა გადაწყვეტილების წინმსწრები განჩინებების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

5. ლ. ჯ-ეს კ. გ-ას სასარგებლოდ დაეკისროს საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯის – 602,5 ლარის, ხოლო კ. გ-ას ლ. შ-ას სასარგებლოდ – 265 ლარის ანაზღაურება.

6. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

7. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# მომსახურების ღირებულების ანაზღაურება

## გადაწყვეტილება საქართველოს სასჯელთმსახურების

№ას-1-1-2016

4 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

1. სს „მ-მა“ (შემდეგში მოსარჩელე, მიმწოდებელი, მენარდე ან მოწინააღმდეგე), 2012 წლის 23 აგვისტოს, მომსახურების მიწოდების ხელშეკრულებით (შემდეგში მომსახურებს ხელშეკრულება), იკისრა ვალდებულება, უზრუნველყო სს „ბ-ასათვის“, რომელიც შემდეგში შეერწყა (იხ. ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან) სს „თ-ს“ (შემდეგში მოპასუხე, მომხმარებელი, შემკვეთი, აპელანტი ან კასატორი), მობილური სატელეფონო მომსახურების მიწოდება მომხმარებლისათვის გამოყოფილ სააბონენტო ნომრებზე, ხელშეკრულების დანართში განსაზღვრული პირობებით, ხოლო მომხმარებელმა იკისრა ვალდებულება, რომ სრულად გადაიხდიდა მომსახურების საფასურს გარიგების პირობების შესაბამისად (იხ. 2012 წლის 23 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულება; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ, 629-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები).

2. გასაწვევი მომსახურების ჩამონათვალი და ტარიფები განისაზღვრა ხელშეკრულების №1 დანართით. მენარდეს შემკვეთთან ანგარიშსწორება უნდა ეწარმოებინა არა უგვიანეს ყოველი საანგარიშო თვის 25 რიცხვისა. ხელშეკრულების შესაბამისად, მენარდეს გამოეყო კორპორატიული სააბონენტო ნომრები, განესაზღვრა სარგებლობის ინდივიდუალური ტარიფები და მომსახურების პირობები.

3. ხელშეკრულების დანართის მიხედვით, აბონენტთა კატეგორიის პირველი ჯგუფისათვის დადგენილი იყო ანგარიშსწორება კორპორატიული ტარიფით განსაზღვრულ თანხაზე და, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ზარებზე და როუ-

მინგულ მომსახურებაზე, ისევე, როგორც სხვა მომსახურებებზე მთლიანად, ხორციელდებოდა მომხმარებლის მიერ შემდგომი გადახდის პირობით.

4. მიმწოდებლისათვის, 2012 წლის 14 ივნისს, გაგზავნილი წერილით დასტურდება, რომ მომხმარებელმა მოითხოვა მის სახელზე რიცხულ ნომერზე – 9....., 25 ივნისამდე, როუმინგის ჩართვა მუდმივად და აღნიშნული აბონენტის მომხმარებელთა პირველ ჯგუფში გადაყვანა; მომხმარებელმა მორიგი 24.08.2012 წერილით, იმავე ნომერზე მოითხოვა აბონენტის პირველ ჯგუფში გადაყვანა, 2012 წლის 27 აგვისტოდან 7 სექტემბრის ჩათვლით.

5. წინამდებარე განჩინების მე-4 პუნქტში მითითებული მოთხოვნები ორივე შემთხვევაში დაკმაყოფილდა და მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისად, მის აბონენტზე რიცხული ნომერი გადავიდა მომსახურების პირველ ჯგუფში და იგი იღებდა როუმინგის მუდმივ მომსახურებას.

6. ამ განჩინების მე-5 პუნქტში მითითებული სატელეფონო ნომრის მფლობელი (შემდეგში აბონენტი) იმყოფებოდა ეგვიპტეში და, დავალიანების წარმოშობის პერიოდი, მის მიერ ეგვიპტეში ყოფნის პერიოდში მიღებულ მომსახურებას უკავშირდება.

7. აბონენტმა ინტერნეტის მოხმარება დაიწყო 2012 წლის 1 სექტემბერს. 3 სექტემბერს, მიმწოდებლის შეტყობინების საფუძველზე, მომხმარებლის მოთხოვნით, აბონენტის სარგებლობაში არსებული სატელეფონო ნომერი გადაყვანილი იქნა კორპორატიული პაკეტის მე-3 ჯგუფში, ხოლო 4 სექტემბერს, აბონენტს დამატებით გაეთიშა GPRS, BlackBerry და როუმინგის სერვისიც.

8. აბონენტის მიერ მოხმარებული როუმინგული მომსახურების ხარჯმა, 2012 წლის 1-დან 3 სექტემბრის ჩათვლით, შეადგინა 50 611 ლარი, ინტერნეტ მოხმარება დაფიქსირდა როგორც დღის, ასევე ღამის (შუალამის) საათებშიც (იხ. ბილინგი).

9. მომხმარებელს მიწოდებული მომსახურების ღირებულება არ გადაუხდია.

10. მიმწოდებელმა, 2014 წლის 4 აპრილს, სარჩელი აღძრა მომხმარებლის წინააღმდეგ და მოითხოვა მისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება – როუმინგული მომსახურების ხარჯის 50 611 ლარის გადახდა. მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი წარადგინა და აღნიშნა, რომ აბონენტის პირველი კატეგორიის მომსახურების ჯგუფში გადაყვანა შემკვეთის თხოვნით მოხდა, თუმცა, მენარდეს არ



წარუდგენია შემკვეთისათვის, ამ უკანასკნელის აბონენტისათვის გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინება, ამასთან, არც დარიცხული დავალიანების შესაბამისი მომსახურება არ მიუღია, მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო როუმინგული კომპანიისაგან ინფორმაციის მიღება იმ საიტების IP მისამართებზე, რომლიდანაც, თითქოსდა მოხდა ინფორმაციის ჩამოტვირთვა და მონაცემთა გაცვლის სერვისით სარგებლობა.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით მიმწოდებლის სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხეს დაეკისრა წინამდებარე განჩინების მე-10 პუნქტში მითითებული თანხის გადახდა.

12. მომხმარებელმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, მიმწოდებლის სარჩელის უარყოფა.

13. სააპელაციო საჩივარი ემყარებოდა შემდეგ არგუმენტებს:

13.1. აბონენტის ნომრით, ტელეფონზე ინტერნეტ როუმინგული მომსახურების მიღება დაიწყო 2012 წლის 1 სექტემბერს და გაითიშა იმავე წლის 4 სექტემბერს, შესაბამისად, 50 611.90 ლარის ღირებულების მომსახურების მიღება აბონენტს უფიქსირდება არა 11 დღის, არამედ არასრული 4 დღის განმავლობაში;

13.2. სასამართლომ უპირობო მტკიცებულებად ჩათვალა მოსარჩელის მიერ წარდგენილი საბილინგო ინფორმაცია, მასში მითითებული უსწორობების გაუთვალისწინებლად, რომელზეც მოპასუხე უთითებდა. მოწმის განმარტებით, მიღებული ინფორმაცია სათანადოდ არ შეფასდა;

13.3. არასწორია სასამართლოს მითითება, რომ აბონენტი ინფორმირებული იყო, ეგვიპტეში ჩასვლისას, ინტერნეტ-როუმინგული მომსახურების სავარაუდო ხარჯის შესახებ, ვინაიდან, მხარე პროცესის მიმდინარეობისას აპელირებდა, რომ პროვაიდერმა არ გააფრთხილა ნომრის მფლობელი მოსალოდნელი ხარჯის შესახებ, რაც მოწმემაც დაადასტურა თავისი განმარტებით. სასამართლომ არ გაითვალისწინა სპეციალისტის განმარტება, რომ ერთი საღამოს განმავლობაში დიდი ოდენობით მობილური ინტერნეტის მოხმარებისას, რაც გამოიხატებოდა ონლაინ რუქების ჩამოტვირთვასა და სანავიგაციო სისტემის მოხმარებაში, რაც ძალიან დიდ ტრაფიკს განაპირობებდა, მას მოუწია 500 ლარის გადახდა;

13.4. სასამართლოს უნდა დაედგინა მთავარი ფაქტი, მიმწოდებელმა გაუნია თუ არა 50 611.90 ლარის ღირებულების მომსახურება კონკრეტული სატელეფონო ნომრით მოსარგებლე აბონენტს. მოსარჩელე ეყრდნობოდა და სასამართლომაც გაიზიარა, მტკიცებულების სახით წარდგენილი საბილინგო ინფორმაცია, რომლის შესაბამისადაც, თითქოს დასტურდებოდა მიმწოდებლის მიერ მომსახურების განევის ფაქტი, თუმცა, აღნიშნული ინფორმაცია შეიცავდა რამდენიმე საეჭვო ჩანაწერს, მაგალითად, ჩამოტვირთული ბაიტების რაოდენობის გრაფაში ხშირად მეორდება ზუსტად ერთი და იმავე მოცულობის ინფორმაციის ჩამოტვირთვის შესახებ ინფორმაცია (მაგ. 10 240 ბაიტი), არცერთი ბაიტით მეტი ან ნაკლები, ინტერნეტში ყოფნის დრო კი, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. იმ შემთხვევის დაშვებითაც კი, რომ ტელეფონით ავტომატურად ხდებოდა განახლების ფაილების ჩამოტვირთვა რომელიმე პროგრამისათვის, ან მომხმარებელი ზუსტად ერთსა და იმავე საიტზე შედიოდა, გამორიცხული იყო, რომ ერთმანეთს ბაიტის სიზუსტით დამთხვეოდა მიღებული ინფორმაციის მოცულობა, ასეთი მნიშვნელოვნად განსხვავებული ინტერნეტ სესიის პირობებში. საბილინგო ინფორმაციაში მოცემული ინტერნეტ სესიის დრო ეწინააღმდეგება საღ აზრს, აბონენტს არასრული 4 დღის განმავლობაში დაახლოებით 41 საათი აქვს გატარებული ინტერნეტში. სააბონენტო ნომრის მფლობელი დასასვენებლად იმყოფებოდა ეგვიპტეში და ყოველგვარ ლოგიკას იყო მოკლებული იმის მტკიცება, რომ იგი დღეში, დაახლოებით, 13 საათს ატარებდა ინტერნეტში;

13.5. პროვაიდერისგან დამოუკიდებლად, მომსახურების ოდენობის აღრიცხვას, ვერ შეძლებდა სააბონენტო ნომრის მფლობელი, თუმცა, მან დაადასტურა, რომ ინტერნეტს მოიხმარდა დღეში, დაახლოებით, ერთი საათი, მაშინ, როცა საბილინგო ინფორმაციით, ეს ციფრი დაახლოებით ცამეტჯერ მეტია;

13.6. მიმწოდებელი არ შენინააღმდეგებია დასასვენებლად წასული პირის მიერ დღეში 13 საათი ინტერნეტში მუშაობის არაგონივრულობას, თუმცა, ამას იმით ხსნიდა, რომ ტელეფონს აქვს საშუალება, ავტომატური განახლებები გააკეთოს და ამით იყო განპირობებული ასეთი „ინტერნეტ ტრაფიკი“.

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2015 წლის 19 ნოემბრის განჩინებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.

15. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამ-

დებარე განჩინების 1-9 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

16. სასამართლომ მიუთითა მომხმარებლის ძირითად პრეტენზიებზე, რომლებიც ბილინგში დაფიქსირებული მონაცემების არაგონივრულობას ეხებოდა და ფაქტობრივ გარემოებას, რომ შეუძლებელი იყო ეგვიპტეში დასასვენებლად მყოფ პირს, სამი დღის მანძილზე, თითქმის 41 საათი გაეტარებინა ინტერნეტში, მათ შორის, შუალამის საათებშიც.

17. სასამართლომ განმარტა, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში: სპეციალური კანონი) მეორე მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად – ბილინგის ინფორმაცია ესაა მომხმარებლისთვის მიწოდებული მომსახურების ან ოპერატორის ქსელის შესაბამისი ელემენტების დატვირთვის (ტრაფიკის) და მათი საოპერაციო რესურსების გარკვეულ პერიოდში გამოყენებული მოცულობის შესახებ მონაცემები, რომელთაც ოპერატორები აწვდიან ერთმანეთს, ან ბოლო მომხმარებელს, ანგარიშსწორების მიზნით;

18. დავის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, საკითხის მართებულად გადასაწყვეტად, სააპელაციო სასამართლომ შეაფასა სპეციალისტების მიერ სასამართლოსათვის მიცემული ახსნა-განმარტებები.

19. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ქვემდგომ სასამართლოში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიიდან მოწვეული სპეციალისტის ა. ლ-ს განმარტებებზე; სპეციალისტმა აღნიშნა, რომ მობილური ტელეფონით ავტომატურად ხდება პროგრამების განახლება, რაც იმას ნიშნავს, რომ ავტომატურად იხარჯება შესაბამისი ინტერნეტ რესურსი. რაც შეეხება “მეილბს“, თუ იგი მხოლოდ ტექსტის შემცველია, მისი გაგზავნა და მიღება ნაკლებ ინტერნეტს მოიხმარს, მაგრამ თუ ტექსტთან ერთად ფაილის მიმაგრებაც ხდება, ასეთ შემთხვევაში, მის გახსნას დიდი ადგილი სჭირდება და, შესაბამისად, ინტერნეტიც მეტი მოცულობით იხარჯება. ასევე, ინტერნეტში ფილმის ყურების შემთხვევაში, ფილმის მიმდინარეობის პარალელურად, შესაძლებელია, გაიხსნას დამატებითი ინტერნეტ სესია, რის გამოც, ასევე დამატებით იხარჯება ინტერნეტ ბაიტები (იხ. საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 დეკემბრის სხდომა ოქმი 17:07:52-17:57:30სთ).

20. მომხმარებლის შუამდგომლობის საფუძველზე, სს „ს-იდან“ მოწვეულმა ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტმა, დ. ი-ემ, სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 16 სექტემბრის სხდომაზე, ბილინგის მონაცემების სანდოობასთან და-

კავშირებით დასმულ შეკითხვაზე, განმარტა, რომ ბილინგის მონაცემები წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე უტყუარ მტკიცებულებას, მასში მონაცემების ასახვა ავტომატიზებული პროცესია და სადგურის მონაცემები ავტომატურად აისახება ბილინგში (იხ. 16.09.2015. სხდომის ოქმი; CD დისკი; 16:48:48; 16:50:16). საქმეში წარდგენილ ბილინგის მონაცემებთან დაკავშირებით, სპეციალისტმა განმარტა, რომ აღნიშნულ ბილინგში არაფერი იყო არარეალური, რადგან შესაძლებელია, ორდღიან პერიოდში უფრო მეტი ინტერნეტის მოხმარებაც მოხდეს, მოხმარებული ინტერნეტი არ შეიძლება განხილული იქნეს არაგონივრულ მოხმარებად, ვინაიდან დრო პირდაპირ არ არის მიბმული ბაიტებზე, ერთი და იგივე ხანგრძლივობის დროში, შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვადასხვა მოცულობის ბაიტი. თუ ზოგადად სისტემა და ბრაუზერი ჩართულია, თუ ინტერნეტი აქტიურია, მომხმარებელი კავშირზეა სადგურთან, თუმცა, შესაძლოა, ამ დროს დაპაუზებული ჰქონდეს სესიის მიმდინარეობა, ან შეიძლება სკაიპი იყოს გახსნილი. ზოგიერთი საიტი მომხმარებლის აქტივობის გარეშეც მოიხმარს ინტერნეტს და ა. შ. (იხ. 16.09.2015. სხდომის ოქმი; CD დისკი; 16:40:16; 16:41:25; 16:44:55; 16:50:57; 16:56:47).

21. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მომხმარებლის პოზიცია, შესაძლო არასანქცირებულ შელწევასთან (ჰაკერობასთან) დაკავშირებით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) 102-ე, 103-ე მუხლებზე მითითებით, სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებაში თითოეული მხარის უფლებრივ ტვირთს წარმოადგენს იმ ფაქტების მითითება და დამტკიცება, რომლითაც მხარეებს სურთ, დაასაბუთონ თავიანთი სასარჩელო მოთხოვნები ან გააქარწყლონ სასარჩელო მოთხოვნათა დასასაბუთებლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. მოცემულ სამოქალაქო დავაში, მხოლოდ მომხმარებლის ახსნა-განმარტებით შეუძლებელია ისეთი ფაქტობრივი გარემოების დადგენა, როგორცაა ქსელში არასანქცირებული შელწევა. მომხმარებელს არ წარუდგენია სათანადო მტკიცებულება სასამართლოსთვის, რომელიც დაადასტურებდა დანაშაულს ან თუნდაც სათანადო ორგანოებისათვის მიმართვას. მომხმარებლის აღნიშნული პოზიცია მხოლოდ თეორიულ შესაძლებლობას ეფუძნებოდა.

22. სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში, იდენტიფიცირებული იყო სატელეფონო ნომერი, რომლითაც აბონენტმა მიიღო მომსახურება, და მომსახურების მიმღები პირიც.

23. სასამართლომ მიუთითა სპეციალისტთა განმარტებებზე, რომ მოცემული ბილინგით შეუძლებელი იყო იმის გაშიფრვა, თუ კონკრეტულად რა მომსახურება მიიღო მომხმარებელმა ინტერნეტით (ეს იყო ფილმის ყურება, მეილების გაგზავნა, თუ სხვ.). სასამართლოს მოსაზრებით, სადავო შემთხვევაში, დავალიანება წარმოიშვა არა სატელეფონო მომსახურების მიღებით (რა დროსაც არაგონივრულობის ფაქტის შეფასება უფრო მარტივია), არამედ ინტერნეტის მომსახურების მიღებით, რა დროსაც ინტერნეტის ხარჯი და, შესაბამისად, თანხის ოდენობაც დამოკიდებულია არა დროის ფაქტორზე, არამედ მოხმარებულ ტრაფიკზე, ბაიტების ოდენობაზე. სს „ს-იდან“ მონვეულმა სპეციალისტმა, მაგალითისთვის განმარტა, რომ ერთი ფილმის ყურებით შეიძლება 30000 ლარის ინტერნეტი დაიხარჯოს, ან ერთი კარგი ხარისხის სურათის გაგზავნით – 30 ლარი და ა. შ.

24. მომხმარებლის ერთ-ერთი პრეტენზია ეხებოდა ბილინგში დაფიქსირებული ერთ-ერთი მონაცემის – 10 240 ბაიტის საეჭვოობას, რადგან ასეთი მონაცემი არაერთხელ მეორედებოდა, ხოლო ზუსტად ერთი და იგივე ბაიტების მოხმარებას დასაფიქრებელია 875 წამი, მეორე შემთხვევაში – 75 წამი და ა. შ. (იხ. ბილინგი). სს „ს-იდან“ მონვეულმა სპეციალისტმა განმარტა, რომ დრო პირდაპირ არ არის მიზმული ბაიტებთან. ერთი სესიის ხანგრძლივობის დროში, შეიძლება სხვადასხვა ბაიტის გამოყენება, ხანგრძლივობას მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია მოცულობა (იხ. 16.09.2015. სხდომის ოქმი; CD დისკი; 16:57:54).

25. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მომხმარებლის პრეტენზია, რომ დავალიანება გაიზარდა იმის გამო, რომ ეგვიპტელი ოპერატორისაგან დროულად არ მოხდა მონაცემების მიწოდება მიმწოდებლისთვის; თუკი შემკვეთს ტექნიკური შესაძლებლობა ექნებოდა, რომ უცხოელი ოპერატორისაგან ყოველ საათში მიეღო მონაცემები, ასეთ შემთხვევაში, დროულად შეუწყვეტდა მომხმარებელს პირველი ჯგუფის მომსახურებას.

26. სასამართლომ აღნიშნა, რომ ბილინგის მონაცემებით დასტურდება 1 სექტემბერს მოხმარებული ინტერნეტის რეგისტრაცია მიმწოდებელთან მოხდა 2-3 სექტემბერს, 2 სექტემბერს მოხმარებული მომსახურება დარეგისტრირდა 3 სექტემბერს, 3 სექტემბერისა კი 4 სექტემბერს. სასამართლომ მიიჩნია, რომ განჩინების 25-ე პუნქტში მითითებული არგუმენტი, არ შეიძლება გახდეს მომხმარებლის დავალიანების გადახდისაგან (ან ნაწილობრივ გადახდისაგან) გათავისუფლების საფუძველი, ვინაიდან

ნაიდან მომსახურების ხელშეკრულებით, მიმწოდებელს არ აუ-  
ღია ასეთი ვალდებულება მომხმარებლის წინაშე, ხოლო რა სა-  
ხელშეკრულებო ვალდებულებები აკავშირებდა მიმწოდებელს  
ეგვიპტელ ოპერატორთან, მოცემული დავის ფარგლებში, ვერ  
იქნებოდა განხილული. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა,  
რომ სწორედ მომხმარებლის მოთხოვნით მოხდა კონკრეტული  
სატელეფონო ნომრის გადაყვანა მომსახურების პირველ ჯგუფ-  
ში და მას მუდმივად ჩაერთო როუმინგი, რითაც მან უკვე გასწია  
გარკვეული რისკი მოსალოდნელ შედეგებზე.

27. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა,  
ქვემდგომ სასამართლოში, მონმედ დაკითხული სააბონენტო  
ნომრის მფლობელი პირის განმარტებაზე, რომელმაც დაადას-  
ტურა, რომ სარგებლობდა მიმწოდებლის როუმინგული მომსა-  
ხურებით. სატელეფონო ნომრის მფლობელი იმყოფებოდა ეგ-  
ვიპტეში და ის ინტერნეტს იყენებდა „მეილების“ გასაგზავნად,  
ასევე, შედიოდა რამდენიმე საიტზე. მონმემ ისიც აღნიშნა, რომ  
ზუსტად არ ახსოვდა, თუმცა, უშვებდა შესაძლებლობას, რომ  
მის მიერ მიღებულ ან გაგზავნილ მეილებს ჰქონდა დანართე-  
ბიც (იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქ-  
მეთა კოლეგიის 2014 წლის 26 დეკემბრის სხდომი ოქმი 16:12:10-  
16:47:50სთ).

28. სასამართლომ, მტკიცების ტვირთის განაწილების სტან-  
დარტით, შეაფასა, მოსარჩელის მიერ წარდგენილი საბილინგო  
ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი ინვოისი, რომლის თა-  
ნახმად, მომხმარებელს გადასახდელი აქვს 50 611.89 ლარი. მიმ-  
წოდებლის მტკიცებულებების საწინააღმდეგოდ, მიმწოდებელს  
სასამართლოში შესაბამისი მტკიცებულება არ წარუდგენია.

29. სასამართლომ არ გაიზიარა მიმწოდებლის პოზიცია იმის  
თაობაზე, რომ ეგვიპტეში ჩასვლისას, სააბონენტო ნომრით მო-  
სარგებლეს გაუგზავნეს გამაფრთხილებელი სმს-ი შემდეგი  
ტექსტით: „გაცნობებთ, რომ ახალი მოდელის მობილურები, ჩარ-  
თული ინტერნეტსერვისის დროს, ავტომატურად უკავშირდე-  
ბიან ინტერნეტს და დავალიანება მნიშვნელოვან თანხებს აღ-  
წევს. ამის თავიდან ასაცილებლად, უცხოეთში როუმინგით სარ-  
გებლობისას ტელეფონში ფუნქცია DATA ROUMING დააყენეთ  
„OFF“. აღნიშნული შეტყობინების გაგზავნის, ან სააბონენტო  
ნომრის მფლობელის მიერ მისი მიღების დამადასტურებელი  
მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება. აღნიშნული არც სააბო-  
ნენტო ნომრის მფლობელს დაუდასტურებია თავისი განმარტე-  
ბისას, როგორც ამას მიუთითებს საქალაქო სასამართლო. საა-  
პელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითებული გარემოება

არ წარმოადგენდა მტკიცების საგანში შემავალ გარემოებას, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა დავაზე სწორი გადაწყვეტილების მისაღებად. სასამართლოს მოსაზრებით, საზღვარგარეთ თანამედროვე ტელეფონებით სარგებლობის წესის განუმარტებლობა არ შეიძლება შეფასდეს, მომხმარებელთა უფლებების დარღვევად.

30. სააპელაციო სასამართლომ საკუთარი განჩინება დააფუძნა სსკ-ის 316-ე, 317-ე, 361-ე, 629-ე მუხლებზე.

31. მომხმარებელმა, საკასაციო წესით, გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 19 ნოემბრის განჩინება, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, მიმწოდებლის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

32. საკასაციო საჩივარი ძირითადად იმეორებს სააპელაციო საჩივრის პრეტენზიებს (იხ. ამ განჩინების მე-13 პუნქტი) და უთითებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „გ“ პუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლებზე;

32.1. კასატორის მოსაზრებით, სადავო საკითხი რთული და აქტუალურია, მომხმარებლის ინტერესების დაცვას ეხება, რადროსაც შესაფასებელია გონივრულობის ფარგლები. ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით, აუცილებელია განსახილველ საქმეზე შესაბამისი ნორმების განმარტება და უზენაესი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

32.2. კასატორი უთითებს სასამართლოს მიერ დასადგენ მთავარ ფაქტზე – მოხდა თუ არა ორ არასრულ კალენდარულ დღეში (01.09.2012 – 03.09.2012) მიმწოდებლის მიერ 50 611.90 ლარის ღირებულების მომსახურების განევა. საბილინგო ინფორმაციის გარდა, სხვა რაიმე სახის მტკიცებულება საქმეში არ არის წარმოდგენილი და გასაჩივრებული გადაწყვეტილება მხოლოდ ამ დოკუმენტის უტყუარობაზეა დამყარებული;

32.3. ქვემდგომმა სასამართლოებმა არ შეაფასეს, სამი დღის ვადაში მოხმარებული მეგაბაიტების მოცულობა მის ღირებულებასთან, რამდენად განჭვრეტადი იყო მომხმარებლისათვის შესაძლო რისკები და რა ზომები მიიღო მომსახურების გამწევა იმისთვის, რომ მომხმარებელს მიეღო ინფორმაცია შესაძლო შედეგის თაობაზე;

32.4. სასამართლომ არ ჩათვალა წარდგენილი საბილინგო ინფორმაცია საეჭვოდ და მთლიანად დადასტურებულად მიიჩნია

მასში ასახული ინფორმაცია. სააპელაციო სასამართლოს შეფასებაზე (იხ. წინამდებარე განჩინების 23-ე პუნქტი) მითითებით, კასატორი აღნიშნავს, რომ საბილინგო ინფორმაციით არ დასტურდება ყოველი კონკრეტული IP მისამართზე შესვლისას, რა ოდენობის მეგაბაიტები იქნა გამოყენებული. სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია, რამდენად გონივრულია მოხმარებული ბაიტების მოცულობის გონივრულობა დროსთან და ღირებულებასთან მიმართებით, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია მომხმარებელთა უფლებების დაცვისათვის, მაშინ, როცა კანონმდებლობა აღნიშნულს პირდაპირ ავალდებულებს პროვაიდერს (იხ. „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის №3 დადგენილების (შემდეგში: კომუნიკაციების კომისიის №3 დადგენილება) 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი – „მომსახურების მიწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს შეთავაზებული მომსახურების ადეკვატურობა მიღებულთან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიიღოს შესაბამისი ზომები შეუსაბამობის დროული, ჯეროვანი, სრული აღკვეთის მიზნით“);

32.5. მომხმარებელი არ იყო ინფორმირებული, SMS შეტყობინებით, საზღვრის გადაკვეთის შემთხვევაში, ტარიფების შესახებ. მიმწოდებელს არ წარმოუდგენია საამისო მტკიცებულება, რაც არ გაიზიარეს ქვემდგომმა სასამართლოებმა, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ვალდებულება ეკისრება პროვაიდერს /ოპერატორს/ (იხ. კომუნიკაციების კომისიის №3 დადგენილების 10(5) მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, ასევე „ვ“ ქვეპუნქტი). მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენდა მტკიცების საგანში შემავალ გარემოებას, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მოცემულ დავაზე სწორი გადაწყვეტილების მისაღებად; საზღვარგარეთ თანამედროვე ტელეფონებით სარგებლობის წესის განუმარტებლობა არ შეიძლებოდა შეფასებულიყო მომხმარებელთა უფლებების დარღვევად (იხ. განჩინების 29-ე პუნქტი). ეს წესი, მომხმარებლის უფლებების დაცვას ემსახურება, რათა არიდებული იქნეს (ტარიფის გაზრდის შემთხვევაში) მომხმარებლისათვის არასასურველი (მისთვის უცხო და მიუღებელი) ხარჯები. ეს წესი არ დაიცვა თავად მოსარჩელემ, რაც არსებითი გარემოებაა კონკრეტულ შემთხვევაში. მითითებული დადგენილების 10(5)-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით განისაზღვრება, რომ მომსახურების მიმწოდებე-



ლი უზრუნველყოფს მომხმარებლის მიერ როუმინგული მომსახურების მიღების ქვეყანაში მოქმედი საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაციის მომხმარებლისათვის მიწოდებას. თუმცა, მოსარჩელემ ეს ვალდებულება არ შეასრულა;

32.6. სააპელაციო სასამართლომ უგულვებელყო ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტი, მომსახურების გამწვევის მიერ შეტყობინების მნიშვნელობა და აუცილებელია, საკასაციო სასამართლომ იმსჯელოს აღნიშნულ გარემოებაზე. მიმწოდებელი აცხადებს, რომ ეგვიპტეში ჩასვლისას, მომხმარებელს გაეგზავნა შეტყობინება. აღნიშნული განცხადებით მიმწოდებელმა ფაქტიურად, აღიარა, რომ მას გააჩნდა შესაბამისი შეტყობინების გაგზავნისა და მომხმარებლის გაფრთხილების ვალდებულება. თუკი როუმინგული მომსახურების გამოყენება მსგავსი საფრთხის შემცველი გახლდათ მომხმარებლისათვის და მას შესაძლოა განეცადა სერიოზული დანაკარგი, მიმწოდებელს, როგორც სპეციალური მომსახურების განმახორციელებელ პირს, რომელსაც გააჩნია ინფორმაცია ამ სფეროში არსებული რისკების შესახებ, უნდა გაეფრთხილებინა მომხმარებელი და მიეცა მისთვის საშუალება, თავიდან აეცილებინა აღნიშნული რისკები;

32.7. კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზეც, რომ მიმწოდებლის წარმომადგენელი დაუკავშირდა მომხმარებლის წარმომადგენელს, შეატყობინა როუმინგული მომსახურების საფასურის – 3000 ლარის დარიცხვა და შესთავაზა აღნიშნული მომსახურების გათიშვა, რაც, მომხმარებლის მტკიცებით, ცხადყოფს, რომ მიმწოდებლისათვის მოულოდნელი გახლდათ 3000 ლარის მომსახურების მიღებაც კი, რომ არაფერი ვთქვათ, 50 612 ლარზე, რომლის გახარჯვაც მომხმარებელმა, თითქოსდა, 41 საათში მოახერხა;

32.8. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორის მტკიცებით, მიმწოდებელმა დაარღვია მომხმარებლის რისკებისგან დაცვის თაობაზე, მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება, რა ფაქტსაც სააპელაციო სასამართლო უგულვებელყოფს. მნიშვნელოვანია, საკასაციო სასამართლომ შეაფასოს, თუ რამდენად იყო განჭვრეტადი მომხმარებლისთვის შესაძლო შედეგები, მაშინ, როდესაც მას არანაირი შეტყობინება არ მიუღია შესაძლო რისკების თაობაზე, ამასთან, რამდენად არის გონივრული საბილინგო ინფორმაციით მოწოდებული ვალდებულების ოდენობა;

32.9. უდავოა, რომ სააბონენტო ნომერი მომსახურების პირველ ჯგუფში გადაიყვანა მიმწოდებელმა და მომხმარებელს

ულიმიტოდ ჩაუერთო როუმინგი. კასატორის მოსაზრებით, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მომსახურების გამწვევს არ უნდა მიეღო ყველა ზომა იმისათვის, რომ მიენოდებინა ინფორმაცია, რა სახის რისკის შემცველი შეიძლება ყოფილიყო როუმინგის გამოყენება. „ულიმიტობა“ უნდა შეფასდეს გონივრულ ფარგლებში, რაზეც ქვემდგომ სასამართლოებს არ უმსჯელიათ. უზენაესმა სასამართლომ უნდა განმარტოს, რათა დაცული იქნეს მომხმარებლის უფლება, რომელიც ვერ განჭვრეტდა, თუ რა მნიშვნელოვანი დანახარჯი შეიძლება გამოეწვია 01.09.2012-03.09.2012 პერიოდში, აბონენტის მიერ როუმინგის გამოყენებას;

32.10. საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2011 წლის 17 ოქტომბრის №ას-1019-1050-2011 გადაწყვეტილებით, სატელეფონო და ინტერნეტ მომსახურების ხელშეკრულებას განმარტავს, როგორც ნარდობის ხელშეკრულებას და აცხადებს, რომ თუ სახეზე არ არის სამუშაოს შესრულების ფაქტი, არ წარმოიშობა შეთანხმებული საზღაურის გადახდის ვალდებულება. იმავე გადაწყვეტილებით, უზენაესმა სასამართლომ სადავო ზარების კონკრეტული ნუმერაციის რესურსის (სატელეფონო ნომრის) იდენტიფიცირების შეუძლებლობა ჩათვალა იმდენად მნიშვნელოვან გარემოებად, რომ სატელეფონო მომსახურების განწვევის ფაქტი არ ჩათვალა დადგენილად და არ დააკისრა მხარეს მომსახურების საფასურის გადახდა;

32.11. მიმწოდებლის მიერ მომხმარებლისათვის გაგზავნილი ამონაწერი არასრულყოფილია, მასში მითითებული არ არის ინტერნეტ-სესიის დასრულების დრო, საიტები, საიდანაც მოხდა ინფორმაციის ჩამოტვირთვა, ასევე გამოყენებული ინფორმაციის მოცულობა (მბ) (იხ. ხელშეკრულების დანართი 1). აღნიშნული ინფორმაცია არ არის იდენტიფიცირებული და, როგორც ფაქტობრივი გარემოებებითა და კასატორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით ირკვევა, არც არსებობს მათი იდენტიფიცირების საშუალება, რამდენადაც აღნიშნული ინფორმაციის აღრიცხვა მოსარჩელეს არ განუხორციელებია. აღნიშნულს, ასევე, ადასტურებს ელექტრონული კორესპონდენცია მიმწოდებელსა და ეგვიპტის ოპერატორს შორის, რომ, ფაქტობრივად, შეუძლებელია სავარაუდოდ მოხმარებული ვებ-საიტების იდენტიფიცირება, მაშინ, როცა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, მიაწოდოს მომხმარებელს დეტალური ამონაწერი განწერილი მომსახურების შესახებ;

32.12. ამონაწერით დასტურდება, რომ როუმინგული დარიცხვა დაიწყო 01.09.2012, 10:45:36 და დასრულდა 03.09.2012,

03:29:08. ამასთან აღსანიშნავია, რომ არასრულ 41 საათში (ზუსტად 40:43:32, ანუ 2444 წუთი) აბონენტს დაერიცხა 50 612 ლარი (ანუ უწყვეტად წუთში ხარჯი შეადგენდა საშუალოდ 21 ლარს), თუმცა, IP მისამართების აღურიცხაობის გამო, მომხმარებლის მიერ შეუძლებელია იდენტიფიცირება, მიიღო თუ არა მან კონკრეტული მომსახურება;

32.13. კომუნიკაციების კომისიის №3 დადგენილების მე-20 მუხლის თანახმად, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში, მიწოდებულ ანგარიშს თან დაურთოს ინფორმაცია საანგარიშო პერიოდის შესაბამისი მომსახურების სახის, ტარიფის, თარიღის, მომსახურების განევის დროის, დროის ხანგრძლივობის (წუთობრივად), შემოღებული და გამავალი ზარების ნომრების შესახებ. თუ აღნიშნული წესი პირდაპირ გამოიყენება სატელეფონო ზარების შემთხვევაში, ანალოგიურად უნდა გამოიყენებოდეს ინტერნეტ მომსახურების პირობებშიც და ზარების ნომრების ნაცვლად უნდა მოიაზრობოდეს ინტერნეტ ნებ გვერდის (IP მისამართების) ჩამონათვალი. აღნიშნული შესაძლებლობა და ვალდებულება ოპერატორს გააჩნია, ასევე, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ნოემბრის №355 დადგენილებით „ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების დამტკიცების შესახებ“;

32.14. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია სრულად მოსარჩელის მიერ წარდგენილი ამონაწერის შესაბამისობა კანონმდებლობასთან. მან არ ჩათვალა არსებითად გარემოება, რომ ამონაწერი არ მოიცავს მნიშვნელოვან მონაცემებს მომსახურების ტარიფის, ასევე, შესაძლოდ გამოყენებული, ან ავტომატურად მიმართვადი ინტერნეტ ვებ გვერდების მონაცემების შესახებ. შესაბამისად, უცნობი რჩება, თუ რა ინტერნეტ მომსახურების საფუძველზე დაერიცხა მომხმარებელს 2 არასრულ დღეში უზარმაზარი თანხა, რაც სააპელაციო სასამართლომ უმნიშვნელო გარემოებად შეაფასა;

32.15. სსკ-ის 361-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას. კომუნიკაციების კომისიის №3 დადგენილების 25-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, მიიღოს ზომები მომხმარებელთა დასაცავად მომსახურებით გამოწვეული ნებისმიერი შესაძლო რისკისგან. მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოს მომხმარებელი საფილტრო პროგრამით; საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავის 2012 წლის 1 ნოემბრის №ას-1131-1062-2012 გადაწყვეტილებაში განმარ-

ტა, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში სწორედ პროვაიდერს (მოსარჩელეს) ეკისრება ვალდებულება ქსელის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. ვინაიდან ის არის სპეციფიკური მომსახურების განმახორციელებელი პირი და მას აქვს ინფორმაცია ამ სფეროში არსებული რისკების შესახებ და საშუალება ამ რისკების აღსაკვეთად. იგი ვალდებული იყო, თუნდაც მცირე საფრთხეების შესახებ ინფორმაცია მიენოდებინა მოპასუხისათვის“;

32.16. მომხმარებელს სრული უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია წარმოებული მომსახურების შესახებ. მიუხედავად მრავალგზის მცდელობისა, მოსარჩელის მხრიდან ვერ იქნა მიღებული ინფორმაცია გამოყენებული ვებ გვერდების შესახებ. წარდგენილია მხოლოდ სარჩელზე თანდართული ამონაწერი, რომელიც სააპელაციო სასამართლომ უტყუარ მტკიცებულებად მიიჩნია, თუმცა, აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია სრულად არ შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს, კერძოდ, კომუნიკაციების კომისიის №3 დადგენილების მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტს. აღნიშნული ნორმის თანახმად, პროვაიდერი ვალდებულია, წარმოადგინოს ინფორმაცია საანგარიშო პერიოდის შესაბამისი მომსახურების სახის, ტარიფის, თარიღის მომსახურების განევის დროის, დროის ხანგრძლივობის, გამავალი ზარების ნომრების შესახებ, ხოლო მომსახურების მიმწოდებლის მიერ დადგენილი საფასურის, რომელიც უნდა იყოს ხარჯებზე ორიენტირებული გადახდის შემთხვევაში – შემომავალი ზარებისა და არასაანგარიშო პერიოდის დეტალური ანგარიში;

32.17. პროვაიდერის მიერ წარმოდგენილ ამონაწერში არსებული მონაცემები არაზუსტია. მოყვანილი წუთობრივი მონაცემები, ყოველ ერთეულ შემთხვევაზე, განსხვავებული თანხით არის დატვირთული. აღნიშნული აიხსნება იმით, რომ დროის სხვადასხვა მონაკვეთში ინტერნეტით მომსახურების ტარიფი განისაზღვრება გამოყენებული ბაიტების შესაბამისად, თუმცა, ამ ბაიტების ჩამონათვალი და, რაც უმთავრესია, გამოყენებული ვებ საიტების მისამართები არ არის განსაზღვრული;

32.18. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორის მოსაზრებით, მიმწოდებელმა დაარღვია მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება, მომხმარებლის რისკებისგან დაცვის თაობაზე. გარდა ამისა, მიმწოდებელს არ ალუარიცხვას იმ მომსახურების მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, რომელიც მან, თითქოსდა, მიანოდა აბონენტს, რაც შესაძლებელს გახდიდა, დადგენილიყო მომხმარებლის მიერ აღნიშნუ-

ლი მომსახურების მიღების ფაქტი. მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის არარსებობა გამორიცხავს მომხმარებლის მიერ მომსახურების მიღების ფაქტის დადასტურებას.

33. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 იანვრის განჩინებით, მომხმარებლის საკასაციო საჩივარი, წარმოებაშია მიღებული, სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო იმავე წლის 26 თებერვლის განჩინებით, საკასაციო განაცხადის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად, 11 მარტს დაინიშნა საქმის ზეპირი მოსმენა.

34. საქმის ზეპირი მოსმენისას, 11 მარტს გამოცხადებულმა მხარეებმა შემდეგნაირად წარმოაჩინეს საკუთარი პოზიციები:

34.1. კასატორმა საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის საფუძველად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებზე მიუთითა და განმარტა, რომ განსახილველი საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი პრაქტიკისათვის. საქმე ეხება მომხმარებლის უფლებებს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში და მიმწოდებლის კეთილსინდისიერების საკითხს, ამასთან, არა მხოლოდ კონკრეტულ დავაზე, არამედ კონკრეტულ განმარტებებსა და დასკვნებს მსგავს შემთხვევებში. კასატორმა განმარტა, რომ აბონენტს სერვისის ჩართული ჰქონდა, მომსახურება განეულია, თუმცა, არაგონივრულია დაკისრებული თანხა, რადგან არ შეესაბამება სად, გონივრულ აზრს და განუჭვრეტადი იყო ამგვარი რისკი მომხმარებლისათვის. ამასთან, მხარისათვის უცნობი იყო ტარიფის ასეთი სახით ცვლილების თაობაზე, რაც ხელშეკრულების არსებითი პირობა იყო; თუკი, საქართველოში ტარიფი 70 თეთრი იყო ერთ მეგაბაიტზე, აღმოჩნდა, რომ ეგვიპტეში 16 ევრომდე იყო გადასახდელი იგივე მეგაბაიტზე, რამაც განაპირობა თანხის ამ მოცულობით დარიცხვა. საკამათოა, დათანხმდებოდა თუ არა, მომხმარებელი ასეთ პირობებს, თუკი მას ეცოდინებოდა ტარიფის ამგვარი ცვლილების შესახებ და საკასაციო სასამართლომ უნდა განმარტოს, თუ რამდენად არის ვალდებული მიმწოდებელი, გამოიჩინოს კეთილსინდისიერება ასეთ ურთიერთობაში. ასევე, საკამათოა საბილინგო ინფორმაცია, რადგან მასში არ ჩანს დახარჯული მეგაბაიტები, აი-პი მისამართები. კასატორმა მიუთითა რეგლამენტით დაცულ მომხმარებელთა უფლებებზე. მომხმარებელმა აღნიშნა, რომ ფაქტობრივი გარემოებები არასწორად შეაფასა სასამართლომ, რამაც გამოიწვია არასწორი გადაწყვეტილების მიღება, სილქნეტიდან მოწვეულმა სპეციალისტმა განმარტა ახალი თაობის ტელეფონ-

ნების ტექნიკური შესაძლებლობები, ავტომატურ რეჟიმში ჩამოტვირთოს ინფორმაციები და ერთდროულად რამდენიმე ინტერნეტ-სესია გახსნას. მომხმარებელი არ იყო სათანადოდ ინფორმირებული მიმწოდებლის მიერ.

34.2. მონინალმდეგემ განმარტა, რომ მომსახურების განევა დადასტურებულია საბილინგო ინფორმაციით, რომელიც უტყუარი მტკიცებულებაა, ამასთან, უცხოელ ოპერატორს მან უკვე გადაუხადა ის თანხა, რაც მოპასუხემ უნდა აანაზღაუროს. აღსანიშნავია ისიც, რომ მოპასუხე თავადაც სოლიდური იურიდიული პირია და ისეთ სფეროში საქმიანობს, რომელიც მის გაუთვითცნობიერებლობაზე, ცხადია, არ მეტყველებს, მან თავადვე მოითხოვა ე.წ. „VIP“ მომსახურება. დაუსაბუთებელია კასატორის პოზიცია, რომ ახალი თაობის მობილური ტელეფონით თუკი მიიღებდა მომხმარებელი როუმინგულ მომსახურებას, მან არ იცოდა, რომ მეტი იქნებოდა დარიცხული თანხები, მიმწოდებელს არ ევალუბა მომხმარებლისათვის განმარტებების მიწოდება იმის მიხედვით, თუ რა მოდელის სატელეფონო აპარატი აქვს მას. მიმწოდებელმა მყისიერად გამოიჩინა წინდახედულება და შეატყობინა მომხმარებელს, რომ მის თანამშრომელს დაერიცხა გარკვეული თანხა როუმინგული მომსახურებით, ამასთან, ეს რომ ფიზიკური პირი ყოფილიყო, მოსარჩელე არც კი ჰკითხავდა მას, ისე, გაუთიშავდა სერვისს, მაგრამ საქმე ეხება სოლიდურ იურიდიულ პირს, რომლის კატეგორიული მოთხოვნაც იყო კონკრეტული სატელეფონო ნომრის მფლობელის პირველი ჯგუფის მომხმარებელთა კატეგორიაში გადაყვანა და მისი უზრუნველყოფა უწყვეტი როუმინგული მომსახურებით. მონინალმდეგეს მიაჩნია, რომ კასატორის მიერ მითითებულ საკითხებს არ სჭირდება განმარტება, რადგან დავალიანება არსებობს, რაც დადასტურებულია უტყუარი მტკიცებულებით, ამავე საქმეზე დაკითხული არიან სპეციალისტები და, შესაბამისად, არ არსებობს საკასაციო განაცხადის დასაშვებად ცნობის წინაპირობები.

35. საკასაციო სასამართლოს, 2016 წლის 11 მარტის ზეპირი განხილვით ჩატარებულ, სხდომაზე, მომხმარებლის საკასაციო განაცხადი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, მომხმარებლის საკასაციო საჩივრის შესწავლისა და მტკიცებულებათა ერთობლიობით გაანალიზების შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ სა-

კასაციო განაცხადი საფუძვლიანია და იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

36. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორის პრეტენზიათა ნაწილი საფუძვლიანია, რის გამოც საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს.

37. განსახილველ დავაში, საკასაციო სასამართლოს კვლევისა და შეფასების საგანია მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც ნარდობის მომწესრიგებელი ნორმების მიხედვით არის ქვემდგომი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი, რაც შეესატყვისება საკასაციო სასამართლოს პრაქტიკას და მართებულია მხარეთა შორის არსებული ურთიერთობისადმი სამოქალაქო კოდექსის დასახელებულ ნორმათა მისადაგება.

38. განსახილველი ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობა მიმწოდებლისა და მომხმარებლის ურთიერთვალდებულებებს მოიცავს, ამ კონტექსტში კი, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაზე (იხ. ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტი) და აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის სადავო არ არის მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება, იდენტიფიცირებულია სატელეფონო ნომერიც და ამ ნომრით მომსახურების მიღება კონკრეტული აბონენტის მიერ (იხ. 22-ე პუნქტი), თუმცა, სადავოა გაწეული მომსახურებისათვის მომხმარებლის (შემკვეთის) კონკრეტული აბონენტისათვის დაკისრებული დავალიანების საფუძველი, დაანაგარიშება და მიმწოდებლის კეთილსინდისიერება, რადგან დავა ეხება სპეციფიკურ ურთიერთობას – ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და საშუალებების ფლობის, გამოყენებისა და მომსახურების მიწოდების დროს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებებსა და მოვალეობებს (იხ.

სპეციალური კანონის პირველი მუხლი). ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის მიზანია ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით მომსახურებაზე ფიზიკური და იურიდიული პირების მოთხოვნილებათა უზრუნველყოფა და საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. ამ სფეროში კი სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია მომხმარებელთა კანონიერი ინტერესების დაცვა (იხ. სპეციალური კანონის მეოთხე მუხლი), ხოლო მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და მომსახურების ზოგად წესებს არეგულირებს სპეციალური კანონის 62-ე მუხლი, რომლის მე-3 ნაწილით მომხმარებელს აქვს უფლება, მიიღოს ინფორმაცია, მათ შორის, განუული ან არჩეული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ტარიფების, მომსახურების მიწოდებისა და ანგარიშსწორების პირობების, საანგარიშო პერიოდის დეტალური ბილინგის ინფორმაციის შესახებ. დასახელებული ნორმის მე-4 ნაწილით დადგენილია ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულება, საკუთარ აბონენტს, დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, მიანოდოს მომსახურება სათანადოდ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც, სხვა მრავალ პირობასთან ერთად, უნდა მოიცავდეს „დეტალურ ინფორმაციას მომსახურების ტარიფების, აგრეთვე ცვლილების შემთხვევაში განახლებული ინფორმაციის მიღების შესახებ“ („ე“ ქვეპუნქტი);

39. მენარდემ, როგორც ავტორიზებულმა პირმა (იხ. სპეციალური კანონის მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი) შემკვეთს შესთავაზა ხელშეკრულების (იხ. ამ გადაწყვეტილების პირველი და მეორე პუნქტები) სტანდარტული პირობები, ხოლო მომსახურებებისა და მათი საფასურის დანართში, მიუთითა როუმინგის შემომავალი ზარისა და საერთაშორისო მიმართულებით განხორციელებული ზარების (კოდით 00 ან +) კონკრეტული პროცენტით ფასდაკლებაზე, ამასთან, განმარტა, რომ: „ტარიფი, შესაძლოა, მცირედით აღემატებოდეს მოცემულს, იმ შემთხვევაში, თუ საზღვარგარეთ მომსახურე ოპერატორს დანესებული აქვს ან მომსახურების პერიოდში დაანესებს დამატებით ტარიფს შემავალ ზარებზე“. აღნიშნული შეთანხმებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ შემკვეთმა უკვე გასწია გარკვეული რისკი მოსალოდნელ შედეგებზე, როდესაც მოითხოვა კონკრეტული აბონენტის მომსახურების პირველ ჯგუფში გადაყვანა და მისთვის მუდმივი როუმინგული მომსახურების უზრუნველყოფა (იხ. 26-ე პუნქტი). საკასაციო სასამართლოს დაუსა-



ბუთებლად მიაჩნია გასაჩივრებული განჩინების აღნიშნული დასკვნა, რადგან მომსახურების მიღება შეუძლებელია დაკავშირებული იყოს განუჭვრეტად რისკთან. განსახილველი დავა ორ სოლიდურ იურიდიულ პირს შორის ურთიერთობას უკავშირდება, სადაც, მიმწოდებელი, როგორც ავტორიზებული პირი, რომელიც კონკრეტული პირობების შემთავაზებელია, კანონითაა ვალდებული, უზრუნველყოს მის მიერ სპეციფიკური მომსახურების განევისას, მომხმარებელს მიაწოდოს ადეკვატური, დროული და გასაგები ინფორმაცია. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოწინააღმდეგის პოზიციას (იხ. საკასაციო სასამართლოს 11.03.2016წ. სხდომის ოქმი; ამ გადაწყვეტილების 34.2. ქვეპუნქტი), რომ მენარდე არ იყო ვალდებული, შეესწავლა მომხმარებლის აბონენტის ტერმინალური აპარატი (მობილური ტელეფონის მოდელი; იხ. სპეციალური კანონის მე-3 მუხლის 103 ქვეპუნქტი) და აქედან გამომდინარე განემარტა მისთვის, შესაძლო ინტერნეტ-სესიების ავტომატურ რეჟიმში ჩამოტვირთვის რისკები, მაგრამ ორ იურიდიულ პირს შორის საბართლებრივ ურთიერთობაში, კონკრეტულ სფეროში ავტორიზებული სამენარდეო სუბიექტი ვალდებულია, მომხმარებელს საწარმოს მიაწოდოს წინამდებარე განჩინების 32.4 და 32.5 ქვეპუნქტებში მითითებული №3 დადგენილებით განსაზღვრული ინფორმაცია.

40. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომელიც ამ გადაწყვეტილების 29-ე პუნქტშია ასახული. ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილია გარემოება, რომ ეგვიპტეში ჩასვლისას, სააბონენტო ნომრით მოსარგებლისათვის გამაფრთხილებელი სმს-ით შეტყობინება არ გაუგზავნია მიმწოდებელს, თუმცა, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობით, მითითებულ გარემოებას არ ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა დავაზე სწორი გადაწყვეტილების მისაღებად, რადგან საზღვარგარეთ თანამედროვე ტელეფონებით სარგებლობის წესის განუმარტებლობა არ შეიძლება შეფასდეს, მომხმარებელთა უფლებების დარღვევად. აღნიშნული მსჯელობა მცდარია და ეწინააღმდეგება სპეციალური კანონის 62-ე მუხლს (იხ. 38-ე პუნქტი) და №3 დადგენილებას (იხ. 32.4. ქვეპუნქტი), რომლის მე-2 მუხლით: „წინამდებარე რეგლამენტი ადგენს მომხმარებლისათვის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების, მათ შორის, ადგილობრივი საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით, საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო, მობილური სატელეფონო და ინტერნეტით მომსახურების მიწოდების წესებსა და პირობებს, განსაზღვრავს

მომსახურების მიმწოდებლისა და მომხმარებლის უფლებებსა და ვალდებულებებს და მისი მიზანია უზრუნველყოს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლის მიერ „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი მომსახურების მიწოდება და მომხმარებელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა“, ხოლო მე-4 მუხლით მოწესრიგებულია საანგარიშსწორებო და საინფორმაციო უზრუნველყოფა, რომლის თანახმად: „1. მომხმარებელს უფლება აქვს მომსახურების მიმწოდებლისაგან შეუფერხებლად და უფასოდ მიიღოს ინფორმაცია, მათ შორის: ა) მომსახურების სახეობის, ინტერნეტით მომსახურებისას სიჩქარისა და ღირებულების თაობაზე; ბ) მომსახურების მიწოდებისა და მოხმარების წესების, გადახდის ფორმებისა და საშელავათო სისტემის შესახებ; გ) საანგარიშო პერიოდის შესაბამისი მომსახურების სახის, ტარიფის, თარიღის, მომსახურების განევის დროის, დროის ხანგრძლივობის, გამავალი ზარების ნომრების შესახებ, ხოლო მომსახურების მიმწოდებლის მიერ დადგენილი საფასურის, რომელიც უნდა იყოს ხარჯებზე ორიენტირებული გადახდის შემთხვევაში – შემომავალი ზარებისა და არასაანგარიშო პერიოდის დეტალური ანგარიში; დ) მომსახურების მიწოდების შეზღუდვისა და შეწყვეტის მიზეზებისა და ხანგრძლივობის თაობაზე; ე) მომსახურების შეფერხების დროული აღმოფხვრის, მიუწოდებელი და უხარისხო მომსახურებისათვის გათვალისწინებულ საკომპენსაციო პირობების თაობაზე; ვ) იმის თაობაზე, თუ რამ შეიძლება რაიმე სახის ზეგავლენა მოახდინოს მომსახურების ხარისხსა ან/და მის პირობებზე; ზ) მომხმარებელთა უფლებებისა და ვალდებულებების თაობაზე; თ) იმ ღონისძიებების თაობაზე, რომლებსაც მომსახურების მიმწოდებელი მიმართავს მომხმარებლის მიერ მოხმარების წესების დარღვევის შემთხვევაში; ი) იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების მიმწოდებელი სთავაზობს მომსახურებას, რომლის საფასურიც არ არის გათვალისწინებული სამომხმარებლო პაკეტში, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია მომხმარებელს დამატებით საფასურის თაობაზე ან შეზღუდოს მსგავსი მომსახურების თავისუფალი მიღება. 2. მომსახურების მიმწოდებელი მომხმარებელთა ინფორმაციული უზრუნველყოფისათვის: ა) მომხმარებელს მიაწვდის საინფორმაციო კატალოგებს საჩივრისა და საპრეტენზიო განცხადების შეტყობინების უფასო ნომრების მითითებით და უზრუნველყოფს მუდმივმოქმედი 24-საათიანი

ცხელი ხაზის მუშაობას; ბ) უზრუნველყოფს მომხმარებელს მასთან დაკავშირების მიზნით თავისი საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო ინფორმაციით. 3. მომხმარებლისათვის მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი, უტყუარი, ამომწურავი და გასაგები, რომელსაც არ ექნება დამაბნეველი ან მაცდური ხასიათი. 4. მომსახურების მიმწოდებელი მომსახურების წესისა და პირობების ნებისმიერი ცვლილებების თაობაზე აცყობინებს მომხმარებელს არა უგვიანეს 10 სამუშაო დღით ადრე“.

41. საკასაციო სასამართლო, სსკ-ის 632-ე მუხლზე დაყრდნობით, აღნიშნავს, რომ: „მენარდემ პირადად უნდა შეასრულოს სამუშაო მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ეს გამომდინარეობს კონკრეტული გარემოებიდან ან სამუშაოს ხასიათიდან“, ელექტრონული კომუნიკაციის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, სპეციალური კანონისა და №3 დადგენილების საფუძველზე, სწორედ მენარდე იყო ვალდებული, შეესრულებინა სამუშაო – გაეგზავნა უტყუარი, ამომწურავი და გასაგები შეტყობინება მომხმარებლის კონკრეტული აბონენტისათვის, რომელსაც, ეგვიპტეში ჩასვლისთანავე, როუმინგული მომსახურებით, პირველივე დღეს დაერიცხა ისეთი გადასახადი, რომლის თაობაზე, ინფორმაციის მიღებისთანავე, მენარდემ თავადვე მიიჩნია საჭიროდ, ინფორმაცია მიეწოდებინა მომხმარებლისათვის. სწორედ ამ უკანასკნელის მითითებით, აბონენტის სარგებლობაში არსებული სატელეფონო ნომერი, 3 სექტემბერს გადაყვანილი იქნა კორპორატიული პაკეტის მე-3 ჯგუფში, ხოლო მომდევნო დღეს – 4 სექტემბერს აბონენტს დამატებით გაეთიშა სხვა სერვისებიც (იხ. წინამდებარე გადანყვეტილების მე-7 პუნქტი). მითითებული მოტივაციით, კონკრეტული ფაქტობრივი გარემოების – სმს- შეტყობინების გაგზავნის საკითხი, სწორედ არსებითი მნიშვნელობის ფაქტობრივი გარემოებაა, რომელიც მიმწოდებლის (მენარდის) კანონისმიერი ვალდებულებაა და არა შესაძლებლობა, რომელსაც საკუთარი მიხედვლებით, იგი გამოიყენებდა ან არა. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ ეს ფაქტი არ იყო მტკიცების საგანში შემავალი გარემოება, იურიდიულად დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს კანონის მოთხოვნებიდან (იხ. ამ გადანყვეტილების მე-40 პუნქტი), შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს საფუძვლიანად მიაჩნია ამ ნაწილში კასატორის შედაგება (იხ. 32.5-32.9 ქვეპუნქტები).

42. კასატორის პრეტენზიათა იმ ნაწილის კვლევისას, რომელიც ეხება მოხმარებული ბაიტების მოცულობის გონივრულობას დროსთან და ღირებულებასთან მიმართებით (იხ. 32.2-32.4

ქვეპუნქტები), საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლითაც დადასტურებულია, რომ მომხმარებლის კონკრეტული აბონენტი იყენებდა ინტერნეტს „მეილების“ გასაგზავნად, ასევე, არ გამორიცხავდა, რომ მის მიერ მიღებულ ან გაგზავნილ მეილებს ჰქონდა დანართებიც (იხ. ამ გადაწყვეტილების 27-ე პუნქტი). საკასაციო სასამართლო, მტკიცებულებათა ერთობლიობით განალიზების საფუძველზე, იმ პირობებში, როდესაც სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ აბონენტის განმარტებით, მან, ეგვიპტეში ყოფნისას, ტელეფონი მცირე დროით ათხოვა მეგობრის შვილს, რაც საკასაციო სასამართლოში ზეპირი მოსმენის დროსაც არ უარუყვია მოპასუხის წარმომადგენელს. საკასაციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მომხმარებლის აბონენტმაც დაარღვია მომხმარებლის მოქმედების გონივრული წინდახედულების ფარგლები. საზღვარგარეთ, უწყვეტი როუმინგული მომსახურებით სარგებლობისას, ნებისმიერი აბონენტისათვის, განსახილველ შემთხვევაში კი, სოლიდური სამენარმეო საზოგადოების ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირისათვის, რომელსაც საკუთარმა სამსახურმა შეუქმნა საზღვარგარეთ ინტერნეტ-მომსახურების მისაღებად პირველი კატეგორიის მომხმარებლად ყოფნის საფუძველი, მენარდესთან გაფორმებული ხელშეკრულებით, ობიექტურად ცნობილი იყო საზღვარგარეთ განსხვავებული ტარიფებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შესახებ. სხვა პირისათვის, განსახილველ შემთხვევაში, როგორც აბონენტმა განმარტა, მეგობრის შვილისათვის, ტელეფონის თხოვებით, აბონენტმა დაარღვია წინდახედულების მინიმალური სტანდარტი, რომელიც მას ობიექტურად უნდა და შეეძლო კიდეც გაეთვალისწინებინა, მით უფრო, რომ განვითარებული ელექტროტექნიკური კომუნიკაციების ეპოქაში, ახალგაზრდა თაობა ხშირად უფრო აქტიური და გამოცდილი მომხმარებელია და ადვილად ხელენიფება სასურველი მომსახურების მიგნება და გამოყენება. ამასთან, სამოქალაქო მატერიალურ და საპროცესო სამართალში აღიარებული მტკიცების ტვირთის სტანდარტის გათვალისწინებით, მომხმარებელს შეეძლო, დასაბუთებულად ედავა და ემტკიცებინა, თუ კონკრეტულად რა „მეილები“, დანართებით თუ მის გარეშე, გაგზავნა აბონენტმა ეგვიპტეში ყოფნისას, რითაც, წარმოდგენილი საბილინგო ინფორმაციიდან, შესაძლებელი გახდებოდა რეალურად მიღებული მომსახურების მიხედვით, მომხმარებლის პოზიციის დასა-

ბუთება, რა მომსახურების მიღებასაც თვითონვე ადასტურებს აბონენტი, დღეში საშუალოდ ერთი საათის განმავლობაში (იხ. 13.4-13.5 ქვეპუნქტები). კასატორის პრეტენზიები ეხება არაიდენტიფიცირებად IP მისამართებს და ერთი და იგივე ოდენობის ბაიტების მოხმარებას დროის სხვადასხვა მონაკვეთში, თუმცა, ამ სპეციფიკურ საკითხებზე მოწვეული არაერთი სპეციალისტის განმარტების საწინააღმდეგოდ, რაიმე მტკიცებულება არ არის საქმეში წარმოდგენილი. საკასაციო სასამართლო კვლავ ამხვილებს ყურადღებას, რომ ე.წ. არაიდენტიფიცირებული აი-პი მისამართებისაგან განსხვავებით, კასატორს ჰქონდა შესაძლებლობა, წარედგინა სასამართლოსათვის ეგვიპტიდან უშუალოდ აბონენტის მიერ გაგზავნილი ელ-ფოსტისა და დანართების შესახებ ზუსტი მონაცემები, რაც, შესაძლებელია გამხდარიყო სპეციალისტთათვის კითხვების დასმისა, მსჯელობისა და შეფასების საგანი, ეგვიპტეში ინტერნეტის მომსახურების მიღებით, ავტომატურ რეჟიმში მიმდინარე ინტერნეტ-სესიებისა და დაფიქსირებული ტრაფიკისაგან განსხვავებით, რაც მას არ გაუკეთებია.

43. სსკ-ის 415-ე მუხლის შესაბამისად: „თუ ზიანის წარმოშობას ხელ შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანი ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი მხარის ბრალით არის გამოწვეული ზიანი. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში – თავიდან აეცილებინა ან შეემცირებინა ზიანი“. ამ გადაწყვეტილების 40 – 42 პუნქტებში ასახული გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას, საკასაციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მიმწოდებელმა დაარღვია ერთ-ერთი უმთავრესი ვალდებულება, მიეწოდებინა უტყუარი, ამომწურავი და გასაგები ინფორმაცია მომხმარებლისათვის, საზღვარგარეთ როუმინგული მომსახურებით სარგებლობისას, იმგვარად შეცვლილი ტარიფის შესახებ, რომელიც, ხელშეკრულების გაფორმებისას ცნობილი რომ ყოფილიყო, მაღალი ალბათობით, შეთავაზებულ პირობას არ მიიღებდა შემკვეთი, რაც მისი შემდგომი მოქმედებითაც დადასტურდა, როდესაც 3 სექტემბერს, მენარდემ შემკვეთს მიანოდა ინფორმაცია დარიცხული ტარიფის შესახებ, რის შემდეგაც, მომხმარებლის მოთხოვნით, აბონენტი პირველიდან მესამე კატეგორიის მომხმარებელთა ჯგუფში გადაიყვანეს, ხოლო 4 სექტემბერს – სხვა სერვისებიც გაუთიშეს (იხ. მე-7 პუნქტი). მომხმარებელმა, მოსარჩელის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს ვერ დაუპირისპირა დასაბუთებული შესაგებელი, სათანა-

დო მტკიცებულებებით, ამასთან, მან თავისი მოქმედებითაც შეუწყო ხელი დავალიანების წარმოშობას. იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, მოდავე მხარეებს თანაბრად მიუძღვით ბრალი ზიანის (დავალიანების) წარმოშობაში, ხოლო მომხმარებელს, არ უარუყვია მომსახურების მიღება, თუმცა, ვერ დაასაბუთა, თუნდაც, საკუთარი მტკიცების ფარგლებში, არ წარუდგენია შედავება, თუ რა ღირებულების მომსახურება მიიღო, საკასაციო სასამართლო მხარეთა შორის პასუხისმგებლობას თანაბრად ანაწილებს და, საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილებით, კასატორს აკისრებს 25 306 ლარის ანაზღაურების ვალდებულებას მენარდის სასარგებლოდ. სსკ-ის 325-ე მუხლის თანახმად, თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საექსპოზისას ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე. „სამოქალაქო სამართალში ურთიერთობის მონაწილეთა კეთილსინდისიერი ქცევა პრეზუმირებული, რაც იმთავითვე გულისხმობს იმის ვარაუდს, რომ ისინი თავიანთ უფლებებს კეთილსინდისიერად ახორციელებენ {სსკ-ის 8.3 მუხლი}. „უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან სხვათა თავისუფლებას იცავს სამოქალაქო კანონების იმპერატიული ნორმები“ {სსკ-ის 10-ემუხლის მესამე ნაწილი}. შესაბამისად, მხარეთა უფლება თავისუფლად დადონ ხელშეკრულება და ასევე თავისუფლად განსაზღვრონ მისი შინაარსი, აბსოლუტური არ არის. სახელშეკრულებო დებულებების განსაზღვრის დროს ისინი ვალდებული არიან გაითვალისწინონ ზემოაღნიშნული“ (იხ. სუსგ №ას-896-846-2015, 12.02.2016წ.). განსახილველ შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, დავა ორ სამენარმეო სუბიექტს შორის მიმდინარეობს, თუმცა, მათგან ერთ-ერთი (მოსარჩელე) ელექტროკომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული პირია, რომელმაც განსაზღვრა და შესთავაზა მომხმარებელს ხელშეკრულების ის სტრანდარტული პირობები (იხ. 39-ე პუნქტი), რომლითაც მომხმარებლისათვის ცნობილი ტარიფი, შესაძლოა, მცირედით მეტი ყოფილიყო ხელშეკრულებით განსაზღვრულზე. ამ შეთავაზებას მომხმარებელი დაეთანხმა იმ განჭვრეტადი რისკის გათვალისწინებით, რომელიც უცხოელი პროვაიდერის ტარიფებს, დადგენილზე მცირედით აღმატებულს, უკავშირდებოდა, თუმცა, კონკრეტულად, ეგვიპტეში ჩასვლისას, აბონენტს არ მიუღია მიმწოდებლისაგან ის ინფორმაცია, გამაფრთხილებელი სმს-შეტყობინება, რომლის უტყუარი, ამომწურავი და გასაგები ფორმით მიწოდება სწორედ მე-

ნარდის ვალდებულება იყო, რაც ვალდებულების შესრულების პირობების, სამართლიანობის საფუძველზე, განსაზღვრას ენი-  
ნააღმდეგება. მოდავე მხარეებს თანაბრად ეკისრებათ პასუ-  
ხისმგებლობა წარმოშობილი დავალიანების გამო, რადგან თი-  
თოეულის მოქმედება ამ დავალიანების წარმოქმნაში ფაქტობ-  
რივად დადგენილია, ხოლო საკასაციო სასამართლოს სამარ-  
თლებრივი კვალიფიკაციით, სადავო ურთიერთობა გადანყვე-  
ტილია საკასაციო განაცხადის ნაწილობრივ დაკმაყოფილებით  
და, ახალი გადანყვეტილების მიღებით, მენარდის სარჩელის ნა-  
წილობრივ დაკმაყოფილებით.

44. სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თუ სა-  
კასაციო სასამართლო შეცვლის გადანყვეტილებას ან გამოი-  
ტანს ახალ გადანყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასა-  
მართლო ხარჯების განაწილებასაც. აღნიშნული ნორმის თანახ-  
მად, სარეზოლუციო ნაწილშია ასახული მხარეთა შორის სასა-  
მართლო ხარჯების – სახელმწიფო ბაჟის განაწილების საკითხი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-  
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე და 411-ე მუხლებით და

#### **ბ ა დ ა ნ ყ ვ ი ბ ა:**

1. სს „თ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობ-  
რივ;
2. ნაწილობრივ გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამარ-  
თლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 ნოემბრის გან-  
ჩინება და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადანყვეტილება;
3. შპს „მ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სს „თ-ს“ (ს/კ 2...) შპს „მ-ის“ (ს/კ 2...) სასარგებლოდ დაე-  
კისროს 25 306 ლარის გადახდა;
5. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უც-  
ვლელად;
6. სს „თ-ს“ შპს „მ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს პირველი  
ინსტანციის სასამართლოში შპს „მ-ის“ მიერ გადახდილი სახელ-  
მწიფო ბაჟის ნახევრის – 760 ლარის გადახდა;
7. შპს „მ-ს“ სს „თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს სააპელა-  
ციო და საკასაციო სასამართლოებში სს „თ-ის“ მიერ გადახდი-  
ლი სახელმწიფო ბაჟის ნახევრის – 1012.24 ლარისა და 1265.3  
ლარის, სულ 2277.54 ლარის გადახდა;
8. გადანყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 7. დავალების ხელშეკრულება

### გასამრჯელოს ანაზღაურება

#### გადანყვებითილება საქართველოს სახელით

№ას-1131-1078-2013

17 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. 2012 წლის 21 ივლისს შპს „ე. ლ-სა“ (შემდგენში მოსარჩელე, აპელანტი, რწმუნებული) და შპს „S. R.“-ს (შემდგენში მოპასუხე, კასატორი, მარწმუნებელი) შორის დაიდო წერილობითი ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების განევის თაობაზე {საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდგენში სსკ-ის 709-ე მუხლი}.

2. ხელშეკრულების საგანი იყო იურიდიული და წარმომადგენლობითი მომსახურების განევა, რის სანაცვლოდაც მარწმუნებელი რწმუნებულს სახელშეკრულებო პირობების ფარგლებში უხდიდა გასამრჯელოს, რაც დღგ-ის ჩათვლით თვეში 2360 ლარს შეადგენდა {სსკ-ის 710-ე მუხლის პირველი ნაწილი}.

3. ხელშეკრულება ძალაში შევიდა ხელმოწერისთანავე და მოქმედებდა 2012 წლის 21 სექტემბრამდე.

4. იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, მარწმუნებელმა განეული იურიდიული მომსახურებისათვის რწმუნებულს გადაუხადა 7 916 ლარი.

5. მარწმუნებელს საკუთრებაში გააჩნდა გზის სახაზავი სპეციალური ტექნიკა, რომელიც იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული ჰქონდა შპს „თ. რ-ს“ (შემდგენში მოიჯარე). ეს უკანასკნელი არ იხდიდა საიჯარო ქირას და არც იჯარის საგანს უბრუნებდა მესაკუთრეს. მარწმუნებელმა დახმარებისათვის მიმართა რწმუნებულს. მან ამ უკანასკნელს 2012 წლის 26 აპრილს გაუგზავნა შემდგენი შინაარსის ელექტრონული წერი-



ლი: „...ამჟამად აპარატურას იჯარის ხელშეკრულებით იყენებს კომპანია T. R. თბილისში. იჯარის ერთი ხელშეკრულება სრულდება 05.05.12, ღირებულება თვეში 6 ათასი ლარი. თქვენი ამოცანაა გაგრძელება, კიდევ ერთი იჯარის ხელშეკრულების დადება ერთი თვით, 6 ათასი ლარის ღირებულების, 05.06.12 და შემდეგ უკვე გაყიდვის ხელშეკრულების დადება. ...დანვრილებითი ინფორმაცია გადახდისა და გაყიდვაზე წარმატების საკომისიოს (success fee) შესახებ შეიძლება ადგილზევე, თბილისში მოვილაპარაკოთ“.

6. მოგვიანებით მხარეებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ იჯარით გაცემული ქონების რეალიზაციის შემთხვევაში რწმუნებული გასამრჯელოდ მიიღებდა რეალიზებული საგნის ღირებულების 10%-ს.

7. 2012 წლის 22 აგვისტოს მარწმუნებლის კუთვნილი სპეციალური ტექნიკის ნაწილი რწმუნებულის ძალისხმევით 341 621.84 ლარად გაიყიდა მესამე პირებზე.

8. მარწმუნებელმა არ გადაუხადა რწმუნებულს გასამრჯელო, 34 000 ლარი.

9. 2012 წლის 5 ნოემბერს მოსარჩელემ მოპასუხის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა 34 000 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

10. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მან მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებელი წარადგინა შემდეგი დასაბუთებით:

10.1. მარწმუნებლის საკუთრებაში არსებული სპეცტექნიკა, მათ შორის ავტოსატრანსპორტო საშუალებები, 2012 წლის 10 აპრილიდან ერთი თვით იჯარით გადაცემული ჰქონდა შპს „თ.რ.-ს“ (შემდეგში მოიჯარე) {სსკ-ის 581-ე მუხლი}. იჯარის ხელშეკრულების ვადა ავტომატურად გაგრძელდა ერთი თვით და შეწყდა 2012 წლის 10 ივნისს, ვინაიდან მოიჯარე არღვევდა სახელშეკრულებო პირობებს. მოსარჩელესთან იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება დაიდო იმ მიზნით, რომ მას სამართლებრივი დახმარება გაენია მოპასუხისათვის იჯარით გადაცემული ქონების დაბრუნებაში. აღნიშნული სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, იურიდიული მომსახურების განევის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეთანხმებისას, ანაზღაურების თაობაზე მოლაპარაკება ითვალისწინებდა შეთავაზებას გადახდის ორ ფორმაზე, კერძოდ, ხელშეკრულების მოქმედების ვადაში ყოველთვიურ ფიქსირებულ გადასახადს ან იჯარით გაცემული ქონების დაბრუნების და მისი რეალიზაციის შემდეგ, ამონაგები თანხის 10%-ის გადახდას. მოსარჩელემ ანაზღაურების ფორმად თანხის ყოველთვიურად გადახდა აირჩია.

10.2. მოსარჩელემ ვერ მიუთითა, თუ სად და რის საფუძველ-

ზე წარმოეშვა მოპასუხეს მის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისებიდან მითითებული თანხის 10%-ის გადახდის ვალდებულება. მოსარჩელეს არ წარმოუდგენია ხელშეკრულება ან რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმებას მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული წესითა და პირობებით.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 316-ე, 317-ე, 327-ე, 361-ე, 629-ე, 709-ე, 710-ე მუხლები.

12. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ შემდეგ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებზე მითითებით:

12.1. სასამართლომ არასწორად დაადგინა მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობის დაწყების თარიღი (21/07/2013წ), ვინაიდან იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება დაიდო და შესაბამისი მომსახურება მოპასუხეს გაენია 2012 წლის მაისიდან, როდესაც მხარეები შეთანხმდნენ სახაზავი სპეცტექნიკის უკანონო მფლობელობიდან ამოღებასა და რეალიზაციაზე. აღნიშნული ფაქტი დასტურდება მაისში გაცემული მინდობილობით, რომელიც მითითებულ დავალებას ითვალისწინებს {სსკ-ის 710-ე მუხლის მე-2 და მე 3 ნაწილი}.

12.2. აპელანტის მითითებით დავალების ხელშეკრულების ზეპირი ფორმით დადების ფაქტს ადასტურებდა 2012 წლის 26 აპრილის წერილი, რომლითაც მოპასუხემ მოსარჩელეს იურიდიული მომსახურების განვების და მისი ანაზღაურების გარდა შესთავაზა ე.წ. „წარმატების საკომისიოს“ გადახდა, თუ მოსარჩელე უზრუნველყოფდა მოპასუხის კუთვნილი საგზაო მარკირების აღჭურვილობის რეალიზაციას.

12.3. სასამართლომ არ შეაფასა საქმეზე წარდგენილ მტკიცებულებები; კერძოდ, მონმეთა ჩვენებები, რომლებმაც დაადასტურეს მხარეთა შორის ხელშეკრულების დადების ფაქტი სადავო ანაზღაურების პირობებით. სასამართლომ ასევე მხედველობაში არ მიიღო საქმეზე წარდგენილი საგადასახადო ანგარიშფაქტურები.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 34 000 ლარის გადახდა.

14. სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო შემდეგი გარემოებები:

14.1 მოპასუხეს საკუთრებაში ჰქონდა გზის სახაზავი სპეც-ტექნიკა. აღნიშნული მოძრავი ქონება, იჯარის ორი ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული ჰქონდა მოიჯარეს. ეს უკანასკნელი ქირას არ იხდიდა და არც სპეცტექნიკას არ უბრუნებდა მესაკუთრეს.

14.2. 2012 წლის 26 აპრილს მოპასუხის დირექტორმა ს.რ.ი-მ, სამართლებრივი მომსახურების შეთავაზებით (ელექტრონული წერილით) მიმართა მოსარჩელეს; შეთავაზება ითვალისწინებდა, მოიჯარესთან დადებული იჯარის ხელშეკრულების გაგრძელებას, ხოლო შემდეგ დახმარების განწევას ტექნიკის გაყიდვასთან დაკავშირებით.

14.3. იურიდიული მომსახურების განწვეის შესახებ ხელშეკრულების პირობების ფორმირებისას, შეთანხმდნენ ანაზღაურების ორ ფორმაზე, პირველი ფორმა ითვალისწინებდა ყოველთვიურ გადასახადს, რაც გულისხმობდა მოლაპარაკების წარმოებას მოიჯარე ორგანიზაციასთან ხელშეკრულების გაგრძელების თაობაზე, ხოლო მეორე ფორმა – სპეცტექნიკის რეალიზაციიდან ამონაგები თანხის 10%-ის გადახდას პრემიის სახით.

14.4. პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა 2012 წლის 21 ივლისს წერილობით გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, პალატამ განმარტა, რომ მითითებულ თარიღში ხელშეკრულება დაიდო 2 თვის ვადით, ხოლო მომსახურების ანაზღაურება განისაზღვრა ყოველთვიურად 2 360 ლარით, საქმეზე დადგინდა, რომ მოპასუხემ მოსარჩელეს ჯამში 7 916 ლარი გადაუხადა, ამასთან, პირველი ტრანში განხორციელდა 2012 წლის 29 ივნისს, ჯერ კიდევ წერილობითი ხელშეკრულების დადებამდე. პალატამ გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ საქმეში დაცულია მხარეთა მიერ ხელმოწერილი 2012 წლის 29 მაისით დათარიღებული ანგარიშ-ფაქტურა 2000 ლარის ღირებულების იურიდიული მომსახურების განწვევაზე და 2012 წლის 16 მაისს გაცემული მინდობილობა, რომლითაც მოსარჩელეს მიენიჭა უფლებამოსილება მოპასუხის ინტერესები წარმოედგინა მოიჯარესთან და ეწარმოებინა მოლაპარაკებები ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოძრავი ქონების რეალიზაციის თაობაზე. აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით, პალატამ გამოიტანა დასკვნა, რომ მხარეთა შორის დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა ზეპირი გარიგების საფუძველზე ჯერ კიდევ 2012 წლის მაისში.

14.5. საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებებისა და მოწმეთა ჩვენების შეფასების შედეგად პალატამ დაასკვნა, რომ მხარეებმა 2012 წლის მაისში ზეპირი დავალების ხელშეკრულებით იურიდიული მომსახურების განწევასთან ერთად განსაზღვრეს იჯარით გაცემული ქონების რეალიზაცია და გასამრჯელოს სახით რეალიზებული ქონების ღირებულების 10%-ზე შეთანხმდნენ.

14.6 პალატამ ასევე, დაადგინა, რომ უშუალოდ მოსარჩელის მიერ განხორციელდა მოპასუხის კუთვნილი სპეცტექნიკის ნაწილის რეალიზაცია, რომლის ფასმა შეადგინა 341 621.84 ლარი. აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად მან მიუთითა საქმეში დაცულ 2012 წლის 22 აგვისტოთი დათარიღებულ მოპასუხესა და შპს „რ. ს-ს“ შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებასა და ამავე თარიღის შპს „ს.ს.კ-ს“, შპს „რ. ს-სა“ და მოპასუხეს შორის დადებულ ლიზინგის ხელშეკრულებებზე. საბოლოოდ პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხემ ჯეროვნად არ შეასრულა ვალდებულება და მოსარჩელეს არ გადაუხადა შეთანხმებული საზღაური, რეალიზებული ქონების ღირებულების 10%.

15. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ შემდეგი საფუძველებით:

15.1. სასამართლომ არასწორად შეაფასა დავისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები. სასამართლო დავის გადანყვეტისას დაეყრდნო მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობას, თუმცა მხედველობაში არ მიიღო აღნიშნული მინდობილობის ვადა, კერძოდ, მინდობილობა გაიცა 2012 წლის 16 მაისს და მისი მოქმედების ვადად განისაზღვრა 2012 წლის 30 ივლისამდე პერიოდი, რაც შეეხება მოპასუხის საკუთრებაში არსებული ქონების რეალიზაციას, იგი განხორციელდა აღნიშნული მინდობილობის მოქმედების ვადის ამონურვის შემდგომ, 2012 წლის 24 აგვისტოს, რაც თავისთავად მიუთითებს, რომ მინდობილობის საფუძველზე ქონების რეალიზაცია არ მომხდარა.

15.2. სასამართლომ არ მიიღო მხედველობაში ის, რომ მინდობილობის მოქმედების ვადის ამონურვის შემდგომ, მხარეებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს სამართლებრივი ურთიერთობის წერილობითი ხელშეკრულების ფორმით გაგრძელება, ამასთან, მოდავე მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერის მომენტიდან. მოპასუხის ქონების გასხვისების დროს მოქმედებდა წერილობით დადებული ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ღირებულება კი გადახდილია სრულად.

15.3. საქმეში არ არის დაცული რაიმე სახის მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ იურიდიული მომსახურების განვების გარდა, მოსარჩელის მხრიდან სხვა დავალებაც შესრულდა. კასატორის აზრით, დავალების არსებობისას უნდა დადასტურდეს დავალების შესრულების ფაქტი, წინააღმდეგ შემთხვევაში არ წარმოიშობა დავალების ხელშეკრულებით გასამრჯელოს ანაზღაურების ვალდებულება.

15.4. სასამართლომ დავის გადაწყვეტისას იხელმძღვანელა უარყოფილი სტატუსის მქონე ანგარიშფაქტურით, რომელიც განკუთვნილია მიმღების მიერ დღგ-ს ჩასათვლელად და იგი იურიდიულ ძალას იძენს ჩათვლის უფლების მქონე პირის მიერ დადასტურების შემთხვევაში, ასეთი რამ კი არ გამოვლენილა, ამასთან, საგულისხმოა ანგარიშფაქტურის გამოწერის თარიღიც, 2012 წლის ნოემბერი, მაშინ, როდესაც ქონება გასხვისდა 2012 წლის აგვისტოში.

15.5. სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ ლიზინგის ხელშეკრულებაზე დ. მ-ძის ხელმოწერა ადასტურებდა მის მონაწილეობას ქონების გასხვისებაში, თავად მოსარჩელემ სასამართლო სხდომაზე მიუთითა, რომ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა დამსწრე პირის სტატუსით.

15.6. მარწმუნებელმა გასხვისებული ქონების საფასურად მყიდველისაგან მიიღო 271 624.84 და არა 340 000 ლარი, როგორც ეს სასამართლომ დაადგინა.

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 მაისის განჩინებით საკასაციო საჩივარი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შემდეგში, სსსკ-ის, 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

17. საქმის მასალების გაცნობა, მათი შესწავლა და ანალიზი, ასევე, საკასაციო საჩივრის მოტივების ზეპირი მოსმენით შემოწმება, საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს გამოიტანოს დასკვნა საჩივრის უსაფუძვლობის თაობაზე. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

18. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საჩი-

ვარი არ არის დასაბუთებული, რადგანაც მასში მოყვანილი პრეტენზიები ურთიერთგამომრიცხავი და წინააღმდეგობრივია, კერძოდ, ძირითადი პრეტენზია მდგომარეობს იმაში, რომ მხარეთა შორის 2012 წლის მაისში არ დადებულია ზეპირი დავალეების ხელშეკრულება და რწმუნებულს ქონების გასხვისებაში რაიმე მონაწილეობა არ მიუღია. კასატორის ეს პრეტენზია არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან. 2012 წლის 19 ნოემბრის შესაგებელში იგი ფაქტობრივად ადასტურებდა ამგვარი შეთანხმების არსებობას და რწმუნებულის მიერ დავალეების შესრულებას, როცა მიუთითებდა: „სპეცტექნიკა, მათ შორის ავტოსატრანსპორტო საშუალებები, 2012 წლის 10 აპრილიდან, ერთი თვის ვადით იჯარით იყო გაცემული შპს „თ.რ.ზე“. იჯარის ხელშეკრულების ვადა ავტომატურად გაგრძელდა კიდევ ერთი თვით და შეწყდა 2012 წლის 10 ივნისს. რამდენადაც მოიჯარე არღვევდა პირობებს და არ აბრუნებდა იჯარით გაცემულ ქონებას, მან იურიდიული მომსახურების მიღების მიზნით მიმართა მოსარჩელეს, რომელსაც რეკომენდაცია გაუწია მოწმედ დასახელებულმა თ. ლ-მა. თავად მოსარჩელეც მიუთითებს, რომ იურიდიული მომსახურების განევის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეთანხმებისას საუბარი იყო ანაზღაურების ორ ფორმაზე (არა ორივეზე ერთდროულად) – პირველი: ხელშეკრულების მოქმედების ვადაში ყოველთვიური ფიქსირებული გადასახადი, ან მეორე ნარდობის პრინციპი, იჯარით გაცემული ქონების დაბრუნების და მისი რეალიზაციის შემდეგ, რეალიზებული ქონების ღირებულების 10%. რამდენადაც მოსარჩელემ აირჩია ანაზღაურების პირველი ფორმა, მხარეებს შორის დაიდო ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების განევის შესახებ და სახელშეკრულებო თანხა განისაზღვრა თვეში 2360 ლარით...“. მოპასუხემ სრულყოფილად ვერ შეძლო საკუთარი მტკიცების ტვირთის რეალიზება (სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი). მან შესაგებელში მითითებული უკანასკნელი გარემოება დამაჯერებლად და ცხადად ვერ დაასაბუთა. მოწმე თ. ლ-ის წერილობითი ახსნა-განმარტება, რომელსაც მხარე ეყრდნობოდა იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ შეთავაზებული ალტერნატიული ანაზღაურების ფორმებიდან, რწმუნებულმა აირჩია ყოველთვიური საზღაური 2360 ლარი და უარი თქვა რეალიზებული ქონების ღირებულების 10%-ზე, არ ადასტურებდა მის ზემოაღნიშნულ მსჯელობას. პირიქით, მოწმე მიუთითებდა, როგორც მხარეებს შორის ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმებაზე, ისე გადახდის ორივე ფორმაზე. შემდეგში სასამართლო პროცესზე დაკითხვისას იმავე მოწმემ დაადასტურა,

რომ მომსახურება ორეტაპიანი იყო. პირველი გულისხმობდა რწმუნებულის მხრიდან იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნების რეალიზაციაში, ხოლო მეორე – გაყიდვაში დახმარებას. აღნიშნული გარემოება დადგენილია მოწმე ნ. ც-ის ჩვენებითაც.

19. ასევე დაუსაბუთებელია კასატორის პრეტენზია 2012 წლის 16 მაისის მინდობილობის ვადის გასვლის გამო დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის არარსებობასთან დაკავშირებით. მართალია, რწმუნებულისათვის ქონების გასხვისებაზე მინიჭებული უფლებამოსილების ვადა 2012 წლის 30 ივლისს ამოიწურა, მაგრამ აღნიშნული გარემოება არ გამოდგება იმის დასამტკიცებლად, რომ რწმუნებული ველარ გააგრძელებდა მარწმუნებლის დავალების შესრულებას და 2012 წლის 24 აგვისტოს ველარ მიიღებდა მონაწილეობას ქონების ნაწილის გასხვისებაში. საკასაციო პალატა განმარტავს, მინდობილობა სასამართლომ გამოიყენა, როგორც ერთ-ერთი მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ მხარეებს შორის 2012 წლის 21 ივლისამდე, ანუ იურიდიული მომსახურების თაობაზე წერილობითი ხელშეკრულების დადებამდე (2012 წლის მაისში), ნამდვილად შედგა ზეპირი შეთანხმება და რწმუნებულმა მარწმუნებლისაგან ნამდვილად მიიღო დავალება ეწარმოებინა მოძრავი ქონების გაყიდვასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები. ამის შემდეგ კი, მან მესამე პირებთან, ანუ გარე ურთიერთობებში, უფლებამოსილება მიანიჭა რწმუნებულს ემოქმედა მისი სახელით, რომლის ნამდვილობისთვისაც ამ უკნასკნელის ცალმხრივი ნებაც საკმარისი იყო {სსკ-ის 103-ე მუხლი}, მაშინ, როდესაც დავალების ხელშეკრულება, რომელიც წინ უსწრებდა მინდობილობის გაცემას, მისი კონსესუალური ბუნებიდან გამომდინარე, ორმხრივ ნებას, ანუ არსებით პირობებზე შეთანხმებას საჭიროებდა {სსკ-ის 709-ე მუხლი} და მხოლოდ ამის შემდეგ წარმოეშობოდათ მხარეებს უფლება-მოვალეობები. ის ფაქტი, რომ 2012 წლის 22 აგვისტოს ნასყიდობის ხელშეკრულებას მარწმუნებელთან ერთად რწმუნებულის სახელით მისი დირექტორიც აწერდა ხელს სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში ადასტურებს იმას, რომ რწმუნებული აგრძელებდა დავალებული მოქმედებების შესრულებას და სწორედ მისი ძალისხმევით გასხვისდა მარწმუნებლის კუთვნილი ქონების ნაწილი. აქედან გამომდინარე, მინდობილობით განსაზღვრული უფლებამოსილების ვადის გასვლა გავლენას ვერ მოახდენდა მხარეთა ძირითადი (შიდა) ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნების ნამდვილობაზე. მოცემულ შემთხვევაში კი, მოსარჩელე

სწორედ დავალების ხელშეკრულებაზე ამყარებდა თავის მოთხოვნას და არა მინდობილობაზე.

20. არც გასხვისებული ქონების ღირებულებასთან დაკავშირებით გამოთქმული პრეტენზიაა გასაზიარებელი, რადგანაც ჯერ ერთი, ეს გარემოება კასატორს შესაგებლით სადავო არ გაუხდია, მეორეც, საქმეში არსებული 2012 წლის 22 აგვისტოს ხელშეკრულებებით უტყუარადაა დადგენილი, რომ გასხვისებული ქონების საერთო ღირებულება 340 000 ლარს აჭარბებდა.

21. ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ სავსებით სწორად არ გაიზიარა მარწმუნებლის არგუმენტები. მოწმეთა ჩვენებებზე და საქმეში განთავსებულ 2012 წლის აპრილისა და შემდგომი პერიოდის ელექტრონული მიმონერის მასალებზე დაყრდნობით დადგენილად მიიჩნია, რომ 2012 წლის 21 ივლისის წერილობითი ხელშეკრულების დადებაამდე, მხარეებს შორის უკვე არსებობდა 2012 წლის მაისის ზეპირი შეთანხმება, რომლითაც კასატორმა იკისრა ვალდებულება, გადაეხადა რწმუნებულისათვის იჯარით გაცემული ქონების დაბრუნების და მისი რეალიზაციის შემდეგ, რეალიზებული ქონების ღირებულების 10%, ანუ ე.წ. „წარმატების საკომისიო“ 34 000 ლარის ოდენობით {სსკ-ის 710-ე მუხლის პირველი ნაწილი}.

22. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონი არ დარღვეულა, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, შესაბამისად, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 372-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. შპს „S. R.“-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება;
3. კასატორს სახელმწიფო ბაჟი გადახდელი აქვს;
4. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



## 8. შუამავლობის ხელშეკრულება

### მაკლარის გასამრჯელოს ანაზღაურება

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-522-495-2014

5 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** საშუამავლო გასამრჯელოსა და ჯარიმის  
ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ჰ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ა-ის მიმართ  
შუამავლობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გასამრჯელო-  
სა და ჯარიმის – 3 420 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უა-  
რის თქმა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
კოლეგიის 2013 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „ჰ-  
ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაა-  
საჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და მოპასუხი-  
სათვის 3 000 აშშ დოლარის დაკისრება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2014 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით შპს „ჰ-  
ის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასა-  
ჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი  
გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „ჰ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ  
დაკმაყოფილდა, მ. ა-ს შპს „ჰ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 2 140  
აშშ დოლარის გადახდა შემდეგი დასაბუთებით:

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მ.ა. ბინის შესყიდვის  
მიზნით დაუკავშირდა საშუამავლო კომპანიას შპს „ჰ-ს“ და  
11.07.2013წ. მხარეთა შორის წერილობით გაფორმდა ე.წ „უძრავი  
ქონების შეძენის სარეგისტრაციო მონშობა“, რომლის თანახ-  
მად შპს „ჰ-ს“ მ. ა-თვის უნდა გაენია საშუამავლო მომსახურება

საცხოვრებელი ბინის შეძენის მიზნით, ქ.თბილისში, ..... და ..... ქუჩებზე 52 000 აშშ დოლარის ფარგლებში. საშუამავლო მომსახურების გადასახადი განისაზღვრა ბინის ღირებულების 3%-ით, ხოლო შემკვეთის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში – ჯარიმა საშუამავლო თანხის ორმაგი ოდენობით;

ნ.ა. არის მოპასუხე მ. ა-ის დედა;

2013 წლის 14 ივლისს ქ. თბილისში ..... მდებარე №1 კორპუსის №82 ბინაზე მ. ა-ის დედას – ნ.ა. და ყოფილ მესაკუთრე ა. რ-ს შორის წერილობით გაფორმდა ბეს ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად, ნ. ა-მ, როგორც მყიდველმა, ა. რ-ს წინასწარ, ბეს სახით გადაუხადა 5 000 აშშ დოლარი, ამასთან აიღო ვალდებულება, რომ უძრავი ქონების ღირებულების სრულ ოდენობას – 57 000 აშშ დოლარს, იგი გამყიდველს გადაუხდიდა ბინის გაფორმებისთანავე;

2013 წლის 14 ივლისს ბეს ხელშეკრულების გარდა, მ. ა-ის დედამ გასცა ხელწერილი, რომლის შესაბამისადაც, ნ. ა-მ ბინის ნასყიდობის სრული თანხის გადახდის ვალდებულება აიღო 2013 წლის 3 აგვისტოსათვის.

2013 წლის 14 ივლისს ა. რ-სა და ნ. ა-ს შორის ბეს ხელშეკრულებისა და ხელწერილის გაფორმებას ესწრებოდა შპს „ჰ-ის“ დირექტორი, რაც დასტურდებოდა დოკუმენტებზე შპს „ჰ-ის“ მრგვალი ბეჭდითა და მოწმე ნ. რ-ის ჩვენებით.

ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დგინდებოდა, რომ ქ.თბილისში ..... ბინა 82-ზე 2013 წლის 26 ივლისს განხორციელდა ნ. ა-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია 2013 წლის 22 ივლისის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე.

ა. რ-მ (ბინის გამყიდველი) შპს „ჰ-ს“ ბინის ნასყიდობის გაფორმების შემდეგ გადაუხადა 200 აშშ დოლარი, ხოლო მ. ა-ს არ გადაუხდია საშუამავლო მომსახურების საფასური, ბინის ღირებულების 3% – 1 710 აშშ დოლარი.

გაზიარებულ იქნა აპელანტის მსჯელობა, რომ ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის შემკვეთი იყო მ.ა., დაიდო შპს „ჰ-ის“ შუამავლობით.

სამოქალაქო კოდექსის 744-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პალატამ განმარტა, რომ საშუამავლო საქმიანობიდან გამომდინარე მომსახურების გადახდის ვალდებულება უკავშირდება შუამავლობის შედეგად ხელშეკრულების დადების ფაქტს. შემკვეთი მოვალეა, შუამავალს გასამრჯელო გადაუხადოს იმ საშუამავლო საქმიანობისათვის, რომელიც მაკლერმა გასწია, ამასთან, იგი ვალდებულია გასამრჯელო მისცეს შუამა-

ვალს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაიდება ის ხელშეკრულება, რომელსაც მიზნად ისახავდა შუამავლობა (შუამავლობის ხელშეკრულება). თუ გამიზნული ხელშეკრულება არ დაიდო, ანუ, „მაკლერის“ საშუამავლო საქმიანობა წარმატებით არ დასრულდა, მაკლერს არა აქვს უფლება მოითხოვოს გასამრჯელო.

გაზიარებულ იქნა აპელანტის პოზიცია, რომ გასამრჯელოს გადახდის ვალდებულება შემკვეთს უნდა დაეკისროს არა მხოლოდ მაშინ, თუ კონკრეტულ შემთხვევაში შუამავლობის შედეგად მოძიებული ბინა საჯარო რეესტრში დარეგისტრირდება შემკვეთის სახელზე, არამედ, მთავარია, რომ მიზანი, რის გამოც დაიდო საშუამავლო ხელშეკრულება, მიღწეული იქნას ანუ, დადგინდეს, რომ ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება დადებული იქნა საშუამავლო საქმიანობის შედეგად. შესაბამისად, პალატამ ჩათვალა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების შედეგად შეძენილი ბინის მესაკუთრედ ნ. ა-ის რეგისტრაცია არ გამორიცხავდა ნასყიდობის ხელშეკრულების შუამავლის საქმიანობის შედეგად დადების ფაქტს, იმ მოცემულობის პირობებში, როდესაც დადგენილი იყო ბეს ხელშეკრულებისა და ხელწერილის გაფორმებაში საშუამავლო კომპანიის მონაწილეობა და მ. და ნ. ა-ების ახლო ნათესაური კავშირი. მონმე ნ. რ-ის ჩვენებით პალატამ მიიჩნია, რომ ა. რ-ის ბინის სანახავად ბეს ხელშეკრულების გაფორმებამდე, წინა დღეს მ. და ნ. ა-ებს თან ახლდათ შპს „ჰ-ის“ წარმომადგენელი ლ. თ-ი, ასევე, ბეს ხელშეკრულების გაფორმება და ნ. ა-ის მიერ ხელწერილის შედგენა მოხდა აგრეთვე შპს „ჰ-ის“ წარმომადგენლის თ. გ-ს მონაწილეობით, რაც ასევე დასტურდებოდა აღნიშნულ დოკუმენტებზე დასმული შპს „ჰ-ის“ ბეჭდით.

არ იქნა გაზიარებული მონინაალმდევე მხარის (მოპასუხე) პოზიცია იმის თაობაზე, რომ ბინა მოძიებული იყო ნ. ა-ის მიერ, დამოუკიდებლად ყოველგვარი ჩარევის გარეშე, მ. ა-ს არ მოუწონებია და თანხმობა არ მიუცია ნ. ა-ითვის ქ.თბილისში .... გამზირზე არსებული ბინის შეძენაზე, რადგან მისი სურვილი იყო შეეძინა ბინა საბურთალოს ტერიტორიაზე და რომ ბეს გადაცემის შესახებ ხელშეკრულება დაიდო იძულებით, რადგან ეს გარემოება არ იყო დადასტურებული საქმის მასალებში წარმოდგენილი მტკიცებულებებით. აღნიშნული არ დასტურდებოდა არც მოპასუხე მხარის შუამდგომლობით დაკითხული მონმეების: ნ. ა-სა და კ. ტ-ის ჩვენებებით. მონმედ დაკითხულმა ნ. რ-მ უარყო ზემოაღნიშნული და დაადასტურა, რომ ბინის გაყიდვა მოხდა საშუამავლო ფირმა შპს „ჰ-ის“ მეშვეობით, არავითარ იძულებას ადგილი არ ჰქონია. მამამისი – ა. რ. ივლისის დასან-

ყისში ჩამოვიდა საქართველოში და მაშინ გადაწყდა ამ ბინის გაყიდვის საკითხი. ნ.რ. ყველა იმ პროცესის თვითმხილველია, რაც განვითარდა ბინის ნახვისა და ბეს გადაცემის მომენტში. პალატის მოსაზრებით, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მონ-მეთა ჩვენებები მოპასუხე მ. ა-თან სუბიექტური დამოკიდებუ-ლების გამო ვერ დაუპირისპირდებოდა ნეიტრალური მონმის – ნ. რ-ის ჩვენებას, ამასთან, იგი პირადად ესწრებოდა, როგორც ბეს ხელშეკრულებისა და ხელწერილის გაფორმების პროცესს, ისე წინა დღეს მ. და ნ. ა-ების მიერ გასაყიდი ბინის დათვალიე-რებას შპს „ჰ-ის“ წარმომადგენელთან ერთად.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილით, 317-ე მუხლის პირველი ნაწილით, 361-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 417-ე მუხლით, 418-ე მუხლის მე-2 ნაწილით და რადგანაც საშუამავლო კომპანია მოპასუხეს გა-უნია საშუამავლო მომსახურება ბინის ნასყიდობის ხელშეკრუ-ლების დადების მიზნით, ამ შუამავლობის შედეგად დაიდო ნას-ყიდობის ხელშეკრულება, ხოლო შემკვეთმა თავი აარიდა ნა-კისრი ვალდებულების შესრულებას, პალატამ მიიჩნია, რომ არ-სებობდა შეთანხმებული პირგასამტეხლოს დაკისრების წინა-პირობები, თუმცა მისი შეუსაბამო ოდენობის გამო, სასამარ-თლომ, სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი თანახმად, მიიჩ-ნია, რომ იგი 3-ჯერ უნდა შემცირებულიყო და მისი ოდენობა განსაზღვრულიყო 430 აშშ დოლარით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წე-სით გაასაჩივრა მ. ა-მ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის იმა-ვე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქა-ლაქო კოდექსის 744-ე მუხლის პირველი ნაწილი, 373-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 316-ე, 317-ე მუხლები, 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი, სასამართლოს არ განუმარტავს და არ დაუსაბუთებია ამ ნორ-მების დისპოზიციაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარეს არ შეუსრუ-ლებია ნაკისრი ვალდებულება, ხოლო მ. ა-ს ნ. ა-ის მიერ ბინის შეძენით სარგებელი არ მიუღია, ამდენად, კასატორისათვის თანხის დაკისრების საფუძველი არ არსებობდა. გარდა აღნიშ-ნულისა, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა განსხვავდება ბესა და ნასყიდობის ხელშეკრულების თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკისაგან. საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რაც დაადასტურებს შპს „ჰ-ის“ მხრიდან საბურთალოს რაიონში ბინის მოძიებისა და ამ

გზით ვალდებულების შესრულების ფაქტს, ასევე არ დგინდება, რომ ნ. ა-ის მიერ ქონების შექენით მ. ა-მ მიიღო სარგებელი.

კასატორმა მიუთითა მოსარჩელესა და მას შორის დადებულ შუამავლობის ხელშეკრულებაზე, ასევე ამ ხელშეკრულების პირობებზე და აღნიშნა, რომ შპს „ჰ-ს“ ნ. ა-თან რაიმე გარიგება არ დაუდია. მ. ა-ის სურვილი საბურთალოს რაიონში ბინის შექენა იყო, რაც დღემდე არ განხორციელებულა, .... გამზირზე მდებარე ბინა შემქენის მიერ იქნა მოძიებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბეს ხელშეკრულებასაც მ.ა. გააფორმებდა, რომელიც არ შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ა-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილით კი დადგენილია, რომ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არასწორად შეაფასა მ. ა-სა და შპს „ჰ-ს“ შორის დადებული შუამავლობის ხელშეკრულების პირობები და არასწორად ჩათვალა, რომ ნ. ა-სა და ა. რ-ს შორის ქ.თბილისში, ..... გამზირის №63-ში, პირველი კორპუსის №82 ბინაზე 2013 წლის 22 ივლისს ნასყიდობის ხელშეკრულების დადებით მოსარჩელემ მ. ა-ის მიმართ ნაკისრი ვალდებულება შეასრულა. მან სადავოდ გახადა ასევე სასამართლოს დასკვნა ნ. ა-ის მიერ გარიგების დადებისას მოპასუხის თანხმობის არსებობის ფაქტის თაობაზე.

კასატორის პრეტენზიების საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს რამდენიმე საკითხზე:

მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს 2013 წლის 11 ივლისის შუამავლობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოპასუხისათვის გასამრჯელოს, ასევე პირგასამტეხლოს დაკისრება.

მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად სააპელაციო სასა-

მართლომ მართებულად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 744-ე მუხლზე, რამდენადაც მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობა შუამავლობის ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს. მითითებული ნორმის თანახმად, პირი, რომელიც სხვას ჰპირდება გასამრჯელოს ხელშეკრულების დასაღებად განუული შუამავლობისათვის, ვალდებულია გადაიხადოს ეს გასამრჯელო მხოლოდ მაშინ, თუ ხელშეკრულება ამ შუამავლობის შედეგად დაიდო. თუ ხელშეკრულება იდება გადადების პირობით, გასამრჯელო შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ ამ პირობის დადგომის შემდეგ. თუ გასამრჯელოს ოდენობა განსაზღვრული არ არის, შეთანხმებულად ითვლება ჩვეულებრივ მოქმედი გასამრჯელო. შემკვეთის საზიანოდ ამ მუხლის პირველი და მე-2 წინადადებებისაგან განსხვავებულად დადებული შეთანხმება ბათილია.

განსახილველი ნორმიდან გამომდინარე, საშუამავლო ხელშეკრულებით განსაზღვრული გასამრჯელოს ანაზღაურების დაკისრებისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: მხარეთა შეთანხმება შუამავლობის გზით ხელშეკრულების დადებაზე; ძირითადი ხელშეკრულება, რომლის დადების მიზნითაც თანხმდებიან მხარეები შუამავლობაზე; ეს ხელშეკრულება სწორედ შუამავლობის შედეგად უნდა იყოს დადებული.

სარჩელის ფაქტობრივ დასაბუთებაში აღნიშნულია, რომ შუამავლობის ხელშეკრულება გაფორმდა შპს „ჰ-სა“ და მ. ა-ს შორის, რომლითაც შესასყიდი უძრავი ქონების საორიენტაციო ფასი განისაზღვრა 52 000 აშშ დოლარიდან და მოსარჩელის მომსახურების შედეგად ბინის შექმნის შემთხვევაში, მ. ა-მ, გასამრჯელოს სახით, იკისრა ქონების ღირებულების 3%-ის, ხოლო გასამრჯელოს გადახდისათვის თავის არიდების შემთხვევაში, ჯარიმის სახით საკომისიო თანხის ორმაგი ოდენობის გადახდის ვალდებულება. მოსარჩელის მიერ იყალთოს, ვაჟა-ფშაველასა და იოსებიძის ქუჩებზე შეთავაზებული არც ერთი ბინა არ იქნა მონონებული მოპასუხის მიერ. საშუამავლო ფირმის თანამშრომელმა ა-ებმა შესთავაზა ასევე ქ.თბილისში, ..... №63-ში, პირველ კორპუსში მდებარე №82 ბინა, რომლის შესყიდვის მიზნით ნ. ა-მ გამყიდველს გადასცა ბე – 5 000 აშშ დოლარი და 2013 წლის 3 აგვისტოსათვის იკისრა ქონების ღირებულების დარჩენილი ნაწილის გადახდის ვალდებულება. აღნიშნულით მოსარჩელემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, რადგანაც შესყიდული ქონების მესაკუთრე, მ. ა-ის თანხმობით, გახდა ნ.ა., ხოლო მოპასუხემ ამით მიიღო სარგებელი.

მოპასუხემ შესაგებლით სადავოდ გახადა შპს „ჰ-ის“ მიერ

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, რადგანაც მ.ა-ს ბინის შეძენა სურდა საბურთალოს რაიონში, რაც პირდაპირაა მითითებული ხელშეკრულებაში. ნ. ა-სა და მოსარჩელეს შორის გარიგება არ დადებულა, ხოლო ბინა უშუალოდ შემძენის მიერაა მოძიებული, ამასთანავე, მოპასუხეს არ მოუწონებია და თანხმობა არ განუცხადებია ნ. ა-სთვის ქ.თბილისში, .... გამზირზე მდებარე ბინის შესაძენად.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ შპს „ჰ-სა“ და მ.ა-ს შორის წერილობით გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა საშუამავლო მომსახურების განევას ქ. თბილისში, იყალთოს, ვაჟა-ფშაველასა და იოსებძის ქუჩებზე 52 000 აშშ დოლარის ფარგლებში ბინის შესაძენად. ქ.თბილისში ..... №63-ში №1 კორპუსში მდებარე №82 ბინაზე 2013 წლის 14 ივლისს ბეს ხელშეკრულება, ასევე ხელწერილი უძრავი ქონების ღირებულების სრული ოდენობის – 57 000 აშშ დოლარის გადახდის თაობაზე გაფორმდა მ. ა-ის დედას – ნ. ა-სა და ყოფილ მესაკუთრეს – ა. რ-ს შორის, ასევე დადგენილია, რომ თბილისში ..... №63-ის №1 კორპუსში მდებარე №82 ბინაზე 2013 წლის 26 ივლისს განხორციელდა ნ.ა-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია 2013 წლის 22 ივლისის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პრეტენზიას გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლოს მიერ შუამავლობის ხელშეკრულების პირობებისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების არასწორად შეფასების თაობაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. განსახილველ შემთხვევაში, შეძენილი ქონების მდებარეობა, ასევე მისი ღირებულება არ შეესაბამება შუამავლობის ხელშეკრულებაში მითითებულ პირობებს, ამასთანავე, საქმეში არ მოიპოვება წერილობითი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა შემკვეთის ნებას, გარიგებაში მითითებული უბნის გარდა, სხვა უბანში ბინის შეძენის შესახებ. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მოსარჩელის განმარტება, რომლის თანახმადაც მან მ. ა-ს არა ერთი ბინა შესთავაზა იყალთოს, ვაჟა-ფშაველასა და იოსებძის ქუჩებზე, თუმცა არც ერთი მათგანი არ მოიწონა. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს

მიერ დადგენილ გარემოებას იმის თაობაზე, რომ ბეს ხელშეკრულებისა და ხელწერილის გაფორმებაში საშუამავლო კომპანია მონაწილეობდა, ასევე, მ. და ნ. ა-ები წარმოადგენენ დედაშვილს, არ გამოდგება იმ პრეზუმფციის დაშვების საფუძვლად, რომ .... გამზირზე მდებარე ბინა 2013 წლის 11 ივლისს დადებული შუამავლობის ფარგლებში მ.ა-ის მიერ იქნა შეძენილი. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული გარემოება შპს „ჰ-ის“ მიერ ვალდებულების შესრულების თაობაზე, არ ჰპოვებს დადასტურებას საქმეში არსებული შესაბამისი მტკიცებულებებით, შეკრებილ მტკიცებულებებს კი, არ მიეცა ობიექტური შეფასება.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, ნ. ა-ის მიერ ქ.თბილისში, .... გამზირზე მდებარე უძრავი ქონების შეძენისას მოპასუხის თანხმობის არსებობის თაობაზე და განმარტავს, რომ მართალია, სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლი ითვალისწინებს არაუფლებამოსილი პირის მიერ შესრულების მიღების სამართლებრივ შედეგებს, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, ასეთს ადგილი არ აქვს. პირველ რიგში საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილებაზე. იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ არაუფლებამოსილი პირის მიერ ვალდებულების შესრულების მიღებაზე კრედიტორმა განაცხადა თანხმობა ან/და მიიღო სარგებელი, ეკისრება მოსარჩელეს. მანვე უნდა წარუდგინოს სასამართლოს ის მტკიცებულებები, რომლებიც სარწმუნოდ დაადასტურებენ არაუფლებამოსილი პირის მიმართ ვალდებულების შესრულებისას კრედიტორის თანხმობის არსებობასა თუ მის მიერ სარგებლის მიღებას. საქმის მასალებით არ დგინდება, რომ შპს „ჰ-მა“ ამ კუთხით რაიმე მტკიცებულება წარუდგინა სასამართლოს. მხოლოდ ის ფაქტი, რომ მ.ა. იყო მისული ნ. ა-სთან ერთად ბინის სანახავად, ვერ გამოდგება სადავო გარემოების დადასტურების საკმარის მტკიცებულებად.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია იმის შესახებ, რომ მ. ა-ს არ მოუწონებია და თანხმობა არ მიუცია ნ. ა-თვის ქ.თბილისში .... გამზირზე არსებული ბინის შეძენაზე და ამ გარემოების დამტკიცების ტვირთი მოპასუხეს დააკისრა, რასაც საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება და მოიხმობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვან პრაქტიკას, კერძოდ ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა შემდეგი: „სასამართლომ საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების განსაზღვრის შემდეგ



უნდა განსაზღვროს სადაო და უდავო ფაქტები. სადავო ფაქტები მტკიცების საგანში შემავალ ფაქტებს წარმოადგენს და მტკიცების ტვირთის განაწილების პროცესიც სწორედ აქ ჰპოვებს გამოვლინებას. სასამართლომ, როგორც საპროცესო საქმიანობის სუბიექტმა, მტკიცების ტვირთი იმგვარად უნდა განაწილოს, რომ საფრთხე არ შეექმნას მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი უფლების რეალიზაციას. მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი პროცესუალური წესი მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლში, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოცემული მუხლის საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლთან ერთობლიობაში განხილვის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ მხარე, რომელმაც სასამართლოს მიმართა მოთხოვნით, მას აწევს როგორც ამ მოთხოვნის საფუძვლად არსებული ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების, ანუ მტკიცებულებების წარდგენის ტვირთი. როგორც წესი, ფაქტის მითითების და მისი დამტკიცების ტვირთი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით ერთ მხარეს მხოლოდ ფაქტის მითითების ტვირთი ეკისრებოდეს, ხოლო მეორე მხარეს საწინააღმდეგოს დამტკიცების ტვირთი“ (იხ. სუსგ №ას-1485-1401-2012, 11 ნოემბერი, 2013 წელი).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. განსახილველ შემთხვევაში, რადგანაც არ დასტურდება საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი, პალატა მიიჩნევს, რომ უფლებამოსილია თავად გადაწყვიტოს დავა.

საკასაციო სასამართლოს დასკვნით, მოსარჩელემ სათანადო მტკიცებულებების წარდგენით ვერ დაამტკიცა შუამავლობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, ასევე ის, რომ ნ. ა-ის მიერ დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებას საფუძვლად ედო მ. ა-ის თანხმობა ან მოპასუხემ ამ გარიგებით მიიღო სარგებელი. ამასთან, რადგანაც ბეს ხელშეკრულება, ნ. ა-ის ხელწერილი და ამ კუთხით წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებები სადავო გარემოების დამადასტურებელ სათანადო მტკიცებულებად ვერ იქნება მიჩნეული, პალატა თვლის, რომ

შპს „ჰ-ის“ სარჩელი უსაფუძვლოა და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების წინაპირობები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, ვინაიდან საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილებით სრულად დაკმაყოფილდა მ. ა-ის საკასაციო საჩივარი, ხოლო მოსარჩელეს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, პალატა თვლის, რომ შპს „ჰ-ს“ მ. ა-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის ანაზღაურება.

ამასთანავე, პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup> მუხლზე, რომლითაც დადგენილია, რომ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

განსახილველი ნორმიდან გამომდინარეობს სასამართლოს ვალდებულება, მასში მითითებული სამართლებრივი წინაპირობების არსებობისას იმსჯელოს გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებაზე და გააუქმოს იგი, ვინაიდან სახეზე აღარაა ამავე კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დავის საგნის დაცვისა და მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის წინაპირობები.

მოცემულ შემთხვევაში, რადგანაც შპს „ჰ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, პალატა მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 11 სექტემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც ყადაღა დაედო მ. ა-ის კუთვნილ უძრავ ქონებას (მდებარე ქ.თბილი-

სი, ....., ბინა №49, საკადასტრო კოდი №.....).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 199<sup>1</sup>, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. მ. ა-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 26 მარტის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.
3. შპს „ჰ-ის“ სარჩელი მ. ა-თვის საშუამავლო გასამრჯელოსა და ჯარიმის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.
4. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 11 სექტემბრის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც ყადაღა დაედო მ.ა-ის უძრავ ქონებას (მდებარე ქ.თბილისი, ..... ბინა №49, საკადასტრო კოდი №.....).
5. შპს „ჰ-ს“ მ.ა-ის სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის ანაზღაურება.
6. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 9. დაზღვევის ხელშეკრულება

### დამზღვევის ბრალი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

#### ბანჩინება

№ას-1306-1226-2015

13 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. 2014 წლის 14 ივლისს ი. ყ-სა (შემდეგში: მოსარჩელე, აპელანტი) და შპს „ს. კ. უ-ს“ (შემდეგში: მოპასუხე, კასატორი ან მზღვეველი) შორის გაფორმებული ავტოსატრანსპორტო საშუალების (MERSEDES-BENZ E200 SDI, სახ №...) დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე გაიცა ავტოსატრანსპორტის დაზღვევის პოლისი №019989 (შემდეგში: პოლისი) {საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში: სსკ-ის, 799.1 მუხლი}.

2. მოსარჩელემ გადაიხადა სადაზღვევო პოლისით დადგენილი გრაფიკის შესაბამისად მხოლოდ პირველი (14.07.2014წ. – 302.95 აშშ დოლარი) და მეორე (14.10.2014 წ. – 302.95 აშშ დოლარი) სადაზღვევო პრემიის პორცია – გადასახდელი ჯამური სადაზღვევო პრემიის 1211.80 აშშ დოლარიდან 605.90 აშშ დოლარი {სსკ-ის 799-ე მუხლის მეორე ნაწილი}.

3. სადაზღვევო შემთხვევას წარმოადგენდა ავტომობილის დაზიანება, მათ შორის ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანიც. სადაზღვევო თანხა (მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტი) 15 000 ლარი იყო {სსკ-ის 820-821-ე მუხლები}.

4. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, მზღვეველი სადაზღვევო ანაზღაურებას არ გაცემდა იმ შემთხვევაში, თუ: ა) ავტოსატრანსპორტისათვის მიყენებული ზიანი ალკოჰოლური, ფსიქოტროპული ან ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების მდგომარეობაში ყოფნისა ან იმ სამკურნალო პრეპარატე-

ბის მიღებისას, რომლებიც უკუჩვენებაშია ავტოტრანსპორტის მართვასთან, ავტომანქანის მართვისას დადგებოდა; ან ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, რომელიც მზღვეველს ანიჭებდა უფლებას უარი ეთქვა ანაზღაურებაზე.

5. 2014 წლის 3 ნოემბერს მოსარჩელემ დაარღვია მანევრირების წესები და დაზღვეული მანქანით შეეჯახა მის წინ მდგომ ავტომანქანას „ჭიუნდაი“ სახ. №.....

6. ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაზიანდა მოსარჩელის კუთვნილი დაზღვეული ავტომანქანა.

7. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, კანონით დადგენილი წესით, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №აა005823 (შემდეგში: სამართალდარღვევის ოქმი).

8. საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის მიერ ჩატარებული შემონმების შედეგად დადგინდა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის დროს მოსარჩელე ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ არ იმყოფებოდა.

9. მოსარჩელემ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი არ გაასაჩივრა და დადგინდ ვადაში გადაიხადა დაკისრებული ჯარიმა, 250 ლარი.

10. მოსარჩელემ წერილობით მიმართა მზღვეველს, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

11. მზღვეველმა უარი განაცხადა ზიანის ანაზღაურებაზე, იმ მოტივით, რომ დამზღვევმა სადაზღვევო შემთხვევა გამოინვია უხეში გაუფრთხილებლობით {სსკ-ის 829-ე მუხლი}.

12. სადაზღვევო ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით და 2014 წლის 4 ნოემბრის №2899 აღწერის აქტით, ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაზიანებული დაზღვეული ავტომანქანის აღსადგენად საჭირო იყო 2796.50 ლარი.

13. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ ზიანის, 9875 ლარის დაკისრების მოთხოვნით {სსკ-ის 799.1, 820-821-ე მუხლები}.

14. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და სსკ-ის 829-ე მუხლის საფუძველზე წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებელი.

15. მოპასუხემ შეგებებული სარჩელით მოითხოვა, მოსარჩელეზე გადაუხდელი სადაზღვევო პრემიის – 606.90 აშშ დოლარის დაკისრება.

16. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ხოლო მოპასუხის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა და მოსარჩელეს

დაეკისრა მოპასუხის სასარგებლოდ 605.90 აშშ დოლარის გადახდა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 799-ე და 829-ე მუხლები.

17. გადანყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადანყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილების მოთხოვნით, მოსარჩელემ წარადგინა სააპელაციო საჩივარი.

18. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 19 ნოემბრის გადანყვეტილებით, აპელანტის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მზღვეველს აპელანტის სასარგებლოდ დაეკისრა 2796.50 ლარის გადახდა.

19. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის მართლსაწინააღმდეგო ქმედება გამოიხატა მარტივ გაუფრთხილებლობაში, რადგან მისი ფსიქიკური დამოკიდებულება ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების მიმართ არ წარმოადგენდა იმ ხარისხის ბრალეულობას, რაც მის უხეშ გაუფრთხილებლობად მიჩნევის საფუძველს შექმნიდა, რაც თავის მხრივ, გამოორიცხავდა იმგვარი შემთხვევის არსებობას, რომლის დროსაც, მზღვეველი თავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან. შესაბამისად, პალატის მოსაზრებით, მზღვეველის არგუმენტი დამზღვევის უხეშ გაუფრთხილებლობაზე მითითებისა და ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის თაობაზე {სსკ-ის 829-ე მუხლი} მოკლებული იყო საფუძველს.

20. მოპასუხის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გასაჩივრებული გადანყვეტილება სააპელაციო პალატამ უცვლელად დატოვა; უდავოდ იქნა მიჩნეული, რომ აპელანტის მიერ მზღვეველისათვის გადახდილი არ იყო სადაზღვევო პოლისით დადგენილი გრაფიკის შესაბამისად მესამე და მეოთხე სადაზღვევო პრემიის ნაწილი, შესაბამისად, პალატის მოსაზრებით, აპელანტის მიერ გადასახდელი ჯამური სადაზღვევო პრემია არსებული მდგომარეობით შეადგენდა 605.90 აშშ დოლარს.

21. სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 19 ნოემბრის გადანყვეტილების ნაწილობრივ (2796,50 ლარის დაკმაყოფილების ნაწილში) გაუქმების მოთხოვნით საკასაციო საჩივარი წარადგინა კასატორმა, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

21.1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა მტკიცებულებები. კერძოდ, ბრალის შეფასებისას კონკრეტულ საქმეზე, მოსამართლემ უნდა დაადგინოს მისი არსებობა და ხარისხი, მაგრამ ამგვარი შეფასება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს უნდა ემყარებოდეს. განსახილველ შემთხვევაში ამ თვალსაზრისით გადანყვეტილება დაუსაბუთებელია.

21.2. სასამართლომ დადგენილი პრაქტიკის (საქმე №ას-745-713-2014, 30.04.2015, №სა-943-901-2013, 17.02.2014, №ას-1217-1146-2012, 22.10.2012 და №ას-1510-1425-1212, 18.02.2013) საწინააღმდეგოდ განმარტა სსკ-ის 829-ე მუხლი, რასაც შედეგად მოჰყვა არასწორი გადაწყვეტილება.

21.3. სასამართლომ არასწორად შეაფასა მტკიცებულებები. მან უკრიტიკოდ გაიზიარა აპელანტის ახსნა-განმარტება, მაშინ როდესაც, მის მიერ მითითებული გარემოებები არ დასტურდებოდა საპატრულო პოლიციის მიერ შედგენილი სამართალდარღვევის აქტითა და საგზაო შემთხვევის ამსახველი ნახაზით.

22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 9 მარტის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

23. საქმის მასალების გაცნობა, მათი შესწავლა და ანალიზი, ასევე, მხარეთა მოსაზრებების ზეპირი მოსმენით შემოწმება, საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, გამოიტანოს დასკვნა საკასაციო საჩივრის უსაფუძვლობის თაობაზე, სახელდობრ:

24. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით, არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

25. საკასაციო საჩივრის პრეტენზია მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის არასწორ განაწილებას ეფუძნება. კასატორის პრეტენზია მდგომარეობს იმაში, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 829-ე მუხლი, რასაც შედე-

გად მოჰყვა არასწორი გადაწყვეტილების მიღება. მისი არგუმენტი ემყარება იმას, რომ მოსარჩელე შემთხვევის დღეს მოქმედებდა უხეში გაუფრთხილებლობით და ამიტომ ის უფლება-მოსილი იყო უარი ეთქვა სადაზღვევო თანხის ანაზღაურებაზე.

26. საქმეზე დადგენილი გარემოებების ანალიზი კასატორის ზემოაღნიშნული არგუმენტის საწინააღმდეგო დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა. როგორც კასატორის მიერ მითითებულ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაშია აღნიშნული: „სამოქალაქო კანონმდებლობა არ იძლევა უხეში გაუფრთხილებლობის ლეგალურ დეფინიციას. ამდენად, მისი არსებობა უნდა დადგინდეს ყოველი კონკრეტული შემთხვევის განმაპირობებელი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლივი და ლოგიკური შეფასების შედეგად. მძღოლის უხეში გაუფრთხილებლობა არის მეტისმეტი დაუდევრობა, უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც თავისი მოქმედებით აუცილებელ ყურადღებას არ იჩენს უჩვეულოდ მაღალი ხარისხით. ასეთი განმარტება შესაბამება უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას“ (იხ. საქმე №ას-745-713-2014 30.04.2015).

27. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტები: შემთხვევის დღეს დამზღვევი მოძრაობდა დაშვებული სიჩქარით თავის სამოძრაო ზოლში, იგი ფხიზელი მართავდა ავტომობილს (არ იმყოფებოდა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ), მოძრაობის დროს არ არღვევდა საგზაო მოძრაობის წესებს. გზაზე წარმოქმნილი სავარაუდო საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, მან იმოქმედა გაუფრთხილებლად, გააკეთა არასწორი მანევრი, რასაც შედეგად მოჰყვა ავტოავარია. სასამართლომ დაასკვნა, რომ ამ ფაქტების ერთობლიობა იძლეოდა დამზღვევის მოქმედების მარტივ, და არა უხეშ გაუფრთხილებლობად შეფასების საშუალებას.

28. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ დასკვნას და დამატებით განმარტავს, რომ პასუხისმგებლობის ფარგლები, (უფრო მკაცრი ან მსუბუქი პასუხისმგებლობა), შეიძლება გარიგებით ან კანონით დაწესდეს. ამ შემთხვევაში, მხარეებს ხელშეკრულებით არ დაუკონკრეტებიათ ეს ფარგლები, ანუ არ გაუმიჯნიათ ერთმანეთისაგან უხეში და მარტივი გაუფრთხილებლობის შემთხვევები. შესაბამისად, სსკ-ი 829-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მზღვეველის პასუხისმგებლობა მხოლოდ მარტივი გაუფრთხილებლობით დამდგარი ზიანისათვის დგება. გამორიცხვის მეთოდით, მარტივ გაუფრთხილებლობად შეფასდება ყველა ის მოქმედება, რომელიც არ წარმოადგენს აუცილებელი წინდახე-



დუღების ნორმის განსაკუთრებით მძიმე დარღვევას, როგორცაა: დაშვებული სიჩქარის 80-100%-ით გადაჭარბება, უმიზნოდ საპირისპირო მოძრაობის ზოლში გადასვლა, ქარაფშუტულად, სათანადო გათვლების გარეშე, დაკავებული ზოლიდან გამოსვლით იმავე ზოლში თანმხვედრი მიმართულებით წინ მოძრაობა ერთი ან რამდენიმე სატრანსპორტო საშუალების გადასწრაფვა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, ასევე სახანძრო და სხვა სპეციალური ტრანსპორტისათვის გზის არ დათმობა, ავტომანქანის სამართავად გადაცემა მართვის უფლების არმქონე, ან არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მესამე პირისათვის და ა.შ.

29. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ სსკ-ის 829-ე მუხლის სააპელაციო სასამართლოსეული განმარტება ეწინააღმდეგება დადგენილ სასამართლო პრაქტიკას (საქმე №ას-745-713-2014, 30.04.2015, №ას-943-901-2013, 17.02.2014, №ას-1217-1146-2012, 22.10.2012 და №ას-1510-1425-1212, 18.02.2013). მის მიერ მითითებული არც ერთი საქმე არ გამოდგება პრეტენზიის დასასაბუთებლად, რადგანაც მითითებულ საქმეებში ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზეა საუბარი, რომლებიც არსებითად განსხვავდება მოცემული საქმის გარემოებებისაგან. კერძოდ:

29.1. საქმე №ას-745-713-2014 – ამ საქმეზე დადგინილი იყო, რომ მძღოლი მისი მართვის ქვეშ მყოფი სატრანსპორტო საშუალებით უკნიდან შეეჯახა ავტობუსს, რომელსაც მგზავრები გადაჰყავდა და რომელიც გაჩერებული იყო მონიშნულ ადგილას. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ეს ფაქტი იმაზე მითითებდა, რომ მას არ ჰქონდა დაცული საკმარისი დისტანცია, ასევე, სათანადო ყურადღებითა და სიფრთხილით არ ადევნებდა თვალყურს მგზავრების გადამყვან ავტობუსს. ანუ, ადგილი ჰქონდა აუცილებელი წინდახედულების ნორმის განსაკუთრებით მძიმე დარღვევას.

29.2. საქმე №1217-1146-2012 – ამ საქმეზე დადგინდა, რომ მომხდარ ფაქტზე მოსარჩელის (დამზღვევის) მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. ამასთან, კონკრეტულ შემთხვევაში, მხედველობაში იყო მისაღები, რომ მოსარჩელე მოძრაობდა სწორ, 6.5მ. სიგანის ცალმხრივი მიმართულების მქონე უდეფექტო გზაზე, მშრალ ამინდში, ყოველგვარი წინაღობისა და ხელისშემშლელი ფაქტორების გარეშე, რა დროსაც შეეჯახა სამანქანე გზის გვერდით არსებულ ტროტუარზე მდგარ ხეს.

29.3. საქმე №ას-943-901-2013 – ავტომობილის მძღოლმა,

რომელიც მოძრაობდა გადაჭარბებული, 70 კმ/სთ სიჩქარით, მაშინ, როდესაც დასაშვები სიჩქარე 40 კმ/სთ იყო, ვერ უზრუნველყო მოძრაობის უსაფრთხოება, გადაკვეთა უწყვეტი ღერძულა ხაზი, გადავიდა საპირისპირო მიმართულებით სამოძრაო ზოლში და შეეჯახა შემხვედრი მიმართულებით მოძრავ მიკროავტობუსს.

29.4. საქმე №ს-1510-1425-2012 – ამ საქმეშიც ადგილი ჰქონდა ქარაფშუტული მანევრირებით გზის სავალი ნაწილიდან გადასვლას და ხეზე შეჯახების შედეგად ავტომანქანის დაზიანებას.

30. ამრიგად, ცხადია, რომ ყველა ჩამოთვლილ საქმეზე დამრღვევის მხრიდან ადგილი ჰქონდა აუცილებელი წინდახედულების ნორმის განსაკუთრებით მძიმე დარღვევას და მათი მოშველიება საკასაციო პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად გაუმართლებელია.

31. საკასაციო სასამართლო კასატორის ყურადღებას ასევე ამახვილებს დაზღვევის სამართლებრივ ბუნებაზეც. დაზღვევა არის ურთიერთობა ფიზიკური და იურიდიული პირების პირადი და ქონებრივი ინტერესების დასაცავად, გარკვეული გარემოების (სადაზღვევო შემთხვევის) დადგომისას, ამ პირთა მიერ გადახდილი სადაზღვევო შენატანებით (სადაზღვევო პრემიებით) ფორმირებული ფულადი ფონდებისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროების ხარჯზე. აქედან გამომდინარე, დამზღვევის პასუხისმგებლობის ფარგლების კასატორისმიერი განმარტება ეწინააღმდეგება დაზღვევის, როგორც სამართლებრივ, ისე ეკონომიკურ არსსაც, რადგანაც ასეთი მიდგომა შესაძლებლობას იძლევა, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, დამზღვევის ნებისმიერი მოქმედება უხეშ გაუფრთხილებლობად შეფასდეს და მზღვეველმა არ აანაზღაუროს დამდგარი ზიანი.

32. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონი არ დარღვეულა, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, შესაბამისად, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის კოდექსის მე-8, 399-ე, 372-ე, 264.3, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „ს.კ.უ-ს“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება;
3. ი. ყ-ის შუამდგომლობა საქმეზე დამატებითი მტკიცებულებების დართვის შესახებ არ დაკმაყოფილდეს;
4. ი. ყ-ს დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში მის მიერ წარმოდგენილი დამატებითი მტკიცებულებები 24 ფურცლად;
5. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# 10. საბანკო მომსახურება

## საბანკო კრედიტი

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-461-435-2014

30 აგვისტო, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ხელშეკრულების შეწყვეტა და თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ან გარდაცვლილ ი. ბ-ესა (შემდეგში: დაზღვეული, მამკვიდრებელი ან მოსარჩელის მეუღლე) და სს „ს-ს“ (შემდეგში: მოპასუხე, კრედიტორი, ბანკი, დამზღვევი ან კასატორი) შორის, 2012 წლის 22 აგვისტოს გაფორმდა საბანკო მომსახურების №... ხელშეკრულება (შემდეგში: ხელშეკრულება; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში: სსკ, 623-ე, 867-ე მუხლები).

2. ხელშეკრულების 2.4. პუნქტით, დაზღვეული სარგებლობა და საკრედიტო სიცოცხლისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის პირობებით (შემდეგში დაზღვევის ხელშეკრულება), რადგან იყო ბანკის იპოთეკური სესხის მომხმარებელი და, 2012 წლის 31 აგვისტოდან, სარგებლობდა იპოთეკური სესხის მომხმარებლისათვის სიცოცხლის დაზღვევის ღია ოფსეტური პოლისით. ხელშეკრულებითვე განისაზღვრა, რომ ამგვარი სადაზღვევო პოლისით მოსარგებლე (ბენეფიციარი) იქნება მხოლოდ ბანკი. აღნიშნული პოლისის №... დანართით, დასახელებული სადაზღვევო ხელშეკრულების შესაბამისად, დამზღვევს წარმოადგენს ბანკი, ხოლო მზღვეველს სადაზღვევო კომპანია „ა-ი“ (ამჟამად სს „ს-ი“ შემდეგში: მზღვეველი, სადაზღვევო კომპანია / სსკ-ის 799-ე მუხლი/).

3. დასახელებული პოლისის დანართის პირობების შესაბამისად, დაზღვეულია დამზღვევის ფინანსური ინტერესი დაზღვე-

ულის მიმართ (იხ. 2.1. პუნქტი, გვ. 25), ხოლო მე-3 მუხლის (სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის წესი) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, მხარეთა შორის დადგენილი და შეთანხმებულია, რომ: მზღვეველს უნდა წარედგინოს გარდაცვალების (სადაზღვევო შემთხვევის) დამადასტურებელი დოკუმენტები მაქსიმალურად გონივრულ ვადებში: ა) დაზღვეულის გარდაცვალების მოწმობა (რომელშიც მითითებული უნდა იყოს დაზღვეულის გარდაცვალების კონკრეტული მიზეზი, გარდაცვალების თარიღი, ადგილი და დაზღვეულის ასაკი); 3.3. პუნქტის თანახმად, შემთხვევის დამადასტურებელი 3.1. პუნქტში მითითებული ყველა აუცილებელი დოკუმენტის წარუდგენლობისას, სადაზღვევო შემთხვევა არ ექვემდებარება მზღვეველის მიერ განხილვას და ზარალი არ ანაზღაურდება; 3.4. პუნქტის საფუძველზე, „მზღვეველის მიერ სადაზღვევო თანხის ანაზღაურებაზე მოტივირებული უარის თქმის შემთხვევაში, ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დაზღვეულის მემკვიდრეების ვალდებულებად რჩება. ამგვარ შემთხვევაში, დაზღვეულის მემკვიდრეებს არ აქვთ უფლება, მოთხოვონ მზღვეველს სადაზღვევო ანაზღაურება. სადაზღვევო ანაზღაურებაზე განაცხადის გაკეთება და სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნა მხოლოდ მოსარგებლის უფლებამოსილებათა“.

4. ამ გადაწყვეტილების მე-2 პუნქტში მითითებული დაზღვევის ხელშეკრულების 1.1. პუნქტით, დამზღვევია ბანკი, რომელიც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას უფლებამოსილია, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე სადაზღვევო პირობების შესაბამისად.

5. დაზღვეული (მოსარჩელის მეუღლე) გარდაიცვალა 2012 წლის 23 ოქტომბერს.

6. მისი გარდაცვალებიდან უმოკლეს ვადაში, ბანკის ქუთაისის ფილიალში მოსარჩელემ წარადგინა დოკუმენტები, რათა ბანკს მიემართა მზღვეველისათვის და სადაზღვევო კომპანიას დაეფარა დაზღვეულის სახელზე რიცხული სასესხო დავალიანება.

7. ბანკის №28/29731 წერილით, 2012 წლის 15 ნოემბერს, სადაზღვევო კომპანიას ეცნობა დაზღვეულის გარდაცვალების შესახებ და, მსესხებლის გარდაცვალების ფაქტის დასტურად, წარედგინა შემდეგი დოკუმენტები: დაზღვეულის გარდაცვალების მოწმობა №...; ცნობა გარდაცვალების შესახებ №.../ფორმა 106/, ქუთაისის №2 პოლიკლინიკის 2012 წლის 26 ოქტომბრის ცნობა №1535; პაციენტის გასინჯვის ფურცელი, ქუთაისის №2 პოლიკლინიკა /ფორმა 200-5/ა/.

8. სს-ის „ჩ-ა“ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ქუთაისის ფილიალის 2012 წლის 28 ნოემბრის №44 ცნობის თანახმად, დაზღვეულის გარდაცვალების მიზეზია: კარდიული სიკვდილი.

9. იმავე კლინიკის მიერ, 2012 წლის 24 ოქტომბრით დათარიღებულ №005652012200969 სამედიცინო ცნობაში დაზღვეულის გარდაცვალების მიზეზად მითითებულია: „146.1 უეცარი კარდიული სიკვდილი, აღწერილი ასეთი ფორმით“. ცნობაში ასევე მითითებულია, რომ სიკვდილი დაადასტურა ექიმმა – ექსპერტმა დაკვირვებით.

10. დაზღვეულის სამკვიდრო ქონება, 2013 წლის 5 ივნისის სამკვიდრო მონშობის საფუძველზე, მემკვიდრეობით მიიღო (სსკ-ის 1336.1, 1421, 1499 მუხლები) მისმა მეუღლემ ლ. ბ-ემ (შემდეგში: მოსარჩელე, მამკვიდრებლის მეუღლე, აპელანტი ან კასატორის მონინალმდევე), რომელიც 2012 წლის 23 ოქტომბრიდან (მამკვიდრებლის გარდაცვალების თარიღი) 2013 წლის 25 ივნისის ჩათვლით ბანკში იხდიდა მეუღლის სესხის სარგებელს (პროცენტს); მოსარჩელემ სულ 3 136 (სამი ათას ას ოცდათექვსმეტი) აშშ დოლარი გადაიხადა.

11. მამკვიდრებლის მეუღლემ, 2013 წლის 5 ივნისის სარჩელი აღძრა ბანკის წინააღმდეგ და მოითხოვა მის მეუღლესა (დაზღვეულსა) და ბანკს (დამზღვევეს) შორის გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტა და გადახდილი თანხის 3 136 აშშ დოლარის დაბრუნება.

12. მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით არ ცნო სარჩელი და მიუთითა, რომ ბანკმა, როგორც დამზღვევემ შესარულა საკუთარი ვალდებულება და, სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მზღვეველს გაუგზავნა ყველა ის დოკუმენტი, მათ შორის, დაზღვეულის გარდაცვალების მონშობა, რომელშიც მითითებული იყო ამ უკანასკნელის გარდაცვალების მიზეზი. მზღვეველმა თანხის ანაზღაურებაზე უარი იმის გამო კი არ განაცხადა, რომ დამზღვევემ დაგვიანებით ან არასრულად წარადგინა რაიმე დოკუმენტი, არამედ, სადაზღვევო კომპანიის წერილში აღნიშნულია, რომ არ დგინდებოდა დაზღვეულის გარდაცვალების მიზეზი და მითითებული დიაგნოზი არ შეესაბამებოდა დოკუმენტაციაში აღწერილ გარემოებებს. ბანკს დაზღვეულის მემკვიდრეებმა მიაწოდეს სამედიცინო დოკუმენტაცია და, შესაბამისად, დამზღვევეს არ შეეძლო, რაიმე გავლენა მოეხდინა მათ სისწორეზე. დაზღვეულის მეუღლის მიერ ბანკისათვის გადახდილი თანხა, ზედმეტად გადახდილად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული, რადგან დაზღვეულსა და დამზღვევეს შორის არსებობდა ვალდებულებითსამარ-

თლებრივი ურთიერთობა და საკრედიტო დავალიანება უნდა გადაეხადა დაზღვეულს (იხ. შესაგებელი).

13. საქმეში მესამე პირად, დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, ჩართულმა სადაზღვევო კომპანიამ (მზღვეველმა) უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა დამზღვევისადმი, რადგან დაზღვეულის გარდაცვალების მიზეზის დამდგენი დოკუმენტებიდან ირკვეოდა, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადას პაციენტი გარდაცვლილი დახვდა. უცნობი მიზეზის გამო, მათ არ შეუდგენიათ ცნობა გარდაცვალების შესახებ, ასეთი ცნობა გასცა ბინაზე გამოძახებულმა პოლიკლინიკის ექიმმა, რომელმაც მხოლოდ გარეგანი დათვალიერებით დაადგინა გარდაცვალების მიზეზი და დასვა დიაგნოზი.

14. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით მამკვიდრებლის მეუღლის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ სარჩელის უარყოფის მოტივად მიუთითა სსკ-ის 799-ე მუხლზე და, მისი დეფინიციიდან გამომდინარე, განმარტა, რომ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა არ არის მზღვეველის უპირობო ვალდებულება, არამედ ასეთი ანაზღაურება მზღვეველმა სახელშეკრულებო პირობების გათვალისწინებით და მის შესაბამისად უნდა გასცეს.

15. სასამართლომ განმარტა, რომ მზღვეველს დამზღვევის 15.11.2012წ. წერილით ეცნობა დაზღვეულის გარდაცვალების შესახებ, რის დასტურადაც წარედგინა ამ განჩინების მე-7 პუნქტში მითითებული დოკუმენტაცია. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის ერთობლივი ბრძანების №01-5/ნ-319 (შემდეგში: მინისტრთა ერთობლივი ბრძანება) №4 დანართის მე-3 მუხლის (ცნობის შევსებისა და შენახვის წესი) მე-8 და მე-9 პუნქტები ზედმინევენით არ შესრულდა, ეჭვი გაჩნდა დაზღვეულის გარდაცვალების მიზეზის თაობაზე, დაფარული რისკებისა და გამონაკლისების გათვალისწინებით. ამის გამო, მზღვეველმა დაზღვეულის გარდაცვალების შემდეგ არ გასცა სადაზღვევო ანაზღაურება.

16. სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) მე-4, 102-ე, 103-ე და 105-ე მუხლებზე მიუთითა და დაასკვნა, რომ დამზღვევემა (ბანკმა) სრულად შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება და გარდაცვლილის ოჯახის წევრთა მიერ მიწოდებული დოკუმენტაცია წარუდგინა მზღვეველს, დოკუმენტაციაში მითითებული ინფორმაციის უკმარისობა და ხარვეზები არ იყო გამოწვეული ბან-

კის ბრალეულობით, რის გამოც, ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობის საფუძველი არ შეიძლებოდა გამხდარიყო მზღვეველის მიერ სადაზღვეო ანაზღაურების გაცემაზე უარის თქმა. აქედან, გამომდინარე, მოსარჩელის მიერ ბანკისათვის გადახდილი სესხის სარგებლის თანხა, ვერ ჩაითვლებოდა ზედმეტად გადახდილად.

17. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილება.

17. მოსარჩელემ სააპელაციო საჩივარში შემდეგ არგუმენტებზე მიუთითა:

17.1. სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ საქმეში არსებულ დოკუმენტებში მითითებული არ არის მოსარჩელის მეუღლის გარდაცვალების მიზეზი. მოსარჩელის მიერ დაცულია დაზღვევის ხელშეკრულების მოთხოვნა. მის მიერ წარდგენილ ცნობებში მითითებულია დაზღვეულის გარდაცვალების მიზეზი. სარჩელით მოთხოვნილი თანხები მოსარჩელემ გადაიხადა მეუღლის (დაზღვეულის) გარდაცვალების შემდეგ, რითაც ბანკი უსაფუძვლოდ გამდიდრდა;

17.2. გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეულია სსსკ-ის 105-ე მუხლის, 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები, სასამართლომ არ გამოიყენა სსკ-ის 115-ე, 428-ე, 844-ე, 385-ე, 453-ე, 976-ე მუხლები, არასწორად განმარტა სსკ-ის 799-ე მუხლის პირველი ნაწილი.

18. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და, ახალი გადაწყვეტილებით, მამკვიდრებლის მეუღლის სარჩელი დაკმაყოფილდა. ბანკსა და დაზღვეულს შორის, ამ უკანასკნელის გარდაცვალების გამო, შეწყდა 2012 წლის 22 აგვისტოს საბანკო მომსახურების ხელშეკრულება. მოსარჩელის სასარგებლოდ, ბანკს დაეკისრა 3 136 აშშ დოლარის გადახდა.

19. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე გადაწყვეტილების 1-10 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

20. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 316-ე, 317-ე, 319-ე, 844.1-ე, 809.2-ე, 850.1-ე, 850.2-ე, 328-ე, 453.1-ე, 385-ე მუხლები, 976.1-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, 986-ე, 115-ე და სსკ-ის მე-4, 102-ე, 103-ე მუხლები და განმარტა:

20.1. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-2 პუნქტში მითი-



თებული ხელშეკრულებით დამზღვევია ბანკი (1.1 პუნქტი), დაზღვეულია ფიზიკური პირი და იზღვევა დამზღვევის ფინანსური ინტერესი დაზღვეულის მიმართ (1.3 პუნქტი), ბანკი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას უფლებამოსილია, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე სადაზღვევო პირობების შესაბამისად (2.1 პუნქტი), მზღვეველს უნდა წარედგინოს დაზღვეულის გარდაცვალების მოწმობა, რომელშიც მითითებული უნდა იყოს დაზღვეულის გარდაცვალების კონკრეტული მიზეზი (3.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი);

20.2. ხელშეკრულების აღნიშნული პუნქტების მიხედვით, დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში, ბანკს კრედიტის თანხას აუნაზღაურებს სადაზღვევო კომპანია;

20.3. სადაზღვევო შემთხვევა-დაზღვეულის გარდაცვალება დადასტურებულია;

20.4. ხელშეკრულების პირობის შესაბამისად, მოსარჩელემ წარადგინა შესაბამისი ცნობები, კერძოდ, გარდაცვალების მოწმობა და ცნობა გარდაცვალების შესახებ, რომლებშიც მითითებულია დაზღვეულის გარდაცვალების მიზეზი (მიოკარდიუმის ინფარქტი). ასეთ შემთხვევაში მზღვეველს უნდა გაეცა თანხა დამზღვევზე (ბანკზე);

20.5. მზღვეველის უარი ბანკისათვის დაზღვევის თანხის ანაზღაურებაზე დაუსაბუთებელი და უკანონოა. სსკ-ის 844-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა, აუნაზღაუროს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

20.6. სსკ-ის 809-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: „ხელშეკრულებაზე უარის თქმა დაუშვებელია, თუ მონაცემების უზუსტობა მზღვეველისათვის ცნობილი იყო, ან თუ დამზღვევს ბრალი არ მიუძღვის არასწორ მონაცემთა მიწოდებაში. ამ მონაცემების შეტყობინებიდან ერთი თვის განმავლობაში მზღვეველს შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება“;

20.7. ხელშეკრულების პირობა, გარდაცვალების კონკრეტული მიზეზის მითითების თაობაზე ბათილი პირობაა სსკ-ის 54-ე მუხლის (ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალავს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს) საფუძველზე, რადგან ეწინააღმდეგება დაზღვევის შესახებ სამოქალაქო კოდექსის ნორმებს. ასეთ შემთხვევაში მოქმედებს სამოქალაქო კოდექსის (სპეციალური) ნორმები სიცოცხლის დაზღვევის შესახებ. სსკ-ის 850-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სიცოცხლის დაზღვევისას

მზღვეველი თავისუფლება თავისი მოვალეობისაგან, თუ პირი, რომლის სიცოცხლეც დაზღვეული იყო, თავს მოიკლავს. სამოქალაქო კოდექსის ნორმების მიხედვით, მხოლოდ თვითმკვლელობის დროს არ გაიცემა სადაზღვევო თანხა, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. დაფარულ რისკებს წარმოადგენს დაზღვეულის გარდაცვალება ნებისმიერი მიზეზით.

20.8. ხელშეკრულების 2.4 პუნქტიდან (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-2 პუნქტი) გამომდინარე, მზღვეველს (სადაზღვევო კომპანიას) დამზღვევისათვის (ბანკისათვის) თანხა უნდა გადაეხადა. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ გარდაცვალების მიზეზის მიუთითებლობა არ ცვლის საქმის არსს, თუმცა, საქმეში არსებულ ცნობაში მითითებულია გარდაცვალების მიზეზი (იხ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების 4.26-4.29 ქვეპუნქტები).

20.9. სსკ-ის 428-ე მუხლის მიხედვით, ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება მაშინაც, როდესაც კრედიტორი ამ ვალდებულებით გათვალისწინებული შესრულების ნაცვლად შესრულებად იღებს სხვა შესრულებას, ხოლო 453-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოვალის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, თუ შესრულება შეუძლებელია მისი პირადი მონაწილეობის გარეშე. დამზღვევესა და დაზღვეულს შორის 2012 წლის 22 აგვისტოს გაფორმებული საბანკო მომსახურების ხელშეკრულება დაზღვეულის გარდაცვალების გამო შეწყდა და, შესაბამისად, მოსარჩელეს აღარ ჰქონდა ვალდებულება, ეხადა ბანკისათვის სესხის სარგებელი.

21. სასამართლომ სსკ-ის 850.2-ე, 316.1-ე, 317.1-ე, 385-ე მუხლებზე, 976.1-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, 986-ე მუხლზე მითითებით, განმარტა, რომ მოსარჩელე არ იყო ვალდებული, ბანკისათვის გადაეხადა 3 3136 აშშ დოლარი, ამასთან, ისიც აღნიშნა, რომ სსკ-ის 115-ე მუხლის თანახმად, უფლება არ შეიძლება გამოყენებული იქნეს ბოროტად მხოლოდ იმ მიზნით, რომ სხვას მიადგეს ზიანი. სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, უზრუნველყოს სამოქალაქო უფლების მართლზომიერად განხორციელება. ნებისმიერი დავის განხილვისას, როგორც ნესი, სასამართლო ამონმებს უფლების გამოყენებისა და ვალდებულების შესრულების მართლზომიერების საკითხს და ამის საფუძველზე აფასებს მხარეთა მიერ სასამართლოს წინაშე დაყენებულ მოთხოვნათა მართებულობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოსათვის მიმართვის უფლება თავის მნიშვნელობას დაკარგავს. უფლების გამოყენების მართლზომიერების შესაფასებლად კი აუცილებელია მისი გამოყენების განმაპირობებელ

გარემოებათა შეფასება.

22. სადაზღვევო კომპანიამ, დაზღვეულის გარდაცვალების გამო, დაზღვევის თანხის ბანკისთვის აუნაზღაურებლობით (უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად, თითქოსდა არ დგინდებოდა დაზღვეულის გარდაცვალების კონკრეტული მიზეზი, მაშინ, როცა ყველა წარდგენილ ცნობაში გარდაცვალების მიზეზი მიოკარდიუმის ინფარქტია) და ბანკმა (დაზღვეულთან საკრედიტო ხელშეკრულების არ შეწყვეტით და მოსარჩელისათვის 3 136 აშშ დოლარის დაუბრუნებლობით, რომელიც ყოველგვარი ვალდებულების გარეშე მიიღო), თავიანთი უფლებები ბოროტად გამოიყენეს, მხოლოდ იმ მიზნით, რომ მოსარჩელეს მიდგომოდა ზიანი.

23. სააპელაციო სასამართლომ, სსკ-ის მე-4, 102-ე და 103-ე მუხლების საფუძველზე, მიიჩნია, რომ აპელანტმა შეძლო საკუთარი მოთხოვნის საფუძვლიანობის დამტკიცება, ხოლო მოპასუხემ ვერ შეძლო დაემტკიცებინა, რომ დაზღვეულთან ხელშეკრულების არ შეწყვეტა და გადახდილი თანხის მოსარჩელისათვის დაუბრუნებლობა კანონის დაცვით მოხდა.

24. ბანკმა საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, მისი გაუქმება და, გადაწყვეტილების შეცვლით, დაზღვეულის მემკვიდრის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 17 დეკემბერს, ზეპირი განხილვის წესით, დანიშნულ სხდომაზე გამოცხადებულმა მხარეებმა საკუთარი პოზიციები შემდეგნაირად წარმოაჩინეს:

25.1. კასატორმა განმარტა, რომ საკასაციო საჩივარი დაშვებული უნდა ყოფილიყო არსებითად განსახილველად და ყურადღება გაამახვილა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მიხედვით, სასამართლომ შეწყვეტილად მიიჩნია დამზღვევესა (ბანკსა) და დაზღვეულს (მოსარჩელის ან გარდაცვლილ მეუღლეს) შორის ხელშეკრულება, სსკ-ის 453-ე და 428-ე მუხლების საფუძველზე. სსკ-ის 453-ე მუხლის პირველ ნაწილზე მითითებით, კასატორის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შემთხვევაში, გადასახედი გახდება სამემკვიდრეო სასამართლის ნორმები, რადგან, მემკვიდრეობის მიღებით მემკვიდრეს უფლებებთან ერთად, შესაძლოა გარკვეული ვალდებულებებიც გადაეცეს, რაც სამკვიდროს მიღების შესაძლო ნეგატიური ნაწილია, მაგრამ სამართლებრივად მნიშვნელოვანია აღნიშნულის განმარტება, რადგან სსკ-ის 453-ე მუხლის დეფინი-

ციიდან გამომდინარე, ცხადია, რომ იგი, მოვალის გარდაცვალების გამო, ვალდებულების შეწყვეტას უკავშირებს, მხოლოდ იმ შემთხვევას, როდესაც ვალდებულების შესრულება შეუძლებელია მოვალის პირადი მონაწილეობის გარეშე (მაგ. მხატვრის მიერ ნახატის შექმნა, ფეხბურთელის მონაწილეობა თამაშში). სხვა შემთხვევაში, აღნიშნული ნორმის არსებობა მნიშვნელობას დაკარგავს. გასაჩივრებული გადანყვეტილება არაერთ ნორმაზე უთითებს, თუმცა, განსახილველი დავის განხილვისას, სააპელაციო სასამართლო სწორედ სსკ-ის 453-ე მუხლს ეყრდნობა. საბანკო საკრედიტო ურთიერთობებში, დასახელებული ნორმის გამოყენების საკითხი უცნობია სასამართლო პრაქტიკაში;

25.2. გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში მსჯელობა განვითარებულია მესამე პირის – მზღვეველის ბრალეულობაზე, თუმცა, განსახილველ დავაში მოპასუხე არის ბანკი და სწორედ მას დაეკისრა სასამართლოს გადანყვეტილებით პასუხისმგებლობა, რაც პროცესუალურსამართლებრივი საკითხიცაა;

25.3. კასატორმა გააკრიტიკა გასაჩივრებული გადანყვეტილების 4.25 პუნქტი. მზღვეველს შეუძლია გარკვეული პირობები შესთავაზოს დაზღვეულს და დაუსაბუთებელია, მხარეთა სახელშეკრულებო თავისუფლების გარღვევაში დადებული ხელშეკრულება, რატომ არის ბათილი სსკ-ის 54-ე მუხლით;

25.4. კასატორმა განმარტა, რომ სადაზღვევო შემთხვევა დადგა და ამის გამო მიმართა დამზღვევეს, თუმცა, საკრედიტო ხელშეკრულება არ შეწყვეტილა; მემკვიდრე სრულად ჩაენაცვლა დაზღვეულს გარიგებაში, მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგაც ერიცხება მას სარგებელი;

26. მოსარჩელის წარმომადგენელმა მიუთითა საკრედიტო ხელშეკრულების მხარეებზე (იხ. ამ გადანყვეტილების პირველი პუნქტი) და ყურადღება გაამახვილა, რომ საკასაციო საჩივრით სადავო არ არის გასაჩივრებული გადანყვეტილებით დადგენილი არც ფაქტობრივი გარემოებები და არც საპროცესო დარღვევები, შესაბამისად, სსსკ-ის 407-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება;

26.1. ხელშეკრულების მიხედვით, ბანკი იყო მოსარგებლე (იხ. ამ გადანყვეტილების მე-2 პუნქტი) და მის სასარგებლოდ უნდა გაცემულიყო სადაზღვევო ანაზღაურების თანხა, სწორედ დამზღვევმა წარუდგინა მზღვეველს მოთხოვნა სადაზღვევო თანხის გაცემაზე;

26.2. მოსარჩელის წარმომადგენელს მიაჩნია, რომ გასა-

ჩივრებული გადანყვეტილების მითითება სსკ-ის 453-ე მუხლზე დასაბუთებულია, რადგანაც დავა სახელშეკრულებო ურთიერთობას ეფუძნება და ამ შემთხვევაში მემკვიდრეობის მომწესრიგებელი ნორმების, 1328-ე მუხლის, გამოყენება არამართებულია. მხარის მტკიცებით, ხელშეკრულებით, სიცოცხლე იყო დაზღვეული, ამიტომაც შეწყდა ეს ხელშეკრულება დაზღვეულის გარდაცვალებით, მოთხოვნა ბანკს მხოლოდ მზღვეველის და არა მოსარჩელის (დაზღვეულის მემკვიდრის მიმართ) მიმართ წარმოეშვა. სსკ-ის 327-ე მუხლის საფუძველზე შეთანხმდა სახელშეკრულებო პირობები. მემკვიდრე ვალდებულების გარეშე იხდიდა სესხის პროცენტს, რაც სსკ-ის 976. 1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დაბრუნებას ექვემდებარება;

26.3. ბანკს მოთხოვნის უფლება აქვს სადაზღვევო კომპანიის მიმართ, ეს უკანასკნელი უარს ამბობს, თუმცა, ბანკმა უნდა იდავოს კანონით დადგენილი წესით. მხარე ხელშეკრულების 2.4 პუნქტზე უთითებს და განმარტავს, რომ დაზღვეულის გარდაცვალებით შეწყდა ხელშეკრულება. ვალდებულება შეწყდა მოსარჩელის მეუღლის გარდაცვალებით, შესაბამისად, ხელშეკრულების 3.4 პუნქტით ვერ მოხდება დაზღვეულის მემკვიდრეზე ვალდებულების გადასვლა. დაუშვებელია უფლებამონაცვლობა, სსკ-ის 453-ე მუხლის თანახმად, რადგანაც ვალდებულება შეწყდა.

27. მესამე პირმა (მზღვეველმა) 54-ე და 850-ე მუხლების ურთიერთმიმართებაზე გაამახვილა ყურადღება, რომელიც მოპასუხის (კასატორის) მხარეზე იყო ჩართული განსახილველ დავაში.

27.1. მას მიაჩნია, რომ გარდაცვალების ცნობაში მითითებული გარდაცვალების მიზეზი დაუდგენელია, რადგან მასში, ფორმა №106-ის მიხედვით, დაფიქსირებულია მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი, მეორე ცნობაში – უეცარი კარდიული სიკვდილი. მხარემ სსკ-ის 815-ე მუხლზე მიუთითა და აღნიშნა, რომ გარდაცვალების ცნობა შედგენილია უხეში ფორმალური დარღვევებით;

27.2. გარდაცვალების ცნობა გასცა არამკურნალმა ექიმმა, რომელიც არც კი იცნობდა გარდაცვლილს, არ იცოდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მას არ ჰქონდა კონკრეტული ინფორმაცია გარდაცვალების თაობაზე და დიაგნოზად, დადგენილი წესით, უნდა მიეთითებინა, რომ გარდაცვალების მიზეზი უცნობია.

28. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 დეკემბრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი და-

საშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად, მიიჩნევს, რომ ბანკის საკასაციო განაცხადი დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი მოტივაციით:

29. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

30. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს წინამდებარე გადაწყვეტილების მე-2 პუნქტში მითითებულ გარემოებებზე და აღნიშნავს, რომ დავა წარმოშობილია საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან (სსკ-ის 876-ე მუხლი), რომლის ფარგლებშიც დაზღვეული სარგებლობდა სიცოცხლის დაზღვევის ღია ოფსეტური პოლისით, რომლის თანახმად დაზღვეული იყო დამზღვევის ფინანსური ინტერესი დაზღვეულის მიმართ (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი). ამდენად, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას (იხ. ამ გადაწყვეტილების 20.8 ქვეპუნქტი), რომ სიცოცხლის დაზღვევის ნორმა უნდა გამოყენებულიყო (სსკ-ის 850-ე მუხლი). ხელშეკრულებითვე განისაზღვრა, რომ ამგვარი სადაზღვევო პოლისით მოსარგებლე (ბენეფიციარი) იქნებოდა მხოლოდ ბანკი (დამზღვევი). აღნიშნული სამართალურთიერთობის დადგენა მნიშვნელოვანია დავის საგნიდან გამომდინარე, რათა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული შედეგის შემოწმების თვალსაზრისით, სასამართლომ განსაზღვროს მტკიცების საგანში შემავალი წინამძღვრები, კერძოდ, სარჩელისა და შესაგებლის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, თუმცა, ამ უკანასკნელის შეფასება სწორედ სასამართლოს პრერო-

გატივია.

31. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს წინამდებარე გადანყვეტილების 20.1 ქვეპუნქტზე და აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, დამზღვევმა დაზღვეულის მემკვიდრისაგან მიიღო შესრულება, რომელიც რეალურად მზღვეველისაგან უნდა მიეღო. სადაზღვევო პოლისის 3.4. პუნქტის მიხედვით: „მზღვეველის მიერ სადაზღვევო თანხის ანაზღაურებაზე მოტივირებული უარის თქმის შემთხვევაში, ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დაზღვეულის მემკვიდრეების ვალდებულებად რჩება. ამგვარ შემთხვევაში, დაზღვეულის მემკვიდრეებს არ აქვთ უფლება, მოთხოვონ მზღვეველს სადაზღვევო ანაზღაურება. სადაზღვევო ანაზღაურებაზე განაცხადის გაკეთება და სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნა მხოლოდ მოსარგებლის უფლებამოსილებაა“. საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად მოტივირებული და მართლზომიერი იყო მზღვეველის უარი სადაზღვევო თანხის ანაზღაურებაზე და დამზღვევი შეედავა თუ არა მზღვეველს უარის გამო, სამართლებრივად არ ცვლის მხარეთა შორის არსებულ ზემოხსენებულ შეთანხმებას, რომ ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულება დაზღვეულის მემკვიდრეებს ეკისრებათ.

32. სსკ-ის 1336-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელე არის დაზღვეულის პირველი რიგის მემკვიდრე, 1328-ე მუხლის მიხედვით: „სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივ უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტიდან“. განსახილველ შემთხვევაში, უდავოდ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის თაობაზე თავად დამზღვევმა მიმართა მზღვეველს, რაც მისი, როგორც სადაზღვევო პოლისით მოსარგებლის (ბენეფიციარის) ვალდებულება იყო (იხ. ამ გადანყვეტილების მე-2 და მე-3 პუნქტები), შესაბამისად, კასატორის მოსაზრება, რომ სადაზღვევო შემთხვევა დადგა, მაგრამ ხელშეკრულება არ შეწყვეტილა და დღესაც ერიცხება დაზღვეულის მემკვიდრეს სარგებელი (იხ. ამ გადანყვეტილების 25.4. ქვეპუნქტი) სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული. მზღვეველისადმი დამზღვევის მოთხოვნის წარდგენის წინაპირობები სახეზე იყო, შესაბამისად, დამზღვევმა შეასრულა საკუთარი ვალდებულება, წარუდგინა მზღვეველს დოკუმენტაცია. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ დაზღვეულის გარდაცვალების მომენტიდან, სამკვიდრო ქონებაში შევიდა სიკვდილის მომენტიდან არსებული აქტივი და პასივი და სწო-

რედ ამ ფარგლებში გახდა შესაძლებელი კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

33. სსკ-ის 1484-ე მუხლი ადგენს მემკვიდრეთა პასუხისმგებლობას კრედიტორების წინაშე, კერძოდ, მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები მთლიანად უნდა დააკმაყოფილონ მემკვიდრეებმა, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად. ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა: „რაც შეეხება კასატორთა ძირითად არგუმენტს მოვალის გარდაცვალებით ვალდებულების შეწყვეტის თაობაზე, მას პალატა დაუსაბუთებლად მიიჩნევს. სასამართლო განუმარტავს კასატორებს, რომ განსახილველი სარჩელის ფარგლებში შესაფასებელ ვალდებულებას წარმოადგენს სასესხო ურთიერთობა იმგვარად, რომ კრედიტორს წარმოადგენს საბანკო დაწესებულება. ამ ურთიერთობის ნამდვილობაზე ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს ვერც სესხის მიზნობრიობა და ვერც რეფინანსირების საკითხი. ფულადი ვალდებულება, თავის იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, არ მოითხოვს მოვალის მხრიდან რაიმე განსაკუთრებული უნარ-ჩვევების ქონას და ის შეიძლება ნებისმიერ ვითარებაში შესრულდეს. ის ფაქტი, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრულია სასესხო ურთიერთობის მიზანი, შესაძლოა მხოლოდ მესამე პირებთან მამკვიდრებლის მიერ სამენარმეო საქმიანობის განხორციელების ჩრჩილში შეფასდეს, ამ შემთხვევაში შეიძლებოდა ემსჯელა სასამართლოს მამკვიდრებლის უფლებამონაცვლის პიროვნულ თვისებებზე ნაკისრი ვალდებულების შესრულების შესაძლებლობის კუთხით. იმგვარ შემთხვევაზე, როდესაც საბანკო დაწესებულება ითხოვს სესხის დაბრუნებას, სამოქალაქო კოდექსის 453-ე მუხლის პირველი ნაწილი ვერ იქნება გავრცელებული, ამ ვითარებაში ვალდებულება მოვალის გარდაცვალებით არ წყდება. სწორედ ამავე საფუძვლიდან გამომდინარე დაუსაბუთებელია კასატორთა არგუმენტი, რომ სამოქალაქო კოდექსის 1330-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელის მიმართ მამკვიდრებლის ფულადი ვალდებულება არ შეიძლებოდა შესულიყო სამკვიდროში. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მატერიალურ-სამართლებრივი უფლებამონაცვლეობის ყველაზე გავრცელებულ სახეს სწორედ სამემკვიდრეო ურთიერთობები წარმოადგენს და ამ შემთხვევაში, მემკვიდრის პასუხისმგებლობის ფარგლები განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლით, რაც სწორად იქნა შეფასებული გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, ამასთანავე, ამავე კოდექსის საფუძველზე მიღებული აქტივის ფარგლებში სახეზე გვაქვს კანონ-



ნისმიერი სოლიდარული ვალდებულება (სკ-ის 471-ე მუხლის). იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მამკვიდრებლის პირველი რიგის მემკვიდრეებმა სამოქალაქო კოდექსის 1421-ე და 1424-ე მუხლებით დადგენილი წესით მიიღეს სამკვიდრო, სასამართლომ მართებულად განსაზღვრა ინდ.მენარმე ა. ქ-ის სამკვიდრო პასივზე პასუხისმგებელ პირთა წრე“ (იხ.სუსგ №ას-567-538-2015, 16.10.2015წ.).

34. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ მემკვიდრე სრულად ჩაენაცვლა დაზღვეულს გარიგებაში და მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგაც ერიცხება მას სარგებელი (იხ. ამ გადაწყვეტილების 5.24 ქვეპუნქტი). მოსარჩელესა და ბანკს შორის არ დადებულა ახალი ხელშეკრულება, რითაც დადასტურდებოდა მემკვიდრის სურვილი, საკრედიტო ურთიერთობაში ჩანაცვლებოდა დაზღვეულს, რადგან თუკი სსკ-ის 453.1-ე მუხლის დანაწესის „მოვალის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, თუ შესრულება შეუძლებელია მისი პირადი მონაწილეობის გარეშე“ საფუძველზე, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ დაიკავა დაზღვეულის ადგილი, საქმე გვექნება იძულებით კონტრაპირებასთან, რაც სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპს (სსკ-ის 319-ე მუხლი) ეწინააღმდეგება. კრედიტორის, ამ შემთხვევაში, ბანკის ინტერესი სრულიად დაცული და მონესრიგებულია სამემკვიდრეო სამართლის ნორმებით (იხ. ამ გადაწყვეტილების 32-33 პუნქტები). სსკ-ის 1488.1-ე მუხლის თანახმად, „მამკვიდრებლის კრედიტორებმა ექვსი თვის განმავლობაში იმ დღიდან, რაც მათთვის ცნობილი გახდა სამკვიდროს გახსნის შესახებ, უნდა წარუდგინონ მოთხოვნა იმ მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო, მოთხოვნის ვადის დადგომის მიუხედავად“. ამ წესის დაუცველობას კანონმდებელი უკავშირებს კრედიტორების მიერ მოთხოვნის უფლების დაკარგვას (სსკ-ის 1488.3 მუხლი). განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ სადაზღვევო პოლისის 3.4. პუნქტით (იხ. ამ გადაწყვეტილების 31-ე პუნქტი) ნაკისრი ვალდებულების გარდა, მოთხოვნების დაკმაყოფილებისას, მემკვიდრის კრედიტორებთან შედარებით, მამკვიდრებლის კრედიტორების უპირატესობა დადგენილია სამემკვიდრეო სამართლის მომწესრიგებელი ნორმებით (სსკ-ის 1491-ე მუხლი). ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, სსკ-ის 453-ე მუხლის გამოყენების საჭიროება არ არსებობს, რადგან სამემკვიდრეო ნორმებით რეგულირდება საკითხი და, ასევე, იმ დასაბუთებით, რომ დავიდან გამომდინარე, სახეზეა არა დასახელებული ნორმის გამოყენე-

ბის წინაპირობა, რომ „მოვალის გარდაცვალება ინვევს ვალდებულების შეწყვეტას, თუ შესრულება შეუძლებელია მისი პირადი მონაწილეობის გარეშე“, არამედ დამზღვევის მიერ შესრულების მიღება მოვალის მემკვიდრისაგან (იხ. ამ გადაწყვეტილების 34-ე პუნქტი).

35. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ბანკი არ შედავებია მზღვეველს სადაზღვევო ანაზღაურების გაუცემლობის გამო, ანუ რამდენად დასაბუთებული იყო მზღვეველის უარი. აღნიშნული კი მოსარჩელეს წარმოუშობს უფლებას, რომ მოთხოვნა წარუდგინოს მზღვეველს (სადაზღვევო კომპანიას), რადგან სწორედ ამ უკანასკნელის ნაცვლად მოუწია დაზღვეულის მემკვიდრეს ბანკის წინაშე ვალდებულების შესრულება და ეს შესრულება მიიღო კრედიტორმა.

36. ზემოხსენებული მსჯელობა და დასკვნები დაედო საფუძვლად სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმებას და ახალი გადანყვეტილების მიღებით, ბანკის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებას.

37. კასატორს სახელმწიფო ბაჟი გადახდილი აქვს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3-ე, 411-ე მუხლებით და

#### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. სს „ს-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ლ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. ლ. ბ-ეს (პ/ნ...) სს „ს-ის“ (ს/კ ..) სასარგებლოდ დაეკისროს კასატორის მიერ უზენაეს სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 300 (სამასი) ლარის, გადახდა;
5. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# 11. ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობა) ხელშეკრულება

## ამხანაგობის წევრად ცნობა

### განჩინება

№ას-1231-1154-2015

31 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ამხანაგობის წევრად აღიარებისა და უძრავი ქონების გადაცემის თაობაზე ხელშეკრულებისა და ამხანაგობის კრების ოქმის ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. 1992 წელს ქ. ბათუმში, ..... შეიქმნა ფირმა (ინდივიდუალური ბინათმშენებლობა) „ზ-ო“, (მისი უფლებამონაცვლე შემდგომში გახდა ბინათმშენებლობის ფირმა „ე.“, შემდეგში: სამშენებლო ფირმა), რომლის მიზანს წარმოადგენდა ექვსსართულიანი საცხოვრებელი ბინის მშენებლობა და შემდგომ ამხანაგობის წევრებზე განაწილება {საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 930-ე მუხლი}. მშენებლობა მიმდინარეობდა სათანადო ნებართვის გარეშე, ანუ უკანონოდ.

2. 2005 წლის მონაცემებით სამშენებლო ფირმის თავმჯდომარის თანამდებობა ეკავა ტ. თ-ს, ხოლო 2009 წლის 17 იანვრიდან კი, ახლადშექმნილი ამხანაგობის თავმჯდომარეა ა. თ-ძე.

3. აღნიშნული სამშენებლო ფირმის წევრი იყო ლ. ხ-ს (შემდეგში: მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი) ძმა ლ. ხ. (შემდეგში: მოსარჩელის ძმა), რომელმაც მშენებლობის მიმდინარეობის ეტაპზე, საცხოვრებელი ბინის დასრულებამდე განცხადებით მიმართა ფირმის წევრებს და მისი კუთვნილი წილის გასხვისებაზე თანხმობის გაცემა ითხოვა {სსკ-ის 933-ე მუხლის პირველი ნაწილი}.

4. 2006 წლის 28 თებერვლის საერთო კრებაზე ფირმის წევრები განმცხადებლის მითითებულ თხოვნას დაეთანხმნენ.

5. 2006 წლის 28 თებერვალს ვ.მ. (შემდეგში: შემძენი, მყიდ-

ველი), 10 000 აშშ დოლარის სანაცვლოდ, სამშენებლო ფირმაში მოსარჩელის ძმის წილი შეისყიდა; მასთან გაფორმდა ხელშეკრულება ბინის ნასყიდობის თაობაზე, ხოლო ხელშეკრულების საგნად განისაზღვრა ..... მდებარე მშენებარე ექვსსართულიანი სახლი, რომელიც შედგება 3, ოთახიანი საცხოვრებელი ბინისაგან და განანილებულია 2 სადარბაზოში {სსკ-ის 198-ე და 199-ე მუხლის პირველი ნაწილები}.

6. წილის შემძენი 2009 წელს სასჯელს იხდიდა სასჯელადსრულების დაწესებულებაში. მან ქონების მართვისა და განკარგვის უფლებამოსილება გადასცა მეუღლეს მ.ლ-ს (შემდეგში: პირველი მოპასუხე, მოწინააღმდეგე მხარე).

7. 2009 წლის 17 იანვარს შედგა ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ო. მ-ის“ (შემდეგში მეორე მოპასუხე, ამხანაგობა) საინიციატივო ჯგუფის საერთო კრება და დაიდო ერთობლივი საქმიანობის წერილობითი ხელშეკრულება ამხანაგობის დაფუძნების თაობაზე (სსკ-ის 931-ე მუხლი), რომელიც ბინათმშენებლობის, ფირმა „ე-ს“, უფლებამონაცვლე გახდა.

8. ამხანაგობის ძირითადი მიზანი იყო ქ. ბათუმში, მ. ს-სა და ა. თ-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე არსებული მრავალბინიანი მშენებლობის, დაუმთავრებელი საცხოვრებელი სახლის, ლეგალიზების მიზნით, გარკვეული დოკუმენტაციის მოპოვება და მომზადება, ისეთი მოქმედებების ერთობლივად განხორციელება, რაც საბოლოოდ საფუძვლად დაედებოდა საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღებასა და ამხანაგობის წევრთა საკუთრების უფლების მოპოვებას კონკრეტულ, კრებით განსაზღვრულ ბინებზე, ასევე – ამხანაგობის წევრთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

9. ამხანაგობა დაფუძნდა 49 წევრის მონაწილეობით, მათ შორის იყო პირველი მოპასუხეც. მოსარჩელე კი, ამხანაგობის წევრი არ გამხდარა.

10. ამხანაგობის წევრებმა: მ. ს-მა და ა. თ-მ ამხანაგობაში ქ. ბათუმში, ..... მდებარე 1047 კვ.მ მიწის ნაკვეთი შეიტანა {სსკ-ის 931-932-ე მუხლები}.

11. ხელშეკრულების 11.1. პუნქტის თანახმად, პირველ მოპასუხეს, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არსებული მდგომარეობით ლეგალიზების შემდეგ, უნდა გადასცემოდა სადარბაზოში, მე-2 სართულზე 88.3 კვ.მ ბინა №6 (შემდეგში: სადავო ბინა).

12. ქ. ბათუმის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის 2010 წლის 11 მაისის №... ბრძანებით, ლეგალიზებულ იქნა სადავო, უნებართვოდ აშენებული ობიექტი, 5034

კვ.მ საერთო ფართით, რომელიც აღირიცხა ამხანაგობის სახელზე.

13. ამხანაგობის საერთო კრების 2010 წლის 20 მაისის განწყვეტილებით პირველ მოპასუხეს საკუთრებაში გადაეცა სადავო ბინა.

14. 2010 წლის 3 ივნისს საჯარო რეესტრში სადავო ბინა საკუთრების უფლებით აღირიცხა პირველი მოპასუხის სახელზე.

15. სადავო საცხოვრებელ ბინაში დღემდე ცხოვრობს მოსარჩელის დედა ლ. ქ-ქე და პერიოდულად, თავად მოსარჩელეც, რომელიც 2013 წლის აპრილიდან ირიცხება შპს „ბ. ნ-ის“ აბონენტად.

16. 2014 წლის 22 აპრილს მოსარჩელემ მოპასუხეთა წინააღმდეგ სარჩელი აღძრა. მან 2010 წლის 17 იანვრის ხელშეკრულების ბათილად ცნობა მოითხოვა იმ ნაწილში, რომლითაც ამხანაგობის წევრად შეყვანილ იქნა პირველი მოპასუხე და განისაზღვრა მისთვის სადავო ფართის გადაცემა. მანვე მოითხოვა ამხანაგობის 2010 წლის 20 მაისის კრების ოქმის მე-6 პუნქტის ბათილად ცნობა, რომლითაც პირველ მოპასუხეს ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაეცა სადავო უძრავი ქონება და, აქედან გამომდინარე, საჯარო რეესტრის მონაცემებში სათანადო ცვლილების შეტანა. სარჩელი დამყარებული იყო შემდეგ ფაქტებზე:

16.1. სადავო ბინას 2009 წლამდე აშენებდა ბინათმშენებლობის ფირმა, რომლის უფლებამონაცვლეა მეორე მოპასუხე. ის ამ სამშენებლო ფირმის წევრი იყო. მას საკუთრებაში უნდა გადასცემოდა ამჟამად პირველი მოპასუხის სახელზე რიცხული ბინა.

16.2. ამხანაგობის (მეორე მოპასუხის) შექმნამდე ის ოჯახთან ერთად ათეული წლები ცხოვრობდა სადავო ბინაში, რომელიც გაარემონტა და დღემდე იხდის კომუნალურ გადასახადებს.

16.3. ამხანაგობამ პირველი მოპასუხე უკანონოდ ცნო ამხანაგობის წევრად, და, ასევე უკანონოდ გადასცა მას საკუთრებაში სადავო ბინა, რომელიც, სინამდვილეში, ამხანაგობას მისთვის უნდა გადაეცა.

17. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს. მათ წარადგინეს მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი.

18. პირველი მოპასუხის შესაგებელი ემყარებოდა შემდეგ გარემოებებს:

18.1. მოსარჩელე ამხანაგობის წევრი და სადავო ბინის მესაკუთრე არასოდეს ყოფილა, შესაბამისად, ის გარემოება, რომ მესაკუთრეს საკუთრებაში გადაეცა მოსარჩელის კუთვნილი

ფართი, არ შეესაბამება რეალობას.

18.2. ამხანაგობის წევრი უნდა ყოფილიყო არა მოსარჩელე, არამედ მისი ძმა, მაგრამ მან არ გადაიხადა თავისი წილის შესაბამისი თანხა ამხანაგობაში, რის გამოც დაკარგა უფლება, გამხდარიყო ამხანაგობის წევრი და მოეპოვებინა ფართზე საკუთრების უფლება.

19. მეორე მოპასუხის შესაგებელი დასაბუთებული იყო შემდეგნაირად:

19.1. სადავო მშენებარე ფართი თავდაპირველად წარმოადგენდა კოოპერატივ „ზ-ოს“ საკუთრებას, შემდეგში სამშენებლო ფირმას ეწოდა ბინათმშენებლობის ფირმა „ე“, რომლის წევრადაც ირიცხებოდა მოსარჩელე. მას ნაკისრი ჰქონდა შენატანის გადახდის ვალდებულება; 2006 წელს მან განცხადებით მიმართა საზოგადოებას თავისი წილი ბინის გაყიდვის თაობაზე, რაზეც ამხანაგობისგან თანხმობა მიიღო. ამის შედეგად 2008 წელს მან თავისი უფლება ბინაზე მყიდველზე გაასხვისა და გავიდა სამშენებლო ფირმიდან. შემდგომ (ვ.ყ.) სრულად გადაიხადა ბინის ნასყიდობის თანხა – 10 000 აშშ დოლარი. სამშენებლო ფირმის უფლებამონაცვლე 2009 წელს გახდა მეორე მოპასუხე. უკანონო მშენებლობის ლეგალიზების დროისათვის ამხანაგობის წევრად მოსარჩელე არ ირიცხებოდა. შესაბამისად, ამხანაგობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კანონიერია.

20. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სარჩელის უარყოფას საფუძველად დაედო ის გარემოება, რომ მოსარჩელის აღიარებით მოთხოვნას იურიდიული ინტერესი არ გააჩნდა {საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 180-ე მუხლი}.

21. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა შემდეგ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებზე მიუთითა:

21.1. მოპასუხე მხარემ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, მოსარჩელის მიერ სადავო ბინის გასხვისების ფაქტი. ვინაიდან, საქმე ეხებოდა უძრავ ქონებას, გარიგება უნდა დამოწმებულიყო სანოტარო წესით, რასაც იმ დროს მოქმედი სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებდა, მოპასუხემ კი, ასეთი სახის ხელშეკრულება სასამართლოში ვერ წარმოადგინა, ასევე, ვერ წარმოადგინა მოსარჩელის, და მისი ძმის დაწერილი განცხადება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ 2006 წელს მათ გამოხატეს ბინის გასხვისების ნება.

21.2. პირველ მოპასუხეს ბინის შესაძენად რაიმე სახის შენა-

ტანი არ განუხორციელებია. სასამართლომ არასწორად შეაფასა შემძენის მიერ პირველი მოპასუხის მიმართ გაცემული მინდობილობებიც. მან არ შეაფასა შემდეგი გარემოება: მეორე მოპასუხე შესაგებელში ადასტურებს, რომ მოსარჩელე იყო სამშენებლო ფირმის წევრი, რომელსაც გადახდილი ჰქონდა ბინის საფასური, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოპასუხე ვერ დაიწყებდა მტკიცებას, რომ მოსარჩელემ ბინა გაასხვისა. სასამართლომ არ შეაფასა მოწმეთა ჩვენებებიც, რომლებიც ადასტურებენ, რომ მოსარჩელე წლების მანძილზე ოჯახთან ერთად ცხოვრობს სადავო ფართში და აღრიცხულია ელექტროენერჯის გადამხდელ აბონენტად.

22. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

23. პალატის განმარტებით, ერთობლივ საქმიანობაში ამხანაგობის წევრის მონაწილეობა უკავშირდება მის მიერ ამხანაგობის მიზნის მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებების შექმნაში (შენატანის შეტანა) სავალდებულო მონაწილეობას, ამგვარი მონაწილეობს გარეშე კი, ამხანაგობის წევრად მიღებას ფორმალური ხასიათი აქვს და სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს, რაც შეეხება ამხანაგობის წევრთა წილის განსაზღვრას ამხანაგობაში, აღნიშნული მხარეთა შეთანხმების საგანია და დამოკიდებული არ არის მხოლოდ შენატანის ოდენობაზე. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, პალატამ მიუთითა, იმისათვის, რომ მოსარჩელე მიჩნეული იყო ამხანაგობის წევრად, უნდა არსებობდეს კანონით გათვალისწინებული მტკიცებულება ამხანაგობაში მისი გაერთიანებისა და შენატანის შეტანის თაობაზე. მოსარჩელის მიერ საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ სადავო საცხოვრებელ ბინაში მოსარჩელის ცხოვრების ფაქტი და ელექტროენერჯის მომხმარებლად რეგისტრაცია არ ადასტურებდა მის წევრობას და ამ წევრობისათვის შენატანის განხორციელების ფაქტს.

24. პალატამ აღნიშნა, რომ განსახილველ დავაზე აღძრული იყო აღიარებითი სარჩელი, შესაბამისად, დავის გადაწყვეტით სარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი უნდა უკავშირდებოდეს სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენას, აღიარებითი სარჩელი წარმოადგენს იმ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენას, რომელიც სადავო მხარეთა შორის, მოსარჩელემ კი, ვერ დაადასტურა ამ-

ხანაგობაში შენატანის განხორციელება და რაიმე ფორმით ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა. შესაბამისად, პალატის მოსაზრებით, მოსარჩელეს არ გააჩნდა სადავო გარიგების ბათილად ცნობის ნამდვილი იურიდიული ინტერესი.

25. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ შემდეგი საფუძვლებით:

25.1. სასამართლომ დავის გადაწყვეტის დროს იხელმძღვანელა სამშენებლო ფირმის 2006 წლის 28 თებერვლის კრების ოქმით, რომლის ასლი წარმოადგინეს სასამართლოში, შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტის გაზიარებით სასამართლომ უგულვებელყო სსსკ-ის 135-ე მუხლის მოთხოვნა წერილობითი მტკიცებულების დედნის სახით წარდგენის თაობაზე.

25.2. მოსარჩელის სარჩელზე ამხანაგობის პასუხში, შესაგებელში, მითითებულია, რომ სადავო მშენებარე ფართი წარმოადგენდა „ზ-ს“, შემდეგში სამშენებლო ფირმის საკუთრებას, რომლის ნევრადაც ირიცხებოდა მოსარჩელე. მეორე მოპასუხეს ზემოხსენებული ჩანაწერი არ გაუქარწყლებია სსსკ-ის 133-ე მუხლით დადგენილი წესით, მართალია, ამხანაგობის თავმჯდომარე შემდგომ განმარტავდა, რომ სამშენებლო ფირმის წევრი იყო მოსარჩელის ძმა, მაგრამ ამის დასადასტურებლად მას მტკიცებულება სასამართლოში არ წარმოუდგენია.

25.3. მოწინააღმდეგე მხარეს არ წარუდგენია მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა მოსარჩელის ან მისი ძმის მიერ ბინის გასხვისებას ან ფულის მიღებას, საქმეში დაცული არაა წერილობითი განცხადებაც, მოსარჩელის საზოგადოებიდან გასვლის თაობაზე ნების გამოვლენის შესახებ.

25.4. რაც შეეხება მოსარჩელის იურიდიულ ინტერესს, ამ მხრივ საფუძველს მოკლებულია სასამართლოს მსჯელობა იურიდიული ინტერესის არარსებობის თაობაზე, რადგან საცხოვრებელი სახლი უკანონოდ აშენდა, რომელშიც წლების მანძილზე ცხოვრობდნენ ადამიანები და გადახდილი ჰქონდათ ფართის ღირებულება. სწორედ აღნიშნული მიზნით განხორციელდა უკანონოდ აშენებული სახლის ლეგალიზება, რათა მათ მფლობელებს საკუთრებაში გადასცემოდათ კუთვნილი ფართები, ამ მიზნით შეიქმნა ამხანაგობაც, მაგრამ, მოსარჩელის ნაცვლად, ამხანაგობის თავმჯდომარემ ამხანაგობის ნევრად შეიყვანა პირველი მოპასუხე, რომელსაც უკანონოდ გადასცა საკუთრებაში კასატორის კუთვნილი ფართი. შესაბამისად, გამოიკვეთა მოსარჩელის იურიდიული ინტერესი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დავის გადაწყვეტისას სასამართლოს უნდა



გამოეყენებინა უძრავი ქონების ნასყიდობასთან დაკავშირებული ნორმები.

26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 4 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

27. საქმის მასალების გაცნობა, მათი შესწავლა და ანალიზი, ასევე, მხარეთა მოსაზრებების ზეპირი მოსმენით შემოწმება, საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, გამოიტანოს დასკვნა საკასაციო საჩივრის უარყოფის თაობაზე.

28. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). სააპელაციო სასამართლომ დაადგინა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტობრივი გარემოება და სამართლებრივად ძირითადად სწორად შეაფასა.

29. კასატორის მთავარი პრეტენზია შემდეგია: მას, როგორც სამშენებლო ფირმის წევრს, უფლება ჰქონდა, საკუთრებაში მიეღო სადავო ბინა, ამ უკანასკნელის უფლებამონაცვლე, ანუ მეორე მოპასუხე, არ იყო უფლებამოსილი, მისი თანხმობის გარეშე, 2010 წლის 20 მაისის კრების გადაწყვეტილებით, სადავო ბინა გადაეცა პირველი მოპასუხისათვის. ამ კუთხით დასაბუთებისა და მტკიცების ტვირთის მქონე მოსარჩელემ გასაგებად ვერ წარმოადგინა, რომ 2009 წლის 17 იანვრის მონაცემებით, როცა დაფუძნდა ახალი ამხანაგობა (მეორე მოპასუხე), ის ნამდვილად წარმოადგენდა სამშენებლო ფირმის წევრს და გააჩნდა სადავო ბინაზე მოთხოვნის უფლება {სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი}. მოთხოვნა ეს არის პირის (კრედიტორის)

უფლება სხვა პირისაგან (მოვალისაგან) მოითხოვოს რაიმე ქმედების (მოქმედება/მოქმედებისაგან თავის შეკავება) შესრულება სახელშეკრულებო ან კანონისმიერი ვალდებულების საფუძველზე (სსკ-ის 316-ე მუხლის პირველი ნაწილი). შესაბამისად, მოსარჩელეს პირველ რიგში, უნდა წარმოედგინა იმის დამადასტურებელი დასაშვები მტკიცებულება, რომ სამშენებლო ფირმასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებოდა და მას ამ ურთიერთობიდან გამომდინარე ფირმის მიმართ ამხანაგობის შექმნის დროისათვის (2009 წლის 17 იანვარს) გააჩნდა სადავო ბინის მისთვის გადაცემის, ანუ შესრულების მოთხოვნის უფლება.

30. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ მოსარჩელის ამხანაგობის წევრად მიჩნევისათვის უნდა არსებობდეს კანონით გათვალისწინებული მტკიცებულება ამხანაგობაში მისი გაერთიანებისა და შენატანის შეტანის თაობაზე. მოსარჩელის მიერ საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ სადავო საცხოვრებელ ბინაში მოსარჩელის ცხოვრების ფაქტი და ელექტროენერჯის მომხმარებლად რეგისტრაცია არ ადასტურებდა მის წევრობას და ამ წევრობისათვის შენატანის ფაქტს.

31. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ამხანაგობა (საერთო საქმიანობა) მისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, კონკრეტული მიზნის მისაღწევად პირთა გაერთიანებაზე აგებული ურთიერთობაა და ის მოითხოვს მისი მონაწილეებისაგან ისეთ მოქმედებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საერთო მიზნის რეალიზაციას (სსკ-ის 930-ე მუხლი), აქედან გამომდინარე, ის, როგორც მრავალმხრივი გარიგება, წარმოადგენს რთულ სამართლებრივ კონსტრუქციას. საერთო მიზანი ლეგიტიმური და მიღწევადი უნდა იყოს. ამასთან დაკავშირებით, პალატა იშველიებს საკასაციო სასამართლოს მიერ ერთ-ერთ საქმეზე განვითარებულ მსჯელობას: „ამხანაგობის ხელშეკრულება, მსგავსად ნებისმიერი სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობისა, მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებაა და იგი დადებულიად ითვლება მას შემდეგ, რაც მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდებიან საამისოდ გათვალისწინებული ფორმის დაცვით (სკ-ის 327.1 მუხლი). მართალია, სამოქალაქო კოდექსი ადგენს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს, რომელიც სამართალსუბიექტებს არა მარტო ხელშეკრულების დადების, არამედ ამ ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლად განსაზღვრის დისკრეციას ანიჭებს, თუმცა ეს პრინციპი არ არის აბსოლუტური და იგი

ლეგიტიმურ ბოჭვას სწორედ სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის დათქმაში პოვებს, კერძოდ, ხელშეკრულება კანონის ფარგლებში უნდა იყოს დადებული და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მას. სახელშეკრულებო დავის განხილვისას სასამართლოს უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ხელშეკრულებაში გადმოცემული მხარეთა რეალური ნების დადგენა, მისი შესაბამისობა კანონის მოთხოვნებთან და სწორედ ამ გზით უნდა დადგინდეს სასარჩელო მოთხოვნის საფუძლიანობა“ ის სუსგ საქმე №ას-1003-964-2014, 17 დეკემბერი 2015 წელი.

32. 2009 წლის იანვრამდე არსებული სამშენებლო ფირმა, თავის დროზე ხარვეზით იყო შექმნილი, რადგანაც დადგენილია, რომ ქ. ბათუმში, ..... მ.ს-სა და ა.თ-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი სახლის მშენებლობას უნებართვოდ ახორციელებდა და, აქედან გამომდინარე, მიწის მიღწევა თავიდანვე შეუძლებელი იყო, რადგანაც სამშენებლო ფირმის მონაწილეებს არ გააჩნდათ უფლებამოსილი ორგანოს მიერ კანონით დადგენილი წესითა და ფორმით, გარკვეული ვადით მინიჭებული უფლება, რომელიც წარმოადგენდა მშენებლობის განხორციელების სამართლებრივ საფუძველს {იმ დროისათვის მოქმედი „მშენებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის „ა“ პუნქტი, და მე-5-7 მუხლები}; მხოლოდ მოგვიანებით, ახალჩამოყალიბებული ამხანაგობის პირობებში, ქ. ბათუმის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის 2010 წლის 11 მაისის №... ბრძანებით, ლეგალიზებულ იქნა სადავო, უნებართვოდ აშენებული ობიექტი, საერთო ფართობით 5034 კვ.მ, რომელიც აღირიცხა ამხანაგობის სახელზე.

33. ამრიგად, რადგანაც სამშენებლო ფირმას თავისი საქმიანობისათვის ესაჭიროებოდა სახელმწიფოს მიერ გაცემული ნებართვა, მოსარჩელეს, მისი სამშენებლო ფირმის საქმიანობაში მონაწილეობის დადასტურების შემთხვევაშიც კი, 2009 წლის 17 იანვრისათვის ვერ ექნებოდა საკუთრებაში გადაცემის თაობაზე იურიდიული ძალის მქონე, ანუ ნამდვილი მოთხოვნა ვერც ფირმის და ვერც ახალშექმნილი ამხანაგობის მიმართ {სსკ-ის 99.1 და 101-ე მუხლები}.

34. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლებრივად მნიშვნელოვანი აღარაა და საქმის შედეგებზე გავლენას ვერ მოახდენს კასატორის ის პრეტენზიები, რომლებიც აღნიშნულია წინამდებარე განჩინების 25.1. და 25.2 პუნქტებში.

35. ამასთან, საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო პალატის მსჯელობას მოსარჩელის მიერ მხოლოდ აღიარებითი ხასიათის სარჩელის აღძვრის თაობაზე, რადგანაც ის იმავდრო-

ულად აყენებდა მიკუთვნებით მოთხოვნასაც – საჯარო რეესტრში შესაბამისი ცვლილებების შეტანის სახით, ანუ სადავო ბინაზე პირველი მოპასუხის საკუთრების გაუქმებასა და ბინის მის სახელზე აღრიცხვას მოითხოვდა, თუმცა, ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, მის ამ მოთხოვნასაც არ გააჩნია არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძველი.

36. ამრიგად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, შესაბამისად, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის მე-8, 399-ე, 372-ე, 264.3 და 410-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ლ. ხ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 ოქტომბრის განჩინება;
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# უარი ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებაზე

## ბანკინება

№ას-195-183-2014

21 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ნ. ბაქაძური

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. შპს „მ-მა“ (შემდგომში – მოსარჩელე ან კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში ამხანაგობა „ბ. 502-ის“ (შემშგომში – მოპასუხე, მონინააღმდეგე მხარე ან ამხანაგობა), სს „ს-ის“, თ. ა-ის, თ. ა-ის, ი. ა-ის, მ. ა-ის, ე. ა-ას, მ. ა-ის, ე. ა-ას, რ. ა-ის, მ. ა-ის, დ. ა-ის, ნ. ბ-ის, დ. ბ-ის, ლ. ბ-ის, ე. ბ-ის, თ. ბ-ის, ვ. ბ-ის, რ. გ-ის, რ. გ-ის, ა. გ-ის, თ. გ-ის, კ. გ-ის, დ. გ-ის, რ. გ-ის, ნ. გ-ის, თ. გ-ის, ნ. გ-ის, ნ. გ-ის, ლ. გ-ას, გ. გ-ის, გ. დ-ას, თ. დ-ის, გ. დ-ის, თ. დ-ის, მ. დ-ის, ც. დ-ის, ბ. დ-ის, მ. ე-ის, გ. ე-ის, ლ. თ-ის, მ. თ-ას, ნ. ი-ის, რ. ი-ის, მ. კ-ის, გ. კ-ის, თ. კ-ის, კ. კ-ას, დ. კ-ს, ე. კ-ას, მ. კ-ას, ნ. კ-ას, ა. კ-ის, ს. კ-ის, ე. კ-ის, დ. კ-ის, ლ. კ-ის, კ. კ-ის, გ. კ-ას, ა. კ-ის, ა. კ-ის, დ. ლ-ის, ხ. ლ-ის, ვ. მ-ის, ზ. მ-ის, ი. მ-ის, ნ. მ-ის, გ. მ-ის, დ. მ-ის, ზ. მ-ის, გ. მ-ის, გ. ნ-ას, ი. ნ-ის, მ. ნ-ის, ნ. ნ-ის, თ. ო-ის, ი. ო-ის, ბ. პ-ის, ზ. პ-ის, ა. ყ-ას, ლ. რ-ის, ხ. რ-ის, ჯ. რ-ას, ხ. რ-ას, ა. ს-ას, ნ. ს-ის, რ. ს-ის, ა. ს-ის, ქ. ს-ის, მ. ტ-ის, ზ. უ-ის, ც. ფ-ას, გ. ფ-ას, ნ. ქ-ის, ო. ქ-ის, ნ. ლ-ის, გ. ლ-ის, მ. შ-ას, რ. შ-ის, ლ. შ-ის, ნ. შ-ას, ი. ჩ-ის, ლ. ჩ-ას, პ. ჩ-ის, ვ. ჩ-ის, ზ. ც-ის, გ. ც-ის, კ. ც-ის, გ. ც-ის, რ. ძ-ის, შ. ძ-ის, ბ. ჭ-ის, კ. ჭ-ის, დ. ხ-ის, ც. ხ-ის, ზ. ხ-ის, ც. ხ-ას, ჯ. ხ-ას, ჯ. ხ-ის, თ. ჯ-ის, დ. ჯ-ას, ზ. ჯ-ას, პ. ჯ-ასა და ს. ჯ-ის (შემდგომში – მოპასუხეები, ამხანაგობის წევრები ან მონინააღმდეგე მხარეები) მიმართ და მოითხოვა 2008 წლის 27 მაისის ხელშეკრულების შეწყვეტა, განხორციელებული შესატანის – 207 671 ლარის, ასევე, პირგასამტეხლოს – 303 200 ლარის მოპასუხეებისათვის დაკისრება.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ გარემოებებს: 2005 წლის 25

მაისს მოსარჩელესა და მოპასუხეებს შორის დაიდო ხელშეკრულება (შემდგომში – 25.05.2005წ. ხელშეკრულება), რომლის საფუძველზეც მოსარჩელემ იკისრა ვალდებულება, ამხანაგობის განცხადების საფუძველზე მიეწოდებინა მათთვის მოთხოვნილი ოდენობის არმატურა და გლინულა, რისი ღირებულებაც ანაზღაურდებოდა მოპასუხეების მხრიდან შესაბამისი ანგარიშფაქტურის მიხედვით. ხელშეკრულებით განისაზღვრა პირგასამტეხლოს დაკისრებაც – ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, დარჩენილი დავალიანების 1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. 2008 წლის იანვარში (შემდგომში – 15.01.2008წ. ხელშეკრულება) ამხანაგობამ შეიძინა 124 031,73 ლარის ღირებულების 95,07 ტონა პროდუქცია, რომლის ნაწილიც – 76 631,73 ლარი გამყიდველს 2008 წლის 11 თებერვალს აუნაზღაურდა. 2008 წლის 27 მაისს მოსარჩელესთან გაფორმდა „საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობის შესახებ“ ხელშეკრულება (შემდგომში – 27.05.2008წ. ხელშეკრულება), რომლის საფუძველზეც მოსარჩელემ მოპასუხეებს გადასცა 131 040 ლარის ღირებულების მეტალოპროდუქცია (70 ტონა), 25.05.2005წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ამხანაგობის დავალიანებასთან ერთად მოსარჩელის მიერ გადასახდელი თანხა განისაზღვრა 207 671,73 ლარით, რის საწევლოდაც მოპასუხეებს მოსარჩელისათვის ამენებულ კორპუსში შესაბამისი ფართი უნდა გადაეცათ. ვალდებულების დარღვევისათვის ხელშეკრულებით დადგინდა პირგასამტეხლოც – შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. მოსარჩელემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჯეროვნად შეასრულა, ხოლო მოპასუხეებმა დაარღვიეს იგი, რის გამოც, მათი დავალიანება მოსარჩელის მიმართ ჯამში 207 671,73 ლარს, ხოლო პირგასამტეხლო – 303 200 ლარს შეადგენს (იხ. დაზუსტებული სარჩელი).

## **2. მოპასუხეების პოზიცია:**

მოთხოვნის გამომრიცხავი/განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლით მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს, კერძოდ:

2.1. სს „ს-ის“ განმარტებით, მშენებლობის შეჩერება არა ამხანაგობის ბრალით, არამედ 2008 წლის აგვისტოს ომით არის განპირობებული, რაც ფორს-მაჟორული მდგომარეობაა და მოპასუხეთა პასუხისმგებლობას გამორიცხავს;

2.2. ამხანაგობისა და მისი წევრების განმარტებით, 24.05.2005 წლის ხელშეკრულება ხელმოწერილია ამხანაგობის არაუფლებამოსილი პირის – გენერალური დირექტორის მიერ, ამგვარ თა-

ნამდებობას ამხანაგობის სადამფუძნებლო დოკუმენტი არ ითვალისწინებს, ხოლო უშუალოდ ხელმომწერ პირს ამხანაგობის სახელით გარიგების დადების უფლებამოსილება არ გააჩნდა, ამასთანავე, საქმის მასალებით არ დგინდება, გადაცემული მეტალოპროდუქცია მოხმარდა თუ არა მშენებლობას, რადგანაც 2007 წლის ბოლოსთვის იგი უკვე შეჩერებული იყო. გარდა ამისა, ამხანაგობისათვის უცნობი იყო მოსარჩელესთან დადებული 15.01.2008წ. ხელშეკრულების თაობაზეც, რის შესახებაც მათ 2009 წლის 31 ნოემბერს შეიტყვეს და მისი სიყალბის, ასევე, ფორმადაუცველობის შესახებ მაშინვე განაცხადეს. 24.05.2005წ. ხელშეკრულება სამართლებრივად წარმოადგენს წარდობას, რაც მათ პასუხისმგებლობას გამორიცხავს, ასევე წარდობაა 27.05.2008წ. ხელშეკრულება, რომელიც მოსარჩელესა და სს „ს-ს“ შორისაა დადებული, რის გამოც მოპასუხე ფიზიკურ პირებს არ უნდა დაეკისროთ ამ ვალდებულების დარღვევის გამო პასუხისმგებლობა (იხ. შესაგებლები).

### **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინებების სარეზოლუციო ნაწილები:**

3.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრათ 212 671 ლარის გადახდა, საიდანაც 202 671 ლარი წარმოადგენდა ძირითად დავალიანებას, ხოლო 10 000 ლარი დარიცხულ პირგასამტეხლოს;

3.2. ამავე სასამართლოს 2012 წლის 13 ნოემბრის საოქმო განჩინებით მოპასუხეთა შუამდგომლობა დ. წ-ის მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩაბმის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ხოლო, 2012 წლის 27 ნოემბრის საოქმო განჩინებით, ასევე არ დაკმაყოფილდა მათი შუამდგომლობა 15.01.2008წ. და 27.05.2008წ. ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების საქმის მასალებიდან ამოღების თაობაზე.

### **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, ასევე, ზემოხსენებული საოქმო განჩინებები სააპელაციო წესით გაასაჩივრა ამხანაგობის წევრმა ლ. გ-ემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ, ასევე, საოქმო განჩინებების გაუქმება (იხ. სააპელაციო საჩივარი).

### **5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2013 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ამავე გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა აპელანტის მოთხოვნა საქალაქო სასამართლოს ზემოხსენებული საოქმო განჩინებების გაუქმების თაობაზე.

#### **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ კასატორის მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

#### **1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს მოსარჩელის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის, გადაცემულის დაბრუნებისა და პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნის საფუძვლიანობა შეადგენს. ამ თვალსაზრისით კი, ქვემდგომი სასამართლოების მიერ დადგენილია დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1.1.1. 2002 წელს ჩამოყალიბდა ამხანაგობა „ბ. 502“, რომლის წევრებს წარმოადგენენ მოპასუხე ფიზიკური პირები;

1.1.2. 2005 წლის 24 მაისს ამხანაგობასა/მის წევრებსა და სს „ს-ს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრა მხარეთა საერთო მიზანი – ქ. თბილისში, ყ-ის ქუჩაზე, ავტოგასამართი სადგურის პირდაპირ, 10 998,75 კვ.მ მიწის ნაკვეთზე 49 000 კვ.მ საერთო ფართის მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა. ხელშეკრულების 1.1. პუნქტის თანახმად, მშენებლობის დასრულების შემდეგ, ხელშეკრულების თითოეული მხარე, ნილობრივი მონაწილეობის პროპორციულად, საკუთრებაში მიიღებდა უძრავ ქონებას. 7.3. პუნქტის თანახმად კი, მშენებლობის დასრულების შემდეგ, ამხანაგობის მონაწილეებს საკუთრებაში გადაეცემოდათ 128 ოთხთახიანი და სამოთახიანი ბინა, ხოლო დარჩენილი საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართები გადა-



ეცემოდა სს „ს-ს“. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად, მხარეთა შორის განისაზღვრა შესატანების სახე და მოცულობა, კერძოდ, ამხანაგობის მონაწილეების (ფიზიკური პირების) შესატანს წარმოადგენდა ქ. თბილისში, ყ-ის ქუჩაზე, ავტოგასამართი სადგურის მოპირდაპირედ მდებარე 10 998,75 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ხოლო სს „ს-ის“ შესატანს – მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა;

1.1.3. ამხანაგობასა და მოსარჩელეს შორის გაფორმდა 15.01.2008წ. ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე მოსარჩელემ იკისრა ვალდებულება, მიენოებინა ამხანაგობისათვის მეტალოპროდუქცია, ხოლო მოპასუხე ვალდებული იყო, გადაეხადა შეთანხმებული საზღაური;

1.1.4. 2008 წლის იანვარში მოსარჩელემ შემძენს მიანოდა 124 031,73 ლარის ღირებულების მეტალოპროდუქცია, საიდანაც ამხანაგობამ გადაუხადა მხოლოდ 47 400 ლარი;

1.1.5. 27.05.2008წ. მოსარჩელესა და ამხანაგობას შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ამხანაგობამ იკისრა ვალდებულება, 2009 წლის 31 დეკემბრამდე აეშენებინა და საკუთრებაში გადაეცა მოსარჩელისათვის ქ. თბილისში, ყ-ის ქუჩაზე მშენებარე მრავალფუნქციურ საცხოვრებელ სახლში 127, 17 კვ.მ 3-ოთახიანი ბინა აივანით. ხელშეკრულების მე-3 პუნქტის თანახმად, შპს „მ-მა“ იკისრა ვალდებულება, გადასაცემი ფართის სანაცვლოდ, გადაეხადა მოპასუხისათვის 76 631, 74 ლარი და მიენოებინა 70 ტონა არმატურა და გლინულა, ამასთანავე, გადასახდელ თანხაში გაიქვითა ამხანაგობის დავალიანება, რომელიც მას წარმოეშვა 2008 წლის თებერვალში მიწოდებული მეტალოპროდუქციის ღირებულების სახით. ამავე ხელშეკრულების მე-6 პუნქტის თანახმად, თუ მშენებლობის ვადა გადააჭარბებდა ხელშეკრულებაში აღნიშნულ პერიოდს სამ თვეზე მეტი ხნით და წევრს არ ექნებოდა ხელშეკრულების რომელიმე პუნქტი დარღვეული, წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, იგი უფლებამოსილი იყო პირგასამტეხლოს სახით მიეღო 3.1. პუნქტით გათვალისწინებული შენატანის 0,2% ზემოაღნიშნული სამი თვის შემდეგ ყოველ ვადაგადაცილებულ თვეზე;

1.1.6. ამხანაგობამ არ შეასრულა 27.05.2008წ. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

1.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა

საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება (სსსკ-ის 393-ე მუხლი).

1.3. განსახილველ შემთხვევაში, კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს იმის თაობაზე, რომ მას და ამხანაგობას შორის დადებული 27.05.2008წ. ხელშეკრულება ერთობლივ საქმიანობაზე შეთანხმებას წარმოადგენდა და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია მხარეთა ნამდვილი ნება, რაც ხსენებული გარიგების დადებისას გამოავლინეს მხარეებმა. ამ თვალსაზრისით კი, კასატორი პრეტენზიას აცხადებს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან, როგორც მატერიალური სამართლის ნორმათა არასწორი გამოყენების, ისე – საპროცესო ნორმების დარღვევის თაობაზე.

1.4. საკასაციო პრეტენზიათა საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით პალატა ყურადღებას გაამახვილებს რამდენიმე საკითხზე:

1.4.1. სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებისას სასამართლოს უმთავრეს როლს წარმოადგენს იმის სწორად განსაზღვრა, თუ რა სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარეობს დავა, ანუ სასამართლოს უპირველესი მოვალეობაა, სწორად დაადგინოს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი – მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა, გამოარკვიოს დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტული შემადგენლობა (ნორმის ელემენტები) და შემოაწმოს ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით დასაბუთებულია თუ არა სარჩელი, კერძოდ, მოსარჩელე მიუთითებს თუ არა დამფუძნებელი ნორმის შემადგენელი ყველა ელემენტის არსებობაზე, რომელთა დადასტურებულად მიჩნევა სასარჩელო მოთხოვნას იურიდიული თვალსაზრისით გაამართლებს (ე.წ. მოსარჩელის სტადია). ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში ღირს მოპასუხის შედავების არსებობის შემოწმება თუ მტკიცების სტადიაზე გადასვლა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიიჩნევა, რომ სარჩელი დაუსაბუთებელია, რაც მის დაკმაყოფილებას გამოირიცხავს. თავის მხრივ, უპირობოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის განსაზღვრა სასამარ-

თლოს პრეროგატივაა მიუხედავად იმისა, სარჩელსა და შესაგებელში მხარეები მატერიალური სამართლის რომელ ნორმაზე მიუთითებენ, ანუ მხარეთა სამართლებრივი პოზიცია დავის გადაწყვეტისას შემზღუდავი არაა (იხ. სუსგ №ას-877-825-2010, 28 დეკემბერი, 2010 წელი).

1.4.2. სარჩელის შესწავლით დასტურდება, რომ შპს „მ-ის“ ძირითად მოთხოვნას 27.05.2008წ. ხელშეკრულებიდან გასვლა და გადაცემულის გამოთხოვა წარმოადგენს, ანუ მხარეს სურს რესტიტუციის გზით დაიბრუნოს ამხანაგობისათვის გადაცემული მატერიალური ფასეულობა, იგი ასევე აყენებს მეორად მოთხოვნას – ვალდებულების დარღვევის გამო პირგასამტეხლოს დაკისრებას. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის არგუმენტს ხელშეკრულების იურიდიული ბუნების მხარეთა მიერ გამოვლენილი ნამდვილი ნების ანალიზის შედეგად დადგენის თაობაზე, შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობის განსაზღვრა სწორედ 27.05.2008წ. ხელშეკრულების შინაარსის მართებული სამართლებრივი შეფასების გზით უნდა მოხდეს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ნება, როგორც იურიდიული კატეგორია სამართლებრივი ურთიერთობის წარმომშობი (შეცვლა, შეწყვეტა) ინსტრუმენტია (სკ-ის 50-ე მუხლი), რომელიც იურიდიულ ძალას, მიღებასავალდებულოობის შემთხვევაში, მას შემდეგ იძენს, რაც იგი ადრესატს მიუვა, თუმცა, პრაქტიკაში არც თუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც გამოვლენილი ნება არ შეესაბამება მის სუბიექტურ – შინაგან არსს, ასეთ შემთხვევაში, სახეზეა ნაკლიანი გარიგება (რომელიც შეიძლება საჭიროებდეს შეცილებას), თუმცა ეს შემთხვევა მოცემულ დავაში არაა. ცალმხრივი ნებისაგან განსხვავებით, ორმხრივი/მრავალმხრივი გარიგებისას უნდა არსებობდეს ორი ან მეტი პირის მიერ კანონით გათვალისწინებული ფორმის დაცვით გამოვლენილი ნების თანხვედრა ხელშეკრულების არსებითი პირობების თაობაზე და მიუხედავად იმისა, რეალური თუ კონსესუალური ხასიათისაა გარიგება, ორივე შემთხვევაში გადამწყვეტი ნების ფორმირებაა (სკ-ის 327.1 მუხლი). თავის მხრივ, გამოვლენილი ნების შეფასების საკითხს ადგენს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი და გარეგანი გამოხატულების (ფორმირებული) ნების ნამდვილი შინაარსის დასადგენად საჭიროდ მიიჩნევს არა მხოლოდ სიტყვასიტყვითი განმარტების, არამედ, „გონივრული განსჯის“ მეთოდის გამოყენებასაც.

1.4.3. საქმეში წარმოდგენილი 27.05.2008წ. ხელშეკრულების შესწავლით ირკვევა, რომ მოსარჩელე ამხანაგობაში ერთიან-

დება, როგორც „ჩვეულებრივი წევრი“ და აღნიშნულით ეთანხმება ამხანაგობის ხელშეკრულებას ერთობლივი საქმიანობის შესახებ, რომლის შექმნის მიზანი ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ი. ჭავჭავაძის გამზირსა და ყ-ის ქუჩით შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის აშენებისა და სახლის ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ ამხანაგობის წევრებს შორის წილების განაწილებაა. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ამხანაგობისა და წევრის ურთიერთობა განიხილება ერთობლივ საქმიანობად. ყველა სახის მოქმედება (დაფინანსება, დაპროექტება, მშენებლობა და სხვა) იწოდება სახლის მშენებლობად და წევრს საკუთრების უფლება მისთვის გამოყოფილ წილზე წარმოეშობა უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციიდან, ამასთან, ხელშეკრულების მხარეები არიან „სახლის მშენებლობის“ ამხანაგობის მონაწილეები (იხ. ხელშეკრულების პირველი მუხლი). წევრის მიერ საკუთარი ვალდებულების სრულად შესრულებისა და სახლის ექსპლუატაციაში შეყვანის შემდეგ ხორციელდება ერთობლივი საქმიანობის მონაწილეთა წილების გამოყოფა. წევრის წილი განისაზღვრება მის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართობის შეფარდებით ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებულ მთელ ფართთან (იხ. ამავე ხელშეკრულების მე-2 მუხლი). ხელშეკრულების მე-3 მუხლით მხარეები შეთანხმდნენ „შესატანსა და მისი განხორციელების წესზე“; შესატანი განისაზღვრა ბინის ღირებულებით, რაც მოსარჩელესთან მიმართებაში შეადგენდა 76 631,74 ლარს, ასევე, 70 ტონა არმატურასა და გლინულას, ამასთანავე, მოსარჩელის მიერ გადასახდელი თანხა გაიქვითა 2008 წლის 11 თებერვალს წარმოშობილ ამხანაგობის დავალიანებაში. ხელშეკრულების მოხმობილი დებულებების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი წესით ანალიზის შედეგად, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული გადანყვეტილების დასკვნას იმის თაობაზე, რომ მხარეთა შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა არა სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლით რეგულირებული წარდობის სამართლებრივი ურთიერთობაა (სადაც შემკვეთის ვალდებულებას მხოლოდ საზღაურის გადახდა წარმოადგენს, ხოლო მენარდისას – ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება), არამედ, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებაზე შეთანხმებაა, რომლის ფარგლებშიც მოსარჩელემ ამხანაგობასთან ერთად საერთო მიზნის მისაღწევად გარკვეული ვალდებულებები იკისრა (სკ-ის 930-ე მუხლი). დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, იმისათვის,

რომ ამხანაგობის ხელშეკრულება გაიმიჯნოს ნარდობის ხელშეკრულებისგან, აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, დავახასიათოთ ამხანაგობის ხელშეკრულების ის მხარეები, რომლითაც იგი ემსგავსება ნარდობის ხელშეკრულებას. ამხანაგობის ხელშეკრულება, როგორც კონკრეტული მიზნის მისაღწევად პირთა გაერთიანებაზე აგებული ხელშეკრულება, მოითხოვს წევრებისაგან ისეთი მოქმედებების განხორციელებას, რომლებსაც ახასიათებს სხვადასხვა ხელშეკრულებებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები. როდესაც ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ისეთ ხელშეკრულებაზე, რომელიც მიზნად ისახავს, მაგალითად, რაიმე ნაკეთობის დამზადებას, სახლის აშენებას და ა.შ, ამხანაგობის წევრთა უფლება-ვალდებულებები ემსგავსება ნარდობის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ურთიერთობებს, მაგრამ, ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა შორის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ისეთ უფლება-ვალდებულებებს, რაც დამახასიათებელია კოლექტიური გაერთიანებისათვის, რომელსაც ახასიათებს კორპორაციული სტრუქტურის ისეთი თვისებები, რომელიც მოიცავს, როგორც ორგანიზაციულ, ასევე, ქონებრივ ელემენტებს. ზუსტად ასეთი ტიპის გაერთიანება წარმოადგენს გარკვეულწილად იმ საშუალებათა ერთობას, რითაც საბოლოოდ უზრუნველყოფილია ამ გაერთიანების მონაწილეთა მიერ დასახული მიზნის მიღწევა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების თავისებურება ვლინდება იმაში, რომ დასახული მიზნის მიღწევა შეძლებულია მხოლოდ მონაწილე პირთა ერთობლივი საქმიანობით. მსგავსად ნარდობის ხელშეკრულებისა, ამხანაგობის მიერ ბინის მშენებლობა ორიენტირებულია კონკრეტული შედეგის მიღწევაზე. უფრო მეტიც ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ერთ-ერთი წევრი შეიძლება იყოს მენარდე, რომელიც თავისი საქმიანობით მონაწილეობს ერთობლივ საქმიანობაში, მაგრამ, როდესაც რამდენიმე პირი (ორი ან მეტი) თანხმდება ერთობლივი ძალებით თუნდაც სახლის აშენებაზე ან სხვა ნაკეთობის დამზადებაზე, (რაც შეიძლება განხორციელდეს ნარდობის ხელშეკრულებით), ერთმანეთს შორის და ასევე მესამე პირებთან ურთიერთობები მოითხოვს ნარდობის ხელშეკრულებისაგან განსხვავებულ მონესრიგებას. შესაბამისად, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების საფუძველზე ხდება არა ერთობლივად ან ცალ-ცალკე ნარდობის ხელშეკრულების დადება, არამედ ისეთი ერთეულის ჩამოყალიბება, რომლითაც წესრიგდება ერთმანეთთან, ასევე მესამე პირებთან არსებული ურ-

თიერთობები და საბოლოოდ, უზრუნველყოფილია, კონკრეტულ შემთხვევაში, ნარდობის ხელშეკრულებაში ერთობლივი მონაწილეობა (იხ. სუსგ №ას-482-458-2013, 16 იანვარი, 2014 წელი).

1.4.4. 27.05.2008წ. ხელშეკრულების ზემოთ მოხმობილი დებულებების ანალიზით საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ ამხანაგობაში მონაწილეობა იკისრა შესატანით (როგორც ფულადი სახით, ისე – ნატურით), რომელიც საერთო მიზნის მიღწევას და ამ მიზნის მიღწევის შედეგად, მოსარჩელისათვის კონკრეტული ფართის გადაცემას უზრუნველყოფდა (სკ-ის 932-ე მუხლი). ამავე ხელშეკრულების მე-4-მე-6 მუხლებით მოწესრიგებულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, რომელთა შეფასებითაც დგინდება, რომ ამხანაგობის მონაწილეებს გააჩნიათ ნაკისრ ვალდებულებათა კეთილსინდისიერად შესრულების მოვალეობა (სკ-ის 935-ე მუხლის მე-2 ნაწილი), ხოლო, ხელშეკრულების ის დებულება, რომლითაც მოწესრიგებულია ერთობლივი საქმიანობის მართვა ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ (იხ. ხელშეკრულების 1.7. პუნქტი), შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნას.

1.4.5. ამდენად, კასატორის შედავება 27.05.2008წ. ხელშეკრულების იურიდიული ბუნების კანონის დარღვევით განსაზღვროს თაობაზე ვერ იქნება გაზიარებული საკასაციო სასამართლოს მიერ. აღნიშნულ დასკვნას ვერ გააქარწყლებს მხარის პოზიცია იმის თაობაზე, რომ არ არსებობდა გასაქვითი ვალდებულებები, რადგანაც ამხანაგობის დავალიანება ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარეობდა, რომლის შესრულების ვადაც უკვე დამდგარი იყო და არ არსებობდა ვალდებულებათა გაქვითვის სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები. მოხმობილი პრეტენზიის საპირისპიროდ საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მართალია, ამხანაგობას, მოსარჩელის ერთობლივ საქმიანობაში განვევრიანებამდე წარმოევა დავალიანება შპს „მ-ის“ მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე და მას თანხის გადახდის ვალდებულება არ შეუსრულებია ჯეროვნად (ვადამოსული ვალდებულება), თუმცა, მოსარჩელის ამხანაგობის წევრად მიღებით განისაზღვრა ასევე წევრის ვალდებულება შესატანის განხორციელებაზე და მე-3 მუხლით იგი ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე უნდა შეტანილიყო, რაც, სწორედ, სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 444-ე მუხლის შესაბამისად, ნასყიდობის ურთიერობის გაქვითვის გზით შეწყვეტაზე მიუთითებს და არა 27.05.2008წ. ხელშეკრულების იმ მიზნით დადებაზე, რომ გამონახულიყო გზა მიწოდებული პროდუქციის

დარჩენილი დავალიანების დასაფარავად.

1.4.6. პალატა უარყოფს საკასაციო შედეგებს ქვემდგომი სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 384-ე მუხლის დარღვევის თაობაზე. პირველი ინსტანციის სასამართლომ მოპასუხეებს დააკისრა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხის სოლიდარულად ანაზღაურება, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ამხანაგობის წევრმა ფიზიკურმა პირმა. საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლზე, რომლითაც რეგულირებულია საპროცესო თანამონაწილეობის ინსტიტუტი და ნორმის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დადგენილია, რომ სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთად რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, თუ სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება (სავალდებულო თანამონაწილეობა). თავის მხრივ, საერთო უფლებიდან გამომდინარე ამხანაგობის წევრების სოლიდარულ პასუხისმგებლობაზე მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 463-ე, 464-ე და 938-ე მუხლების დანაწესები. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ლ. გ-ე წარმოადგენს ამავე ამხანაგობის წევრს, მას შეეძლო მოთხოვნის შემაფერხებელი შესაგებელი, მათ შორის, სააპელაციო საჩივარი წარედგინა ამხანაგობის სახელით თანახმად სამოქალაქო კოდექსის 466-ე მუხლისა, ამასთან, ვინაიდან ამხანაგობის მიმართ წარდგენილი სარჩელი იყო უსაფუძვლო, სააპელაციო პალატამ სავსებით სამართლიანად უთხრა უარი მოსარჩელეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

1.4.7. პალატა დაუსაბუთებლად მიიჩნევს, ასევე, კასატორის პოზიციას სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო კოდექსის 352-ე და 405-ე მუხლების გამოყენებაზე უარის არასწორად თქმის თაობაზე და განმარტავს, რომ ზემოხსენებული ნორმებით, მართალია, ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტია მონესრიგებული, თუმცა, ეს დანაწესები, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, მოცემულია სახელშეკრულებო სამართლის ზოგად ნაწილში, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი მოქმედება ვრცელდება იმგვარ შემთხვევაზე, როდესაც სპეციალური ნორმა სადავო საკითხს არ არეგულირებს. განსახილველი სამართალურთიერთობა ერთობლივ საქმიანობაში ექცევა და წევრის ამხანაგობიდან გასვლისა და წილის კომპენსაციის საკითხიც სპეციალურ რეგულაციას ექვემდებარება. როგორც უკვე აღინიშნა, მოსარჩელეს სურს ერთობლივი საქმიანობიდან გასვლა და ქონებრივი რესტიტუცია, რაც სარჩელის სამართლებრივ საფუძვლად სამოქალაქო კოდექსის 938-ე მუხლის გამოყენების

აუცილებლობაზე მიუთითებს. მოხმობილი ნორმის თანახმად კი, ერთ-ერთი მონაწილის გასვლა იწვევს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას. ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს ერთ-ერთი მონაწილის გასვლას ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტლად. ასეთ შემთხვევაში გამსვლელი მონაწილის წილი ნაწილდება სხვა მონაწილეებს შორის. გამსვლელ მონაწილეს წილის კომპენსაცია მიეცემა ფულადი სახით. ამასთან, მხედველობაში მიიღება გასვლის დროისათვის შეუსრულებელი გარეგნობები. თუ გასვლის მომენტისათვის საერთო ქონება ველარ ფარავს საერთო ვალებს, გამსვლელი ვალდებულია დანარჩენ მონაწილეებს გადაუხადოს თავისი წილის შესაბამისი თანხა. გამსვლელის ვალდებულება გასვლის მომენტში არსებული კრედიტორების წინაშე უცვლელია (მე-3 ნაწილი). საქმეში წარმოდგენილი 27.05.2008წ. ხელშეკრულების მე-6 მუხლით მხარეებმა გაითვალისწინეს წევრის გასვლის შესაძლებლობა ამხანაგობიდან, თუმცა, მხოლოდ ეს გარემოება არასაკმარისია მოსარჩელის ინტერესის მისაღწევად, რადგანაც სარჩელი არ შეიცავს მითითებას იმ წინაპირობებზე, რომელიც საკმარისია სამოქალაქო კოდექსის 938-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის (წილის კომპენსაცია). საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქვემდგომმა სასამართლომ ხელშეკრულების მე-6 მუხლთან მიმართებაში სწორად განმარტა მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა და ის საკითხი, რომ მხარეთა შეთანხმება კომპენსაციის (შესატანის 90%) გაცემაზე ვერ გახდებოდა საერთო ვალებში მისი შესაძლო პასუხისმგებლობის გამოორიხება გარემოება. რაც შეეხება პირგასამტეხლოს საკითხს, მართალია, საქმეში წარმოდგენილი 27.05.2008წ. ხელშეკრულება შეიცავს მხარეთა შეთანხმებას პირგასამტეხლოზე (სკ-ის 418.2 მუხლი), თუმცა, არც ამ მოთხოვნის შემთხვევაში დასტურდება მოსარჩელის მიერ ხელშეკრულების 6.3. პუნქტით განსაზღვრული წინაპირობების დაცვა (ამხანაგობის მხრიდან ვალდებულების შესრულების ვადის სამი თვით გადაცილების შემდგომ მოსარჩელის მიერ პირგასამტეხლოს წერილობით მოთხოვნა).

1.5. ამდენად, საკასაციო პალატა ეთანხმება გასაჩივრებელი გადაწყვეტილების შეფასებებსა და დასკვნებს სარჩელის დაუსაბუთებლობის თაობაზე და თვლის, რომ კასატორს არ მიუთითებია იმგვარ ფაქტებსა და გარემოებებზე, რაც ამ გადანწყვეტილების გაუქმების საფუძველი გახდებოდა (სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლები). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარ-



ღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადან-  
ყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) საა-  
პელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია,  
მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწი-  
ლი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

## **2. სასამართლო ხარჯები:**

მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი სასამარ-  
თლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 14 მარტის გან-  
ჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის შე-  
საბამისად, კასატორს გადაუვადდა სახელმწიფო ბაჟის – 8 000  
ლარის გადახდა შემაჯამებელი გადანყვეტილების მიღებამდე.  
საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინებით არ დაკმაყოფილ-  
და რა მისი მოთხოვნა, ამავე კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწი-  
ლის პირველი წინადადების თანახმად, მას სახელმწიფო ბიუ-  
ჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს გადავადებული ბაჟის  
გადახდა.

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს  
სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე, 410-ე მუხლებით და

## **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. შპს „მ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-  
მეთა პალატის 2013 წლის 24 დეკემბრის გადანყვეტილება დარ-  
ჩეს უცვლელად.
3. შპს „მ-ს (ს/№ ...)“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ  
დაეკისროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალა-  
ქო საქმეთა პალატის 2014 წლის 14 მარტის განჩინებით გადავა-  
დებული სახელმწიფო ბაჟის – 8 000 ლარის გადახდა.
4. სახელმწიფო ბაჟი ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე: ქ.თბი-  
ლისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების  
ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ... .
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-  
საჩივრდება.

## საკიბეპლი

<b>1. ნასყიდობის ხელშეკრულება</b>	
ელექტროენერჯის ნასყიდობის ხელშეკრულება .....	3
<b>2. ჩუქების ხელშეკრულება</b>	
გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა .....	15
ჩუქების გაუქმება .....	21
<b>3. ქირავნობის ხელშეკრულება</b>	
მიმდინარე რემონტის ხარჯების ანაზღაურება .....	32
<b>4. იჯარის ხელშეკრულება</b>	
საიჯარო ქირის დაკისრება .....	47
<b>5. სესხის ხელშეკრულება</b>	
სესხის ზეპირი ხელშეკრულება .....	56
სესხის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელი თანხის ოდენობის განსაზღვრა .....	71
<b>6. ნარდობის ხელშეკრულება</b>	
ნარდობის ხელშეკრულების მოშლა .....	87
ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისათვის .....	100
მომსახურების ღირებულების ანაზღაურება .....	111
<b>7. დავალების ხელშეკრულება</b>	
გასამრჯელოს ანაზღაურება .....	136
<b>8. შუამავლობის ხელშეკრულება</b>	
მაკლერის გასამრჯელოს ანაზღაურება .....	145
<b>9. დაზღვევის ხელშეკრულება</b>	
დამზღვევის ბრალი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ....	156
<b>10. საბანკო მომსახურება</b>	
საბანკო კრედიტი .....	164
<b>11. ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობა) ხელშეკრულება</b>	
ამხანაგობის წევრად ცნობა .....	179
უარი ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებაზე .....	189